

114
1940


საქართველოს
ხელნაწილების

მნათობი

9

ს მ კ ტ მ მ ბ მ რ ი

თბილისი
1940

ИЗДАНИЕ



მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკვლიცეო
ქურნალი



წელიწადი მთავიდან

3630

9

19 ს ა მ ბ მ მ მ მ მ მ მ მ 40
ს ა ს ხ მ ზ ბ ა მ ი

ს ა მ ბ მ მ მ მ მ მ მ მ
ს ა ს ხ მ ზ ბ ა მ ი
მ მ მ მ მ მ მ მ მ მ
ბ ი ბ ლ ი თ მ მ მ მ

სარედაქციო კოლეგია:

ასათიანი ლევან,
გოგიაშვილი ალექსანდრე,
კალაძე კარლო,
ლორთქიფანიძე კონსტანტინე,
მავაშვილი ალიო (პეგ. რედაქტორი),
მოსაშვილი ილო,
ჭუბათელი ალექსანდრე.

კარლო კალამი

ზაფხულის მოგონებანი

•••

ფიჭვის გორაზე... პირველი სხივით
შემოანათებს ბაღს გაზაფხული!
გაყინულ მინებს სჭრის აღმასივით,
წამწამთა სიზმრად გამოსახული...

ვერძნობ, სადღაც, ბნელში რომ აფრთხილდი!—
რომ: ნებეირად აწვდილ მკლავითა
გადასწევ ფარდებს... და განთიადის
ელფერი დაჰკრავთ ატმის ყვავილთაც...

ჩვენს ნაცნობ ჭადარს რად აკვირდები,
იგი ჯერ კიდევ არ შეფოთლილა!
მაგრამ ტოტებზე სხედან კვირტები
და როგორც ჩიტებს აღვიძებს დილა!...

შორთოლვაზე გულით სურთ გესაუბრონ
აიღვან ენა არ არსებული...
მაგრამ თვითველ ფოთოლზე უფრო
ნარ გაზაფხულით აღტაცებული...

•••

ფიჭვის გორაზე... რტოები ჭადრის
დაშრილებდა ბაღს ყოველ დილით! —
კრთოდენ ვარდები და როგორც ჩადრი
ეფინებოდათ ლამაზებს ჩრდილი.

ქარს იგერებდა ჭადარი ოხვრით,
ქარი თუ მათთან მოიჭროლებდა!
ნაჭრებ დაკერილ ძველ ახალოხით
ზე სოფლით მოსულს მოგვაგონებდა.

ბრმა მეოცნებეს ძირს დაეხარა
ჩუმად ფოთოლთა ხელის გულები, —
დღისით იძროდა ცა და ქვეყანა
ჰყოდნენ როგორც შერისხულელები!



და შუალამის მარტოობისას
ართობდა მტკვარი არაგვიანი, —
ხან მოწყენილი დრტვინვა ლომისა...
და ხან არწივთა ფრთების შრიალი!

ეგულეზოდა მოყმე და ვეფხვი
გმირთ მოედანზე შერჩივებული!
ქალაქის გრგვინვით შემკრთალი ვერხვი,
ძირს დაცვენილი ვარსკვლავთ კრებული!

ახალ ნერგების ფოთოლთა მალევა,
წელს ახმიანდა პირველ ქორწილად! —
ათი ათასი ჰადარო, ალვა
აქვე მტკვრისპირად რომ ატყორცილა...

უკვირდა როგორ გაჰქრა ზამთარი,
ხე შლიდა ხელებს ბერიკაცოვით! —
ვინ გაახარა ხმელი ჰადაროც
ქალაქის გარედ მდგარი განწირვით!...

ამ ხრიოკებზე მხოლოდ ქარები
დაძრწოდნენ როგორც უიმედონი, —
ეზლა ქალაქის გულის კარები
ჩაკეტილია რკინა-ბეტონით!...

ხედება გულლიათ ახალ მაგალითს,
დგას გაზაფხულის ნათელი დღისა, —
შუა ქალაქში მოაქვთ მანქანით
აყვავებული ნაჭერი ტყისა!...

ფუქრის გორაზე პირველი შუქით
გაბრწყინდებიან შუშაბანდები...
უკვე მიჩქმალულ ჩრდილებსაც უკვირთ,
ბალში რომ ფრთხილად გამობრძანდები!...

აფრინდებიან საგაზაფხულოდ
ცაში ფოლადის ფერი ფრთოსნები!
რომ ერთის წამით წიგნი დახურო
და შეაჩერდე ჩუმი ოცნებით!

ძირს კი მოხრილი წელში სრულებით
დგას ალუბალი, ნუში და ვაშლი! —
თითქოს ცოცხალი თაიგულებით
შენს კიბეებთან მოსულან ვაჟნი!...



მთრთოლვარე გულით სურთ გესაუბრონ
აიღვან ენა არ არსებული...
მაგრამ თვითველ ფოთოლზე უფრო
ხარ გაზაფხულით აღტაცებული!..

სოფლად

მე გაზაფხულის მზეს ავასწარი
შენს აივანზე ჩუმად ამოსვლა! —
მაგრამ, სვეტებთან ჩრდილივით მდგარი
მარტო დავრჩები ამ საღამოსაც.

წასულხარ... შორით გემშვიდობები,
ლამეში სადღაც კენესის ურემი,
და აივანზე ცაცხვის ტოტებიც
დაბრილან როგორც უბედურები!

მდუმარე ოდის ჩარაზულ კარებს
აჩნია მათი მთრთოლვარე ჩრდილი,
ვარ აივანზე და მეც ვდუმარებ
რტოსავით მარტო და ფერმიხდილი!

ფოთოლი ალბად ლანდია გულის
კრთის გულის ლანდი კავშიანი!
წასულხარ ჩემგან, და გაზაფხულიც
განშორებია ხეებს შრიალით....

მე მოუთმენლად ამოვასწარი
მზეს იმერეთის მთებზე ამოსვლა! —
მაგრამ ამაოდ... მისებრ დამცხრალი
კლდეებში ჩავალ ამ საღამოსაც.



შენ მოგწონს ტანად მაღალი ფიჭვი,
მაღალი მხრები, აჩრილი ზემოდ,
სჯობს კი ყოველთვის უცქერდე იქვით
მის დაუქქონბელ სიმწვანეს, ჩემო.

მარად შემკრთალი და მარად მწვანე
წამით ზამთარშიც თუ მოვიგონოთ, —
წიწვები მისი ჰგავს, გენაცვალე,
ქალთა შეღებულ წამწამებს მხოლოდ.

ხნიერი ჭადრის შრიალი წრფელი
 ზეთა განაბულ სულისთქმას არ ჰგავს,
 მას ვაეკაცივით ეცვალა ფერი
 გრძნობს უკანასკნელ გაზაფხულს ჰკარგავს...



ესხა ფოთლები ახალთახალი
 უყვარდა ლალი ფრთების შრიალი,
 ეზლა გაზაფხულს ხელის კანკალით
 ემშვიდობებდა კაეშნიანი...

და აივნოდან როგორც ისარი,
 თუმცა დაეცა სხივი დილისა, —
 — მაცოცხლებელი შუქიც ის არი
 და გაღიმებაც თინათინისა!...

ი ა ჩ ა ი მ ა

გოლიათი

ქალი თეთრი ქაბით

მატარებელი გაჩერდა თუ არა, ლონგინოზ მარშანია თავისი ვებერთელა ჩემოდნით ზანტად ჩამოაყვავა კიბეს. ბაქანი ვაჭედლილი იყო ხალხით. მატარებლიდან ჩამოსული მგზავრები ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდნენ სადგურისაკენ. გოლიათი შეხედულების გრძელ უღვანაშინმა ვაქაკამ გადახედა მოზღვავებულ ხალხს, უნდილად დაამთქნარა, უღვაშები წელა გადაიგრიხა, ჩემოდანი ძირს დაუშვა, მეორე ხელში გადაინაცვლა და მძიმე ნაბიჯით ჩაიარა ქვის კიბე, რომელიც სადგურს გვერდით ჩაუდმოდა. ახალმოსული მგზავრები, სრულესაც თემში ასვლა ესწრაფებოდათ, ყოველთვის ამ კიბით ჩადიოდნენ დაბლა, მოედანზე, სადაც მათ ავტომობილები ზვდებოდათ.

ლონგინოზი აქ მოულოდებლად გაერია ხალხში. ისე დადიოდა, თითქოს ახლა დაუღწევიაო თავი ღრმა ძილისათვის. ასე იარა დიდხანს. თავისი ჩემოდანით პირდაპირ გაუჭირა საქმე მგზავრებს, ზოგს ზურგზე მიახალა, ზოგსაც ბარძაყები დაურბილა. ეს ბუმბერაზი კაცი დათვივით დააბოტებდა მწყრივად განლაგებულ ავტომობილებს შორის და ბოხი ხმით კითხულობდა:

— სურნალეთში მიმავალი რომელი ხარ, სურნალეთში?

მიმავალი ბერი იყო, მაგრამ ავტომობილი არა სჩანდა და ლოდინი იყო საჭირო.

ლონგინოზ მარშანიას საშინლად ეწყინა ეს.

— ოჰ! — დაამთქნარა და ჩაილაპარაკა: — გოუსწრია? რაღაი აბა ახლა? უმთვარო ღამე იყო, ნისლიანი. ელექტრონის შორეული სინათლე ძლივს ატანდა მოედნამდე, ამიტომ იქ ძნელად თუ იცნობდა ადამიანი კაცს. ავტომობილის მოლოდინში ლონგინოზი სხვებთან ერთად იქვე, ქუჩის პირად დაყრილ ქვებზე ჩამოჯდა. იქ სხვებიც ელოდებოდნენ ავტომობილს, მაგრამ ლონგინოზს სრულებით არ აინტერესებდა იმათი გამომცნაურება. სახეც აარიდა მათ, იდაყვები მუხლებს დააყრდნო, ვებერთელა თავი მკლავებს შორის ჩაქინდრა და ჩასთვლიდა. ახლა სრულებით არა ფიქრობდა ის ვინმე ნაცნობის ნახვაზე. მისი საზრუნავი მხოლოდ ის იყო, პირველს ეშოვა ავტომობილზე ადგილი. მაგრამ ცნობის მოყვარენი შრავალნი არიან ამ ქვეყნად და აქაც აღმოჩნდა ერთი. იგი ძალიან ახლო იჯდა ლონგინოზთან, ასე რომ მისი მუხლი მარშანიას მუხლს ეხებოდა. და აი ამ ჩია-ტანის კაცს ლაპარაკის სურვილმა მოუარა, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, ლონგინოზს ზანტად გაუწოდა, „ინებეთო“, უთხრა, ასანთს გაჭრა და როცა მოკიდებულ ასანთზე ლონგინოზის სახე დაინახა, გაოცებულმა წამოიძახა:

— კაცო, ლონგინოზი ხარ შენ, ლონგინოზი?

მარშანია შეცბა, სრულებით არ ესიამოგნა ასე მოულოდნელად ნაცნობის შეხვედრა. მაგრამ მეტი გზა აღარ იყო, ხმა უნდა გაეცა, ამიტომ თავითრანაც აანთო ასანთი, დააკვირდა, მეზობელი თემის მცხოვრები მანასე იცნო, გაუცინა, პაპიროსი გამოართვა, გააბოლა და სოხრობა, თანაც ფარისებრელებით და გამოთქმით მიუგო:

— გამარჯობა, ჩემო მანასე, გამარჯობა, ვერ მიცანი? ღონგინოზი ვარ. არ დაგავიწყდი?

მანასე უცნაურად შეხეანხვალდა, მარშანიას მახლობლად ფეხის წვერებზე დაუყენდა და დიდი ამბით დაუწყო გამოკითხვა, თუ სად დაიკარგა, აგერ ოთხი წელიწადია თემში აღარ დაუნახავს გამოსული, რა მოუვიდა, ცოლშვილი რატომ დაივიწყა და სხვა.

— ცოლი? — ნაღვლიანად და ზრდაც ფარული მგზნებარებით იკითხა ბოლოს ღონგინოზმა და ჩემოდანი აბლო დაიღგა. — ცოლი რა მოსაგონებელია, ჩემო მანასე, შენ ჭკვიანი კაცი ხარ დამიკვირს, რეიზა მეკითხები მაგას. ცოლი? დასწყევლოს ეშაქმა! — აქ თავისი მსხვილი წარბები დიდმნიშვნელოვნად ასწია და ბრძნული გამომეტყველებით დასძინა: — ცოლს მანამდი უნდებხარ, ჩემო მანასე, სანამ ახალგზრდა ხარ, თვარა როცა პაწაი ხელი შეგეშლება, მერე... მშვიდობით! კუდით ქვას გასროლიებს... ბალანი მომენატრა, ჩემო ბატონო, თვარა სულ არ მოვიდოდი შინ...

ნაცნობი ერთხანს ცვლავ ჩაცუცქული იყო, მერე ოდნავ წამოდგა და საიდუმლო ხმით იკითხა:

— რავე, დედაკაცზე ხომ არ ეჭვიანობდი, ჩემო ღონგინოზ?

მარშანია აირია, არ მოეწონა შეკითხვა, ამიტომ თავისი ფიქრები რომ დაემალა და ნათქვამიც შეერბილებინა, შეცვლილი ხმით უპასუხა:

— ოო, არა... რავე გეკადრება, ჩემო ბატონო!

— კი, მარა ხომ მოშორდი?

— ხო... ასე ქვია... მარა სულ კი არა... ისე.

— რატომ, კაცო? რეიზა? აია საინტერესო...

— ეხ, ნულარ მკითხავ! — ხელი ჩაიქნია ღონგინოზმა და სწრაფად დაუშატა: — შემაძულა ცხოვრება... — აქ შეჩერდა, დაფიქრდა. როგორღაც ძალიან დაღონდა. ნაცნობმაც გაჩუმება ამჯობინა, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო ასე და ისევ გამოელაპარაკა:

— კი, მაგრამ ახლა სად მსახურობ?

ღონგინოზს მართლაც მოაბეზრა თავი ახირებულმა ნაცნობმა. არა, ცუდად შეუჩნდა ეს კაცი, პირდაპირ სწორედ ის კითხა, რასაც ჭირივით ერიდებოდა. სად მსახურობს?.. რა თანამდებობა უჭირავს? როგორ ცხოვრობს? რა უპასუხოს? უნდოდა არ ეპასუხნა, მაგრამ რადგან ნაცნობი არ მოეშვა, შორიდან მოვლით დაუწყო ლაპარაკი.

— ახლა თანამდებობა ყველა კარგია, ჩემო მანასე. ამ დროში კი კაცი ყველგან დიფსებს თავს, თუ მუყაითობას გამოიჩინს... ვერ გაიგონე, რამდენმა მუშამ მიიღო ორდენი? ჰო-და, ასეა საქმე. მე, მაგალითად, მამისული წამიწყდება, ბევრი შემომნატრის, ისე კარგად ვცხოვრობ. დიდი თანამდებობა არ მაქვს, მარა, თქვენ თავს ვფიცავარ, ძიან მემადლიერება ყველა...

— კი, მაგრამ რა ხელობა შეისწავლე მერე ასეთი? — გაჭირვეულდა მეზობელი.

„ბიჭოს რა ოხერს ვადავეკიდე?“ გაბრაზდა ღონგინოზ მარშანია, მაგრამ ნაცნობს გულის მოსელა დაუშალა და მშვიდად მიუგო:

— რა ხელობა? არაფერი ისეთი, ჩემს სპეციალობაზე ვმუშაობ, ბიძაშვილთან, პარიკმახერების არტელში. ვპარსავ ხალხს. სუფთა ხელობაა.

— პარიკმახერობა დაიწყე? — სისინა ხმით გაეცინა მანასეს. — მაგისტრის, ჩემო ძამია, რას მიბრძანდებოდი ქალაქში, მაგას სოფელში დასმულიყავი.

— სოფელში? — ზვიადად აღმართა თავი ლონგინოზმა და დასწრებით ჩაილაპარაკა. — რა ყრია კაცო მაგ თქვენ სოფელში? მაგი რა მითხარი, მანასე! არ გახსოვს, სიმშლით რომ ვიხოცებოდით?

— მასე იყო წინად, ჩემო ბატონო, მარა ახლა ნურას უკაცრავად. რამდენი ხანია არ ბრძანებულხარ სოფელში?

— ავერ სამი წელიწადი იქნება.

— ხო-და, აგაშენა ღმერთმა! — უცნაურად გააგრძელა ხმა მანასემ. — ახლა რომ ამბრძანდები, ველარც იცნობ თქვენს სოფელს. რა გინდა სულო და გულო. რომ არ გაკეთდა. ბახვისწყალზე ელექტრო-სადგური რომ მოაწყვეს, იმით მთელი თემი ისეა გაბეღილალებული, რომე ნემსს ნახავ, მიწაზე დაეარდნის. ასე რომ აღარც კი იფიქრებ ქალაქში წასვლას. მარა იგია საფიქრალი... ცოლი თუ დაგიხვდა გათხოვილი... ახლა ლამაზსა და მშრომელ ქალს ვინ გააჩერებს უქმაროდ!

გაიუმდნენ. მანასეს მომეზრდა ლონგინოზთან საუბარი. ეს უკანასკნელი კი დიდად აღაშფოთა ნაცნობის სიტყვებმა: „ცოლი თუ დაგიხვდა გათხოვილი“. ეს სიტყვა ტყვისასავით მოხვდა მის გულს. ისე იყო თქმული, რომ თავისთავად აღძრავდა გჭვს. მოუსვენრად წამოდგა ლონგინოზი, ნაცნობის სიტყვებით შეურაცხყოფილი. აქეთ იქით დაიწყო თვალების ცეკება, თითქოს ვინმეს დაემტნო.

სწორედ ამდროს ავტომობილის ხმა მოისმა. წამოცვიდნენ მგზავრები. ლონგინოზმაც დაავლო ხელი ჩემოდანს და წინ წაივიდა, მაგრამ მისმა სიმარდემ ვერ გასჭრა, სხეები უფრო სწრაფნი აღმოჩნდნენ და როცა ავტომობილთან მივიდა, ის უკვე საესე იყო ხალხით. სახტად დარჩა, სიზანტემ დაურბინა ძარღვებში, უნდილად დაამთქარა და ჩაილაპარაკა:

— ჰმ, აქნაიცი მომასწრეს! აბა, რაღაი ახლა?

— მეტი აღარ შეიძლება, ხომ გესმით? აღარ შეიძლება! — ყვიროდა შოფერი, მაგრამ მისი ყვირილი არაეის ესმოდა, ყველანი მალლა ასვლას ისწრაფოდნენ. ერთმა ცხვირწინ ჩაურბინა ლონგინოზს, ჩემოდანი ხელიდან გაავდებინა, მოურიდებლად მიეტანა ევტომობილს და ტრიასავით ახტა ზევით. ლონგინოზს გული მოუვიდა.

„დედაე, მომკალი ვინცხამ! — გაიფიქრა შეცხადებით. — მამის სული ნუ წამიწყდება, აგენი აქ დამტეიბენ ამელამ.“ — და, მიუხედავად თავისი ასაკისა ეკადრა ამოძრავება, თავისი დიდი ჩემოდანი ნაფოტავით აიჭნია მალლა, ვილაცას ზურგზე მიარტყა და ააყვირა, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია, თვითონაც დათვით ამობლდა და, მიუხედავად ლანძღვა-გინებისა, თავის ჩემოდანზე ჩამოჯდა.

შოფერი აგვიანებდა წასვლას, „ყველას დაგტოვებთო, — იმუქრებოდა. — სანამ ძალით ჩამოგიყვანდეთ, ჩამობრძანდითო“, — შესთხოვდა; თვითუელს, მაგრამ რადგან არავინ არ ისურვა „ჩამობრძანება“, ერთი უქმყოფილად შეავლო თვალი საესე ავტომობილს და დასძრა.

ჯერ ნელა მიდიოდა. მგზავრები ფეხზე იდგნენ, რის გამოც საოცრად ქანაობდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, იცინოდნენ, ხმაურობდნენ და შათი ყვირილ-სიცილი, ავტომობილის ხმაურთან ერთად, იჭაურობას აყრუებდა.

ქალაქი განათებული იყო ელექტრონით. ქუჩებში ხალხი მოძრაობდა, ავტომობილები დაქროდნენ და მიმოსვლა ძნელი იყო. ლონგინოზს დიდხანს მოეძებნა მოვინებდა ეს. მას, თავის ჩემოდანზე ჩამომჯდარს, ასეთ ნელ სვლაში შეიძლო გამოძინებაც კი. სთვლემდა, ვებერთელა თავს საოცრად აკანტურებდა და ყურადღებას არ აქცევდა მგზავრების შეხლა-შემოხლას. ლონგინოზის სავალალოდ, ქალაქის თავში, ქასთან, შოფერმა ავტომობილი გააჩერა და ბურანში მყოფ ლონგინოზს გარკვევით ჩაესმა შემდეგი საუბარი:

— მთელი საღვურის დავიარე, გეძებეთ, მაგრამ ვერ გნახეთ. კიდევ კარგი, რომ აქ დამხვდით. მობრძანდით აქ, კაბინკაში შევინახეთ ადგილი...

მორიდებით ელაპარაკებოდა შოფერი ვილაკას.

— ავტო დეიდაშვილთან გამოვიარე, ჩემო ბატონო. მოსკოვში „კასინკა“ დამაბარა. მაქ არის ადგილი? მარა არა, მე მალლა მირჩეენია.

ამას ამბობდა ქალი, რომლის ხმა ლონგინოზს ძალიან ეცნაურა. ასწია კიდევ თავი, გადმოიხედა დაბლა, მაგრამ სიბნელებში თეთრტანისამოსიანი ქალი დაინახა მხოლოდ, სახეზე კი ვერ იცნო. მალე იგი მალლა ამოვიდა და ავტომობილიც დაიძრა.

ლონგინოზი ძალზე გააკვირვა ამ შემთხვევამ. ამ თეთრკაბიან ქალს წინა ადგილს სთავაზობდნენ, მაგრამ არ ინება. მისი ხმა ძალიან აგონებდა ლონგინოზს თავისი ცოლის ელვარას ხმას, მაგრამ ლონგინოზის ცოლს მოსკოვში რა უნდოდა?!

„არა, ალბათ, ვინმე დიდი თანამდებობის პირი იქნება, კოლმეურნეობაზე მიმაგრებულიო“, — დაასკენა გუნებაში ლონგინოზმა, დაამთქარა და ისევ ჩაქინდრა თავი.

ქალი მის უკან გაჩერდა; ისე, რომ აბრეშუმის კაბის კალთები ლონგინოზის ყურთან საამური ხმით აშრილდნენ, და მამაკაცი უხერხულად ამოგდამთქნარება და სასიამოვნო თვლემა ისე ვაიფანტა, როგორც ნისლი ქარის მოქროლვაზე. სულმა წაასძლია ხანში გადასულ კაცს, ოდნავ მიიწია წინ, და მისი განიერი ბეჭი ქალის მკერდს მიეკრა. მალე დაიძრა ავტომობილი და ყველაფერი, მათ შორის ლონგინოზის სიშვიდეც, შეტორტმანდა და აირია...

ცეცხლის ალში გაეხვია ლონგინოზ მარშანია. ცეცხლის ალი რა არის, თვით ცეცხლად იქცა ხანში გადასული კაცი... მის უკან მდგარი ქალი ხან თემოთი აწყლებოდა მის ზურგს, ხან მკერდით. ცოლს განშორებულ ორმოცი წლის მამაკაცს ეს შეხება გონებას ურევდა, მწველ ნაპერწყლებად უვლიდა ძარღვებში, საამურსა და მღელვარე გრძობებს იწვევდა...

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ლონგინოზს განსაკუთრებით აბრეშუმის კაბა და მისი საამური შრიალი ახელებდა, გონებას ურევდა და სულთქმას უძნელებდა. კაბის კალთა ხან ყურს მოხვდებოდა, როგორც ნიავის ქროლვა, ხანაც გრძელსა და კეხიან ცხვირზე გაეკრებოდა, როგორც პეპლების მსუბუქი ფრთების შრიალი, და საოცრად შფოთავდა კაცი.

ავტომობილი გრილით მიჰქროდა ჩოხატაურ-საჯავახოს გზაზე. ბნელ ღამეში მაშუქის სინათლე ხან აქ გაწვებოდა მიწაზე, ხან იქ. ლონგინოზს ისე ეჩვენებოდა, თითქოს შოფერს ძალიან სწრაფად მიჰყავსო ავტომობილი.

„რა ამბავია! დაგვამტვრევს ეს ოხერი“, — ბუტბუტებდა მთვრალივით და ნატრობდა დიდხანს, ძალიან დიდხანს არ დამთაჟრებელიყო გზა. უნდოდა, ასე ევლო გათენებამდე... სულ, სულ: მთელი თავისი სიცოცხლის დღენი ასეთ სიარულში დაელია. თანაც უკვირდა: ამხნის კაცს ეს რა მემართებაო, და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აფრთხილებდა თავისთავს, ურიგო რამ არ ჩავიდინოო, ველარ გასძლო, ათრთოლებული ხელი მკლავებ ჭვეშ გააპარა და ქა-

ლის მკერდს ოდნავ შეეხო. ქალი შეერთა, თითქოს თავგმა ვადაურბინაო მკერდზე, მრისხანედ გადახედა ქალარა-შერეულ გოლიათ მწმაკაცს. უცებ ჩაიციხა და სწრაფად დაიხია უკან, თანაც მოლისფერი თავსაბურღი სახეზე ჩამოიფარა. ლონგინოზი სახტად დარჩა, გაინაბა, თითქოს ეს არის გაღიზიანებული მოელიო. ვალახვით არავის ვაუღახავს, მაგრამ ახლა მის ზურგს ვილაყ ახმახი მამაკაცი მიეყრდნო. ლონგინოზმა თავი დახარა, ფიქრებში გაეხვია.

„ვინაა ნეტა აი ანგელოზივით ქალი? — გაოცებით ეკითხებოდა თავის თავს, თუმცა იმ ქალის სახე სრულებით არ იცოდა, როგორი იყო. უცებ მას თავისი ყოფილი ცოლი ელვარა დაუდგა თვალწინ, მაღალი, ძვალმსხვილი და ლამაზი ქალი, მაგრამ მუდამ ფეხშიშველი, მზისგან დამწვარი. მოაგონდა ქმარს თავისი ყოფილი ცოლი და შეეზიზღა იგი.

„აბა ამფერი რომ ყოფილიყო, რავე მოვშორდებოდი სიკვდილის დღემდე?“ — დაასკვნა ბოლოს და სამი თითი ისე აასრიალა ერთმანეთზე, თითქოს ამ უცნობი ქალის აბრეშუმის კაბას ეალერსებო. ლონგინოზი ახლა ავადმყოფური სიცოცხელით განიცდიდა უცნობი ქალის შეხებას, მისი მკერივი სხეულის სიციცხლეს, მისი მკერდის ამაღლევებელ სისავსეს. „აი ქალი ამას ქვია, ამას! ვინაა ნეტავ, ვინ?“ — შფოთავდა ლონგინოზი და ცდილობდა ოდნავ მაინც, რამდენადაც მოწერბდებოდა ნისლიანი ღამის სიბნელეში, დაენახა ქალის სახე, შეეხედა მისთვის. ძლივ-ძლივობით წამოდგა, თავის მხრებზე დაყრდნობილი მგზავრები თავისი განიერი ბეჭებით მიმოფანტა და როხროხა ხმით ჩაილაპარაკა:

— რავე ჩამომკიდებიხართ მხრებზე ავადმყოფებივით! ჩემი ბეჭები თქვენი ოდის პარმალი ხომ არ გგონიათ?

ვილაყას გაეცინა. ლონგინოზს მოეჩვენა, თითქოს იმ ქალს გაეცინა. აუფორიაჟა გრძნობები და შეცბა... ეს სიცილიც ნაცნობი იყო, ძალიან ნაცნობი. მაგრამ ვერ მოიგონა. ირგვლივ მიმოიხედა, ეგებ ნაცნობი დაინახოო ვინმე... სიბნელე აძნელებდა საქმეს. ვერაეინ ვერ იცნო. თეთრი აბრეშუმის კაბა მოსჩანდა მხოლოდ ბუნდოვნად. ლონგინოზი დატრიალდა, ჩემოდანი დაითრია და თეთრ კაბიან ქალს დაუახლოვდა. ქალი ვილაყას დაყრდნობოდა მხრებზე. ლონგინოზი ძეგლივით აღიშართა მის გვერდით და მოხავერდებული ხმით ჩაულაპარკა.

— აი, ქალბატონო, აგერ მობრძანდით, მე დამეყრდენით.. მამის სული ნუ წამიწყდება, მთლად წავიღებ ამ აეტომობილს, ნაფოტივით გავიგდებ მხარზე... ნუ გეშინია, ღონე კი მაქვსკლავში. — ლონგინოზს ისევ ჩაესმა ნაცნობი სიცილი. ქალს გაეცინა, მაგრამ მისკენ არ მიუხედავს. გაოცებული დარჩა ლონგინოზი....

აეტომობილი გაჩერდა. ისინი უკვე სურნალეთში იყვნენ.

დაგვიანებული წირილი

ლონგინოზ მარშანია დიდად არასოდეს არ ზრუნავდა თავის ოჯახზე. ბუნებით ზანტ ადამიანს განსაკუთრებით ახალგაზრდობაში ემიმებოდა მუშაობა. ცხოვრობდა წარსულით, წინაპრების ნამოქმედარს იგონებდა, ცხრათვალა მშინან დღეებს კაკლის ჩრდილში ატარებდა და იყო თავისთვის სასურველ ყოფაში: ეძინა, სულ ეძინა, ხოლო გამოფხიზლდებოდა, როცა რომელიმე მეზობლის ეზოში სტუმარს მოპკრავდა თვალს. სწრაფად შეიცვლებოდა გოლიათი ახალგაზრდა, მუდამ მთელმარე, ღრუბელივით წამოიზღაზნებოდა, დაამოქარებდა და მიაყვირებდა დედას:

— არიქა, დედაჩემო, ქეიფია მეზობლისას, მომინახე მაუღდას შარვალი და მამაჩემის ნაქონი ჩოხა!

ჩაიცვამდა გაქირვებით და როხროხით გასწევდა მეზობლიკენ... სიმღერა კარგი იცოდა, ენა ხმალივით ბასრი ჰქონდა, და მასლობელთა ყველაზე უფრო იწყებდა ბორიას შინაურით. ის იყო სტუმარიც და მასპინძელიც.

ალო მეძებრისა ქონდა თავის მამასავით. ყნოსვით იგებდა, თუ ვისა იყო მოსალოდნელი ღზინი, ქორწილი ან აღაპიანი ტირილი. მოურიდებლად შიადგებოდა ნაცნობთა ჭიშკარს, შეჩერდებოდა, დაამთქნარებდა მძიმედ, სიმღერისათვის ხმას რომ მეტი ღაზათი მისცემოდა, ჩაახველებდა რამდენჯერმე და გააბამდა სიმღერას: „მასპინძელსა მხიარულსა ჰყავს სტუმრები საყვარლები“ ესიამოვნებოდა თუ არა მასპინძელს გოლიათი ახალგაზრდა კაცის სტუმრობა, სულ ერთი იყო ღონგინოზისათვის, ვაძლებოდა მადიანად და ბარბაცით ვადმოვიდოდა ეზოდან. თუ ქორწილში იყო, მოხდენილად წამოაგებდა თხილის ტოტისაგან გამოთლილ შამფურზე შემწვარი გოკის ნახევარს, ინდოურს, მოხარულ ქათამს, მთელ ხაჭაპურს, წაიღებდა თან და გაბზარული ხმით წამოიმღერებდა თავისი მამის აზნაურ კაცმან მარშანიას საყვარელ სიმღერას:

„ეო, მეოო,
ბეჟან-დიმიტრეო...
ღღეს აქანა ვიქეიფოთ.
ხელე იქინეო...“

ხოლო შინ ერთად-ერთი შეილის უხეირობით გულმკვდარი დედა რომ მოემადლიერებინა, შიადგებოდა თუარა ჭიშკარს, ვადმოიღებდა შამფურს და ახლა ასე ჩაილიღინებდა ეზოში:

„ოჩეჩელა, საჩეჩელა,
ოვა, ოვა, ნანინა...
რასაც შეეკამთ, ის შეგვრჩება.
ოვა, ოვა ნანინა...“

და ისევე წამოწყებოდა კაცის ქვეშ ქილოვზე, გაეხვეოდა ბურანში, მოიგონებდა თავისი მამის ნააპობს თავად კლიმენტი გურიელზე, თავის პაპა მანუჩარ მარშანიანზე, მერე ძილი, თავლივით ტბილი ძილი... და ამ საამურ ძილში მოუსწრო ახალგაზრდა ღონგინოზს მსოფლიო ომში. შეშინდა ვაჟკაცი, დატრიალდა, მამულეები მიყიდ-მოყიდა, მწვანე ბილეთი აიღო და თბილისში ამოჰყო თავი ბიძისთან. იქ დაჰყო ხუთ წელს, ხან ნოჭრად იყო, დალაქადაც მუშაობდა, ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი, და გვიან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაბრუნდა სოფელში.

მაგრამ დაბრუნებაც არის და დაბრუნებაც; ისეთი ამბით ჩავიდა სოფელში, რომ მტრებს სულ თვალები დაუყენა... მართლაც თვალ-დასატანებელი ვაჟკაცი დამდგარიყო ღონგინოზი ქალაქში. ახოვანი კაცი გოლიათივით დადიოდა. ადლი ვანი ჰქონდა მის ბეჭებს და სიმაღლეს ხომ თქვა აღარ უნდა. მამამისი კაცმანი მთელ თემში ცნობილი იყო თავისი ყორნის ფრთასავით შავი წვერ-ულვაშით მაგრამ ღონგინოზის კოხტად გადაგრებილმა შავმა ულვაშებმა, რომლებიც ყურებამდე აღწევდნენ, პირდაპირ განცვიფრებაში მოიყვანა ხალხი. ახლა სიარული? დადიოდა მძიმედ, აქეთ-იქით ირხეოდა, როგორც ბუმბერაზი ხე ქარის მოჭროლვაზე. იძროდა ისე, თითქოს მთელი ქვეყნის სიმძიმე მხრებზე ჰკიდიაო. ლაპარაკიც დინჯი ჰქონდა, თავისებური... ლაპარაკობდა ნელა, ბოზი არაბუნებრივი ხმით...

როგორც ყველა ახალჩამოსულს, ლონგინოზსაც დიდი ამბით შეხედნენ ნაცნობ-მეგობრები. დაპყარეს ხმა, კაცმანის შვილი მოკიდავე გამხდართო და ამ ხმამ ლონგინოზიც გააამაყა. მართლაც წარმოუდგა ლონგინოზს თავისი თავი დაუძლეველ გოლიათად. ერთ დღეს რომელიღაც მეზობლის ოდნავ ცალი კუთხე მარტოდ-მარტომ აუწია. ოთხი კაცი თოკით შეკრა, ზღრგზე გაიგდო და დიდხანს ატარა. ეს კიდევ არაფერი: განსაკუთრებით ლელო-ვატანიამ მოუხვეუქა სახელი ლონგინოზს.

ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული სოფლად ჩაისა და მანდარინების მოშენება. პარტია და ხალხი ბანდიტიზმს ებრძოდა. შენშევიკების მიერ აოხრებული გურია განახლების გზას ადგებოდა. მოიყრიდნენ თავს მახლობელ სოფლებიდან, გააგდებდნენ ბურთს და იწყებოდა ცხვირპირის მტკრევა, ყვირილი და ცემა. ილეწებოდა ღობეები, ითელებოდა ბოსტნები და ყველაფერი ეს ხდებოდა ერთი პატარა ბურთისათვის...

ლონგინოზი სწორედ ამ ბურთის თამაშით ვახდა სახელოვანი კაცი, გოლიათი და „ძაან მოთამაშე“. ერთხელ დიდ მინდორზე, სადაც სამი თემის მამაკაცებს მოეყარათ თავი, ლონგინოზმა მთელი თავისი ძალღონე გამოიჩინა, ბურთის თამაშში ჩაერია, ლესკუმა ხალხი გაარღვია, ბურთი ვაიტანა და უცოლოებს გამარჯვება არგუნა. ამის შემდეგ ცნობილი კაცი ვახდა ლონგინოზი...

მაგრამ მალე გუჩიის სოფლებში ახალი საქმიანობა დაიწყო, ტევრსა და აბანოს პირზე ტრაქტორმა დაიბუხუნა, სურნაღეთის ტყეები გაიკაფა და შიდაშო ჩაის პლანტაციებით გადაშვანდა. ეს იყო კოლექტივიზაციის წინა დღე... ახალ ლელო-ვატანიაში სახელმწიფოებრივი ვაჟაკები ბარვაში გამარჯვებულმა ბიჭებმა დაჩრდილეს, და ლონგინოზის სახელიც პაერისაგან დაცლილ რეზინის ბურთივით დაიფუკა. სასახელო ახლა ის ვახდა, ვინც შრომაში გმირი იყო, ვისაც ბარვა შეეძლო.

ლონგინოზი დიდად დააფრთხო ახალმა ამბებმა. მან გლტებეს გვერდი აუარა, რა ჩემი ტოლნი არიანო, და საყვარელ ძილს მისცა თავი. მაგრამ ძილიც არის და ძილიც, ლონგინოზს შეეძლო მთელი დღე და ღამე, მეორე დღეც სამურ ძილში გაეტარებინა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ დედამისი აღარ აძლევდა ამის ნებას, და ისიც, ახალგაზრდა კაცი, დაიხლანჯებოდა ეზოში, ამოქნარებდა. მზიანი დღე ეჯავრებოდა ჭირივით. მხოლოდ ეგაა, ნადირობა უყვარდა. წარმოიდგინეთ, ეს გოლიათი კაცი თავისი ყირიმული თოფით მთელ დღეს დასდევდა შაშვებს, ჩხართვებს და სკვინჩებსაც კი. ამ ყოფაში გამოერია ჯალარა...

ითმინა, დიდხანს ითმინა ეს წელში მოხრილმა მოხუცმა ქალმა პელაგიამ, ლონგინოზის დედამ, და ვედარ აიტანა, მეზობლები შეუჩინა შვილს. წინადადება მისცა „ცოლი შეირთეთ, ეპატრონეთ ოჯახს“. მაგრამ უკვე ხანში შესულმა ლონგინოზმა თავი შორს დაიჭირა ასეთი საქმისაგან:

„ტკბილ ძილს დამიკარგავსო ქალი“, — ფიქრობდა ლონგინოზი.

მაგრამ ერთი დრო ყველას აქვს სიყვარული ჩიტებს აქიკვიკებს, თორემ ლონგინოზი ვაჟაკი იყო, სისხლი ჰქონდა და ზორცი, ძალა და ღონე...

ერთხელ ბიძაშვილს გაჰყვა მყარად. გურიაში ხომ დიდებული ჭორწილი იციან, მაგრამ ეს განსაკუთრებული იყო როგორღაც. განსაკუთრებული იყო იმიტაც, რომ ლონგინოზი მალე გაძდა. შეთერა, ჩასთვლიმა. ბოლო დროს ამ კაცს არა თუ ლხინში, გზაზე სიარულის დროსაც დასჩემდა ჩაძინება. სვამდა, სვამდა, გაძლებოდა და... ჩაძინებოდა. მერე ისევ გამოაღვიძებდა კუჭი, ისევ მოსთხოვდა ხარკს. ლონგინოზიც კვლავ გაშლიდა ხელებს... და ასე მოხდა ამ ჭორწილშიაც. კარგა მაგარ ძილში იყო ლონგინოზი, როცა გურული საცეკვაო

სიმღერა „ო ჩაგუნა, ჩაგუნა“, დოლის ხმა და ტაშის გრილი ჩაცხმა ასე გაახილა თვალები, თითქოს შეეშინდაო ხმაურის, უაზროდ მიმოიხედა რეგლივ, ხელი დაავლო ცხელ ხაქაპურის ნაჭერს, მაგრამ პირში ველარ ჩაიდგა... გაყეყინდა კაცი: სწორედ ამ დროს გამოვიდა საცეკვაოდ ამ ოჯახის ალზრდილი ქალიშვილი, უდღამამო ელვარა. გამოვიდა კი არა, ძალით გამოიყვანეს, თორემ სად ცხელოდა საცეკვაოდ ფეხტიტველა გოგოს? სირცხვილით იწოდა ჩითის დახეულ კაბაში გამოხვეული ქალი, იწოდა სირცხვილით, მაგრამ მაინც ცეკვავდა. მსუქანი გოგო იყო, გაზაფხულის კვირტივით ალურთქვილი. მაღალი, მთლად ახალგაზრდა. მომზიბვლელად დაგოგმანობდა. ცელქი იყო, ეტყობოდა, გამომწვევად შლიდა მკლავებს და ისე იცინოდა, თითქოს ვისმეს დასცინისო. დუნე ბუნების ლონგინოზი სწორედ ამ საოცარმა სიცილმა გამოაფხიზლა, გადარია და ისე წამოავდო სკამიდან, თითქოს ნემსებმა დაჩხვლიტესო.

იდგა ლონგინოზი პირდაღებული, იგრებდა უღვაშებს, მსუნავად აცეცებდა ხარის თვალებს, ჩუმჩუმად თვითონაც ათამაშებდა მაგიდის ქვეშ ფეხებს და თავისთვის ბუტბუტებდა:

„მამის სული ნუ წამიწყდება, ქალის მეტი რა ვიცი, მარა ამფერი კაი გოგო ჯერ არ მინახავსო“. „კაი გოგომ“ თითქოს გაუგო ლონგინოზს ფარული ფიქრები, ჯიქურ წამოვიდა მისკენ, სიცილის მწველი სხივები მიაფრქვია, ტბასავით დამდგარი კაცი ვაახელა, გადარია, თავისი თავი დააფიწყა და სათამაშოდ გამოიწვია... გამოიწვია, და გამოიყვანა კიდევ. ლონგინოზი ბურთის თამაშში იყო ცნობილი, მაგრამ ცეკვა თუ შეეძლო, არავენ არ იცოდა. ვახურდა სიმღერა, დასცხეს დოლს და ლონგინოზმაც თავისი შესაძლებლობა ერთი მოსმით გამოამჟღავნა: ისეთი ბუქნა დაჰკრა, რომ მთელი შენობა შეაზრიალა. ვინ იცის, რა მოჰყვებოდა ამ ბუმბერაზი კაცის ბუქნას, რომ თავისიანები არ ჩარეულიყვნენ. ძლივს გააჩერეს, მაგრამ ახლა მოურიდებლად მორთო ყვირილი...

— მამის სული ნუ წამიწყდება, ამელამ უნდა წაიყვანო ეს ქალი სახლში!

იმ დამეს როგორ გაატანდნენ ქალს, მაგრამ ორი თვის შემდეგ ასე ფარსავად შეყვარებულნი ეღრისნენ ბედნიერებას. ახალგაზრდა ელვარა ხანში შესულ ლონგინოზს ვაჟყვა ცოლად. სიღარიბეში აღზრდილი ქალი ცხოვრებაში გამოვიდა, ძველებურ ოჯახში შედგა ფეხი, ულოცავდნენ, ბედნიერი ხარო.

ყელამდი საესე იქნებოო ცხოვრებით. მაგრამ უცებ ახალ-ვათხოვილი ქალი ყელამდე სიღარიბეში შეეტურდა. „ყველაფრით საესე“ ოჯახში მას დახვდა სანახევროდ დანგრეული ვებერთელა ოდა, გაპარტახებული და უღობო ეზო, დახეული ქვეშაგებელი და ცალფეხა სკამები და მოხუცი დედამთილი. უდიერი შრომით წელში გაწყვეტილი და თითქმის დავარდნილი...

თაფლიანი, ტკბილი დღეები მოჩვენებასავით გაქრა. ლონგინოზის დედა მოკვდა და მთელი ოჯახი ელვარას დააწვა. ახლა მოსვენებას აღარ აძლევდა ახალგაზრდა ცოლი ქმარს — იმუშავებო, ჩასძახოდა, მაგრამ ლონგინოზი კიდევ უფრო დარბილდა, გასუქდა და ძილად გადაიქცა. ელვარაც გამოიცვალა, ვაჟი-შვილის შექმნის შემდეგ უცებ დაქალდა, თეთრ სახეზე შავი ფერი ნისლივით გადაეკრა...

როგორც ტბა შეირხევა ხოლმე ქვას რომ ჩაავდებენ შიგ, ისე აამოძრავა ლონგინოზი ვაჟიშვილის შექმნამ. თითქოს ღრმა ძილში მყოფი ახლა გამოაფხიზლდაო: თოფის სროლით გააგებინა სოფელს ოჯახის გაბედნიერება. საქმესაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ... ვაჟკაცის წელმა ვერ გაუძლო ბარვასა და თონას, რვასა და სხვლას. ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნებამ იჩინა თავი, რომელიც ბავშვის წამოზრდის შემდეგ უფრო გაღრმავდა, ფესვები გაიდგა და უსი-

ამოწონა ნაყოფიც გამოიღო. სოფელი ყოველ დღე იცვლებოდა, წინ/შიდიოდა ახალი ცხოვრება.

— აღარ შეიძლება ასე ცხოვრება, აღარ! — მიმართა ქმარს ერთ წვიმიან ღამეს ცოლმა და თავისი მკლავები კამეჩის გავასავით სქელ კისერზე მოხვია. — ამდენხანს ვითმინე, მარა აღარ შემიძლია მეტი, ბატონო. რაა, გაანძორე მაი ხელები! ხომ ხედავ ჩვენი ბიჭი ახლა დიდია, ოჭროს კაკალივით ბაღანაა, ვარსკვლავს ეთამაშება. ჩვენც უნდა შევქმნათ რაღაცა, თვარა ასე ხომ არ ვიქნებით ყოველთვის? აი, შეხედე, რა ამბავია: ახლა ამ კოლექტივის დაარსების შემდეგ ღარიბი ვარო, იმის თქმავი სირცხვილიცაა. ჩვენს მეტი არცაა ამ თემში ღარიბი...

ლონგინოში ცივად მოშორდა ცოლს. წამოჯდა. ზურგით მიეყრდნო კედელს, დაამთქნარა და დაფიქრდა. ძველებური ყაიდის ოთახს მკრთალად ანათებდა გამჭვარტლულ შუშისანი ლამპა. ყველაფერს სიღარიბის წარუშლელი ბეჭედი აჩნდა. ძონძმანძებად ქცეულ საბანქვეშ ზვრინავდა ლოყებ-წითელა, მთვარესავით ბადრი პირისახის ბიჭუნა. ღიმილი დასთამაშებდა სახეზე ცულქს. ცალ ხელში ლობიოში ამოსვრილი ჭადის ნატეხი ეჭირა, რომელიც დაძინების დროს შერჩენოდა. ნელა აცმატუნებდა ბროწეულის ყვავილივით წითელ ტუჩებს, თითქოს საჭმელს სჭამსო.

ოთახში ნაკლებად სჩანდა ნივთები. რამდენიმე სკამი იდგა და ერთი მაგიდა, რომელზედაც ლობიოთი სავსე თიხის ქოთანი იდგა და იქვე კიდებ-დამტვრეული საინები ელაგა.

ელვარა პირიღმა იწვა. თავისი მსხვილი მკლავები თავქვეშ შემოეწყყო, პირდაპირ შეჭურებდა ქმარს და ელოდა პასუხს. ლონგინოში დიდხანს სდუმდა. ახლა მას მართლაც შესაბრალოსი გამომეტყველება ჰქონდა. ფართო, ვაკაკულური სახე მისი ღრუბლიანი და ლამაზი იყო. ცოლი უყურებდა ჩაფიქრებულ ქმარს და მისგან გადაჭრილ პასუხს მოელოდა. მაგრამ აი უსიამოვნოდ ჩაიჭნია ქმარმა ხელი, დაამთქნარა და თვალების მინახვით წარმოსთქვა.

— მაშის სული ნუ წამიწყდება, ელვარა. სრულებით ვეღარ გცნობილობ... არ გრცხვენია ჭალი? — მერე დიდძნისშენელოვნად გადახედა ჭალს, დიდხანს უშზირა და თავის ქნევით მიმართა: — შენ, ჩემი ცოლი, მე იმას მიჩრევ, რომ კვირიკია ლაჩაბასთან ვიმუშაო ბარზე სვანივით? ამას მიჩრევ? მერე ვის, მე, ლონგინოზ მარშანისას, რომელსაც ქვეყანა მიცნობს?

ელვარას იმ ღამეს სრულიად არ უძინია. ყმაწვილს გააცოცა, მუცელი ასტკივდა და მთელი ღამე ტირილსა და წუხილში გაატარა. დედა თავს დასტრიალებდა ავადმყოფს, სველ ტილოს ადებდა ტანზე, ძმარს სცებდა ეგებოფლი გამოუვიდესო. ნაშუაღამევს მართლაც დაწყნარდა ავადმყოფი. დაღონებული ჭალი ლოგინზე ჩამოჯდა და ამ წვიმიან ღამეში ჩაუფიქრდა ცხოვრებას. განსაკუთრებით ქმრის უდარდებლობა აღელვებდა ჭალს...

— რატომაა ჩემი ცხოვრება ასე ჩამწვარი და ჩაკირული? — ეკითხებოდა ელვარა უჯუნეთ სიბნელეს, ფანჯრებს რომ მოსწოლოდა—რატომ, რეიზა? რისთვის მარტო მე, დედა, უნდა გადავაკვდე ჩემ შვილს? აი, ამელამ მთელი ღამე თეთრად უნდა ვავათენო. იგი კი, ჩემი ქმარი, წევს, წევს და ძინავს... ზომ გავადვიძო. ვუღიცი მოუვა. რატომ? ასე უნდა იყოს ყოველთვის ჩემი ცხოვრება ჩამწვარი? სხვებსაც ხომ ჰყავთ ქმრები, ჩემი ნახევარი არ არიან იმათი ცოლები სიღამაზით, ჩემსავით, აბა, რაგა შრომობენ, მაგრამ კარგად კი ცხოვრობენ. დღეი კოლექტივში მიდიან, ჩაის კრეფენ. სუფოთად აცვიით და ახურავთ... აი ჩემი ქმარი კი დიდგულობს: ჩემი ბაბუის ბაბუი დიდი კაცი იყო, კოლექტივში რაგა მეკადრებო მუშაობა. რეიზა, რატომ არ ეკადრება ნეტავი უკადრისობს:

კვირია ლაჩანდარასთან ზომ არ გავალ მიწის საბარავადო... დედაც სულო, ყველა ქალს ჭი უნდა, რომ მისი ქმარი ქვეყანას სჯობდეს, მარა კვირია ჩემს ქმარზე ნაკლები ვაყვაცია ვითომ? ერთი მიბრძანდეს მისას და ნახოს, გავაფხულის ყვაფილებივითაა გადაფირთქლული ყველაფერი. იმხელა-ოდეს ვთქვინა, რომე მთელ ამ სოფელში მეორეს არ უდგანა იმფერი. რით ქნა მერე ყველაფერი ავი? ბარვით, მუშაობით... ახლა კიდომ სხვაი ქმრები ბაღანას აღზრდა-ზედაც ჭი შევლიან თავიანთ ცოლებს. აი, მაგალითად, სარდიონი, ელპიტის ქმარი, მასწავლებელი რომაა, ჩემი თვალებით დევინახე აკვანს რომ ურწყევდა, იმფერ ნანინას უჩიოდა, რომე შემეხარბა პირდაპირ... ნენა სულო, ქმარი მყავსო, იმან თქვას, — თვარა...

მეორე დღეს ლონგინოზი გვიან ადგა. მოწყენილი იყო. საუზმის დროს ცოლქმარს ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ.. ხოლო ნასაუზმევს ისეე იჩინა თავი უსიამოვნებამ. ელვარამ სთხოვა ქმარს, ავადმყოფი ბავშვისთვის თვალი ედევნებინა, თვითონ კი ბარი მოენახა და მიწის საბარავად აპირებდა წასეღას კოლექტივში, ლონგინოზი უცებ დიდად შეაშფოთა ცოლის განზრახვამ, დარიგება დაუწყა:

— არ ვარგა მაგი, დედაკაცო, არ ვარგა, — მთქნარებით ამბობდა ლონგინოზი. — ნუ გადირიე... ვაყვაცი კაცი ახლა აკვანს მიუჯდე? მერე რაფერ გავახილო თვალი ხალხში? მერე კიდომ შენც რას იკლავ თავს? ქვეყანა ჩვენი სარჩენი ზომ არაა? ცხონებული მამაჩემი კაცპანი არც ხნავდა, არც ბარავდა, მარა მაინც დიდებულად ცხოვრობდა. — შეჩერდა, ნათქვამს ჩაუფიქრდა, გვიან იგრძნო, რომ მაინცდამაინც მყარი საფუძველი არ ჰქონდა მის სიტყვებს. ამიტომ ხმას აუწია და აროხრობდა: — შენ მაინც სულ გადირიე, დედაკაცო, სულ გადირიე... ჩემმა ცოლმა უნდა იმუშაო ბარავზე ქვეყნის დედაკაცებთან? გინდა არა, მთელი ქვეყნის ბიჭებმა გიმზირონ ფეხებზე და ბარძაყებზე. ასე გინდა ზომ? კი, მარა, მერე მე, რალად მინდებხარ? დაჯექი, დაჯექი მეთქი. საქმე დაგლევი! — მერე ცოლს ახედ-დახედა, დაამთქნარა, გულმოსულად ჩაიჭნია ხელი, ვარედ გავიდა, ერთხელ კიდევ შეხედა მზეს და რადგან შინ აღარ დააყენა ცოლმა, თემისკენ გასწია, მაგრამ იქ უფრო საოცარი ამბები დაუხვდა. ლონგინოზს ცოტა ფული ჰქონდა ჯიბეში და უნდოდა გადაეკრა მაგრამ მთელი თემი და თვით სასაბალოც დაცარიელებული დაუხვდა: მუშა-მოსამსახურეებიც კი საბარავზე გასულიყვნენ ამ დღეს მხოლოდ ის ერთი, გოლიათი ვაყვაცი, ჩახვეულ-ჩაწყვილი და წვერ მოშვებული, დასიციხული კამეჩივით დაიზღაზნებოდა და ამთქნარებდა, ისე ამთქნარებდა, რომ ცრემლებით საესე თვალები წამოცვივნახე ჰქონდა. ასე იხეტიალა დიდხანს, ბოლოს უნდილად ახედა მზეს, რომელიც საშუაღღოზე იდგა, და უსიამოვნოდ ჩაილაპარაკა:

— აი დასწყველოს ჩემმა გამჩენმა! რამ სივარძა აი დღეი, არ იღვეა... გაღმა სერები ნისლისფერ კვამლში იყო ვახვეული. ნიკოიას ნასახლარს, მოსკვანეთის ფერდობებსა და წიფლნარას ტყეს ჩაის პლანტაციებისათვის ბარავდნენ კოლმეურნეები. ქვენა ქარს ბალახის სუნი და სიმღერის ხმა მოჰქონდა კვამლში ვახვეული გორაკებიდან. და ამოდრავებულ ქვეყანას გარს შემოჯვაროდნენ ხშირი ტყეებით დაბურული მთები და თოვლის თეთრი თიშებით დამშვენებული მაღალი მწვერვალები, რომელთა შორის ყველაზე უფრო თვალწარმტაცად მოსჩანდნენ საყორნია, ვანდრეილი, სომლია და გრძელი გორი ტოლებითურთ...

ლონგინოზმა თვალი შეაღწია მთებს, ვახედა ახმაურებულ სერებს, უსიამოვნობის ნიშნად ცხვირი შეისრისა და ქადრის ქვეშ გაჩერდა. ძალიან, ძალიან მოწყენილი იყო ახლა ლონგინოზი, ამიტომ ეს საშინელი, ყოველ სენზე

უარესი მოწყენილობა რომ მოეშორებინა, ხის თეთრ ტანს შეავლო თვალი, დაამთქნარა, ცრემლები ამოიწმინდა და ნაირ-ნაირ წარწერებს დაუწყა ამოკითხვა. წარწერებით ხომ აჭრელბული იყო ვებერთელა ტახტანისკომლის ქერჭზე დანით, ვინ იცის, რომელი დროის შეყვარებულთა სახელი და გვარი არ იყო აღნიშნული. ერთ ადგილას ამოკვეთილი იყო „ლეღი და ისიდორე, შეყვარებულები.“ მეორე ადგილას: „სიყვარული ძნელია, ძნელი მოსათმენია. უორა ხ.“ აგერ კიდევ გაფორმებული ასოებით წაეწერა ვიღაც დარდიმანდს: „გამოვიარე 1929 წელს. არ მომეწონა. გაიოზ“. ლონგინოზი დიდად გაართო წარწერებმა. წერა-კითხვა კარგად არ იცოდა, მაგრამ მიანც სასიამოვნოდ დაურჩა ამ ვებერთელა ხის გამწამებელთა ნახელოვნევი.

მერე იქვე ჩამოჯდა ხის სკამზე და ჩასთვლიმა. დიდხანს იყო ასე. დახრიდა, დახრიდა თავს, მერე უცებ გააკანტურებდა, გაიხედავდა, დაამთქნარებდა და დახრიდა ისევ. ბოლოს მობეზრდა ყველაფერი, ადგა, გააზმორა, ისე გააზმორა, თითქოს მკლავის ძარღვები დაიწყვიტაო. აქ აღარაფერი იყო სახალისო. შინ წასვლა დააპირა, მაგრამ თემშარაზე ცხენოსანი გამოჩნდა, იცნო და გაჩერდა. ელვისებრ მოაგელვებდა ბედაურს მხედარი. მოზდენილად ჩამოაჯირითა მოედანზე, საბჭოს შენობასთან გააჩერა, ჩამოხტა, ცხენი იქვე დააბა, ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლი მოიწმინდა და ცაცხვის ქვეშ გაჩერებულ ლონგინოზს შეხედა.

— ააა, გამარჯობა, ამხანაგო! — ახედ-დახედა და წყნარად დაუმატა: — კაცო, შენ რავე ძველი თავადიშვილივით სეირნობ... ა?

— თავადიშვილი ვარ აბა რა! — როხროხა, უდარდელი ხმით გადიხარხარა ლონგინოზმა და ჰკითხა: აი ცხენი ვისია?

— ჩენია, საბჭოსი, — მოკლედ უპასუხა საბჭოს თავმჯდომარემ და ხალათის ჯიბიდან რაღაც ხელნაწერი ამოიღო.

ლონგინოზმა ისევ ახედა მზეს, დაამთქნარა და მის წინ მდგარ პატარა ტანის კაცს ისე დაუწყა თვალიერება, თითქოს პირველად ზედაცო. უყურებდა და უნებურად თავის თავს აღარებდა- აი ეს კაცი ლონგინოზის თვალწინ აღიზარდა. ობოლი ბიჭი იყო, ბუში, „უკანონოდ“ გაჩენილი, რომელიც სრულიად ჩვილი, ფიცარზე დაკრული, ვიღაც დოლიძეს ეზოში ჩაუგდეს და რომელმაც მთელი თავისი ყმაწვილკაცობა „სხვათა მოჯამაგირეობაში“ გაატარა. მუდამ მშიერ და ჩახეულ-ჩაწეკვილი დადიოდა. დასცინოდნენ, მაგრამ აი დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, ოტიამ თავი მიანება მოჯამაგირეობას, აღმასკომში დაიწყო დამლაგებლად მუშაობა, მერე წითელ არმიასი გაიწვიეს და დაბრუნების შემდეგ თემს ემსახურება. ახლა იგი გაოფლიანებული სახით ლონგინოზის წინ იდგა და დარიცების კილოთი ეუბნებოდა:

— არ ვარგა მასე, ამხანაგო ლონგინოზ, არ ვარგა. კოლექტივში რატომ არ მუშაობ დღეს?

ლონგინოზი საოკრად დაიმანჯა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს დიდი ავადმყოფობის შემდეგ ეს არის ახლა ამდგარაო, ხელები მძიმედ ვაშალა და თავის გვერდზე გადაწვეით წარმოსთქვა:

— ავად ვარ, ჩემო ოტია, და რა ვქნა? მამის სული ნუ წამიწყდება, გამათავა ამ ცივებამ კაკალი კაცი. აი დამხედე ენაზე, — და ნათქვამი რომ დაედასტურებინა, სწრაფად დაალო პირი, ხელისგულის სიფართო ენა გადმოაგდო და შესაბარალისი ხმით წამოიძახა, — ხედავ, რავე ვაჭერქმეზბული არის სიცხისავან?

თავმჯდომარეს ვაეღიმა, ახედ-დახედა და წარბების შეთამაშებით მიმართა:

6339
36035
3088100034

— მე რას მაჩვენებ მაგ ენას, კაცო, ექიმი ხომ არ ვარ? — ამასაც ხომ არ გუბნები, ჩემს ენოში იმუშავე მეთქი. თუ იმუშავენ, აგი ჩემზე უფრო იცი, რომ შენთვისაა კარგი. მაინც სანამღი გინდა ასე იარო? — ისევე შექმნილია და სიცილით დაუმბატა ნათქვამს: — ისე, რა გივას, კაცო, ავბნეულია? — მდტივით ეაკაკი ხარ. ჩემისთანა ჩია კაცი ათი გამოიჭრება შენში. — დაფიქრდა და წარბების შეჭმუხვნით მოიგონა: — ხო და კაი გამახსენდა, შენ როგორც ვაგივე, ცოლსაც არ აძლევ კოლმეურნეობაში მუშაობის ნებას. მართალია ევ?.

ლონგინოზი სახტად დარჩა: „რავა, საიდან ვაგივ ამ კაცმა ჩემი ოჯახის ამბავი“, ვაიფიქრა წყენით. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავმჯდომარემ დაასწრო.

— მაგი კიდევ არაფერი. მასწავლებელთან რატომ არ უშვებ სკოლაში, რომ წერა-კითხვა ისწავლოს? არა, არ ვარგა მასე.. ახლა თავის მართლებას ნუ კი მოჰყვები, დაუფიქრდი ამას, რაც ვითხარი და მოაწყვე, ბატონო, ოჯახი, მოაწყვე კარგად. სიღარიბე დღეს სირცხვილია, ჩემო ლონგინოზ, აგი შენც კარგად იცი. კაი, ეთქვათ, ბარვა არ შეიძლება. აი თუ გინდა, ამ წუთში გიშოვი სამსახურს, კი არ გეტუმრები, მართლა გიშოვი. ეს ხომ გინდა მაინც? რაღაცა ხომ უნდა გააკეთო, კაცო, რაღაცა და აი ამოდი ახლაც ჩემთან. სწორედ საშენოა...

ოტია ბერიშვილი სწრაფი ნაბიჯით შეჰყვა კბებს და ლონგინოზიც წაჩხა-პტტებული წალების ფლარტუნით აედევნა. მალე ისინი შევიდნენ მოზრდილსა და ნათელ ოთახში, სადაც სამი მაგიდა, რამდენიმე სკამი და ერთი შკაფი იდგა. კედლები მორთული იყო ბელადების სურათების ირგვლივ გამწკრივებული ფერადი ქაღალდებით, დიაგრამებით და მოციალე ასოებით დაწერილ პლაკატებით. თავმჯდომარის მაგიდასთან მარჯვნივ აღმართული იყო ვარდამავალი დროშა, რომელიც ჩაის კრეფის გეგმის შესრულებისათვის ჰქონდათ მიღებული. იქვე პატარა მაგიდაზე ლენინის ბიუსტი იდგა, კედელზე სტალინის პორტრეტი ეკიდა..

თავმჯდომარე თავის მაგიდასთან შეჩერდა. არ დამჯდარა, ისე გამოალო ყუთი, რაღაც ხელნაწერი ამოიღო, წაიკითხა, დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ლონგინოზს მიმართა:

— რალა დაგიმალო, სწორედ კაი დროს შემხვდი. ექებდი კაცს, მარა რალა შორს წავიდე, ავერ არ ხარ? მოკიდე ამ საქმეს ხელი. სამსახურია, თუმცა ყოფილი აზნაური ხარ, თავმომწონე და ეგება არც იკადრო, ა?..

ლონგინოზი ძალიან გამოცვალა ამ ახალმა ამბავმა, გაეხარდა კიდევ, მაგრამ არ შეიმჩნია. ხელის გულებით დაეყრდნო მაგიდის კიდეს, სახეზე უფრო შესაბრალისი გამომეტყველება მიიღო და საცოდავად ჩაილაპარაკა:

— ყველაფერი კაი მოგცეს გამჩენმა! მიბრძანე და თუ შეეძლება, აზნაურიშვილობა რა შეაშია?

— შეუძლებელი აქ არაფერი არაა, — საქმიანად დაიწყო თავმჯდომარემ, — მხოლოდ მონდომება და სიფხიზლეა საჭირო. დარაჯი გვინდა თემში. ერთი ქი გვყავს. პარტიული ამხანაგია, საქმეს საუკეთესოდ ასრულებს, მაგრამ ვერ გასწვდა. ერთ ღამეს ის იქნება, მეორე ღამეს შენ. საღამოს მოხვალ და დილით ისევე დაბრუნდები შინ. თუ მოინდომებ, ზაფხულში, აი დიდი დღეები რომაა, კოლმეურნეობაშიაც იმუშავენ. ამასთან ხელფასი კაი გექნება. შენი საქმეა, მენაჩემმა სიმართლემ.. მაინც ქი გიყვარს დღეი ძილი..

ლონგინოზი უცებ ძალიან შეიცვალა, ამაყად გაიმართა მხრებში, თითქოს საჩხტრად ემზადებო. მის სახეზე პატივმოყვარე ადამიანის მრისხანება აღი-

ბეჭდა. თავმჯდომარეს უღვაშებში ჩაეცინა, „იუკადრისაო აზნაურმა“, გიფიქრა ღიმილით და სიტყვის თქმა აღარ დააცალა.

— გეწყინა? — ჰკითხა სწრაფად და ყუთი ისევ გამოაღო. — შენი ნებნაა. არც კოლექტივში გინდა იმუშაო, სამსახურიც არ მოგწონს. ახლანაირად რა ხარ და ნუ გეწყინება, რომ ასეთ კითხვას გაძლევ: რით გინდა სიღარიბეს დააღწიო თავი? ძველი დრო ზომ არაა, სხვამ იმუშაოს და სხვამ ჰკამოს? ჩვენ ყველანი ჩვენი შრომით ვცხოვრობთ. შენ კარგად იცი, პირველად მე ამ სახლის დამლაგებელი ვიყავი. საერთოდ შრომა არაა, ჩემო ბატონო, სირცხვილი. — თავმჯდომარე ნელა მოშორდა მავიდას. — ყუთი დაკეტა და წასასვლელად მოემზადა. — მაშ, ასე, იფიქრე, მე ძალიან ამიყოლია შენთან ლაპარაკმა. ჰქვდა ბაბუის კოლმეურნეობაში უნდა ჩავიდე. ხვალ მითხარი პასუხი. ღონგინოზი მალე დამშვიდდა. მის მუღმივ მღვრიე და ხშირი ძილისაგან აწითლებულ თვალებში კმაყოფილების სიხეები გამოკრთა.

— თანახმა ვარ, ჩემო ოტია, თანახმა. შენი წყალობა ნუ მომეშალოს! — აუღელვებელმა წარმოთქვა და წარბების აწევით დაუმატა: — ისე, მამის სული ნუ წამიწყდება, მამაჩემის შეიღოს არ ეკადრება ასე დაგლახება, მარა.. ავადმყოფმა კაცმა აბა მეტი რა უნდა ვაფაქეთო..

თავმჯდომარის სახეზე ისევ გაკრთა ღიმილი, განიდან შეხედა საკვირველ კაცს, მაგრამ არა უთხრა რა. კარები დაკეტა, და ღონგინოზი წაღების ფლატუნით დაეშვა კიბეზე. ზღაზნით გაიარა მოედანი, და როგორც კი თვალი აარიდა ბერიშვილს, რომელიც ჰქვდა ბახვისკენ მიაჭოლებდა ცხენს, ძალზე აღფრთოვანებულმა შინისაკენ გასწია. ისე აღფრთოვანებული იყო, როგორც არიან ხოლმე ბავშვები, როცა სასურველი ფრინველის ბარტყს დაიჭერენ. მირბოდა, ნამდვილად მირბოდა ეს კაცი, მირბოდა სულმოუთმენლად. მაგრამ ეზოს რომ დაუახლოვდა შეჩერდა, „ცოლმა ასე აცუნდრუკებული რომ დამინახოს, რავე იქნებაო“, გაიფიქრა, ნაბიჯს უკლო, ჭუსლ-წათელილ წალაში მაგრა შერგო ფეხები, დიხვად ჩაახველა და დიდი ამბით შევიდა მესრებ ჩამტკრეულ ჭიშკარში.

ასე დაიწყო ღონგინოზმა სამსახური. დაიწყო კარგად, მაგრამ ხმაშალა დაწყებულ სიმღერასავით ცუდად დაამთავრა. უნდა ითქვას, რომ პირველად დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა საქმეს. ყოველ მეორე საღამოს ჩაიცივამდა თბილად, აიღებდა თოფს, გამოვიდოდა თემში, სასადილოში შეივლიდა, არაყს ან ღვინოს გადაჰკრავდა, სიმღერასაც შემოსძახებდა, თუ საქიროდ დაინახავდა, მერე ზღაზნით მოჰყვებოდა სიარულს, დაწყებულელებს დაათვალიერებდა და როცა ცაზე ვარსკვლავები დაიწყებდნენ ციმციმს, ისიც მივიდოდა კოპერატივთან, გაჩერდებოდა ბოძთან და იყო ასე. დაეჩვია ფიქრებს. ცის, ბარის, მთელი მილეთის ამბებს იგონებდა ამ ლუსკუმა ღამეში. მერე თენდებოდა მწიფე ფრთხლისფერად. ვარდისფერად იღებავდა ბაგეს ცისა და ჰვეყნის დასავალი, საყორნიას პირდაპირ ცისკარიც გამოაჭყეტავდა თვალს, და კარგად გამოძინებული ღონგინოზი მიდიოდა შინ, როგორც ბრძოლის ველზე ნამყოფი მთავარსარდალი. მიდიოდა რიხით, ხმაურით, ლაპარაკით.

დიდხანს ვერ გაუგეს. გაოცებული იყვნენ მისი სიფხიზლით: „მთელი ღამე ფეხზე დგას, არც კი წაიძინებს, სკამზედაც არ ჩამოჯდება და ასე დარაჯობსო თემს,“ — აქებდნენ ღონგინოზს. ღვინის მოყვარულნი მისი სიმღერით იყვნენ მოზიბლულნი, ძველი ამბების მოტრფიალენი — მისი ნაამბობით.. მაგრამ ახალგაზრდებს რა გამოეპარებათ? ეკვი იღლეს: „ფეხზე დგას, მარა მაინც ძინავსო“ თანდათან გავრცელდა დაუჯერებელი ხმა, განსაკუთრებით კოპერატივის ნოქარმა, ახალგაზრდა კაცმა, გამოიღვა თავი. ერთხელ ფეხაკრეფით მიეპარა ბოძთან მღვარს, თავზე წაადგა, გაოცდა. იღვა კაცი ბოძთან და ეძინა. ამხანაგება

რომ დაერწმუნებინა თოკით ბოძზე მიაბა და ასტეხა ვანგაში. ლონგინოზი საშინლად დაფრთხა, თოფი გაისროლა, მორთო ყვირილი, მაგრამ ბოძს რომ ველარ მოშორდა, ყველაფერს მიხვდა. გაიგო, რომ ოინი გაუგეს და დალონდა, მით უმეტეს ბოლო დროს ძალიან შეეთვისა საქმეს, რომელიც წინაღუდეგობადად მიაჩნდა და აღარ სურდა მოშორება. დარწმუნებული კი ბევრ, რომ მოხსნიდნენ.

მეორე დღეს მთელმა სოფელმა გაიგო ღამით მომხდარი ამბავი. თავმჯდომარემ დილით ადრე დაიბარა ფერდაკარგული ლონგინოზი და ამბის ვითარება გამოჰკითხა, მაგრამ შეშინებულმა დარაჯმა ხმა ვერ ამოიღო. ოტია დიდხანს აცინა ამ გოლიათი კაცის საოცარმა სიმხდალემ, მერე დაამშვიდა და დარიგების კილოთი უთხრა:

— მე ყველაფერი გაგიგე, ამანაგო ლონგინოზ, და გაფრთხილებაც მივეცი ამ საქმის მომქმედს. ერთი კი მაინც ცხადი გახდა: თუ უფრო არ გამოიჩინე სიფხიზლე, შენ მაგ საქმეში ველარ გამოდგები. მითხარი, თუ კაცი ხარ, კაცს რომ ფეხზე მდგარს ეძინოს, ასეთი ამბავი გაგიგონია? აბა, რა გიყო. ღარიბი ხარ. სიზარმაცეც დაგჩემდა, როგორ გინდა იცხოვრო? საბჭოთა აპარატი ზარმაცებს ვერ მოითმენს, ხომ იცი მაგი შენ? ჰო-და ახლა დაფიქრდი. უკანასკნელ გაფრთხილებას გაძლე.

ლონგინოზი დიდად დაალონა ოტია ბერიშვილის სიტყვებმა. პირველად იგრძნო თავის თავისადმი უკმაყოფილება. ისევ დაიწყო სამსახური, მაგრამ ახლა კატის სიფხიზლე დაიჩემა: იდგა ისე ფხიზლად, რომ ფაჩუნიც კი აღარ ეპარებოდა და ქადრის ბიდან ჩამოვარდნილ ფოთოლსაც გრგვინვით მისძახოდა:

— ეი, რომელი ხარ რომ მვარები? აქეთ გამოდი, — დაგკოდავ, იცოდე! პირველი ხელფასი რომ აიღო, ამაყად გადაიგრიხა ულვაშები, აღებული ფული დიდი ამბით მიიტანა შინ და ცოლს გადასცა, მაგრამ ელვარამ მთლიანად დაულოცა ქმარს ეს პირველი ხელფასი.

— ტანზე ჩაიცი, — უთხრა. — დაინახოს ხალხმა, ქვეყანამ, რომ მეც მყავს ქმარი.

ჭკუაში მოუვიდა ლონგინოზს ცოლის რჩევა. ტანისამოსისადმი გემოვნება საკმაოდ ჰქონდა განვითარებული ქალაქში ნაცხოვრებს, მაგრამ ტანისამოსი აღარა ჰქონდა. ერთად-ერთი ყუავების საფრთხობელა პალტოთი გამოდიოდა თემში და ეგ იყო მისი საგარეო ტანისამოსი. ახლა კი უკებ ეღირსა ახალს, მაგრამ წინად თუ ჩოხა-ახალოზი მოსწონდა ვერცხლის ქაშრით, ბოლო დროს გემოვნება გამოეცვალა და სამხედრო ტანისამოსი მოუვიდა თვალში. ცოლს მადლიერი თვალეზით გადახედა, მეორე დღეს ქალაქში ჩავიდა, სამხედრო ყაიდაზე შეკერილი ფარაჯა იყიდა, ახალი შარვალიც და ხალათიც შეიძინა, ხალათი ავტორისფერის იყო, შარვალი კი — სუროსფერისა. დიდი ხნის ნატყრაც აუსრულდა „ბუბნარის“ ქუდი იყიდა, ფლან-ბეწვიანი იმოდენა, რომ, თავზე როცა დაიხურა, დაბლა დახარა, ქუდი კი არა, თითქოს ცოცხალი ბატყანი დაისევო თავზე.

საერთოდ ახალ ტანისამოსში დიდად დამშვენდა ეს კაცი. ისედაც ვებერთელა, მხარბეკიანი ლონგინოზი ფარაჯაში უფრო დიდი გამოჩნდა. გამოიკვალა კაცი, ყიფი ხასიათისა გახდა, თავის თავს ველარ სცნობდა და თემში გამოსულს, ნაცნობებიც ველარ სცნობდნენ. ისე დაიწყო სიარული, თითქოს ეს არის სარი გადაუყლაპავსო. მხრებში ფართოდ გაწლილი, გაჯგიმული დადიოდა. წარბები, გრძელი და უღვაშივით მსხვილი წარბები, რისხვით ჰქონდა შეკრული და თავისიერი მგელივით მიჰქონდა.

ამავე დროს მკაცრი გახდა, ძალიან, ძალიან მკაცრი. ვანსაკუთრებით იმ შემთხვევის შემდეგ, თოკით რომ მიაბეს ბოძზე, დიდად გადაემტერა ახალგაზრდებს. იყვნენ თუ არა ღირსნი, ყველას წესრიგის დამრღვევებსა და „პაკანებს“ ეძახ-

და. მოვალეობის ასრულებაშიაც უდარდელია დაეტყო. მართალია, მარტოს ლამეს დადიოდა კოოპერატივისა და სოფლისაბჭოს წინ, მაგრამ ნამდვილად ამ სიარულში კარგა ლამაზად ეძინა, ხოლო რომ ეს ოინი არ გაეგოთ, ხანდახან ბურანში გააკანტურებდა ვებერთელა თავს და რიხიანად შესძახებდა სინამდვილეს:

— ეი, რომელი ხარ მაქანაი? გამოდი აქით!

ეს კარგა შენიშნა მეორე დარაჯმა, კოსტაია ლომინაძემ, წესიერმა კაცმა, შენიშნა და ჰკითხა კიდევ ვაოცებულმა:

— კაცო, ფეხზე დადისხარ და ჭი გძინავს... რომ გლახა რამე მოხდეს, რას შობი მერე? ხომ მოგვეჭრება თავი...

ლონგინოზმა ხმამალლა ვადიხარხარა და ხელის ჩაქნევით უპასუხა:

— რა დარდი მაქვს მერე? ჩინები არ ჩამომართიან! ცხოვრებული მამაჩემი კაცმანი დარაჯად არ ყოფილა, მარა ჭი ცხოვრობდა კარგად და დიდებულად. მინც ჩემი საქმე აღარაა აი... ქალაქში უნდა წავიდე...

და დაფიქრდა ლონგინოზი. ახლა მის თვალში ცხოვრებამაც იცვალა ფერი. ყოველივე, რაც მის გარშემო ხდებოდა, კოლმეურნეთა კრებები, ჩაისა და მანდარინის გაშენება, სტახანოველებისა და დამკერელების მომრავლება, მხოლოდ უდარდელ ლიმილს იწვევდა მის სახეზე. ისე ხედებოდა კოლმეურნეებს, თითქოს სხვა ქვეყნის ხალხი. და ელვარაც, თავისი მშვენიერი ცოლიც კი აღარ მოსწონდა ბოლოდროს ლონგინოზ მარშანიას. ნამდვილად აღარ მოსწონდა. რა ვუყოთ კაცია და გუნება! ადამიანს თურმე მეგობარი არ ჰყოლია გემოვნებაში და ლონგინოზსაც აღარ მოსწონდა თავისი ცოლის გარეგნობა, ქალის განიერი და მალალი გულმკერდი, უტები გამომეტყველება, შავვერემანი სახე და წითელი ლოყები, ხმამალალი სიცილი და ენებიანი გამოხედვა, განუწყვეტელი შრომა და ფეხტიტველა სიარული აღარ ხიბლავდა ქმარს.

— დედაკაცი დედაკაცს უნდა ჰგავდეს, — ფიქრობდა ახლა ლონგინოზი, — ტანი სანთელივით უნდა ჰქონდეს ჩამოქნილი და აგერ წყლის პირში აზრდილი ალვის ხე რომაა, ისე უნდა ირხეოდეს სხეული დედაკაცის. ახლა კიდომ ფანტელა თოვლი რომაა, ისე თეთრი უნდა იყოს ქალის სახე და სადაფივით თეთრი კბილები, თავისი კბილებივით უნდა ჰქონდეს ჩაქრიკინებული. აბა რა! ჩემისთანა მღვე-კაცს ამფერი ქალი უნდა ჰყავდეს? რას ჰგავს ჩემი დედაკაცი. ჩაცმა-დახურვაც კი არ იცის, ჩაცმა-დახურვა. ქალაქში რომ დედაკაციები მინახავს, იმათ ჰქვია ქალები, თვარა აი რაა! მამის სული ნუ წამიწყდება, მომატყუეს...

ელვარა პირველად სრულებით ვერ ამჩნევდა ქმრის ასეთ განწყობილებას. მაგრამ მალე ყველაფერი გამოირკვა და ცხადი გახდა. ერთ დილას თემიდან დაბრუნებულმა ლონგინოზმა ქალაღლში გახვეული რალაც ნიეთები მოიტანა და ისეთი ამბით დააწყა მაგიდაზე, თითქოს მთელი ქვეყნის ძვირფასი თვლები და საგანძური იმ ქალაღლში ყოფილიყოს გახვეულიო ზემოდან გადახედა ცოლს, თოფი კუთხეში ააყუდა, ლოგინზე ჩამოჯდა და არც კი შეხედა ისე უთხრა:

— ნადოიასავით რომ იარები, დედაკაცო. კარგად მოიხმარე მაი და ისე გამოდი ხალხში, რომე... მამის სული ნუ წამიწყდება, ქალი ქალს უნდა გავდეს. ხომ იცი, ვის ოჯახში ხარ?

ელვარა ლოგინზე იჯდა, ბავშვის ძველ ტანისამოსს აკერებდა. ქმრის სიტყვებმა დიდად გააოცეს ქალი „ალბათ, ჯამაგარი თუ აილო“, გაიფიქრა და იმ წამსვე განსაზღვრა, თუ რაში უნდა მოეხმარა ეს თანხა. სწრაფად ადგა, ქალაღლდი გაშალა და გაოცებული დარჩა. შიგ აღმოჩნდა იაფფასიანი ოდეკოლონი, ტუჩის საღებავი და პუდრის კოლოფი. ოთახში უჩვეულო, მაგრამ საამური სუნის დადგა. ქალი განცვიფრებით ათვალეირებდა ნაყიდს და თავს ძლივს იკავებდა სიცილისაგან. იმასაც ფიქრობდა, ხომ არ გადირიოა ჩემი ქმარი. ლონგინოზი

კი კარებთან იდგა და პირდაღებულად უყურებდა ცოლს. იმ წამში იგი ცოლისაგან მადლობის გამომხატველ საამურო ღიმილს მოელოდა, მაგრამ სახტად დარჩა, როცა ქალის სახეზე, ასეთი ღიმილის ნაცვლად, დამკინავემა სიცილმა გადაიჩინა. იცინა, დიდხანს იცინა ქალმა. მერე თვალეებში შეხედდა ქმარს და წარბების შეთამაშებით ჰკითხა:

— აგენი მე მიყიდე, ლონგინოზ?

— აბა, ჩემდა როის გვიდულობდი მაგფერებს? — გაიკვირვა მამაკაცმა და უხერხული მდგომარეობა რომ დაემალა, ლონგინოზე ჩამოჯდა.

ელვარას ისევ ხმამალალი სიცილი აუვარდა. იცინოდა ისე ძლიერად, რომ მისმა სიცილმა მძინარე ბიჭიც კი გამოაღვიძა. წყნარად ამოძრავდა ბუთქუნა ყმაწვილი, ვარდივით გაშლილი სახით დედას შესვლინა, თეთრი კბილები გამოაჩინა და ტიტინით შესძახა:

— ლა გაცინებს, ნენა, ლეიზა იცინი?

ელვარა უცებ შეჩერდა, რალაც გაიფიქრა, ისევ გაიცინა და პუდრით საცხე ლამაზი კოლოფი ბიჭს წინ დაუდო, თვალეებში აკოცა და დაყვავებით მიმართა:

— ბაბაიმ სათამაშოები მოგიტანა, ნენა... ითამაშე! — მერე გაოცებულ ქმარს მიუბრუნდა, პატარა კოლოფს, რომელშიაც ტუჩის საღებავი მასი იყო, თავი მოხადა და, თითქოს არაფერი გაეგებო, ქმარს ჰკითხა:

— აი ტუჩის საღებავია, არა?

— ვერ იცნობ? მომიყიდეს და ვიყიდე, მე რა ვიცი, რა ეშმაკია? — დარცხვენით ჩაილაპარაკა ლონგინოზმა.

— მერე, ტუჩები შევიღებო ამით? — აღარ ამთავრებდა ქალი დამკინავე გამოკითხვას.

— მამის სული ნუ წამიწყდება, ვადირიე, მგონი, დედაკაცო! — ხმამალლა შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ლონგინოზმა, წამოწვა, ვებერთელა ხელეები გულზე დაიწყო, ჰერს მიაშტერდა და ისე განავრძო, თითქოს თავისთვის ამბობსო: — ისე მეკითხება, თითქოს დედაკაცივით სახის თხუზნის მეტი არაფერი გამეკეთების ცხოვრებაში. რა ვიცი, რაც ვინდა, ის შეიღებე. მარა ცხოვრებას უნდა ვაგება, ცხოვრებას! ყველამ რა იცის ცხოვრების გეო? არ იცის და მე ქი მასწავლიან. რას მასწავლით მე თქვენ, რას მასწავლით? ქალაქში გიცხოვრია თუ? ჰოდა, მე მესმის ქალაქის გემოვნება. ვითამ რაიო, დარაჯია და აფერი გიეგებო? ვერ მოგართვით! ქალაქში რომ ვიყავი, იქინე ყველა ქალი მაგით იღებავდა ტუჩებს და ქიც მომწონდა. მაინც გულმოსული რომ მიყვირი, მონაპარავე ფულით ნაყილია მაგი ყოლიფერი თუ? პატივს რომ გცემ, უნდა დააფასო, დედაკაცო. ვალამაზდი, პაწაი კილომ ვალამაზდი, თვარა...

ელვარას მწარედ გაეცინა.

— აღარ მოგწონვარ? — ჩაილაპარაკა ქალმა, მერე დაფიქრდა, ნაყიდები ლამაზად დააწყო მაგიდაზე, საინებს დაუწყო წმენდა და ნელი ხმით განავრძო: — ამდენხანს ეხუმრობდი, ლონგინოზ, მარა ახლა ყველაფერი უნდა გითხრა. აგენი, რაც შენ ვიყიდი, ყველა საქიროა, მარა მე ჯერ არ მჭიროა აგიხომ არ ვძინავს? აბა ვამიგონე: ტუჩი შევიღებო და ბარზე ვიმუშაო, ანდა ფერში შეველმა დაძინილი კაბით ვიარო? ტუჩი შევიღებო, ოდეკალონი ვადავისხა და შინ ბავშვი მშვიერი მყავდეს? სახე შევიპულრო მაშინ, როცა სახლი თავზე გვევრევა? ასე ვინდა ხომ? ძან კაია სისუფთავე, მაგას რა ჯობია, მარა მე რომ მასე მოვიქცე, ქვეყანაში სასაცილო ვიქნები. რადგან შენ ზარამაც ვიძახიან, მე კილომ ზარამაციის ცოლს და ამხელა თემში კილომ მარტოდ ჩვენ ვართ ღირბი... — შეჩერდა, საინები მაგიდაზე დაალავა.. დაფიქრდა და ისევ წყნარად განავრძო: — აი რაფერაა საქმე, ჩემო ქმარო. ახლა იგიც საინტერესოა და მა-

მის სულს გაფიცებ, მითხარი: ახალ მოყვანილი რომ ვიყავი, უმარულეს წამის ნებას არ მიძლევდი, ლამაზი ხარო და არ გვირიაო, ახლა რა მომივიდა, ვითომ ასე მალე წაებდი? აბა მითხარი, რას მიმალა? მარა რადგან შენ კარგ მხეხვედ, მე გეტყვი.. გული ნუ კი მოგივა, ისე გიჩივი, ავტო შინაურულადს მშენს მხეხვედ დროს, რაცა ტანზე რომ შეიკვერე, ნამეტარი შეიცვალე.. რავე ვთქვა, ვადიდო-ცებულს გაეხარ, მარა აბა პირდაპირ მითხარი, რა გაქვს სადიდოკო? გვიხედ-გამეხედე ქვეყანაზე, ლონგინოზ. ვადახედე ჩვენს მეზობლებს. ხანდა-ხან შენ კვირიკა ლაჩაბაზე იცი დაცინებით ლაპარაკი, მარა არ დაგავიწყდეს, იგი შენზე მეტს ეხმარება ოჯახს და კარგადაც კი ცხოვრობს... ერთი მიდი მისას, ახალმოსულ თოვლივითაა გადათეთრებული მისი ლოგინები. ყოველ საღი-მოს, რომ მოვა თურმე კოლექტივიდან, თვითონ იგი და მისი ცოლი კითხულო-ბენ ვაზეთებს. აბა, აბა! პატეფონი ზომ ყოველ წუთში მღერის მისას. ჩვენ კა სრადერი. იძახი და მამადლი კიდევ, ზომ ხედათ, რაფერ ოჯახში შემოგვიყვანეო. მე კი გეტყვი, უწინ რა იყავით, არ ვიცი და ახლა ჩვენი ოჯახი ყველა ოჯახზე უარესია. აი, რაც უნდა მეთქვა. ამას მე დიდი ხანია ვფიქრობ, მარა ვერ ვითხა-რი... ნემეტარი მიზეზიანი ხარ და რაფერ უნდა მეთქვა. რაც კაცი წერა-კით-ხვის სწავლას არ მანებებდი, სანამ არ ვისაყვედურეს, ამის თქმისათვის ზომ მთლად ვადირეოდი. ამასთან მომეხათრა კიდევ, მარა ახლა, რადგან შენ თვი-თონ ამალაპარაკე, კილომ ჭი გეტყვი. ამ ბალანას გაზრდა უნდა, ლონგინოზ, გა-ზრდა, აი სახლიც უნდა გადავაკეთოთ. მერე იგიც ჭი მცხვენია, ზარმაცს რომ გვიძახიან, მცხვენია და ამისათვის მე უკვე გადავწყვიტე და ნურც შენ გეწყინე-ბა ავი..—ელვარა შეჩერდა, ბავშვთან მივიდა, ლოგინზე ჩამოჯდა და დაფიქრდა.

ლოგინზე წამოწოლილი ლონგინოზი გაოცებით შეჰყურებდა ცოლს. მას პირველად ესმოდა ცოლისაგან ასეთი გრძელი და საქმიანი სიტყვები. დღემდე ელვარა მოკლედ თუ ეტყოდა ქმარს ორიოდ სიტყვას, ისიც სიცილით, მზია-რულსა და სალაღობოს. ახლა კი ჭალს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ისეთი ზმა, იმდენი სიმტკიცე იყო მის სიტყვებში და იმდენი სიმართლე, რომ უდარდე-ლი ლონგინოზი უცებ შემფოთდა. შეწუხებული სახით წამოჯდა ლოგინზე და ცოლს ისეთი ხმით მიმართა — პო, თქვი რა გინდაო, თითქოს მისგან საბედის-წერო განაჩენის წაკითხვას ელისო. ელვარა ადგა, ისევ მაგიდასთან მივიდა, ხე-ლებით დაეყრდნო, სახე ქმრისკენ მიიბრუნა, თვალებში ჩააცქერდა და უთხრა:

— მე გადავწყვიტე და ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარესაც ჭი ვუთხარი ავი... ჩემი ბიჭი, ენაცვალოს დედამისი მავას, ახლა დიდია, მავას ბავშვთა ბავა-ში მივებარებ. ნენა სულო, ისე უელთან რომე, სულ კარაქს აჭმევენ. მე კილომ ბრივადანში ვავალ, ისე კი არა, თითო ოროლ საათს, არა, ყოველდღე ვივლი და საღამომდე ვიმუშავებ. ზომ გაიგე?. აი გითხარი და ავას-რულებ კიდევ.

ასე დამთავრდა მათი საუბარი. იმ დღეს ცოლქმარს ზმა არ გაუცია ერთმა-ნეთისთვის. საღამოთი ლონგინოზი ადრე წავიდა თუმში. მეორე დღეს გვიან და-ზრუნდა და კაკლის ქვეშ მოლზე თავმოკვეთილივით გაგორდა, თავი მკლავებში ჩაიმალა და ამოიკვნესა:

— ვაიმე სირცხვილო! გავლანძლავ! — აღრიალდა მთვრალი.

ელვარა სამზადისს წინ იყო, ინდოურის ჭუკებს თუთის ფოთლისა და ფქვილისაგან შემზადებულ საქმელს აძლევდა. პატარა ბიჭი თიკანს ეთამაშებო-და. პირველად მან დაინახა ეზოში შემოსული მამა, რომელიც კაკლის ქვეშ პირ-ვე დაემხო, დაინახა და შეშინებულმა ბავშვმა დედას მიაყვარა:

— ნენა, ბაბაიას რა მოუვიდა? ტირის... არ გეყურება რაფერ ტირის!

ელვარა სწრაფად გაეშურა ქმრისაკენ, მივიდა, თავთან დაუჯდა, თმა ალერსიანად გაუსწორა და ჰკითხა:

— ჰა, რა მოგივიდა შე უბედურო? რა მოგივიდა, აღარ, ჩემო გოგონა?

ლონგინოზმა ისე ამოიგმინა, თითქოს გული თან ამოატანახი და ნაწიწყეტ-ნაწიწყეტად მოჰყვა:

— სირცხვილი ვჭამე, ქალო, სირცხვილი. თავი მომეჭრა... დავაქციე ოჯახი, მთავრობასთან და ხალხთან შევრცხვი... ყველაფერი კი მიქნეს და ვერ შევიღირსე... წუბელის რაცხა ვერ ვიყავი ჩემს ჰქუაზე. დაეიარებოდი და ამ სიარულში ჩემდა უნებურად ქი ჩამომძინებოდა. მოსულა ვილაცა რაიონიდან. ვერ გავიგე... ხელიდან გამოურთმევეია თოფი... დღეს მთელი ხალხი იცინოდა...

ქალმა ისევ ვადაუსვა თავზე ხელი. ტურებს იკნეტდა. მას უყვარდა ეს კაცი, მძინარა, მაგრამ ლამაზი და შესაბრალისი. უცებ ლონგინოზი წამოდგა. თვალები ამღვრეული ჰქონდა და პირიდან არყის სუნი ამოსდიოდა. ცუდად გრძობდა თავს, თითქოს ნაცემიყო, პირი მწარე ჰქონდა... და აი აქ, გულშემატკივარი ცოლის წინაშე, სურდა ეთქვა რამ, გაეკიცხა თავისი თავი, მაგრამ ნებისყოფა აღარ ჰყოფნიდა, მეხსიერება ღალატობდა... ერეოდა გული, სტკიოდა კეჭი. ირგვლივ იხედებოდა, მაგრამ ყველაფერს ლიბრი ჰქონდა გადაკრული... მთელი სხეული ეწოდა, თითქოს ქიანქველა დაეხვიაო. ჰკებნდა რალაც უხილავი და მრავალი... სჭამდა. აუარდა ფხანა. სტკიოდა წელი, აწუხებდა დეიძლის სიმსივნე, მაგრას ტკივილი... ამ წუთებში იგი შეიპყრო საშინელმა სინანულმა, მოწყენამ. უნდოდა წასულიყო, გასცლოდა იქაურობას, გაჰქცეოდა თავის თავს, გადაქცეულიყო ახალ კაცად, რომ ზელმეორედ დაბადებულყო ამ ქვეყანაზე. მაგრამ უძლური იყო მისი ფიქრები. ამას თითონაც გრძობდა. იფხანდა გულშეკრდს, ამოქნარებდა, ოხრავდა... ამ წუთებში დევივით ვაეკაცს უნდოდა ვალაც მოალერსე, დედის მაგიერი, რომელიც მას მოფხანდა თავს, ფეხის გულს, მიუალერსებდა, უვარგისობისა და სიზარმაცისათვის დატუქსავდა, და ასეთი იყო ელვარაც, ფხანდა თავს ქმარს, ამხნევებდა. და თუ ითქმის სიყვარული, ძლიერი, განუმეორებელი, აი ასეთი სიყვარულით უყვარდა ახლა ლონგინოზს თავისი ცოლი.

მაგრამ აი მოისმა კოლექტივის ჩაის პლანტაციებიდან ქალების სიმღერა და წამოდგა ელვარა... ეს იგრძნო ლონგინოზმაც, თავი წამოსწია, ამღვრეული თვალებით შეხედა ცოლს. ქალი დაკვირვებით იცქირებოდა ჩაის პლანტაციებისაკენ, ათვალერებდა, სურდა გაეგო, სად მუშაობდნენ ქალები და დაინახა თუ არა, მანუგეშებელი სიტყვებით მიმართა ქმარს:

— კაი, კაცო, ახლა, კაი! ნუ იკლავ თავს, ხვალიდან შენც დაიწყე მუშაობა კოლმეურნეობაში. ნენა სულო, შენი ლონე მომცა თვარა... კაი, დეიძინე ახლა. მეც მაგვიანდება. ჩაის საკრეფად უნდა წვეიდე. ხომ ვესმის, რაფერ მღერიან ქალები? რაეარი ცხრა თვალა მზეია! ამფერ დარში ჩრდილში რა გამაჩერებს. ადექი, წადი, დეიძინე...

ლონგინოზმა გაოცებით შეხედა ცოლს. წამოდგა, ხელი ჩაიქნია და ბარბაკით გასწია სახლისაკენ.

ლონგინოზი იმ საღამოს შინ აღარ დახვდა ელვარას. ახალი ტანისამოსი, დიდი ჩემოდანი და ცოტაოდენი ფული წაიღო მხოლოდ. ელვარა დიდად შეაშფოთა ქმრის საქციელმა, მეზობლებს ვაგებინა, საბჭოსაც აცნობა, მაგრამ არსად სჩანდა კვალი მისი. შეშინდა ქალი, ეგებ თავი დაიხრჩოო ვაიფიქრა და მეზობლებთან ერთად ბახვის წყლის ნაპირები დაიარა, თვითონ შედიოდა ღურღუმელა ადგილებში, სახეს იკაწრავდა, მოსთქვამდა.

ქმრის კვალს რომ ველარ მიავნო, შავი ძაძით შემოსა ოჯახი და თავითონაც შავი ჩაიცვა. მაგრამ დიდხანს არ დასჭირდა გლოვა, ორი თვის თავზე წერილი მოუვიდა ლონგინოზისაგან, გულთბილად მოიკითხავდა ცოლსა და შვილს, გაპარვის მიზეზად სიღარიბესა და თავის თავს აღიარებდა: ამდროში რომ კაცი ზეირს ვერ იზამს, თვითონაა თავმოსაჭრელიო, — სწერდა ცოლს. — დარაჯად ვიყავი, ხეირი ვერ ექენი, კოლმეურნეობაში არ დაგიჯერე და არ ვიმუშავე, ახლა თბილისში ვარ და ამხნის კაცი ბიძაქემს შევეხიზნე, ენახოთ: ან ვირი გამოვალ ან ვირის პატრონი — ფულით დახმარებას ჰპირდებოდა, სთხოვდა: მამის თოფისა და ქამარ-ხანჯლისთვის კარგად მოევლო, არ მოეშორებინა ბავშვი. იმას კი აღარ სწერდა, დაბრუნდებოდა თუ არა...

ამით დამთავრდა გლოვა. ელვარამ ძაძები გაიძრო. დავვიანებულმა წერილმა გული ატყინა ქალს.

დაუსრულებელი სიხვარული

სამი წელი გავიდა და ლონგინოზი ისევ დაბრუნდა თავის სოფელში. ავტომობილიდან რომ ჩამოვიდა, ვაოცებული შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა გაკვირვებულმა, მერე ქალს, რომელსაც აბრეშუმის თეთრი კაბა ეცვა, დაკვირვებით გადადევნა თვალი. თითქოს იცნო კიდევ, მაგრამ სახეს ვერ მოჰკრა თვალი, და შეზობლებს რომ არ შეეჩინათ, სიბნელეში მიიმალა, ვებერთელა ჩემოდანი მიწაზე დადგა, თვითონ ზედ ჩამოჯდა, დაამთქარა და პაპიროსი ააბოლა.

იგი სიბნელეში დაკვირვებით ათვალეირებდა მისი წასვლის შემდეგ მთლად შეცვლილ თემს. გაახსენდა ძველი ამბები, აი ის ადგილი, სადაც დარაჯობის დროს უყვარდა გაჩერება. მაშინ იქ ღამის ფანარი ძლივს ბუტუავდა, ახლა კი ელნათური კაშკაშებს. აი საბჭოს შენობაც. ლონგინოზი რომ წავიდა სოფლიდან, ახალდაწყებული იყო ამ ორსართულიანი სახლის მშენებლობა. ახლა კი ამაყად იდგა მაღალი, იისფერად შეღებილი შენობა, რომლის აივანიც მორთული იყო დროშებით, ფერადი გირლანდებით და გაჩირალდებული ელექტრონით. აივანზე ხალხი მოსჩანდა ლონგინოზმა ოტია ბერიშვილსაც მოჰკრა თვალი. ისიც კი დაინახა, თუ როგორ შეხვდა ოტია თეთრ კაბიან ქალს, როგორ ჩამოართვა ხელი.

აღბათ, ღირსეული ქალიო ვინმე, გაიფიქრა ლონგინოზმა. ერთხელ კიდევ დააკვირდა, მაგრამ პეპლის ფრთება კაშხემ ისევ შეუშალა ხელი, არ იქნა, იმ ქალის სახე ვერ დაინახა, თითქოს განგებ მალავსო სახეს. უსიამოვნოდ ჩაიქნია ხელი ლონგინოზმა, თამბაქოს კეამლი ბოლქვა-ბოლქვად გამოუშვა ცხვირიდან და ისევ განაგრძო იმ ქალზე ფიქრი:

„აი რა არის დედაკაცი, ქალი. ნამდვილია, რომ ჩივიან, დედაკაცის ეშვი ბრძენს ვადარევსო. მეც რომ ამათამაშა, ამ ხნის კაცი, აბა ახალგაზრდას რა ზეირს დააყრის? უიმე, რავე მეკვროდა ზურგზე, რავე... მომკლა კაცი, ვადვირიე... ველარ მევითქვი სული. ახლაც მეწვის ზურგი და თეძოსთავები. დასწყევლოს ეშმაკმა ქალის ვაჩენა!

აღვა, ჩემოდანს ხელი დაავლო და თემშარას ვაჰყვა. მის ეზომდე სამიოდე კილომეტრი მაინც იქნებოდა, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით არ წავიდა, თითქოს ვინმეს დაწევას ელისო. უმთავრო ღამე იყო, ისეთი, როგორიც შემოდგომის პირველმა დღეებმა იცის გურიაში. ნელა ჰქროდა ქვენა ქარი, რომელსაც მწიფე ყურძნის სუნი მოჰქონდა. ოდნავ ციოდა კიდევ.

ლონგინოზი მძიმედ მიდიოდა წინ და პირდაღებული ვაოცებით ათვალეირებდა ზრემით მოკენჭილ საავტომობილო გზას. განსაკუთრებით გზის გას-

წერივ გამწვრივებული მაღალი ბოძები აოცებდა. ბოძებზე ელნათურები იყო მიმაგრებული და ეს სასოფლო გზა ელექტრონით გაშუქებულ ქალაქის ქუჩაა მიაგავდა. ლონგინოზი ვაოცებით ბუტბუტებდა: «დიდება შენდა, ღმერთო! აი რა ამბავია: ქალაქში ვარ თუ სოფელში?» გზის მარჯვნივ მახვისწყალს გაჰქონდა ხმაური. გზა ზოგჯერ მდინარის ნაპირს მიადგებოდა ხოლმე. ღამის სიბნელეში ღიმილით ვადაპყურებდა ნაცნობ ადგილებს დინჯად მიმავალი მგზავრი.

ფიქრები აღარ ასვენებდნენ ლონგინოზს. არ იქნა, იმ ქალზე ფიქრი ვერ მოიშორა, და ამას კიდევ რატომღაც მანასეს ნათქვამიც უკავშირდებოდა: ცოლი თუ ვათხოვილი დავიხვდეთ, რომ უთხრა. ყველაზე მეტად ახლა აფიქრებდა ამის გახსენება ლონგინოზს, ახლა, როცა თავის ოჯახს უახლოვდებოდა. როგორ, მისი ცოლი ელვარა განა ვათხოვდებოდა? ვითომ მოკვდა ლონგინოზი, კაცმან მარშანას შეიღო, რომ მისი ცოლი ვათხოვდეს? რა ვუყოთ მერე, სამი წელწადი ქალაქში თუ დაჰყო? ამას საქმე ითხოვდა, ოჯახის ინტერესები. ქალაქი ვალდებულია ქმრის სიცოცხლეში მტკიცედ შეინახოს პატიოსნება. აი ასე ესმის ლონგინოზს ცოლ-ქმრის საკითხი...

ლონგინოზი შეჩერდა. დაფიქრდა მოაგონდა უკანასკნელი ღამე... შერცხვენა. მთელი ეს ამბავი ისე მოაგონდა, ისე დაუდგა თვალწინ, თითქოს გუშინ მოხდაო ყველაფერი. «უუ, რა სიაბღლე და სიბინძურე იყო მაშინ ყველაფერი იგი!» ხელის ჩაქნევით გაიფიქრა და გზა განაგრძო.

ფიქრი ფიქრს სცვლიდა. ახლა ქალაქი დაუდგა თვალწინ, ბიძაშვილთან მუშაობა. საპარკმებერო და არტელის დაარსება. არტელიდან გამორიცხვა. განსაკუთრებით ეს მოაგონდა ყველაზე უფრო. ქალაქში ბიძაშვილის დახმარებით შლიეს ვადეჩვია ღვინის სმას. არ ეგანა, თუ ამ ხნის კაცი ღვინის სიყვარულს გულიდან ამოიგდებდა, მაგრამ სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, მოერია თავის თავს. მაგრამ ძილს მაინც ვერა უყო რა... ყოველთვის აგვიანებდა. ხანდახან თვით მუშაობის დროს ჩასთვლემდა. ეს შეამჩნიეს ამხანაგებმა და გამორიცხეს არტელიდან, მაგრამ თავდებად ისევ ბიძაშვილი დაუდგა, ისევ მიიღეს. ძილი კი თავისას შვრებოდა. ვერ იქნა, ვერ მოიშალა. ბოლოს ოინს მიმართა, როგორც ჩათვლემდა, გააკატუნებდა თავს, გამოფხიზლდებოდა და უფრო მეტად რომ გამოფხიზლებულიყო, ნეკზე გაიკრავდა სამართებლის პირს. ჰე, ვინ იცის, რამდენი გაჭირვება გამოიარა ლონგინოზმა თავის თავთან ბრძოლაში და ბოლოს სახლს მოაშორა...

შვილის მოგონებამ აღარ მოასვენა კაცი. მას, როგორც ყველა მამას, უყვარდა შვილი, და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ძნელი ხდებოდა მისი მოშორება. შინ რომ იყო, ერთხელაც კი არ დაუყვავებდა პატარას, მაგრამ სახლკარს მოშორებული, ზმირად გიჟივით ლაპარაკობდა მარტოდ-მარტო მყოფი და ამ დროს ის თავის ბიჭს ელაპარაკებოდა. უეჭველად შვილის სიყვარულმა აიძულა ლონგინოზი დაბრუნებულიყო სოფელში. თორემ... «თორემ, მე შენ გეტყვი, ჩემი ცოლი მზისუნახავი არ იყოს, — ესაუბრებოდა თავის თავს შინ მიმავალი ლონგინოზი — ფიი, რას გავს?! იი რომ მომაგონდება უწინ ქი იყო რაცა, მარა ბოლოს ხარივით დედაკაცი დადგა. აგერ იმსავით დამსხვილდა, იი ჩემი ცოდვით სავსე. მარა ისე ქალის პირობაზე არც ძან ცუდი იყო. იგი კი არა, დასწყველოს ჩემმა გამჩენმა კაძახის ჭკუა, წამოსვლის ხანს ისე მომწონდა, რომე უკეთესი თუ ვინმე იყო, აღარ მეგონა.—აქ ისევ მოაგონდა ლონგინოზს აბრეშუმის კაბიანი ქალი და უღვაშებში ჩაეცინა. — ისე, ნემეტარი სტეაფერი კი ვართ აი კაცები მამის სული ნუ წამიწყდება. შენი, შენთან მყოფი, ბაჯაღლო ოქრო რომ იყოს ლალი რომ იყოს და თვალი პატიოსანი, მაინც სხვაი ვინდა, მაინც სხვისკენ მიიწევს სული. ახლა იი დედაკაცი რომ მანახა, თავზე შემოვე-

ლები. ქმრიანი თუ არის? რაღა, დამიწუნებს თუ? ძველ ღონგინოზს ხომ აღარ ვგავარ, საქმის კაცი ვარ. პარიკმახერობა გლახა ხელობა როდია, ჰო-და დაეწყე-ბდი ჩემდა ცხოვრებას ამ გათონებულ ქალთან. პაწას კოლექტივშიც წვეფიშ-შაგებდი. ჰო-და რაღა მიმარბენინებს ახლა სახლში? კაი დამხდებდა ჩამეჭებო? რომ წამოვედი მაშინ რა იყო და ახლა რაღა იქნება უმამაკაცო ოჯახი? მივალ და დამხედება, მე შენ გეტყვი, ქარვასლა, გურიელის სასახლე, ანდა ერისთავის ციხე-დარბაზი. იმ ჩემმა დედაკაცმა მაშინ მომამტულა თავი თავის დაფურეშეუ-ლი ფეხებით და ახლა რა ხერის დამაყრის?

შეჩრდა ღონგინოზი. ვზა დაბლა ეშვებოდა და მდინარის კალაპოტს უს-წორდებოდა თითქმის. ელექტრონის ბოძთან ქვაზე ჩამოჯდა, მდინარეს გადა-ხედა. დაფიქრდა. ახლა სრულებით აღარ უნდოდა შინ დაბრუნება. მაგრამ მო-ავონდა მეზობლის ვესლიანი შენიშვნა და შესწუხდა.

„არა, მართლა რომ გათხოვილი დამიხვდეს, იი ჩემი ცოდვით საცეს, მაშინ რა ვქნა, სად წავიდე? მეზობლებში ხომ ვეღარ გამოვჩნდები?“ წამოდგა. მძიმე ზოზონით გაჰყვა ვზას. უკანასკნელი კითხვა საშინელი გამოდგა, მწველი, შეუ-რაცყოფელი, ამიტომ სწრაფად ინუგეშა თავი: — „არა, ავი რაღა შეიძლება! ვერ მკადრებდა“, დაუწყა თავისთავს დაიმედება, მაგრამ ამ იმედშიაც იგრჩებ-ბოდა ეჭვის მატლი. „ანდა რატომ არ შეიძლება?—არწმუნებდა რომელიღაც სხვა. შენზე უკეთესი ხომ სხვაც ბევრია? შეუჩნდებოდა ვიღაც ეშმაკი, ცოლად წაიყვანდა ანდა საყვარლად გაიხდიდა... საყვარლად!“

ღონგინოზს თმა აებურძგნა, ყრუანტელმა დაურბინა სხეულში. უცებ, ვზად მიმავალს, თვალწინ დაუდგა ამაღლევებელი სურათი, რომელიც ხშირად ეკვით შეპყრობილ მამაკაცს სასაცილო მდგომარეობაში აყენებს ხოლმე. აი ის, ღონგინოზ მარშანია მივიდა უკვე შინ. გამოჩნდა მისი მჭკვარტილიანი სახლი. ოდის ადგილას მოჩვენებასავით დაყუდებულა ძველი ბუხარი... რამდენი სიამო-ვნება და ტკბილი ძილი ახსოვს ღონგინოზს ამ ეზოში. უყვარს იგი, ძალიან უყ-ვარს. მისი აღმზრდელი სახლი და ეზო ეს არის და არ დააფასოს? აი ამ ეზო-ში გრგვინავდა ღონგინოზ მარშანიას პაპის მანუჩარ მარშანიას ხმა. ეხ!.. და მ-თი მემკვიდრე ღონგინოზი რაღა? ძალით წიწავს ტყავს, თორემ... მაინც ეს სახლი როგორ წაფერდებულა თქო ამოვარდნილი კაცივით? მარა სახლს ვიღა ჩივა... აი სინათლე რატომ მოჩანს ასე გვიან შენობის ქუქურტანებიდან? ვითომ? ღონგინოზი ფეხაკრეფით მიიპარება სახლთან... ლამაზი ქალის ქმარი ფრთხილი უნდა იყოს, ფრთხილი. აბა რა? სულთქმა შეკრული იხედება სახლში. იცქირება, და ვაი სირცხვილო, ვაი თავსლაფის დასხმავ! აი მის ლო-გინზე, სწორედ მის ლოგინზე, სრულიად ტიტველი წამოწოლილან უსირცხვი-ლოები, წამოწოლილან და ნებივრობენ... ღონგინოზს სისხლი ეყინება და თვალთ უბნელდება. ფიქრებსა და სინამდვილეს შორის წაიშალა ზღვარი. ნამდვილად ხედავს ყოველსავე ამას... ხედავს, უნდა იყვიროს, მაგრამ თავს იმაგრებს. არა, ყვირილი როგორ შეიძლება? ეს ხომ ფიქრია მხოლოდ, მაგრამ ნამდვილი რომ იყოს? მაშინ შურისძიება. დიახ, შური უნდა იძიოს. მარა ამა-საც ხომ მოფიქრება უნდა? არა, არ აჩქარდება ღონგინოზი, მოიფიქრებს, გა-დასწყვეტს. აუცილებლად ისინი უნდა დაიხოცნენ, მაგრამ რით ან როგორ? ღონგინოზს არც სასროლი იარაღი აქვს და არც ცივი იარაღი. სამართებელით ხომ არ შეებრძოლება მტერს ვაჟკაცი? ისიც საკითხია, რომელი უნდა მოკ-დეს პირველად: ცოლი თუ საყვარელი? პაპამის მანუჩარისაგან გაუგონია ღონგინოზს, გაწბილებულმა ქმარმა თავის საკუთარ ცოლს შეყვარებულის გული შამფურებზე შეაწვევინა და როგორც კარგი მწვადი, ისე შეკამა... მშენიერი სასჯელია, მაგრამ ღონგინოზს ამის გამბედაობა როდი აქვს. მარ-

ტო ლონე კი რა ბედენაა. ის კი არა, კიდევ ეწინიან, ენახათ, რომ უცებ გაე-
 ლეიდა იმ კაძახს, მაშინ? მხეცი და ადამიანი ერთია, როცა სისხლი უღელავს,
 როცა თვალში სინათლე დაკარგული აქვს. გიჟია ლონგინოზი! მარჯანა, რომ
 ვიღაც გადარეულს თავი შესწიროს?! პრასა ხომ არარის, რომ ერთხელ მო-
 თიბონ და მოისპოს... არა, ასეთი სასჯელი გამოუსადეგარია. სტრატეგიული
 თვალსაზრისით ასე სჯობს: ავა მალლა, სხვეწუხ, და იქიდან უცებ მეხივით
 დაეცემა ორივეს თავზე. რა თქმა უნდა, ისინი დაიბნევიან, ლონგინოზი ამით
 იდროებს და იმ თაუზლარს ვაი დედას აძახებინებს.

მაგრამ ასეთი შურისძიებაც ვერ აკმაყოფილებს იქვით დაეადებულ ადა-
 შიანს. ეს რა შურისძიებაა? იარალი რომ ჰქონდეს, მაშინ კარგად იცის ლონ-
 გინოზში, როგორც მოიმოქმედებს. მიეპარება ჩუმად, ფეხაკრეფით, დაუმიზ-
 ნებს ორივეს და გათავდა. ერთის ტყვიით გააცივებს უნამუსოებს. მერე გამოვა
 გარედ და მთელ ქვეყანას გააგებინებს, თუ როგორი ქალი ყოფილა მისი ცო-
 ლი. მაგრამ რადგან ასეთი იარალი არა აქვს, უკეთესი ხერხი აქვს მოფიქრე-
 ბული ლამაზი ქალის ქმარს. იყავით, იყავით მასე ჩახვეულები თქვენ... თქვე
 უნამუსოებო! რავე გგონიათ, მარჯანია დაიკარგაო? ვერ მოგართვით. ის აქაა,
 აქ... ეგება ის გგონიათ, იარალი არა აქვსო, ჰოი, სულელებო, აი რკინის ურო
 პაპას რომ უყვლია „დიდი ვინოზის“ დროს, ტყვილად აგდია აგერ კართან...

და აი ლონგინოზი მრისხანედ იღებს ვებერთელა უროს! ფეხაკრეფით
 შედის სახლში. როგორ განათებულია ყველაფერი! კარგად, კარგად ზედავს
 ქმარი, თუ რარივ გალამაზებულა მისი ცოლი. აჰა, ეს კაციც ხომ იცნო. სწო-
 რედ ისაა, მათი ყოფილი მოჯამაგირე, ახლა კი ბრივადიერი ერასტი ჯანგარა,
 სწორედ ამაზე ექვიანობდა ლონგინოზი წინად და ხომ დადასტურდა? ჰმ!.. გა-
 ნა ამისთვის მოუწყო ელვარამ ქმარს ისეთი სასაცილო ამბავი, გაუგონარი.
 ამისათვის აგორა წაბლის ბურძღლებზე, რომ გაექცია? გაექცია? შოიკათ, მო-
 იკათ... ლონგინოზი გასწავლით თქვენ, როგორც უნდა... და მძიმე ურო მძღა-
 ვრად ეშვება მძინარე მამაკაცის თავზე..

ფიქრებში წასვლისა თუ სიბნელის გამო ლონგინოზმა მაგრა წამოჰკრა
 ფეხი რიყის ქვეს და თავისი დიდ ჩემოდანით თემშარაზე გაიშლართა.

— ვაი თქვენ და კისრის მომტრევა! — წამოიძახა უცებ შერტყენილმა
 ლონგინოზმა თვალების სრესით და ფეხზე წამოდგა.

სწორედ ამ დროს მოესმა სიცილი. დიალ, ვილაცას აი იქ, სიბნელეში, გაე-
 ცინა, და ლონგინოზს თავზარი დაეცა. სწრაფად მიტრიალდა უკან, დააკვი-
 რდა სიბნელეს, რომელსაც ელექტრონის სინათლე მკრთალად აშუქებდა, დაა-
 კვირდა და გაშრა: მან დაინახა ქალი, სწორედ ის, რომელმაც ამ საღამოს
 ასე დასწევა და დადავა ამ ხნის კაცი. იგი ნელა მოდიოდა, ნელა, თითქოს გან-
 ვებ იგვიანებდა რომ ლონგინოზს არ დაენახა.

ლონგინოზმა კი იცნო... ძან კარგად იცნო ის ქალი, იცნო, სწრაფად
 გადაუხვია გზას, სიბნელეში მიიშალა, გაიფიქრა: „ვაცლი, რადგანს აღარ
 მშორდება და აჩრდილივით ამედევნა, წინ წავიდეს და მერე დავეწევი.“
 მართლაც მის წინ მალე ჩაიარა ქალმა სწრაფი ნაბიჯით. სიბნელეში გაფა-
 ციკეებით დაუწყო თვალეირება, მაგრამ მისი სახე მაინც ვერ დაინახა. კაშნე
 ისე ჰქონდა შემოხვეული, რომ ცხვირიც კი არ უჩანდა. „ნეტა ვინცხაა, აი
 მუნი ხომ არ ჭირს სახეზე?“ — ლიმილით გაიფიქრა ლონგინოზმა და ახლა შე-
 ნიშნა ქალს ხელში დიდი ჩემოდანი, რომელსაც სიმძიმის გამო ძლივს მიათ-
 რედა, დაინახა და ულვაშებზე მძიმედ ხელი გადაისევა. ახალგაზრდულმა ეშ-
 მაკობამ გაურბინა გულში ორმოცი წლის კაცს.

„მივალ, — გაიფიქრა, — დავეწევი, გამოვეცნაურები, იმ ჩემოდანს წავუღებ... რაცხა ნემეტარი ჩამივარდა მთი ქალი გულში. ტანი აქვს მაღლონის, ტანი“.

გოლიათივით გამოიგვიმა სინათლეში, დინჯად, დარბაისს დასრულდა და მიმავალს მძიმე ნაბიჯით გაჰყვა. სინათლემ იკლო. ლონგინოზმა გადასწყვიტა: „სანამ ისევ არ გავალთ ელექტრონის სინათლეზე, არ დავეწევი: მე შავის სახე უნდა დავინახო, სახე“. და ასეც მოიქცა. აი, მიუახლოვდნენ ელექტრონის ბოძს. მკრთალ სინათლეში ისევ გამოჩნდა ქალი თეთრი კაბით და, აჰა, ლონგინოზიც დაეწია.

— აა, ნურას უკაცრავად, ქალბატონო, — ბოხი, არაბუნებრივი ხმით მიმართა მას ლონგინოზმა. — მაშის სული ნუ წამიწყდება, ძაან მძიმე ჩანს თქვენი ჩემოდანი. თუ მიბრძანებ, მართალია, მთლად ახალგაზრდა არ ვარ, აი ჩემი ჩემოდანიც ძალიან გატენილია ხორაგით, პირდაპირ მკლავები დამაძრო, მარა... თქვენი გულისათვის ამ ქერებების ქვებს სულ ზურგით გადავზიდავთვარა მთი პატარა ჩემოდანი რაა...

— უი, შენ გავისკდა მიწა! ახლაც ველარ მიცანი? — ხმამალა გაიციანა ქალმა, სახლიდან კაშნე მოიძრო და ლონგინოზისკენ მოტრიალდა. ეს უკანასკნელი გაეცეცხებული დარჩა. მის წინ იდგა მისივე ცოლი ელვარა და იცინოდა. ლონგინოზი პირველად ისე გააოცა ამან, ისე აურია დავთარი, რომ ხმის ამოღებაც კი ველარ მოახერხა. თავისი თავი სიზმარში ეგონა და ისე ახამზამებდა თვალებს, თითქოს სურს ღრმა ძილს დააღწიოსო თავი. მის წინ მართლაც ის ქალი იდგა, თეთრკაბიანი ქალი და ეს ქალი მისი ცოლი, მის მიერ უარყოფილი ელვარა იყო. იდგა ლონგინოზის წინ, უყურებდა თვალეში და თავისი ხმამალა გულგია სიცილით იცინოდა. იცინოდა და ამ სიცილში გამოკრთოდა დაცინვაც, სიბრაღულიც და ძველი, დავიწყებული სიყვარულიც.

— მაშის სული ნუ წამიწყდება! — ძლივს დასძრა ლონგინოზმა ენა, — მართლა შენ ხარ, თუ... მოჩვენება ხარ? ა?

— მოჩვენება ვარ, აბა რა? — ხმა მალა სიცილით დაიწყო ქალმა და ჩემოდანი ძირს დაუშვა. — ველარ მიცანი, ხომ? ანდა რას მიცნობ? სამი წელიწადია არ გინახავარ, ოჯახი არ გავხსენებია და სახლ-კარი. ახლა მოჩვენება გვეგონები, აბა რაი!..

— ხოოო, — თითქოს ახლა გამოეღვიძაო, ისე წამოიძახა ლონგინოზმა და პაპიროსი ამოიღო, აანთო, გააბოლა, ერთხელ კიდევ გადახედა ცოლს და ჰკითხა: — კი, მარა სად ყოფილხარ ასე გამოწყობილი?

ელვარამ კაშნე მოიხსნა, ორად მოკეცა და სრულიად უბრალოდ ჩაილაპარაკა:

— სად ვიყავი და მოსკოვში, — ეს სიტყვები ისე იყო თქმული, თითქოს მოსკოვი ავერ წყალგაღმა არის და ქალიც იქ შემთხვევით გაეიდაო. ლონგინოზი ამან უფრო გააოცა, ხმას აუწია და კარგად რომ დარწმუნებულიყო, დაბეჯითებით ჰკითხა: — დედაკაცო, ნუ კი მეტყუარები. მართალი მითხარი: სად იყავი?

— სასოფლო გამოფენა რომაა, იქ. აი ამ ჩვენი კოლმეურნეობიდან ორი გავგზავნეს ჩაის კაი მკრეფელები... ნენა, სულო, რამხელა ყოფილა იი მოსკოვ-ქალაქი. ჩვენი ოზურგეთი რაა იმასთან! — დაფიქრდა და ისევ განაგრძო: — რამდენი ხანია შინის აფერი არ ვიცი. ჩემი ბიჭი ამელამ მელის..

— ხო-და, ავაშენა ღმერთმა! — ხელების გაშლით დაასკენა ლონგინოზმა. — მართლა ძაან გამოცვლილა აი ქვეყანა... ცხონებული ბაბუაჩემი მანუჩარ მარშანია, რომლისნაირი კაცი ამ დღენია მეღეჭეთზე არ იარებოდა, სუ-

ფსას არ ვასცილებია, შენ კი მოსკოვში ვიყავიო, რაღა გიჭირს ამა ახლა ელვარას ჯერი დადგა.

— კი, მარა შენ სად მობრძანდები ახლა? — დამციხევექ დემეტრიო ჰკითხა ქალმა ქმარს თუ ნაქმრევს და განიდან დაუწყო ცქერამ *გაღიქრებო*

— დიდება შენდა ღმერთო! — გაკვირვებით გაშალა ხელები ლონგინოზმა, — სად უნდა მივდიოდე, ქალო? შინ მოვდივარ...

— შინო? — ზამაღლა წამოიძახა ელვარამ. — შინ მოვდივარო. გაქვს შენ შინაი — ოდნავ შეჩერდა, თავიდან ფეხებამდე აათვალიერა და სწრაფად ჰკითხა: — ცოლი რა უყავი, ახალი ცოლი?

— ცოლი კი არა, იგი არ გინდა!? — უხერხულად ჩაილაპარაკა ლონგინოზმა და ჩემოდანი აიღო — ბაღანაი რაფერაა? — იკითხა მან ბოლოს.

— უი შენ რა ვითბრა! რა ადრე მოგაგონდა შეილი? — დასცინა ელვარამ, მერე დაფიქრებულმა წარმოსთქვა: — რა უქირს, ახლა ბაღანაი კი არა, კაცია. სწავლობს, შენ სულ აღარ ახსოვხარ.

ქალი თემშარას გაჰყვა. ლონგინოზიც მიძიმე ნაბიჯებით აედევნა. ლონგინოზს ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი გაოცებისაგან. ყველაფერი ის, რაც მატარებლიდან ვადმოსვლის შემდეგ ნახა თუ გაიგონა, სიზმარს ჰგავდა, ლამაზსა და მოულოდნელ სიზმარს. ამ გაკვირვებას კიდევ უფრო აღრმავებდა ელვარას მორთულობა: აბრეშუმის თეთრი კაბა, ახალი, ჭრიალა ტუფლები. თვით ქალიც ვალამაზებული ეჩვენებოდა ლონგინოზს, ისედაც ხორცსავეს, ძლივს ეტეოდა კაბაში. მარად მიდიოდა წინ და ისე მილაპარაკებდა, როგორც სოფლად იციან ქალებმა, დიდი ხნით უნახვე ნაცნობს რომ შეხედებინ.

— უი, რაფერი ხართ თქვენ, კაცები, — სიცილით ამბობდა ელვარა — მე იმ წუთში გიცანი, აეტომობილზე რომ ამოვედი, ღამე იყო, მარა მინც ქი გიცანი.. ჯერე ვიფიქრე, მივალ ვამოვეცნობი მეთქი, მარა თავი შეეიკავე. რატომ უნდა მოვსულიყავი? ზურგში ვანგებ მოგიდექი. ჯერ ძან გამიკვირდა, ეგება არაა, თვალმა მომატყუა მეთქი, ვიფიქრე, მარა გიცანი და გაერუმდი. უი რა უზრდელი ხართ აი კაძახები! ა? რაფერ გამიბედე გულზე ხელის მოცატუნება? ა? რაფერ გამიბედე?! იმფერი მომივიდა გული, იმფერი, რომე შენ არ ყოფილიყავი და სხვაი ყოფილიყო, ეგება კიდევ მეთხლიშა აი ხელი ლოყაში. დედავ, მომკალი ვინცხამ... რა უნდა ვინცხა კაძახს ჩემს გულზე! მერე? რაფერი ხართ, რაფერი! რა იფიქრე, გვერდში რომ ამომიდექი და დამიწყე ტრაბახობა, — აქ ელვარამ ლონგინოზის გამომეტყველება მიიღო და შეცვლილი ხმით გამოაჯავრა: — მამის სული ნუ წამიწყდება, ქალბატონო, მე დიდი ვაყვაცი ვინმე ვარ, ამ აეტომობილს აგერ იმასავით გვევადებ მხარზე და წევილებ... ხა! ხა! ხა! ვითომ რაიო? თავს მაწონებდი არა? სხვაი ქალი გეგონე, არა?

ლონგინოზი ელვარას უდარდელმა და თავისუფალმა ლაპარაკმა უფრო გააკვირვა და დაექევა... წინადაც არ იყო ელვარა მორცხვი, ზანტი და სევდიანი, მაგრამ მის ლაპარაკში ყოველთვის რაღაც შიში, ოჯახისადმი ზრუნვა და დაფიქრება გამოკრთოდა. ახლა კი მისი ხმა წმინდა იყო, სიცილი იმედიანი, ლაპარაკი უბრალო, სხარტი და იმედით სავეს. ისევ შეიპყრო ექვებმა ქმარი.

— რაღაცა კია ჩემს თავზე, თვარა ასე რამ შეცვალა აი ქალი? — ფიქრობდა გზად მიმავალი ლონგინოზი. — ალბათ, გათხოვდა ჩემი ცოდვით სავეს... ვითხოვდა, თვარა ასე ვინ გამოაწყობდა“.

მოწყენილობა ქალმაც შენიშნა ლონგინოზს და ჰკითხა:

— ბენა, რა მოგივიდა? რაღა მოწყენილი ხარ? თუ გეზარება შინ მოსვლა, ნუ მოხვალ...

ლონგინოზი შეჩერდა. დაფიქრდა.

— არა, ქალო, არა, შინ მოსვლა რაღა მეზარება, მარა..

— მარა რაი?

მობრხებული დრო იყო კითხვისთვის და ჰკითხა კიდევ:

— შინ რაფერ ხართ? შინ? ხომ არაფერ შემოგმატებია?

— შინ? — გაეციხა ხმამაღლა ქაღს. — შინ რაფერ ვიქნებით! დედაჩემი, მამაჩემი და შენი მშობლები გაცოცხლდნენ და ახლა იგენი მოგვემატენ სარქუნებად.

— ხომ არ ვადირიე, ქალო! — შეჰყვირა ლონგინოზმა. — რაღა ქარავებით მელაპარაკები, თუ იცი? დედაშენსა და მამაშენს ვინ გეკითხება?

— აბა ვის მეკითხები? ბალანაის შესახებ ქი გითხარი და მალე კიდევაც ნახავ.

ლონგინოზი კიდევ ვერ დაამშვიდა ქაღის სიტყვებმა.

„ალბათ, კიდევ მიზნევსო გზა-კვალს“ — გაიფიქრა.

ეზოს მიადგნენ. ლონგინოზმა ირგვლივ მიმოიხედა და თვალებში ხელი ამოისვა. ის იღვა მწვანედ შეღებილი ქიშკრის წინ, რომელიც კრამიტით იყო გადახურული. ახალმა ქიშკარმა გააკვირვა ლონგინოზი, მაგრამ ქიშკრის წინ ელნათურის ციმციმმა მთლად გააოცა და დააბნია კაცი. დაბნეულობა კარგად შენიშნა ქაღმა ქმარს, მაგრამ ხმა არ გასცა. ღიმილით დაუწყო ცქერა. ლონგინოზმა კი აღმატვრად გადახედა ცოლს და თუმცა მშვენივრად იცოდა, სადაც იყო, მაინც ჰკითხა:

— დედაკაცო, სხვის ეზოს ხომ არ მივადექით?

ქაღს ხმამაღლა გაეციხა:

— არა, არა შე საწყალო, ჩენი ეზოა. ჩემი ნაქტავ-ნაწყდავი. შემოდი, შემოდი ეზოში. კიდევ უფრო მეტს ნახავ. — ქაღმა თვითონ გააღო ქიშკარი და ლონგინოზი სტუმარივით შევიდა ეზოში. ისეე გაჩერდა. ჩახველა. აი ვებერთელა კაკლის ხე თავისი შრიალა ფოთლებით, და აქაც ელნათური. მწვანე ფოთლებში ბრწყინავს, ციმციმებს. პირველად ეს მოხვდა ლონგინოზს თვალში, მაგრამ ვააზრება ვერ მოასწრო, რომ მისი ყურადღება მალაღმა ოდამ მიიპყრო. იქ სადაც წინად წაფერდებულნი, შავად-შეკვამლული სამზადი სახლი იღვა, ახლა მალალი, კრამიტით დახურული ოდა აღმართულიყო ამჟამად. ოდის აივანიც ელექტრონით იყო განათებული.

— აი სახლი წელს ავაშენე, — საქმიანი ხმით დაიწყო ელვარამ და გაცეხულ ქმარს ოდისაკენ წაუძღვა. — ძველი ოდის ფიცრები კაი გამოდგა ახალი ოდისათვის. წელს გვარიანად ავიღე ფული შრომა-დღეებზე, კოლექტივის გამგეობამაც დიდად შემიწყო ხელი და გავბედე. ქი ავაშენე აი სახლი... შენი დაბრუნების იმედს აღარ მქონდა, მარა ამოდი, ნუ გეშინია, არ წაიქცევა ამოდი. მამაშენის დატოებული ბელენძლა სახლი ხომ არ გვონია?

ლონგინოზი მძიმე ნაბიჯით აპყვა ცემენტის კიბეს. აივანზე რომ ავიდნენ, ახალი შენობა ოდნავ აჭრიალდა. ელვარამ ვასაღები მონახა, კარები გააღო და იქაც აანთო ელექტრონი. ლონგინოზი ისე შევიდა დიდ ოთახში, თითქოს სხვის სახლში იმყოფებო. ვაუბედავად დადგა ჩემოდანი, მძიმედ ჩაეშვა ახალ ნაყიდ საეარძელში და ირგვლივ მიმოიხედა. ასე იყო რამდენსავე წამს. უცხო-სავით ათვალისებრდა ნივთებს. მერე აღვა, მორცხვად ამოიოხრა და ცოლს მიანჩერდა. ელვარა თვალებში შეჰყურებდა ქმარს და ამ წუთებში ლონგინოზს თავისი ცოლი უფრო ლამაზი მოეჩვენა. თავისდაუნებურად გადადგა ნაბიჯი

წინ, მღელვარედ მიეტანა. ისე შეაბო ხელი, თითქოს ეშინიან, მოჩვენება არის და არ გაიქცესო. მერე კი მაგრა მოხვია გრძელი მკლავები... ქალი შეკრთა. დაიბნა. მერე თითონაც მგზნებარედ შეეხო ქმარს, სწრაფად გოცნა: ხელიდან გაუსხლტა და თითის ქნევით მიადახა:

— ხელი გამიშევი, აი, შე სულწასულო! თუ ასე ვიყვარდი, სად იყავი ამდენ ხანს?—მერე ხმას დაუწია და დაუმატა:—ჯერ ბალანი მოვიყვანო... არ გენატრება შენი ბიჭი? უი, შეილო, რამდენი ხანია არ მინახავს! შეზობლისას დავეტიე, ერთს ვადვირბენ ამ წუთში მოვალ. შენ კი აგერ წამოწევი.. ძილი კი ვიყვარს, ნუ გეშინია.

ლონგინოზი მთვრალივით დაჯდა... ელვარამ ვერც კი მოასწრო გარედ გასვლა, რომ აიენიდან ფეხის ხმა მოისმა, სწრაფად გაიღო კარები და ოთახში რვა წლის ვაჟი შემოეარდა. ყმაწვილს ახალი ტანისამოსი ეცვა, პიონერის ნიშანი ძალიან შეგნოდა მის რგვალსა და თეთრფეროვან სახეს. შემოსვლისთანავე დედას მიეარდა, ჩაეხვია, მერე უცხო კაცს უკმაყოფილოდ გადახედა, შავი თვალებით თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა გრძელ ულვაშოანი მამაკაცი, სადღაც გონების სიღრმეში აღადგინა გოლიათი მამის სახე, ეშმაკურად გაუცინა და მისკენ გაიქცა. ლონგინოზმა გულში ჩაიკრა შეილი... კოცნა დაუწყო. კოცნიდა და გულაჩვილებული ცრემლნარევი ხმით ბუტბუტებდა:

— შეილო, სიკვდილის ღირსია ზარმაცი და აბდალა მამაშენი, სიკვდილის... რაფერ დაგტე, რაფერ! მირტყი, შეილო, მცემე...

მაგრამ სიცოცხლით სავსე ყმაწვილი სრულებით არ დააინტერესა მამის გოდებამ, მოშორდა, სწრაფად მიეარდა დედას, რომელიც ჯერ კიდევ კარებთან იდგა, და მიადახა:

— რა მომიტანე, დედა, მოსკოვიდან, რა მომიტანე?

ელვარა გამოერკვა, მივიდა ჩემოდანთან, გააღო, ახალ-ნაყიდი პატეფონი სათუთად ამოიღო, შეიღს მაგიდაზე დაუდგა, და „დაუსრულებელი სიყვარულის“ მიმზიდველი სიმღერით გამზიარულდა ოჯახი.

ბ. ძივავაშვილი

შ ე ს ვ ე ლ რ ა დასავლეთ უკრაინაში

ეს იქნებ ბევრმა ცუდად გამოიგოს,
სთქვას რომ მართალი მართლაც არა ვარ —
არ ვიცი... მაგრამ ეს ასე იყო
და მე უნდა ვთქვა დაუფარავად.

.... არც ქართლი სჩანდა, არც იმერეთი,
იქ არც გურიის მთები გველოდნენ,
ცხრა ზღვა იღო და ათი ხმელეთი
სადღაც დარჩენილ საჭართველომდე.

უცხო ცისკარიც ჩვეულ ანცობით
ჩვენებურ ფრთოსნებს არ გაუღიათ,
მაგრამ ცა იყო მაინც ნაცნობი —
ისე ლურჯი და ისე გულღია.

და ერთხელ — სიზმარს მოჰგავდა თითქოს,
თითქოს იქ განგებ ჩემთვის ზრუნავდნენ —
ჩვენი სტალინის ქანდაკი იღვა,
ჩვენი ბერიას სჩანდა სურათი!

მეტე ხალისი ვინ მომანიჭოს
განახლებული ქვეყნის მოლექსეს,
თითქოს მეხუმრა: ქართველო ბიჭო
ჩამ მოგიყვანა ამ სიშორეზე!

თითქოს მოვიდა და გამიღიმა,
თან კი დამტუქა, როცა დამატყო,
რომ მე ვეტყოდი — შენმა ძაბილმა
შენდამი ნდობამ მომიყვანა-თქო!

მე სიამაყე დამრჩა ფარული
 მათზე ვფიქრობდი ყველგან, მუდამ-დღე,
 მერე კი როცა ეს სიხარული
 რუსებს რუსულად გადავუთარგმნე —



მათაც ვამიგეს — და ის მზიანი
 ქართლის მთაბარი იმგვარად მიქეს,
 თითქოსდა მარტო ჩემი კი არა,
 მათი სამშობლოც იქ ყოფილიყვეს!

... თქვენ იქნებ ისე აღარ ვამიგოთ,
 სთქვათ რომ მართალი მაინც არა ვარ —
 არ ვიცი... მაგრამ ეს ასე იყო
 და მე უნდა ვთქვა დაუფარავად.

ალექს. შენგელია

დავდივარ ქვეყნად მუდმივი მგზავრი,
მასპინძელივით შევალე სოფლებს,
გზაში მეგობრად დამყვება ქარი
და მარტოობა აღარ მაშფოთებს.

დავალ ამაყი და დაუმცხრალი,
ამ ცის, ამ მიწის მე ვარ მფლობელი...
წინ მშობლიური მიმადრენს ქარი,
და ოცნებათა ვარ მადლობელი.

აქ ყველა სახლი ნაცნობი არი,
და ყველა კარი ჩემი კარია.
ვარ ამ დღეების ნამდვილი მგზავრი,
ეკოცხლობ, ვიზრდები და მიხარია.

სიმინდის რჩევა

ეს დღეც დაღამდა შემოდგომის ღვინში გართული,
შორეულ გზებზე მეთრმეთა მიწყდა სიმღერა.
სიმინდს არჩევენ: — აიმართა ოქროს სართული...
ვატის ქარავმა... ქალმა ყელი გადაიღერა...

განთიადისას: ტაროები ცეარდანასხური,
დილა ამაყი, მდიდარი და გაცინებული.
ფუჩიჩში ღამით მიმალული გლეხის ასული,
და საქორწილო ოცნებაში ჩაძინებული.

შალვა დადიანი
ალ. ზუსტიკიაშვილი

ლადო ქახიკაძე

თავი პირველი

გავსოცობა და მკვლელობა

დიდი სტალინის მშობლიურ ქალაქ გორიდან 22 კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთით, კავკასიონის მთების გვერდის კალთების ძირში, ზღვის დონიდან 770 მეტრის სიმაღლეზე, გადაქიმულია შუაქართლის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი — ტყვიავი. სოფელი დოვლათიანია: ძარღვიანი პურით, მინდორბაღებით, ნოციერი სათიბებით. წლიური დანალექი (500) იმდენად ნაყოფიერს ვერ გახდიდა სოფელს, რომ მას დამხმარედ მდინარე პატარა ლიახვი არ ეგულეობდეს, ლიახვი, რომელიც ზაფხულში მშუბილით და ქუხილით ჩაუდის სოფელს დასავლეთის მხრიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, ხოლო ზამთარში, დაპატარავებული, კენჭების ბუდედ გადაქცეული, თავისი ბუტბუტით და დუღუნით თითქოს ტკბილ ნანას უმღერის ტყვიავის მიდამოებს. პატარაა ლიახვი, მაგრამ სოფლისთვის მეტად მარგი.

თუ მტკვარს, საქართველოს მდინარეების დედას, მრავალი დროების მოწმეს, უმღერდა გენიალური ჭარბელი პოეტი ბარათაშვილი და მის მდებარე ფიქრთ გასართველად დაიარებოდა, ხალხმა არც ლიახვი დაივიწყა და თავისი პოეზიის საგანძურადან მასაც უძღვნა თავისი შემოქმედების მარგალიტები. თუ დიდი ლიახვი გაიძახის: „აედიდებები, მტკვარს არ დავედარები. თავივე მოვალ და მოვხუი, ფეხზე არ მაკრავს ნალებიო“, პატარა ლიახვიც ცდილობს არ ჩამორჩეს თავის უფროს ძმას და ადიდებისას ქუხილით მოარღვევს არემარეს და ტყვიავის სარწყავ რუებს — პანტის რუს, დალაქიანთ რუს, ტყვიაურას, კარბულას ამარაგებს წყლით და ასაზრდოებს სოფლის ჭირნახულს. გარდა ლიახვის ტოტებისა, ტყვიავის მინდვრებს აღმოსავლეთით ჩაუდის მდინარე ჭარბულა, რომელსაც სათავე კავკასიონის მთის წინა კალთებში აქვს და რომელიც მდინარე მეჯღუდას უერთდება. მდებარეობით ლამაზ სოფელს ტყვიავს, მდინარეები მეტ ელფერს აძლევენ.

სილამაზის გარდა, სხვა რამეთიც შეუძლიან დაიქადოს ტყვიავმა.

აქ, ამ სოფელში, სამოცდაათიან წლებში პირველად საქართველოში დაარსდა არალეგალური სტამბა ნაროდნიკებისა. აქ ჩამოყალიბდა ერთ-ერთი პირველი წრე ნაროდნიკებისა. ამ სოფელში სცხოვრობდა და 1936 წელს გარდაიცვალა არალეგალური სტამბის ასოთამწყობი სანდრო კიკნაძე, აქ, ამ სოფელში, აღიზარდა ქართული თეატრის უნიჭიერესი მსახიობი ნატო გაბუნია და აქ, ამ სოფელში, 1876 წლის 1-ლ იანვარს (ძველი სტილით) ზაჭარია მღვდლის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა დიდი სტალინის სიყრმის მეგობარი და თანამებრძოლი ლადო კეცხოველი.

კეცხოველები ტყვიავის მკვიდრნი არ არიან. საიდან მიეცა დასახლამი ამ გვარს და ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში დაირწა პირველად კეცხოველების წინაპართა აკვანი, ეს ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ ბორჯომის ხეობიდან რუსეთის თვითმპყრობელობის აგენტების მიერ ციმბირში გადასახლებულთა შორის ვხვდებით პეტრე კეცხოველის გვარსაც. ვიცით ისიც, რომ მისი ორი შვილი, ზაზა, იგივე ზაქარია, და ეფემია სოფელ ბრეთში ცხოვრობდნენ. თვითმპყრობელობამ ბავშვებს მამა მოაშორა, დედა გათხოვდა ცხინვალში მიხეილ ელიოზიშვილზე და ბავშვები ნათესაეების ამარა დარჩნენ. მალე 11 წლის ეფემია სოფელ ატოცში გაუთხოვებიათ ვინმე დიდებულდიძეზე, და სიძეს პატარა ზაქრო თან წაუყვანია. მეტად მკვირცხლი, თავლა, ხუჭუჭა ბიჭი მოყვარეს მწყემსად გაუმწყესებია, და ზაქრო ბავშვობიდანვე მშრომელთა ფერხულში ჩაბმულა. ზამთარში როცა მინდორი თოვლით თეთრადაა გადაფენილი და ბალახის ჭკანება არ არის, ბოსელში დაბინავებულ საქონელს ზაფხულში მომარაგებულ თევით ჰკვებავენ და მწყემსს შედარებით თავისუფალი დრო აქვს და ოჯახის საქმიანობას მისდევს. ჭირნახული დაბინავებულია, შეშა მოტანილი, ბუხარი ვიზვიზებს. ეფემიას დედამთილი სამოციქულოს კითხულობს და დროდადრო ცნობისმოყვარე ნიჭიერ ბავშვს ხუცურ ანბანს ასწავლის. ზაქარია კითხვაში გაიწავა და რაც კი საეკლესიო წიგნები მოიძებნებოდა ოჯახში, გადიკითხა. ამით ამოიწურა ბავშვის განათლება.

თუ დღეს ძლევაგმოსილმა ოქტომბრის რევოლუციამ ძირიან-ბუღიანად შესცვალა ჩვენი ქვეყანა, თუ დღეს განახლებული ჩვენი სოფლები დაქსელილია სკოლებით, თეატრებით, კინოებით და ათასგვარი კულტურული გასართობებით, სულ სხვა სახე ჰქონდა ძველ სოფელს, იმ დროინდელ სოფელს, როცა ზაქარია კეცხოველი დიდებულდიძეების მწყემსად იყო. ან ვის ეცალა გართობისათვის, როდესაც გაძვალტყავებულ გლეხობას ათასი წურბელა ეხვია და სისხლს სწოვდა. მეფისა და მისი აგენტების, მებატონეების უღლის ქვეშ მკენესარე გლეხობა, ჯაფისაგან წელმოწყვეტილი, კვირაობით თუ მოიცილიდა, ეკლესიის კარებთან შეიკრიბებოდა და მასლაათით ბოღმას იქარებდა. იქვე მახლობლად პატარა ბიჭები, დიდებისგან წაქეზებულნი, შურდულივით ერთმანეთს ეკვეთებიან, ფალავნობენ და ჭიდაობენ, ყირა-ყირა გადადიან ან ლახტით ერთმანეთს კანჭებს უხურებენ. სამრეკლოს ზარი კი მორწმუნეთ ეკლესიაში ეპატივება და სააქაოს ჭირვარამის მოჭარებებს საიქიოში ჰპირდება. თამაშობით დაქანცული პატარა ბიჭები ახლა ეკლესიისაკენ მიეშურებიან, და ახალი სანახაობით ერთობიან.

ზმირი სტუმარი უნდა ყოფილიყო ეკლესიისა ზაქრო, რადგან მალე მიეღი წირვა-ლოცვა ზეპირად შეისწავლა, ხან დიაკვნს ჰბაძავდა, ხან მღვდელივით ბუტბუტებდა და ტოლებში გაკვირვებას იწვევდა. რა იცოდა ზაქრომ, რომ ეს მისი ბავშური ვატაცება ძირიან-ფესვიანად შესცვლიდა მის ცხოვრებას და მშრომელი მწყემსიდან ეკლესიის მუქთა-ზორა მსახურთა რიცხვში მოაქცევდა. ერთმა გარემოებამ შეუწყო ამას ხელი. ატოცის მღვდელი საგონებელში ჩავარდა,—ნებისკვირის დასაწყისის თავისი მარჯვენა ხელი მედავითნე გარდაეცვალა. დალახვროს ეშმაკმა, მერე რა დროს! შავად შემოსილი დიდი ხუთშაბათი ცხვირწინ არის, ეკლესიის პირველი ბარაქის მომცემი, ზედად წითელი პარასკევი, შაბათის ცისკაპი და, რაც მთავარია, აღდგომა. არა, მოხუცი მნათეთი იოლად ვერ წავა. წყეულმა ოთხი ლოცვის მეტი არაფერი იცის, სულთათანის დროს „მრწამს ერთი ღმერთის“ გაიძახის, „ამინის“ ნაცვლად — „უფალო შეგვიწყალეს“. რა ეჩქარებოდა მედავითნეს, „პირი გამეხსნილებინა“ და ისე განესვენა წილისა შინა აბრამისასა. მაგრამ რას იზამ, მიწა იყო და მიწად იქცა. მკედრე-

თით ადგომა მხოლოდ სახარებაშია და რამდენი კაცი დაუტოვებდას ატოცის მღვდელს, რამდენისათვის დაულოცნია სასუფეველის გზა, მაგრამ უკან დაბრუნებული იქიდან არავის არ უნახავს. დახე ბედს: ჩვეულებრივად კარიელი, სანთლისა და საკმეველმოყრილი ნაკვერცხლის კვამლისაგან... მწვერუტული ეკლესია ადღგომის კვირას უნდა გაივსოს მორწმუნე ხალხით. მორწმუნესთან ერთად უნდა მოვიდეს ურწმუნოც, მოხუციც და ახალგაზრდაც, ნაზიარებელიც, და უზიარებელიც, შლოცავიც და თამაშის მოყვარულიც, ლიტანიის ღამეს უნდა აპრიადნენ სანთლები, მნათის დახლი უნდა გაივსოს კაპიციანებით და უწალთუნიაანებით, მღვდელს-კი ათადან-ბაბადან გაზეპირებული ბანის მიმცემა არ ჰყავს.

ბედად ურჩიეს, დიდებულიძეების მოყვარემ, ახალგაზრდა ზაქარია მ ხუცუ-რი კარგად იცის, ხმა კარგი აქვს, კილოზე ვალობს და სწორედ საღიაკენოდ არის ზედგამოტყრილიო. ზაქარია დააწინაურეს და ვნებისკვირას დიაკვნის როლი დააკისრეს. უეპველია კმაყოფილი დარჩა მღვდელიც, მრეველიც, ხოლო ზაქარია საქართველოს ექზარხოსის კონტორის მედავითნეთა რიცხვში მოხვდა. ნაცვლად იფნის სახრის, გაქუტყვიანებულ ტილოში გამოკრული გამხმარი პურისა და ნივრისა, მენახირის საგზლისა, ძროხის ქონით ვალაპლაპებული ღილე-ბით დამშვენებულ თასმის ქამარში გარკობილი საღამურისა, ნახშირში „ხიო“ და „დიდოს“ ძახილისა, ზაქრო ახლა წმინდა სანთლისაგან დაღვენთილ, ეამთა გამოისობით გაყვითლებულ ფსალმუნს და სამოციქულოს ფურცლავს, „წმინდაო ღმერთო“ იძახის და ტაბლის მეოთხედს ხურჯინში სდებს. ზაქარიას ატოცში მამულ-დედული არა ჰქონდა. დიაკვნობით ირჩენდა თავს და 60-იან წლებამდის მხარს უმშვენებდა ატოცის მღვდელს.

60-იან წლებში საქართველო, ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი სხვა ადგილები, მისიონერებით გაივსო. ოსების გაქრისტიანებას განავრძობდნენ და მეფისა და ეკლესიის აგენტები სოფლებს მოედევნენ. მისიონერობა ყოველთვის აგრესიის იარაღი, ხალხთა დამონების საშუალება იყო. ვ. ი. ლენინი სტატიკაში „ჩინეთის ომი“ სწერდა, რომ ევროპის კაპიტალისტები „ფარისევლურად ფარავენ ძარცვის პოლიტიკას ქრისტიანობის გავრცელებით“ო. რუსეთის ეკლესიის აგენტების მიერ ოსების გაქრისტიანებას სამრევლოე-ბის გამრავლება მოჰყვა და სამღვდლოეების საშტატო ერთეულების გადიდება.

აი, ამ პერიოდში ზაქარია დააქორწილეს, აკურთხეს მთავრად. რამდენიმე ხნის შემდეგ მღვდლად და ლიახვის ხეობაში სოფელ მალრანდვალეთში გაამწესეს. მალრანდვალეთში ზაქარია მღვდლის ოჯახში დაიბადნენ ნიკო, გიორგი, ანეტა და სანდრო. 70-იან წლებში ზაქარია სოფელ ტყევიანში გაამწესეს. აქ მას შეეძინა კიდევ ორი შვილი—ლადო და ვანო. ზაქარია მ სახლკარი გაიჩინა, მამულ-დედული შეიძინა. პატარობიდანვე შრომის მოყვარე, ერთგული მწყემსი თავის მოყვრების დიდებულიძეებისა, დიაკვნობისა და მღვდლობის უქმმა ცხოვრებამ იგი არ გააზარმაცა. კვირას ვარიიერაჟზე თუ ცისკარს აყენებდა და ზედ წირვას გადააბამდა, სხვა დღეებში ის დამკლავებული ყანაში მუშაობდა და ოჯახს დოვლათს მატებდა. ღამე მაგან არ იცის და დღე, იძახოდნენ გლეხები, როცა გაბურძნული თმით, ანაფორა გახდილი, მღვდელი პაპანაქება სიტხეში მარდად იქნევდა ცელს და საჭონელს ზამთრის საკვებს თივას უმზადებდა. პურაძვირა არ იყო, იცოდა მოლხენა სტუმართან, მაგრამ იმავე დროს ანგარიშიანი და მომჭირნე იყო. ეენახში მიმავალი თუ შეამჩნევდა ლობიოს ერთ ლებანს ძირს დაგდებულს, აიღებდა და ჯიბით მიიტანდა სახლში. რკინა იქნებოდა დაგდებული გზაზე, ვადატეხილი ლურსმანი თუ ურმის მორგვიდან გამოვარდნილი სოლი, ზაქარია მას თავის დანიშნულებას მისცემდა, სახლის

ერთ კუთხეში სპეციალურად მიკუთვნებული კართის საწყობში მივადგენ. რიყის ქვით სავსე ვენახი ზაქარიას და მის პატარა მორბედების ხელით მოსუფთავებულ იქნა, და აქი სოფელმა კაცხოველებს ზედმეტ სახელად ქვეყნფიანი დაარქვა. ხენათესვა ბარაქიანი ჰქონდა ოჯახს და მარტოკაცის მსგავსად, მუშებს იხმარებდა, მაგრამ ყოველთვის მათ მხარდამხარ მისდევდა და ებერგოული მოძახილით სიმარდეში და მკლავის ძალაში ეჯიბრებოდა თანამესოფლებს. პატარობიდანვე დიაკვანი, შემდეგ მთავარი და მღვდელი მაინც და მაინც დიდი მორწმუნე არ იყო. მღვდელი მსახურებდა, დაწესებულ დრამას და სამარხს ართმევდა გლეხობას, მაგრამ სოფელი მაინც უკმაყოფილო არა ჰყავდა, არა ჰყავდა იმიტომ, რომ იგი დიდად განირჩეოდა, იმ მუქთახორა მღვდლები-სავან, რომელთა რიცხვიც დიდი იყო და რომლებიც თავიანთ წრეში მახინჯად და განრისხულად სთვლიდნენ იმას, ვინც გლეხობას ორპირტყავს არ აძრობდა. მეფისა და მებატონის უღლის ქვეშ მკენესარე გლეხობა თავის ბოლმას და ვარამს ხალხური პოეზიის მარგალიტ მძივებად აწყობდა და თუ ბატონებზე გაიძახდა

„დასაქცევი მებატონე
ჩამოივლის ვარიანსა,
წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიასა“.

არანაკლებ ამათრახებდა ეკლესიის მუქთახორა აგენტებს და დამღვრდა:

„ჩვენი მღვდელი, სულის მტერი,
სუსანაკი, ტაბლის მტერი,
სანამ კორკოტს აკურთხებდა,
ცხრაჯერ მიატანა ხელი.“

მართალია, ზაქარია ამ წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ გამონაკლისთა რიცხვს შეადგენდა, რომელთა ჩამოთვლაც თითებზე შეიძლებოდა. უჯიათი, უკმეხი და პირში მთქმელი თავისი უფროსების წინაშე ის ქედს არ იხრიდა და არ მლიჭნელობდა.

ერთ დღეს ზაქარია თავის მუშებთან ერთად სიმინდსა სთოხნიდა. ქაჩანით მნათე ამოვარდა:

— მამო, არქიმანდრიტი ამობრძანდა და სასწრაფოდ გიბარებს.

— ნეტა რა უნდათ მაგ მამაძალღებს, რას დატანტალებენ, საქმე არა აქვთ... არ დაათავა სიტყვა, გადაიკვა ანაფორა და ეკლესიისაკენ გაემართა. არქიმანდრიტმა უბრძანა: პარაკლისი უნდა გადაიხადოთ მეფის სადღეგრძელოდო. ზაქარია შეიმოსა და პარაკლისს შეუდგა. მაგრამ, დახე, არქიმანდრიტი შეიკმუხენა; უკმაყოფილოა მღვდლის პარაკლისით და შენიშვნა მისცა:

— სრული პარაკლისი არ დააყენეო.

ვეცი მებტია იმ სულძალღებისათვის — მოუჭრა სიტყვა არქიმანდრიტს მღვდელმა, რომელიც ისედაც გაბრაზებული იყო დაუპატიყებელ სტუმარზე, რომელმაც გახუჩებული თოხნის დროს მუშაობა მიატოვებინა.

შვილები წამოეზარდნენ ზაქარიას. უკვე მამას მხარ-და-მხარ მისდევდნენ და მუშაობაში ბევრჯერ სჯობიან კიდევ. მიწური სახლი ოჯახს აღარ აკმაყოფილებს და ახალი სახლის აშენება განიზრახეს. ქვეყნფიიანთ არ გაუჭირდებოდათ ქვის მოკრეფვა და საძირკვლის ჩაყრა, მაგრამ ხის მასალა არც ისე იოლი საშოვნელი იყო. ლადო უკვე 15 წლისაა, სასულიერო სასწავლებლის მოწაფე, ათისტი. მამას მიმართავს წინადადებით: ვერხვიდან, რომელიც გზის პირას სდგას, კარგი ფიცრები დაიხერხება, მოვჭრათ ის ვერხვიო. მაგრამ ვერხვი ხომ

ნიშანია, ხალხის მიერ წმინდა ხედ ცნობილი. ვინ გაბედავს მის მოქრას? მამა დაითანხმა და ლადო გაუღდა თავის ტოლებით ვერხვისაკენ, მაგრამ მომარჯვებული მღალა აწეული ცულები ჰაერშივე შეჩერდა. ვერ ბედავდნენ წმინდა ხის შეხებას, ეშინიანთ დაკრუნჩხვის, წმინდანის რისხვისა. პატარა ჩახლვისაკენ გაზორბის და ეუბნება მამას: ვიდრე შენ პირველი არ დაჰკრავ ცულს, გლეხები ვერ გაბედავენ ხის მოქრასო. ინტუიციით გრძნობს მამა შვილის სიმართლეს. მღვდელთმსახურმა უკვე კარგად იცის, რომ ჩიტულები ხალხის გონების დასაბნელებლად არის გამოგონილი, შვილის თხოვნას ასრულებს და პირველი შემოაქრავს ვერხვს ცულს. ცა არ მოლორუბლულა, ქექა-ქუხილი არ ამტყდარა, მღვდელი უვნებლად არის, მუშების ცულებიც ამუშავდნენ, — და ის სახლი, რომელიც ახლა ტყვიავშია ნაწილობრივად იმ მასალიდან არის აგებული. ეს იყო პირველი ანტირელიგიური ბრძოლა ლადოსი ტყვიავის გლეხობაში.

ჯანლონით სავსე ზაქარიას შვილებიც კირკიტები და ძარღვიანები ჰყავდა. ნამეტნავად გამოირჩეოდა მათში სანდრო. კრივეში ვის მხარეზედაც სანდრო იყო, ის უბანი იმარჯვებდა. კრივე ძველად სპორტის ერთ სახედ იყო მიჩნეული და მეტად გავრცელებული იყო როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ჯერ რვა წლისა არც კი იყო ლადო, რომ დედით დაობლდა. მართლმადიდებელი ეკლესიის წესით მღვდლად კურთხევა ისე არ შეიძლებოდა თუ ჯვარდაწერილი არ იქნებოდა ის პირი, ვინც სამღვდლოდ ემზადებოდა, ზოლო თუ დაქვრივდებოდა, მეორე ცოლის მოყვანის უფლება არა ჰქონდა. თუ ბუნება მაინც თავისას გაიტანდა და მღვდელი ვისმეს დაუკავშირდებოდა, ასეთ ქალს, როგორც უკანონო ცულს, მთელი სოფელი ყბად აიღებდა, ხასას უწოდებდა და თითოთ საჩვენებელს გახდიდა. ასეთ პირობებში ზაქარიას დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, დიასახლისს ვერ მიიყვანდა სახლში და დაობლებული ბავშვების მზრუნველობა თვითონ მას უნდა ეკისრა. მაგრამ ბედად სოფელს დაუბრუნდა მისი უფროსი ვაჟი ნიკო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ლადოს აღზრდის საქმეში. ნიკომ იკისრა პატარა ლადოს პატრონობა და უდებობა არ აგრძნობინა. ნიკო მეტად საინტერესო ფიგურა იყო. შრომის მოყვარე, მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, მშრომელთა გულის მესაიდუმლე, მიმართულებით ტეტაათა მოტრფიალე, ნაროდნიკი. ნიკო სემინარიის მეოთხე კლასიდან იქნა გამორიცხული, პირველად მასწავლებლად გაამწესეს კახეთში, სოფელ ნაფარულში, იქ ორ წელიწადს დაჰყო, შემდეგ თავის სოფელ ტყვიავს დაუბრუნდა. მოხუც ზაქარიას ოჯახს მუშა-ხელი მოემატა, ენერგიული, სპარტანული სულით გაჯღენთილი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ცოდნით იყო აღჭურვილი და შეეძლო თბილ ადგილზე მოწყობილიყო, ის სოფელს თავს არ ანებებს. ზენა-თესვას, მკას, თონა-ბარვას და ყველა სასოფლო-სამეურნეო მუშაობას კეცხოველების ოჯახი ზაქარიას და ნიკოს მეთაურობით ისევე მისდევდა, როგორც მათი მეზობელი გლეხები. დაჭირავებულ შრომას ალარ იყენებდნენ, თვითონ უძღვებოდნენ ოჯახს და კულტურული მეურნეობის მაგალითს აძლევდნენ მეზობლებს.

მეცხრამეტე საუკუნემდე ტყვიაველები, ისევე, როგორც ქართლის სხვა სოფლელები უმთავრესად ზენა-თესვას მისდევდნენ: სთესდნენ პურს, ქერს, ფეტვს, დიკას, ოსას და სხვ. კულტურულ მებნეობას არავინ მისდევდა და იკმაყოფილებოდნენ ადგილობრივი ძველი ქართული ხილის ჯიშებით. თურამაჟული, ბორაეაშლი, ზერტელი, შავი მსხალი, კალოს მსხალი და სხვა უხვად მოსდიოდა სოფელს, ზოლო მათ გაუმჯობესებაზე არავინ ზრუნავდა, რადგან ხილით პირად მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ და ბაზარზე გატანას არ ფიქრობდნენ. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ტყვიავის ფეოდალებმა ერისთავ-

ბმა მეფის ნაცვლის ვორონცოვის დახმარებით ყირიმიდან მიიღეს ევროპული ჯიშის ნაშენი. სოფელ კარალეთის მებატონეებს უშუალოდ ევროპიდან ჩამოტანილი ჯიშებიცაა გამოუფხავნა ვორონცოვმა. ეს ის ვორონცოვი იყო, რომელიც რუსეთის გენიალურმა პოეტმა პუშკინმა 1824 წელს მწარე ეპიგრამით უძღვნა:

«Полу-герой, полу-невежда,
К тому ж еще полу-подлец,
Но тут однако ж есть надежда,
Что полный будет наконец».

რა ამოკმედებდა პუშკინს, როცა ასეთ მწარე ეპიგრამით გაუმასპინძლდა ნიკოლოზ პირველის განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილ დიდ მოხელეს და პირწაფარდნილ ბიუროკრატს, ეს ჩვენს თემას ასცდება. გავიხსენებთ მხოლოდ, მეფის მთავრობისაგან პეტერბურგიდან განდევნილი პუშკინი მივლინებულ იქნა საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ გენერალ იზნოვთან, სამხრეთის მხრის კალონიის უფროსთან, იქიდან 1823 წლის ზაფხულს დანიშნულ იქნა ოდესაში ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორ მ. ს. ვორონცოვის კანცელარიაში განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ. მ. ს. ვორონცოვი, ნიკოლოზ პირველის საყვარელი მოხელე, ტიპიური ბიუროკრატ, პედანტიური მოთხოვნებით ატანელს ხდიდა თავისთან სამსახურს. თავისუფლების მოტრფიალე პოეტის ბუნება ვერ შეეგუა ვორონცოვს, რომელიც პუშკინში ხედავდა მხოლოდ ხელქვეით მოხელეს და არა რუსეთის საამაყო შვილს და პოეტს. დამოკიდებულება დაიძაბა და ვორონცოვი პეტერბურგს გაგზავნილ მიმართვაში მოითხოვდა პუშკინის განდევნას ოდესიდან. პუშკინმა, როგორც აღენიშნეთ უძღვნა ხსენებული ეპიგრამა და შემდეგშიც არაერთხელ შეეხო ამ ბიუროკრატს. გავიხსენოთ „Певец Давида был ростом мал“, „сказали раз царю“ და სხვ. აი ეს ვორონცოვი 1844 წ. დანიშნეს კავკასიის მეფის ნაცვლად. ვორონცოვის დანიშვნა მოასწავებდა მეფის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას, მის ახალ გეზს, და ამიტომ რუსეთის მართველი წრეები ამ არჩევანს დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ. მთელი რუსეთი ტაშს უკრავდა ამ არჩევანსო,—სწერს ივანენკო თავის წიგნში „სამოქალაქო მართველობა ამიერ-კავკასიაში“. რა იყო ეს ახალი პოლიტიკა და რატომ უკრავდნენ ტაშს რუსეთის მმართველი წრეები ვორონცოვის არჩევას?

1801 წლის აქტით რუსეთის თვითმპყრობელობამ არა მარტო პოლიტიკურად დაიპყრო ამიერ-კავკასია, არამედ ეკონომიურადაც იგი თავის კალონიად გადააქცია. საქართველოს დაპყრობით რუსეთის სამხედრო ძალამ ეკონომიურად გზა გაუხსნა რუსეთის სავაჭრო კაპიტალს და ფართო სარბიელი გადაუშალა მას სამოქმედოდ. ჯერ კიდევ თითქმის ნატურალური მეურნეობის საფეხურზე მდგომ საქართველოს, პოლიტიკურად დაპყრობილს, ეკონომიურადაც იპყრობს რუსეთის სავაჭრო კაპიტალი. საქართველოს დაპყრობის პირველ პერიოდში რუსეთის სავაჭრო კაპიტალის გაბატონება მეტად ტლანქ და უხეშ ფორმებში ხდებოდა. რუსეთის კაპიტალი დაინტერესებული იყო საქონლის გასასაღებელი ბაზარი მოეპოვებინა, და მაშინდელი მართველი წრეების ეკონომიური პოლიტიკაც ამ ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. მაგრამ ეს პოლიტიკა მეტად უხეში ფორმებით ხორციელდებოდა. ბიუროკრატულმა რეჟიმმა, ზალხის ადამ-ზნეგეულებათა აბუჩად ავდებამ, ცარიზმის მოხელეთა თვითნებობამ, უხეირო პოლიტიკამ და, რაც მთავარია, ახალმა სოციალურმა ვითარებამ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში განუწყვეტელ აჯანყებათა კერად გადააქცია. რუსეთის მართველი წრეები დარწმუნდ-

ნენ, რომ დაუნდობელი, სისხლისმღვრელი პოლიტიკა, რეპრესიები საზარალო იყო თვით რუსეთისათვის. ძველი გზით სიარული აღარ შეიძლებოდა და თავის მისწრაფებათა ცხოვრებაში გასატარებლად ახალი გზა უნდა ეძებნათ. მოქნილი, მშვიდობიანი პოლიტიკით ამავე მიზნის მიღწევა შესაძლებლად სცნეს, და მ. ვორონცოვის დანიშვნას სწორედ ამიტომ მიეგებნენ — ივანენკოს თქმით, ტანის კვრით რუსეთის მართველი წრეები, პუშკინის თქმით, ეს ნახევრად ფლიდი ადამიანი კავკასიაში გამომგზავრებისას, უკვე წელთა დაღმართს გადასული (62 წლისა იყო, როცა კავკასიაში დაინიშნა), მთლიან ფლიდად იყო გადატყეული და ამ მხრივ გამართლდა პუშკინის წინასწარმეტყველება.

ეს ფლიდი პოლიტიკოსი შორსმკვრეტელობას და ვინიერებას მოკლებული არ იყო. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ერმოლოვის, როზენისა და გოლოვინის პოლიტიკით სიარული არ შეიძლებოდა. მას მიზნად დასახული ჰქონდა, ისე წაეყვანა თავისი მთავრობის საქმე, რომ ქართველები არ მოემდურებინა. შემპარავე პოლიტიკა არჩია უხეშ პოლიტიკას, ელასტიური პოლიტიკა ამჯობინა ხმალ-ამოდებულ პოლიტიკას. ვორონცოვი კარგად გრძნობდა, რომ მარტო ხიშტით ფონს ვერ გავიდოდა, თუ ქვეყნის შიგნით დასაყრდენი ძალა არ ეყოლებოდა. ასეთ დასაყრდენ ძალად მან ადგილობრივი მაღალი წოდება დაინახა, და მისი გულის მონადირებით რუსეთის საქმეს აკეთებდა. თუ რუსეთის საქართველოში შემოსულის პირველ პერიოდში რუსეთის სავაჭრო კაპიტალს საქართველო სჭირდებოდა როგორც საქონლის გამსაღებელი ბაზარი, რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის განმტკიცება ახალ-ახალ გეგმებს უსახავდა მას. კალონიები მარტო საქონლის გამსაღებელ ბაზრად არა სჭირდება, სამრეწველო კაპიტალს ესაჭიროება აგრეთვე ნედლეულიც თავისი ფაბრიკა-ქარხნებისათვის: მდიდარი რუსურების მქონე საქართველოს ნედლეული რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში უნდა გადაეშენებინა და მზანაწარმის სახით მასვე დაუბრუნდეს და ორბირი ტყავი გასძვრეს. ვორონცოვის 40-იანი წლების სამეურნეო პროგრამა ამას ისახავდა მიზნად. ვორონცოვი დიდის გულმოდგინებით ცდილობდა ამიერ-კავკასიის და კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობა რაციონალურ საფუძველზე გადაეყვანა. ვორონცოვის ინიციატივით დაარსებულ „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ მთავარ ამოცანას შეადგენდა — ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის. ამ მიზნით აწვდიან მიწათმფლობელთ ახალ სასოფლო-სამეურნეო იარაღს, კარგ თესლს და სხვ. დიდი ყურადღება ექცეოდა ფაბრიკებისთვის ნედლი მასალის დამზადებას (ბამბა, თამბაქო, შაფრანი და სხვა). ყოველივე ეს რუსეთის ბურჟუაზიისათვის უნდა მიეწოდებინათ. ვასაგები ხდება, თუ რა ამოქმედებდა ვორონცოვს, როცა იგი არ იეწყებდა ქართლის ფეოდალებს და ახალი ჯიშის ნაძყენს უგზავნიდა. ერისთავის ბაღებში მომუშავე ყმებმა, რომელთა შორის ტყვიაველებიც იყვნენ, წაიღეს ზოგიერთი ნაძყენი და კურკა და თავიანთ ბაღებში დარგეს. ტყვიავეში თეთრ კალვილს თითქმის ღღემდე გლეხები ოტორინეს ვაშლს ეძახდნენ, რადგან იგი ტყვიაველ გლეხს ლექსო ოდიშელს, მეტსახელად ოტორინედ წოდებულს, ერისთავის ბაღიდან წაეღო და თავის ეზოში დაერგო.

ოთხმოცდაათიან წლებში ნიკო კეცხოველმა ტყვიავეში და ისაი ფურცელაძემ შერეთში დაიწყეს ევროპული მეხილეობის გეგმიანად გაშენება; პირველ ხანებში გლეხობა ნიკოს აღმაცურად უყურებდა და იძახდა, ტყიდან ჩამოგვაქვს მუხლის სისხო ძირები, მაინც ვერ გვესწრება და მაგან ბაღი უნდა გააშენოსო. მაგრამ ნაყოფმა იხეთქა, კეცხოველების ბაღი სურნელოვანი ნაყოფით დაიფარა, ძველი ქართული ხილი, ტყის მავალო, კალვილმა შესცვალა, და გლეხობაც მიხვდა, რომ გეგმიანად დათესილ კურკას, გაუმჯობესებულად მოვილილ

ნაყოფს მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ათადან-ბაბადან თავის ნებაზე მიტოვებულ ხეხილს. ტყევაეში ახლაც არიან მომსწრენი, რომლებიც გეტყვიან, თუ ვის როდის დაეხმარა ნიკო კეცხოველი ნამყენის გაშენებაში. ნიკო კეცხოველის მოღვაწეობა ამხრივ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი სახელი კეცხოველის ფარგლებსაც გასცილდა და მან კულტურული, მეხილეობის პიონერის სახელი დაიმსახურა.

ხშირად მეზობელ სოფლებიდან მიდიოდნენ ნიკო კეცხოველთან გლეხები და სთხოვდნენ ბაღების დაგეგმვას და ნამყენით გაშენებას. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ ნიკოს შეტაკებას ბაღების გაშენების ირგვლივ ერთ-ერთ მაშინდელ მებატონესთან, მიხეილ ერისთავთან (მეტ სახელად სიფთად წოდებულთან) დიდი მამულ-დედულის პატრონი სოფელ ნაწრეტის თითქმის მთელი საუკეთესო მიწების მესაკუთრე, ჩამარუხის და ქოლოს მთების მფლობელი, მიხეილ ერისთავი მეტად თვითნება და ახირებული კაცი იყო. უკმ ცხოვრებას დაჩვეული, მფლანგველი და მოჭეიფე, ის შრომას სამარცხივინოდ სთვლიდა და გლეხების ნაოფლარით სცხოვრობდა. სცხოვრობდა ამ ნაოფლარით, რადგან მაშინდელი უკულმართი სოციალური პირობები ამას ხელს უწყობდნენ. ბატონყმობა გადაეარდნილი იყო, მაგრამ მებატონეებს ფრთები არა ჰქონდათ შეგვეცილი და მათ თარეშს საზღვარი არა ჰქონდა. „ყბადაღებული განთავისუფლება“, — სწერს ლენინი, — იყო გლეხების უოვლად უსინდისო გაძარცვა. იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას. „განთავისუფლების“ გამო საგლეხო მიწებს შეენიადგაიან გუბერნიებში ჩამოსჭრეს ერთი მეხუთედ ნაწილზე მეტი. ზოგიერთ გუბერნიებში ჩამოსჭრეს, წაართვეს გლეხებს მათი მიწის მესამედამდე და ორ მეხუთედამდეც კი. „განთავისუფლების“ გამო საგლეხო მიწებს ისე მოეჩაუნდნენ მემამულურ მიწებისაგან, რომ გლეხები ესახლებოდნენ „ქვიშაზე“, ხოლო მემამულური მიწები სოლებად იჭრებოდნენ საგლეხო მიწებში, რათა კეთილშობილ თავად-აზნაურთ უფრო ადვილად შესძლებოდათ გლეხების დამონება და მათთვის სავახშო ფასებში მიწის გაცემა. „განთავისუფლების“ გამო გლეხები აძიულეს „გამოეყიდათ“ მათი საკუთარი მიწები, ამასთან მათ გადაახდეინეს ნამდვილ ფასზე ორჯერ-სამჯერ მეტი. საერთოდ მთელმა 60-იანმა წლებმა „რეფორმათა ეპოქამ“ გლეხი გადატაკებული, დამცირებული, უმცყარი, მემამულე-მებატონეებისადმი დამორჩილებული დასტოვა, როგორც სასამართლოსა და მართვა გამგეობაში, ისე სკოლასა და ერობაში.

„დიდი რეფორმა“ მებატონური რეფორმა იყო და არც შეიძლება სხვანიირად ყოფილიყო, ვინაიდან მას ანხორციელებდნენ მებატონეები“ (ლენინი — XV ტომი, გვ. 177).

„რუსეთში გლეხებს „ანთავისუფლებდნენ“ თვით მემამულენი, თვითმპრობელური მეფის მემამულეთა მთავრობა და მისი მოხელენი და ამ „განთავისუფლებლებმა“ ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხები „განთავისუფლდნენ“ გაძარცვულ-გალატაკებულნი, გამოვიდნენ მემამულეთა მონობიდან და იმავე მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ“ (ლენინი — „ბატონყმობის გადავარდნის ორმოცდაათი წლის თავი“, XV, გვ. 132 ქართ. ენაზე).

„დიადი რეფორმა“ საქართველოში, რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით, 3 წლის შემდეგ ჩაატარეს. ბრძანება ბატონყმობის გადავარდნის შესახებ მაშინდელ თბილისის გუბერნიაში და, კერძოდ, გორის მაზრაში 1866 წლის, 8 ნოემბერს გამოცხადდა. გამოქვეყნებულ დებულებაში ნათქვამი იყო: „ყმობა მემამულეთა მიწაზე დასახლებულ გლეხებისა და შინაყმებისა ისპობა სამუდამოდ“... „მიწა წარმოადგენს განსაკუთრებულ საკუთრებას თავად-აზნაურებისა.

მემამულეები ინარჩუნებენ საკუთრების უფლებას მთელს მათ კუთვნილ მიწებზე. დადგენილ ბეგარათა მიხედვით, გლეხობას მუდმივ სარგებლობაში აძლევენ საკარმიდამო მიწას, ამას გარდა, მათი ყოფა-ცხოვრების უზრუნველსაყოფად, მათ მიერ მთავრობისა და მემამულეთა წინაშე ~~ახიფთავებული~~ ვალდებულების შესასრულებლად, სახნავი და სხვა ვარგისი მიწების განსაზღვრულ რაოდენობას.“

ამრიგად ყმები გაანთავისუფლეს უმიწაწყლოდ. მათ მონობას თავი დააღწიეს და იმავე მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ. მიხეილ ერისთავი სწორედ ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ მუქთახორა მემამულეებისა, რომლებიც გლეხების ნაოფლართ სტოვრობდნენ და უზომო ღირსების შეფეოებით კაბალურ მდგომარეობაში აგდებდნენ გლეხებს. თვალუწვდენელ ზოცებებს, სამოვრებს და ტყეებს თვითონ ვერ უფლიდა, იჯარით და ღალით აძლევდა გლეხებს და მოსავლის მეოთხედსა და ხშირად ნახევარსაც ართმევდა. ვაი, იმას, ვინც უჩირობას გაუწყვედა და თავისი შრომის ნაყოფის დასაკუთრებას შიინდომებდა. ასეთ უჩივებს მითრახით უჭრებებდა ზურგს და ოჯახს უწიოკებდა. მიუხედავად დიდი შემოსავლისა, მუქთად ნაშოვარს ისე უზომოდ ფლანგავდა, რომ დიდი შემოსავალი არა ჰყოფნიდა და შუა ზამთარში პურიც კი გამოეღვოდა ხოლმე. ეს მუქთახორა კირვეული მემამულე მეტად ახირებული ხასიათისა და თვითნება იყო, რასაც ერთი პატარა ეპიზოდი ადასტურებს. ერთ დღეს ამ ერისთავმა მამითაი მოაწყო. გლეხებს დააეღა ვენახის შეწამლევა და შესერვა, თვითონ კი ცხენს მოაჯდა და საჭეფოდ გასწია. მეორე დღეს გადახტედა ვენახს და წარბები შეიკმუნა. უცბად აფეთქდა, აპილილდა და შერიალა — რატომ ყველა ჭივოს წვერი მთის მწვერვალს არ უყურებსო. ბრძანება გასცა ამოეყარათ ჭივოები.

აი ამ ერისთავმა განიზრახა ხილის ბაღის გაშენება ევროპული ჯიშის ნაშენებით. მიმართა ნიკო კეცხოველს, ბაღი დაიშენებო, ნაშენით გამოიშენე და გასამრჯელოს მოგცემო. შეთანხმდნენ, გასამრჯელოში 36 ცხვარი უნდა მიეცა ერისთავს ნიკოსათვის. ნიკომ პირობისამებრ დაგეგმა ნაკვეთი და ოთხ ჰექტარამდე ნაშენით გაუშენა. წერილობითი ხელშეკრულება არ დაუდევით და სიფთა თავის სიტყვას როგორ შეასრულებდა მუქთახორობას დაჩვეული გასამრჯელოს გადახდაზე სულ არ ფიქრობდა. კვირა დღე იყო. ნიკო თავის მეგობრებშია. სჯაბაასისას ერთ ერთი ამბობს — პური დღეს სადა ევაშოთო.

პური ჩემი, — იხახის ნაროდნიკების წრის წვერი ლუარსაბ ერისთავი, — ლეინო ალექსი ფავლენაშვილისა (ნაროდნიკ რომან ფავლენიშვილის ძმა), ხორცი ნიკო კეცხოველისა.

— სიფთას ცხვარი ჩამოუფიდა მთიდან, ოცდათექვსმეტ ცხვარში ერთი ცხვარი მაინც მოგცეს, მე წავალ და მოვთხოვ. — წამოიძახა ერთმა.

გასწია ერთმა მიხეილთან და მოსთხოვა ცხვარი. გადირია ეს ისედაც გადარეული გვამი: როგორ მიხეილს ვილაც უნიფხოსშვილი საფასურის მოთხოვნასო. გასძახა ბიჭებს, ამოყარეთ ნაშენი და მიაყარეთ კეცხოველსო.

ყოფმორეული დაპჭორდა ბაღში და ნაშენს აჩუჩინებდა მოჯავაზარეებს. პირში მთქმელს, გლეხების ქომავს, ნაროდნიკული იდეებით გამსჭვალულ ნიკოს ისედაც ვერ ინებებდა ეს ვათამამებული მემამულე და ამ დღიდან ხომ ნიკოს მოსისხლე მტრად გადაიქცა და მის ვაციმბირებას ნატრულობდა. მიხეილ ერისთავი და ძმანი მისნი ნიკოში ხელდავდნენ კლასობრივ მტერს და ყოველგვარ ზრიკს მიმართავდნენ თავიდან მოეშორებინათ ის ადამიანი, რომელსაც გლეხის კირი თავისად მიანდა და მზად იყო მტლად დასდებოდა მშრომელთ და მათ სამსახურში დაეღია სული.

ნიკო კეცხოველი მიმართულებით ნაროდნიკი იყო, ამხ. ლ. ბერძენი თავის შრომაში „ლადო კეცხოველი“, ეხება რა ნიკო კეცხოველს, აღნიშნავს „უფროსი ძმა ნიკო 1878 — 1895 წლების პერიოდში ნაროდნიკი იყო და კავშირი ჰქონდა გაბმული რუს ნაროდნიკებთან“.

ნიკო კეცხოველი ერთი აქტიური წევრთაგანი იყო მაშინდელი გორის მაზრის ნაროდნიკული წრისა, ხოლო ამ წრეს, რომ კავშირი ჰქონდა გაბმული რუს ნაროდნიკებთან, ამის შესახებ ნაროდნიკული მოძრაობის ერთი აქტიური წევრთაგანი შიო დავითაშვილი სწერს: „თბილისიდან ჩვენთან მოდიოდნენ რუსი რევოლუციონერები — ემიგრანტები სხვადასხვა ფსევდონიმით, ჩვენი ნაცნობების რეკომენდაციებით... რამდენჯერმე გვეწვია „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი „ანა პავლოვნა“, რომლის მონაწილეობით ვაწყობდით თათბირს რევოლუციონური პარტიის გაფართოებისა და ჩვენი პარტიის ჩამოყალიბების შესახებ, რომ უფრო აქტიური და ნაყოფიერი ყოფილიყო ჩვენი მუშაობა და გვქონოდა შეუწყვეტელი კავშირი რუსეთის რევოლუციონერ პარტიასთან“ (შ. დავითაშვილი „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“ გვ. 86).

ნიკო კეცხოველი დავითაშვილის ნაამხანაგარი იყო. იმავე მოგონებაში ავტორი სწერს: „ამოვიდა (გორში — შ. დ.) აგრეთვე ჩემი ნაამხანაგარი ნიკო კეცხოველი. იმასაც სემინარია მიეტოვებინა. მოიყვანა ჩემთან თავისი პატარა ძმა სანდრო, რომელიც საქალაქო სასწავლებელში მიებარებინა, მთხოვა ბინა ჩემთან ჰქონოდა“ (იქვე, გვ. 77). დავითაშვილი ეხება რა ნაროდნიკულ მოძრაობას საქართველოში და თავის პირველ გასვლას ხალხში, სწერს: „ხალხში გასვლა გადაწყვეტილი მქონდა, მხოლოდ დროს ვაცდიდი, სანამ საზაფხულოდ სასწავლებელს დახურავდნენ. ეს დროც დადგა, და მეც გავემგზავრე გორს.“

აქედან ქართლის სოფლებისაკენ დავიკავე გეზი და მოვიარე ის სოფლები, სადაც ნაცნობ-ნათესავები მეგულებოდა. სამყოფი ბინა კი ტყვიავეში მქონდა... რევოლუციონური ლიტერატურა ხელიდან ხელში გადადიოდა, რევოლუციონური სიტყვები და სიმღერები თავისუფლად გაისმოდა... ტყვიავეში პატარა სტამბის გამართვა დავაპირეთ, ამაში ვასილ სამადაშვილის იმედი გვქონდა. ამ სტამბაში უნდა დაბეჭდილიყო ქართ. რევოლუციონური წიგნაკები და პროკლამაციები. ამისათვის ზოგი ნათარგმნი და ზოგიც გულდაგულ საამისოდ ქართულად დაწერილი წიგნაკები დამზადებული ჰქონდათ ვასო დეკანოზიშვილს და თვით ვასილ სამადაშვილს. [პატარა საბეჭდავი მანქანა უკვე შეგულეებული გვქონდა და დღე-ღღუზე მოველოდით“ (გვერ. 30).

ცნობილი ხალხოსნური მოღვაწე და მწერალი სოფრომ მგალობლიშვილიც ეხება ტყვიავეში მოწყობილ სტამბას თავის „მოგონებაში“. იგი სწერს: სამადაშვილი სტამბის ხელობის მცოდნე იყო. თბილისის სემინარიაში სწავლის დროს ის, მე და პოეტი სოსიკო ბაქრაძე დავიარებოდით ანტონ ფურცელაძესთან „მნათობის“ რედაქციაში. იქვე სტამბა იყო. აქ სამადაშვილმა შეისწავლა ასოთამწყობობა, ბეჭდვა და აკინძვა, ჩვენც ესწავლობდით, მე განსაკუთრებით შევისწავლე კორექტორობა. აი ამ სამადაშვილმა, რომელიც მაშინ სოფელ ტყვიავეში მღვდლობდა, მოაწყო პატარა სტამბა თავის სახლში, რომელიც მდებარეობდა სოფლის გარე, მდ. პატარა ლიხვის პირად. გვქონდა ასოები და ერთი ხელით სამუშაებელი საბეჭდავი დაზვა თავის მოწყობილობით“ (ს. მგალობლიშვილი — „მოგონებანი“, გვ. 76).

1876 წლის 6 აგვისტოს (ძვ. სტილით) სოფელ მერეთში ქაიხოსრო და დითყო ფურცელაძეების სახლში ნაროდნიკული წრის კონფერენცია მოეწყო, „სჯაბაბასის დროს იაგორა იოსელიანი ხშირად გამოჩნდებოდა თურმე და უბის

წიგნში იწერდა ნაღაპარაყვეს, როცა ქაიხოსრო ფურცელადემ შენიშნა ეს გარემოება, იოსელიანმა უპასუხა, რომ კუჭი აქვს მოშლილი და ეს აიძულებს გარედ ვასვლას“ (მ ვ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი — „მოგონებანი“, გვ. 77).

იაგორ იოსელიანი ქანდარმერიის აგენტი გამოდგა და შრომისკაცობის დასმენით ნაროდნიკული წრე ჩაიშალა. 1876 წ. სექტემბერს გორში გაჩნდა ქანდარმის როტმისტრი ხრისტოფოროვი და ნაროდნიკული წრის წევრების ჩხრეკასა და დაპატიმრებას შეუდგა. ქანდარმერიის აგენტები სოფ. ტყვიავშიაც გაჩნდნენ და საიდუმლო სტამბის აღმოჩენას შეეცადნენ. „ვისილ სამადაშვილს სტამბა ვერ უპოვნეს, თუმცა ძალიან გულიანად ეძებნათ. მამა ვისილს დაზვა ეკლესიის ტრაპეზში დაეშალა და აბა ქანდარმი რას მოიფიქრებდა, თუ „ღვთის სახლს“ მაშინ რევოლუციის საწყობად გახდიდა ვინმე. სახლში უპოვნეს მხოლოდ რამდენიმე ასო. აქედან დარწმუნდნენ, რომ სტამბა უეჭველში იყო. სამადაშვილმა აუხსნა, რომ ასოები გამოჰყვა მას ჟურნალ „მნათობის“ სტამბიდან და სახსოვრად მქონდა შენახულიო. მაგრამ ვინ დაუჯერა!“ (მ ვ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი — „მოგონებანი“, გვ. 79).

სამადაშვილი დააპატიმრეს. იმავე ხანებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქანდარმერიამ გააჩაღა რეპრესიები ნაროდნიკების მიმართ. შიო დავითაშვილის ვადმოცემით, 1876 წლის ნოემბერში ნაროდნიკული წრის 13 კაცი დააპატიმრეს, შვიდი გაჩხრიკეს, ექვსი პოლიციის მხედველობის ქვეშ დასტოვეს, ოცდაოთხს აეკრძალა საცხოვრებელი ადგილიდან სადმე წასვლა. ჩხრეკა და დაპატიმრება გრძელდებოდა.

ნაროდნიკული წრეების პირველი მარცხი და მისი წევრების დაპატიმრების წელი დაემთხვა ლადო კეცხოველის დაბადების წელს. სოფელს მოაშორეს სამადაშვილები. მაგრამ მათ ნაცვლად ხალხი მომავალ მებრძოლებს ზრდიდა, მებრძოლებს, რომელთაც უფრო ფართო მიზნები ჰქონდათ დასახული და მარქსისტული თეორიით შეიარაღებულნი მშრომელთა განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

1876 წელს სოფელ ტყვიავში კეცხოველების ოჯახში დაიწა აკვანი და აიღვა ფეხი ბავშმა, რომელმაც სიყრმიდანვე მშრომელი ხალხის სამსახური დაისახა მიზნად და რომელიც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე გმირული ბრძოლით იმ პირთა რიგებში ჩადგა, ვისაც „ბოლშევიკური პარტია პარტივისციემით იხსენებს... და მათი ცხოვრების და რევოლუციური ბრძოლის მაგალითზე ზრდის ბოლშევიკთა ახალ თაობას“ (ლ. ბ ე რ ი ა — „ლადო კეცხოველი“, გვ. 5)

ლადოს ბავშვობის შესახებ ნაყლები ცნობებია, ფუფუნებაში და ძიძვებით იგი არ იზრდებოდა, რომ ბავშვის ყოველი ნაბიჯი აღბეჭდილი ყოფილიყოს ფოტო-სურათებით. მოსიყვარულე მშობლები ზრდიდნენ თავიანთ მეხუთე შვილს ისევე, როგორც უფროსი შვილები აღზარდეს. მშობლიურ სიყვარულს და მზრუნველობას არ აკლებდნენ პატარა ლადოს და ნატრულობდნენ სასახელო შვილი გამოეყვანათ.

ტოლბიკებში ფეხშიშველა სირბილს, ჭიდაობას, ღიღობანის თამაშს, ლაბტს ლადო, ისევე, როგორც მისი ტოლები, არ გაუბოდა, მაგრამ გონებაში ჩავარდა თუ არა, თამაშს ამჯობინებდა მიცუტკებულოყო მოხუცებთან, ზღაპრები მოესმინა და თავისი დაუშრეტელი ფანტაზია აემუშავებინა. ლადოს ძალიან უყვარდა ტყვიაველი უსინათლო მოხუცი ზურაბი, რომელიც დახელოვნებული იყო ზღაპრების თქმაში. „ლადო, — სწერს მისი უმცროსი ძმა ვანო თავის მოგონებაში, — მოწმე იყო ხალხის უუფლებობის ტრაგიკული სცენებისა და ეს გულსმეორი და მგრძნობიარე ბავშვის გულში ღრმა კვალს

სტოვებდა“. ერთხელ პატარა ლადო მოწმე ვახდა უსინათლო ზურაბის ოჯახის აწიოკებისა. სტრაციელები ზელით შეეხნენ მოხუცს და აატირეს ბავშვი უყურებდა ამ სცენას და დაბალუპით სდიოდა ცრემლები. ზურაბს-სცემენ, ზურაბსა სცემენ,—ყვირილით გარბოდა სახლში ბავშვი და შევლდას ჩაბოჯოდა. ასეთმა ტრაგიკულმა სცენებმა ნიადაგი მოუმზადეს იმ სიძულელილს, რომლითაც ბავშვი აღიჭურვა მჩაგვრელების, გლეხების დამწიოკლების წინააღმდეგ და დავაყაყებისას მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი და ბრძოლით აღსავსე ცხოვრება ამ მჩაგვრელებთან ბრძოლას შეაღია.

ლეთისმსახურ მამას უფროსმა ვაჟმა ნიკომ იმედი არ გაუმართლა. ჭრისტიანულ გზას ასცდა და მღვდლის ანაფორათი არ შეიმოსა. იქნება ლადო მაინც ეკურთხოს მღვდლად და ჩემი ადგილი დაიკავოსო—ფიქრობდა უეჭველია მამა, როცა პატარა 7 წლის ლადო გორში ჩაიყვანა 1883 წელს და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა.

თავი მეორე

ლადო კეცხოველი გორის სასულიერო სასწავლებელში.

გზედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნჩევე ბალებსაც ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.

გ. ჰალადიდელი

გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა, ცნობილმა ნაროდნიკმა სოფრომ მაგლობლიშვილმა, თავისი მოთხრობის „წარსულიდან“ მეორე ნაწილს,—სკოლაში“—უბიგრამად გ. ჰალადიდელის ლექსის ეს ნაწყვეტი წაუძმღვარა. ავტორი შავი საღებავებით აკვიწერს სამოციანი წლების სკოლას და თავის მოთხრობის გმირს ასე ალაპარაკებს: „ათას რვაას სამოცი წელი... ისეთი ასოებით ამოიჭრა ჩემის გულის ფიცარზე, რომ თავის დღეში არ დამავიწყდება. სიკვდილის შემდეგ შავი მიწაც კი ვერ ამოსჭამს იმ წელიწადს. ეხლაც კი, როცა მომავონდება ეს დაუეწყარი დრო ჩემს ცხოვრებაში, ტანში ურუანტელი დამივლის თავიდან ფეხებამდე, გამაცახცახებს, გუნებას შემიშლის და ერთ წამს ჩემი თავი შეგორდად წარმომიდგება, ათას რვაას სამოცი წელი ჩემს წინ მოჩენებასავით წამოიყუცება და თითქმის ბრძანების კილოთი ხელს მიშვერს: „დრო მოგივიდა სასწავლებელში წასვლისა, ტყუილად ნუ გეზარება, უნდა წახვიდე“. როცა ამ წარმოდგენიდან გავინთავისუფლებ ხოლმე თავს, გულიდან რაღაც დარდი მომეშვება და განახლებულს ვგრძობ ხოლმე თავსა“.

იგივე ავტორი თავის მოგონებაში სწერს:

„ი ამასთანა დროს, როცა „როზგი“ მეფობდა, ჩამიყვანეს სასწავლებელში (ლაპარაკია გორის სასულიერო სასწავლებელზე). მე, ბავშვს, წარმოდგენილი მქონდა, რომ მამაშვილურად მომეპყრობოდნენ. პირველ შესვლახვე ვიგრძენი ჯოჯოხეთის ალი: კლასში იდგა გნაისი, ყვირილი, ტირილი.—ამას როზგს სცემდნენ ტიტველა ტანზე, იმას სახაზავს უტყაბუნებდნენ ხელზე ან თავზე, ზოგს თმას აწიწქნიდნენ, ზოგს უყრებდა. ეს ორი უკანასკნელი სასჯელი უფრო შეღავათიან სასჯელს წარმოადგენდა (ს. მგალობლიშვილი, — „მოგონებანი“, გვ. 37).

რასაკვირველია, თუ ასეთ სკოლაში წასულა ბავშვს არ მიუხაროდა და ჰალადიდელის თქმისა არ იყოს, მწარედ სტიროდა.

„მოგეცათ, დღეგრძელობა,—განაგრძობს ავტორი,—ჩვენ ტანჯვის ატანა შევისწავლეთ! ისე შეეჩვიეთ და შევეზილევით ტანჯვას, რომ იმის სუსხს

აღარც კი ვგრძნობდით. მივიდიოდით კლასში არა იმიტომ, რომ მასწავლებელი გეასწავლიდა რასმეს, მამაშვილურად მოგვეცეპრობოდა, პაწია გულს, გულს დაჩაგრულს, გაწყალბებულს და გაყინულს გავვითობოდა, არამედ სატანჯველად, მასწავლებელს თნი მოუვლიდა და მთელ კლასს ვაჯობებოდა, ან თვით დაიკავებდა როზგის კონას ხელში, ჩამოუვლიდა და ყველას სათითაოდ გადაუშუილებდა თავებში. ვაი იმას, ვინც თავს აარიდებდა და როზგს აიცილებდა. მაშინვე გაათრევდა შუაზე და როზგს ქვეშ გველივით გააქრებდა. იცოდი გაკვეთილი — გვეცმდნენ, არ იცოდი — გვეცმდნენ, ასე რომ მცოდნე და უცოდნელი ერთს ბარში გამოდიოდნენ. ამიტომაც იყო, რომ მთელ კლასში, რომელშიაც ხშირად ორმოცამდე მოსწავლე იყო, სულ ორმა-სამმა თუ იცოდა გაკვეთილი. ზოგი ისე შეეჩვია როზგსა, რომ აღარა გრძნობდა ტკივილსა“ (იქვე, გვ. 37).

სამოციანი წლების სასწავლებელი, რომელსაც ებება ავტორი, დიდად არ განსხვავდება იმ პერიოდის სკოლისაგან, როცა პატარა ლადო სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. მართალია, რუსეთის პროგრესული ელემენტების ზეგავლენით, ცარიზმი იძულებული გახდა „ყოველის შემძლე“ როზგი თანდათან გადაეღო, მაგრამ ბავშვების ცემა-ტყემა, ყურების აწევა, სახაზავებით ხელების ახურება, „კარცერში“ დამწყვედევა, უსადილოდ დატოვება, არაადამიანური მოპყრობა, სწავლების სქოლასტიკური მეთოდი, გაუგებარ უცხო ენაზე ტექსტების გაზებირება — ყველაფერი, ეს ბავშვთა გონების დაზღუნგებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე მათ განვითარებას. ცარიზმის სკოლას მიზნად ჰქონდა დასახული მონარქიზმის ერთგულ მოხელეთა აღზრდა, კერძოდ, სასულიერო სასწავლებლებს — ეკლესიის, ცარიზმის ამ დასაყრდენი ძალის, აგენტების ღვთისმსახურთა კადრების შევსება. სკოლის მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, რომ თავისუფალი აზროვნება ჩაეხშო ბავშვებში და ყოველი „კრამოლა“ აღმოეფხვრა.

იმ დროს, როცა ლადო გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, ამ უკანასკნელს თავისი არსებობის 65 წელი უსრულდებოდა. 1817 წელს თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, ხოლო 1817-18 წლებში გორსა და თელავში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები. 1893 წლის 16 მაისს გაზეთმა „ივერია“ გორის სასულიერო სასწავლებლის გახსნის 75 წლისთავს მთელი ფელეტონი უძღვნა. წერილის ავტორი საქავლიშვილი აღნიშნავს, რომ „ხალხი გულგრილად დახვდა ამ სასწავლებლის გახსნას და პირველ წელს გორის ვრცელ მაზრაში 27 მოსწავლეს ძლივს მოუყარეს თავიო. ამ მოწაფეთა შორის დიდი გარჩევა იყო წლოვანებაში (6 — 17) და ნახევარზე მეტს თვალი სახლისაკენ ეჭირა. 1818 — 1825 წლებში ხშირი იყო მავალითი მოწაფეთა შინ გაქცევისა, რა იყო მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა? ამის მიზეზს ჩვენ პირველად იმაში ვხედავთ, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი აღმოცენდა არა ადგილობრივ ნიადაგზე, არამედ უცხოეთიდან იყო გადმოტანილი, გადმონერვილი, მეორეს მხრით, თვით სასწავლებელთა გამგეთა ვერ შეითვისეს მოწაფენი, ვერ დაამკვიდრეს კავშირი თვისსა და მოწაფეთა შორის. ან რა გასამტყუნარი იყვნენ მოწაფენი, როდესაც მასწავლებლები ფორმალურად ექცეოდნენ თავის წმინდა მოვალეობას და უფრო ხშირად ყოვლად შემძლე „როზგს“ მიმართავდნენ ხოლმე. აი ჩვენის ფიქრით ნამდვილი მიზეზი მოწაფეების სახელში სირბილისა და არა „ученики перестали ходить по необычайности и дикости нравов здешняго народа“ (акты Кавк. археогр. КОМ т. I, ст. 367), როგორც უსაფუძვლოდ ფიქრობენ ზოგიერთნი“. წერილის ავტორი შემდეგში რელიგიის კულტის მსახური, ეპისკოპოსი, იძულებულია აღიაროს,

რომ სასწავლებელში ყველაფერი რიგზე არ იყო და მოწაფეთა სიმეტრე გამოწვეული იყო იმ აუტანელი რეჟიმით, რომელიც გამეტებული იყო ხასწავლების კედლებში.

სახლი, სადაც მოათავსეს პირველად გორის სასულიერო სასწავლებელი, ეკუთვნოდა სამთავისის საეპისკოპოზოს. 1843 წელს სინოდმა სამხედრო უწყებისაგან შეიძინა სხვა სახლი და სასულიერო სასწავლებელი იქ გადაიტანეს, ხოლო 1889 წლიდან ახალ ორ სართულიან შენობაში გადავიდა სასწავლებელი. 1818 წელს გაიხსნა პირველი კლასი, შემდეგ კი მოემატა მეორეც. პირველ ხანებში ვაკვეთილები ასე იყო განაწილებული: დილით ასწავლიდნენ რუსულ ენას, ხოლო სადილს შემდეგ ქართულს. გორის სასულიერო სასწავლებელი პირველად, რუსეთის ძველი სასულიერო სკოლების მსგავსად, ორი კლასისაგან შესდგებოდა — სამაზრო სასწავლებლისა და სამრევლოსაგან, ორი განყოფილებით.

საქართველოსათვის სასულიერო სასწავლებლის დაარსება ახალი არ იყო. ჯერ კიდევ თვითმპყრობელ რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამდე სასულიერო სასწავლებელთა რიცხვი მარტო ქართლ-კახეთში ათეულებს აღწევდა. ანჩიხატის სემინარია 1755 წლის 1-ლ იანვარს იქნა გახსნილი. ასეთივე სემინარია არსებობდა თელავში. სიონის, კალოუზნის, მეტეხის, ქაშვეთის, ანჩიხატის და სხვა სასულიერო სკოლებში პოსწავლეთა რიცხვი 400-მდე აღწევდა. ამ საეკლესიო სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ვალობას, გრამატიკას, კატეხიზმოს, ისტორიას, ღვთისმეტყველებას და აგრეთვე ძველსა და ახალ ფილოსოფიას. რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გახსნილ სასულიერო სასწავლებელთა პროგრამა იგივე იყო, რაც საქართველოს საეკლესიო სკოლებისა, მხოლოდ დამატა რუსული ენის სწავლება და საეკლესიო სლავიანური ვალობა, სამაგიეროდ ფილოსოფიას, ისტორიას და ღვთისმეტყველებას სასულიერო სასწავლებლებში აღარ ასწავლიდნენ, შემდეგ, დროთა ვითარების გამო, იცვლებოდა, როგორც სტრუქტურა სასწავლებლისა, ისე მისი სასწავლო პროგრამა. პირველ ხანებში გორის სასულიერო სასწავლებელში არამართლმადიდებლებსაც იღებდნენ. 1836 წლიდან გორის სასულიერო სასწავლებელს მისცეს სამისიონერო სკოლის ხასიათი, რის გამოც შემოღებულ იქნა თათრული და ოსური ენების სწავლება, რაც ვაგრძელდა 1856 წლამდე.

ეკლესია და მისი მსახურნი თვითმპყრობელობის დასაყრდენი იყო და ცარიზმი დაინტერესებული იყო, ის დაპყრობილი ერები, რომელნიც ქრისტიანობას არ აღიარებდნენ, მართლმადიდებლებად მოექცია. კავკასიის მეფის ნაცვალი, ბარიატინსკი 1857 წ. თავის მოხსენებით ბარათში სწერდა: „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დაარსება მართლმადიდებელ სახელმწიფოს მოვალეობაა. საქმე ეხება იმ საკითხებს, რასაც რუსეთა გულჯრილად ვერ მოეპყრობა — მართლმადიდებელი სარწმუნოება რუსეთის ხალხის ძალაა, ისევე, როგორც რუსეთი თავის მხრივ ღვთაებრივი იარაღია მართლმადიდებლობის გამარჯვებისათვის“ და სხვ. მეფის ეს კარისკაცი კარვად გრძნობდა, რომ რელიგია ხალხთა დამონების ერთი საშუალებათაგანია. ამიტომ მან ასე გულმოდგინედ მიმართა პეტერბურგს და დაარსებინა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება, რომლის წესდებაც 1860 წ. 9 ივნისს იქნა დამტკიცებული. ამაზე ადრე, საქართველოს შეერთებამდე, დაარსებულ იქნა ოსეთის სასულიერო კომისია. ამ საზოგადოების მიზანი იყო პატარა დაპყრობილ ერის ვაჭრისტიანება, და საქართველო, როგორც ერთმორწმუნე რუსეთისა, გამოყენებულ იქნა რუსეთის ეკლესიის დამხმარე ძალად. რუს მისიონერებთან ერთად ქართველი სამღვდელთა ცქადაგებდა და „არამორწმუნეთა“

გაქრისტიანებისაკენ მოუწოდებდა. ამით აიხსნება, რომ გორის სასულიერო სასწავლებელს სამისიონერო სკოლის ხასიათი მისცეს, რაც 60 წლამდე გაგრძელდა.

სასულიერო სასწავლებლებს საეკლესიო მართველობის სინოდის მიერ დანიშნული ზედამხედველები განაგებდნენ. გორის სასულიერო სასწავლებლის პირველი ზედამხედველი იყო ვინმე ნეშემოვი. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, სასწავლებლის სტრუქტურა იცვლებოდა; 1867 წლიდან გორის სასულიერო სასწავლებელშიაც შემოღებულ იქნა მართველობა და რომ უფრო გაეძლიერებინათ ეკლესიის კონტროლი, მართველობაში ორი წევრი სამხედველოებისა შედიოდა.

სასულიერო სასწავლებელს, მემამულეთა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის ამ მძლავრ იარაღს, მიზნად დასახული ჰქონდა ეკლესიის კულტის მსახურთა აღზრდა. ეკლესია თვითმპყრობელობას სჭირდებოდა, როგორც ხალხის დამონების ძალა, ამიტომაც ეკლესიის კადრების აღზრდაზე აუარებელი თანხა იხარჯებოდა. მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდე რუსეთის იმპერიაში 183 სასულიერო სასწავლებელი იყო 22,719 მოსწავლით და 57 სემინარია 22,334 მოსწავლით. სასულიერო სასწავლებლები თავიანთი პოლიტიკური რეჟიმით მოსწავლეებისადმი არა ადამიანური მოპყრობით, სქოლასტიკური პედაგოგიურ მეთოდებით, „ღვთაებრივი მეცნიერების“ ტექსტების დაზებირებით დასახულ მიზანს ვერ აღწევდნენ და, ნაცვლად მორწმუნეებისა, ისინი „ურწმუნოთა“ ბუდედ გადაიქცა. სინოდის მოხელე-რეჟიზორები არა ერთხელ აღნიშნავენ თავიანთი უფროსებისათვის წარდგენილ მოხსენებებში, რომ სასულიერო სასწავლებლები ვერ ამართლებენ პროფესიულ მიზნებს და ამ სასწავლებლებიდან გამოსულთა უმრავლესობა ათეისტებისაგან შესდგება. ნიკოლოზ პომპოლოვსკი თავის „ბურსის ნარკვევში“ მთელ სიცხადით გვიხატავს, თუ როგორ ამაზინებდნენ ბავშვების გონებას ამ სასწავლებლებში. თითქოს ყოველივე კეთდებოდა იმისათვის, რომ ბავშვებში ზიზღი გამოეწვიათ სწავლისადმი. ეს ზიზღი გამოეწვიული იყო არა მარტო სწავლების მეთოდით, მასწავლებელთა უსულგულო დამოკიდებულებით. არამედ თვით იმ აუარებელ საგნებითაც, რასაც მოსწავლეებს აზებირებდნენ. ძველი აღთქმის ისტორია, ახალი აღთქმა, კატეხიზმი, ღვთის მსახურების განმარტება და მრავალი სხვა ამგვარი საგანი ამძიმებდნენ ნორჩ ბავშვთა გონებას. „ცხოველმყოფელი ღვთაების არსებობას არაერთარი დამტკიცება არ უნდოდა“, თუთიყუშივით უნდა გაეზებირებინა მხოლოდ სიტყვები, და ვაი იმას ვინც ტექსტიდან ერთ ასოს გამოსტოვებდა ან სიტყვას გადასვამდა. ეს დანაშაულად ითვლებოდა და სათანადო სასჯელით უმასპინძლებდნენ.

ერთადერთი სარგებლობა, რაც ამ უაზრო მეცნიერებას მოჰქონდა, პომპოლოვსკის სიტყვით, იყო ის, რომ მოსწავლე ყოველ გაკვეთილში ხედავდა თავის უბოროტეს მტერს, რომელიც ძალმომრეობით ეუფლებოდა მის გონებას. ჭკვიანი მოსწავლე აღმოაჩენდა ხოლმე სახელმძღვანელოებში „ბევრ სისულელეს და სისაძაგლეს“ და ამით ინვითარებდა კრიტიციზმს და ანალიტიკურ უნარს. ვერ ხედებოდნენ „ღვთისგონიერი“ პედაგოგები, რომ ბევრი კარგი მოსწავლე მათ სახელმძღვანელოებს უყურებდა ისე, როგორც ფსიქიატრი უყურებს სიგიჟის სამწუხარო შედეგს. აი რით აიხსნებოდა ის უცნაური მოვლენა, რომ ბევრი გამოდიოდა ამ სასწავლებლებიდან საქმიანი და ნიჭიერი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ითვისებდნენ იმ მეცნიერებას, რომელიც განათლებული ხალხის სასაცილო საგნად იყო გამხდარი.

სასულიერო სასწავლებელი ზომ პირველი საფეხური იყო სემინარიასა და იმავე მეთოდით და იმავე მეცნიერებით უმასპინძლებოდნენ ბავშვებს.

პომიალოვსკი 1850-იან წლებში სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში, ლადო კეცხოველი კი 1883 წელს მიაბარეს სასწავლებელში, „მაგრამ“ მეთოდი სწავლებისა იგივე იყო. დასაბამი არ იცვლებოდა, დამყაყებულები ცარიზმი და ხალხის გონების დამჩლუნგებელი ეკლესია დროთა ვითარებით იცვლიდნენ კანს, ფერუმარისს იცებდნენ, მაგრამ, კრილოვის თქმისა არ იყოს, „ХОТЯ МЫ И В НОВОЙ КОЖЕ, ДА СЕРДЦЕ У ТЕБЯ ВСЕ ТО ЖЕ“

ავვისტოს მიწურულია. ზაქარია კეცხოველის ოჯახში სამზადისია. ნამცხვართა და მსუქანი დედლებით ხურჯინი იტენება. ზაქარიამ თავისი შავთვალწარბა, მკვირცხლი, ხუჭუჭა ბიჭი გორში უნდა ჩიყვენოს სასწავლებლად. ზაქარიას უფროსმა ვაჟმა ნიკომ იმედი არ გაუმართლა, მღვდლის ანაფორას არჩია მასწავლებლობა, აგრონომობა და ხალხში ვასელა. იჭნება პატარა ლადო მინც დაადგეს მამის გზას. მამა უბრალო სოფლის მღვდელია, „კურსოვნიკი“ შვილი კი შეიძლება ეპისკოპოსიც გახდეს. უეჭველია ასეთი ფიჭრებით იყო ზაქარიას გონება მოცული, როცა ტყვიავიდან გორისაკენ ურემი დაიძრა და კოფოსთან პატარა ლადო იყო ჩაცუტკებული. რას ფიჭობდა თვითონ ბავშვი, ჩვენ ეს არ ვიცით. ტოლ-ბიჭებს გამოეთხოვა, შორდებოდა ტყვიავის საყვარელ ველ-მინდვრებს, ახალი ცხოვრების გზას უნდა შესდგომოდა.

1883 წლის სექტემბრის პირველში ლადო უკვე სასულიერო სასწავლებლის მოწაფეა. დაწყებითი განათლება (წერა-კითხვა, 20 ფარგლებში არითმეტიკის ოთხი მოკმედება) მამის ოჯახშივე მიიღო. ნიკით უხვად დაჯილდოვებულმა ლადომ თავიდანვე მიიჭკია მასწავლებელთა ყურადღება და საუკეთესო მოსწავლეთა რიცხვში მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება ლადოსათვის უცხო რუსულ ენაზე იყო (ოჯახში მხოლოდ ქართული ესმოდა) ის თავისი ნიკის წყალობით მალე ითვისებს ამ ენას. ლადოს სკოლის ერთ-ერთ ამზანაგის გადმოცემით, ერთხელ რუსული ენის მასწავლებელმა, რუმინანცევმა, ლადოს გაკვეთილი ჰკითხა. მკვირცხლმა ბავშვმა ისე მიუგო გაკვეთილი, რომ მასწავლებელი აღტაცებაში მოვიდა, კარგი ნიშანი დაუწერა და შემდეგ აღარ აწუხებდა ლადოს. სუსტ მოწაფეთათვის უნდა მოეგლო მასწავლებელს და მთელ თავის გაკვეთილებს მათ ანდომებდა. ბუნებისაგან ნიკით უხვად დაჯილდოვებული, სწავლის წყურვილით აღჭურვილი ლადო ადვილად ითვისებდა საგნებს და კლასიდან კლასში უმტკივნეულოდ გადადიოდა.

ცარიზმის სკოლის არადადეგებით მოწაფეთა სანატრული დრო იყო. რომელ ბავშვს არ ახარებდა დროებით მაინც მოშორებოდა ყაზარმულ რეჟიმს, სკოლად წოდებულ საპყრობილეს. რათა ოჯახში თავისუფლად გაენაჯარდებინა. უეჭველია ლადოც სიხარულით უბრუნდებოდა ხოლმე ზაფხულობით თავის საყვარელ ტყვიავს, სადაც ბევრი მისი სიყრმის მეგობარი ტოლ-ბიჭი დარბოდა და ჰყუემპალაობდა პატარა ლიახვის ტოტებში. სიხარულით აღსავსე ზაფხულის დღეებში შეუშრნეულად ვადიოდა და ავვისტოს მიწურულში ოჯახში კვლავ ფაცი-ფუცი იწყებოდა: ლადოს აბარებდნენ და გორში ჩაყავდათ. კვლავ იწყებოდა სწავლება დილის ლოცვით, კვლავ ისმენდა „ცხოველმყოფელი ღმერთის“ არსებობაზე კატეხიზმოს ტექსტებს. მაგრამ ლადო უკვე 13-14 წლისაა, მას ველარ აუხვევენ თვალებს. გონიერმა ბავშვმა უკვე იცის, რომ ღმერთი გამოგონილია ხალხის დასაჩაგრავად, მან უკვე იცის, რომ საიქიოში არაფერია, მან უკვე იცის, რომ მშრომელთ ნეტარება და ბედნიერი ცხოვრება ამ ქვეყნად სიცოცხლეში უნდათ. მან უკვე იცის, რომ ბედნიერება არ დამყარდება ისე, თუ ძირიან-ბუდიანად არ დაინგრა ეს წყობილება, ეს ცარიზმი და ეკლესია, რო-

მელნიც მაკლაჯუნასავით დასწოლიან ხალხს და თავისუფლოდ ჩინოსნთქვის საშუალებასაც არ აძლევენ. თუ ვაკვეთილებზე უსმენს მასწავლებელთა ასეთ „სიბრძნეს“: „როდესაც მკედრებით აღსდგებიან, მაშინ არც კრულს უფრთავენ, არც გათხოვდებიან, არამედ იქნებიან როგორც ანგელოზები, ანგელოზები უფრო გულმოდგინედ უსმენდა ქართული ენის მასწავლებელს ნაროდნიკ სოფრომ მგალობლიშვილს, რომელიც დიდად განიჩივოდა სხვა მასწავლებლებსაგან. ვაკვეთილებს ფორმალურად არ ეპრობოდა, მოწაფეთა განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა და კლასიკოსების საუკეთესო ნიმუშებს აცნობდა მათ. ლადოს ბავშვობიდანვე აღძრა წიგნების კითხვის სიყვარული და რა წიგნსაც კი მოახლებდა, გატაცებით კითხულობდა. „ერთხელ მე და ლადო, — სწერს თავის მოგონებაში ლადოს კლასის ამხანაგი რ. ედილაშვილი, — გორის ქუჩაში დაესვირნობდით. გზაზე შეგვხვდა მგალობლიშვილი, მივესალმეთ. მიგვიხმო და გვკითხა: წიგნების კითხვა გიყვართ? — რაც კი შეგვხვდებოდა, ვკითხულობთ, თქვენი მოთბობა „ღამის მეხრე ცეცოც“ წაგიკითხე, მაგრამ, სამწუხაროდ ვერ ვშოულობთ კარგ წიგნებს. სოფრომმა სახლში წაგიყვანა და ყაზბეგის „ელგუჯა“ მოგვცა. თავისუფლების მოყვარულ ელგუჯას ამბავმა ლადო გაიტაცა და რამდენჯერმე ვადიკითხა წიგნი. ხშირი სტუმარი შეიქმნა ლადო მგალობლიშვილისა და, რაც კი წიგნები მოეძებნებოდა ამ უკანასკნელს, ვადიკითხა.“

„ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, — განაგრძობს იგივე ედილაშვილი, — როცა სოფრომ მგალობლიშვილის მიერ გამომცემული დანიელ მორდოცევის „დროების ნიშანი“ („Знаменья времени“) წაგიკითხეთ. მორდოცევის ეს რომანი რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1869 წელს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. რომანში მოცემული ახალ თაობათა ცხოვრება იტაცებდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას.“

კლასიკოსების გაცნობამ, აკრძალული წიგნების კითხვამ ლადოში აღძრა სიყვარული მწერლობისადმი. მესამე კლასის მოწაფე ლადო დღიურებს აწარმოებდა, თავის შთაბეჭდილებები შეაქტეს ამ დღიურში და ზოგჯერ საკუთარ ლექსებითაც აესებს. მამის მიერ სამღვდლოდ გამზადებული ლადო უკვე ათეისტია, ცხოველყოფელი ღმერთის არსებობა არა სწამს და ეკლესია და მისი მსახური თავის მტრებად მიაჩნია.

ზაფხულობით არდადეგებზე სახლში დაბრუნებული ლადო მამას უკვე უჩიობას უწყევს.

მამსოცს ასეთი შემთხვევა, — იგონებს ლადოს უმცროსი ძმა ვ. კეცხოველი; — აგვისტოს მიწურული იყო. სოფელს პურის ლეწვა გათავებული ჰქონდა. მამა დადიოდა სოფელში და „დრამას“ (მ ჩანახს ხორბალს) ჰკრეფდა. მამამ ლადო წაიყვანა თან, რომელსაც ტომარა და ჩანახს მისცა ხელში. მამამ, შეაგროვა რა „კუთვნილი“ ხორბალი, აკიდა ლადოს ზურგზე და ორივენი წამოვიდნენ სახლისაკენ. ერთ ადგილას გზა ვიწრო ბილიკით მოემართებოდა და წყლის რუებისაგან ყოველთვის ატალახიანებული იყო. ბილიკზე ლადო განგებ დაეცურდა და მთელი ტომარა ხორბალი დააბნია ტალახში. მამის გაცხარებას საზღვარი არა ჰქონდა. პატარა ლადომ კი გაქცევით თავს უშველა და მამას „კუთვნილი“ დრამა დაუბნია.“

თუ პატარა ლადო მამის მიერ „ღამის“ აკრეფას ასეთი საშუალებით ებრძოდა, რომ წამოიხარდა, იგი უკვე აშკარა წინააღმდეგობას უწყევდა მამას და ოჯახში დაუსრულებელი კამათი იყო მამასა და შვილს შორის. ლადო პრაქტიკულ ნაბიჯებსაც სდგამდა და გლეხობაში აგიტაციას ეწეოდა, ნუ მისცემთ მღვდელს უღლფასო. ღმერთი არ არსებობს, მოგონილი ამბავია და სიიჭიოს

ცხოვრება ზღაპარიად. „ჯერ კიდევ ბაღლი იყო, სრულიად ახალგაზრდა, როდესაც საყდრის ეზოში ჩადგებოდა ხალხში და ეკამათებოდა გლეხებთან. რად აძლევთ მღვდელს დრამას, არ იცით, რომ ღმერთი მავათი მოგონილია და ერთიანი ღმერთი არ არსებობს“. ასე ივონებს ლადოს პატარაობისას. ჩვენი კეცხოველისა (ნიკოს მეუღლე).

უფროსი ძმის ნიკოს დაბრუნება მამისეულ სახლში, როგორც ვ. კეცხოველი ივონებს, ოჯახის ყველა წევრისათვის მეტად ნაყოფიერი იყო. წიგნების კითხვა ოჯახს მუდმივ ჩვეულებად გადაიქცა და მას ყოველთვის საუბარი და დაუსრულებელი კამათი მოსდევდა. ლადომ უკვე იგემა ის სიტუაცია, რასაც წიგნების კითხვა ანიჭებს ადამიანს. ქართველ კლასიკოსებით აღარ კმაყოფილდება ლადო და ბელინსკის, პისარევის, დობროლუბოვის და სხვა კრიტიკოსთა ნაწარმოებს ეტანება იგი, ივონებს ვანო კეცხოველი. ის ზნორად ახსენებდა ბელინსკისა და პისარევის სახელს.

სწავლებაზე ლადო ნაკლებ დროს ხარჯავდა, ნიჭიერი ბავშვი ადვილად ითვისებდა სავალდებულო საგნებს და მთელ თავისუფალ დროს აკრძალული წიგნების კითხვაში ატარებდა.

მკვირცხლი, კირკიტა, მზიარული და ჯანღონით აღსავსე ლადო არც თამაშობას ვაურბოდა. როცა მომაბეზრებელი გაკვეთილი თავდებოდა და სასწავლებლის ზარი ამცნობდა მოწაფეთ დასვენებას, ლადო სხვა ამხანაგებთან ერთად სკოლის ეზოს მიამურებდა და მოწაფეთა თამაშში მონაწილეობას იღებდა. სიძღერა, სტვენა, ლახტის თამაში, ასთურმა, კრივი და ვივილ-ხივილი აყრუებდა ეზოს. გაფაციცებით დარბოდნენ სკოლის აღმზრდელები-ფისკალები და „წესრიგს“ ამყარებდნენ. ურ მოწაფეთა გვარებს იწერდნენ და მოხსენებებს უდგენდნენ სასწავლებლის ზედამხედველს. მეტად მომაბეზრებელი იყო უსულგულო, ახმახი აღმზრდელი თინიკოვი. ეროვნებით ქართველს თინიკაშვილს, ცარიზმის ერთგულ მოხელეს თავისი „ტუზემცობა“ რომ დაეფარა, გვარი რუსულ ყაიდაზე გადაიკეთა და თინიკაშვილი თინიკოვად გადააქცია. ცარიზმის დროს რუსეთის ტახტისადმი რომ ერთგულება დაემტკიცებინათ, ბევრი ქართველი მოხელე თავის გვარს სცვლიდა ხოლმე. ასე: დავითაშვილები დავიდოვებად ინათლებოდნენ, საძაგლიშვილები საძაგელოვებად და სხვ.

ერთელ დიდ დასვენებისას გახურებული კრივია უფროსი კლასის მოწაფეთა შორის. ლადო სასწავლებელში მოკრივეთა შორის განთქმული იყო. თუ სანდრო, ლადოს უფროსი ძმა, სოფელ ტყვიავის თვალსაჩინო მოკრივე იყო და რომელ მხარეზედაც ის იყო, გამარჯვებას ის უბანი მოიპოვებდა ხოლმე, პატარა ლადოც არ ჩამორჩებოდა ძმას და მისი მარჯველ მოქნეული მუშტი ალტაცებას იწვევდა მოწაფეებში. გახურებული კრივის დროს მოწაფეებმა დაიძახეს — თინიკოვი, თინიკოვი. აღმზრდელი მოკრივეთ უახლოვდებოდა მაგრამ თამაშობისათვის თავი არავის დაუნებებია. ლადომ შეამჩნია თინიკოვი. ამაზე კარგ დროს ვერ იხელთებდა გამასპინძლებოდა აბეზარ აღმზრდელს, გამხავებელი თინიკოვი შუაში მოიქციეს და ვითომ ვერ ამჩნევდნენ, რამდენიმე ლაზათიანი მუშტი უთავაზეს. ასტყდა ყვირილი, ღრიანცელი, მშიშარა მოწაფეებმა გაქცევით უშველეს თავსა, ლადო კი რამდენიმე ამხანაგით დარჩა ადგილზე. კარგა ლაზათიანად რომ მისთქერეს, ბოღნიში მოიხადეს, ვერ შეგამჩნიეთ, გახურებული ვიყავით თამაშობით და გვევონა ამხანაგს ვარტყამდითო. ნაცემნაბეგვი თინიკოვი ტკივილისა და სიბრაზისაგან დორბლებსა ჰყრიდა, მაგრამ მაინც ვერ გაამზილა თავის გალახვა უფროსებთან. გალახულ აღმზრდელს სასწავლებელში ვინ გააჩერებდა და ბოღმა გულში ჩაიმარხა. ლადომ კი გული მოიოხა და აბეზარი აღმზრდელი ვითომდა შეცდომით კარგა გალახა.

სასულიერო სასწავლებლის რეეიშისადმი სიძულილით და პრიეტესტანტულად განწყობილ მოსწავლეთა შორის ლადო დიდის სიყვარულით და ევტორიტეტით სარგებლობდა. მის ათეისტურ აგიტაციას დიდი ვასავალი ჰქონდა ამხანაგებში და ხუმრობით ისინი ლადოს ურჯულოს ეძახდნენ. „მისი მოსწავრებული სიტყვები, მწვავე ანეგდოტები რელიგიის მსახურთა შესახებ ალტაცებას იწვევდნენ ამხანაგებში და გულს მოაფხანინებდნენ ხოლმე მათ. ლადო სიტყვიერი აგიტაციით არ კმაყოფილდებოდა. იგი იწყებს არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის გამოშვებას. „გორის სასწავლებელში მეოთხე კლასიდან, — სწერს მისი ძმა ვანო, — ლადომ დაიწყო არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „განთიადის“ გამოშვება. მე დამახსოვდა ეს ჟურნალი იმიტომ, რომ ბავშობიდანვე ძლიერ მიყვარდა ნახატები და ჟურნალის პირველი გვერდი ყოველთვის მხატვრულად იყო გაფორმებული“. ლადოს ხატვა ძალიან ემარჯვებოდა და ჟურნალის ყდა ყოველთვის ლამაზად იყო ხოლმე გაფორმებული. „ილუსტრაცია წარმოადგენდა მთის პეიზაჟს... მთის ფერდობზე დახატული იყო ტყე, ძირში მობიბინე ჯეჯილი, ველზე საქონელი იყო გაშლილი და იქვე მახლობლად მომუშავე გლეხობა. ჟურნალის სახელწოდება „განთიადი“ ჩახატული იყო ამომავალ მზის სხივებში. მთელი ჟურნალი ლადოს გარკვეული და ლამაზი ხელით იყო დაწერილი და 6 — 8 გვერდს შეიცავდა. „განთიადის“ ეგზემპლიარები ლადოს ტყვიავში არდადეგების დროს ჩამოჰქონდა და თავის უფროს ძმას ნიკოს აჩვენებდა ხოლმე. კარგი კონსპირატორი ნიკო აფრთხილებდა თავის პატარა საყვარელ ძმას: „ფრთხილად იყავი, ეცადე ხელში არ ჩაუვარდეთ ჟურნალი სასწავლებლის უფროსებს, თორემ გაგრიცხავენო“.

სასულიერო სასწავლებლის ადმინისტრაციას შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ლადოს თავისუკვაზე ვერ ზრდიდა. ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ საშიში ათეისტი და „კრამოლნიკი“ იქედებოდა იმ სასწავლებელში, რომლის მიზანიც ეკლესიისა და ცარიზმის ერთგულ მსახურთა აღზრდა იყო. ადმინისტრაციამ ხელთ იგდო ლადოს მიერ გამოშვებული ჟურნალი „განთიადი“ და ამიტომ 1889 წელს სასწავლებლის დამთავრებისას ლადოსათვის, რომ გზა დაეხშოთ განეგრძო სწავლა სემინარიაში, ყოფაქცევაში ორიანი დაუწერეს. ასეთი ატესტაციით საშუალო სასწავლებლის კარები სამუდამოდ დახშული იყო ლადოსათვის. ვანა ადმინისტრაცია საშუალებების მისცემდა განევრძო სწავლა იმ ადამიანს, რომელიც კლერიკალების ფეხისძმას არ აპყვებოდა, ღვთისმსახურთა, ამ ბნელეთის მოციქულთა ჭკუაზე არ გაივლიდა და, პირიქით, მათ გზას მედგრად შეებრძოლებოდა?

თუ 1876 წელს სასულიერო სასწავლებელში ფეხი შესდგა იმ ადამიანმა, რომელიც მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი და ბრძოლით აღსავსე ცხოვრების მანძილზე მშრომელთა განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ამავსე სასწავლებელში 1888 — 1889 სამოსწავლო წელს შევიდა ის,

„ვინც გულს ახალი მისცა ნათება,
ვისი ხელითაც უნდა მოთავდეს,
ახალი ქვეყნის მოგუმბათება,
ვინც დღეს ყველაზე დღევანდელია
და მომავალში მარადიული...
ფოლადიანი ჩამოსხმულობით
ხალხის მწვერვალი მაღალმთიური“

(გ. ლონიძე, „ბელადის ბავშვობა და ყრობიდან“).

აქ, ამ სასწავლებელში, ლადო პირველად გაეცნო ამხანაგ სტალინს. აქ ჩაყარა საძირკველი ორი ქაბუკის მეგობრობას, რომლებიც ერთის იდეით, ერთ-

თის მისწრაფებით აღიქურვებიან და ეს მისწრაფება არის ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის. აქ დაუმეგობრდა ლადო იმ ადამიანს, რომელსაც გვერდში ამოუდებდა როგორც ღიად საჭმის თანამებრძოლი.

სიზღოვნისათვის

ლადომ 1889 წელს სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ ყოფაქცევაში ორიანი-ეს ზომ „მგლის ბილეთია“, რომელი სასწავლებელი ვაულებს კარებს, ვინ მიიღებს ამბოხის სულის პატრონს? შესწუხდა ზაქარია. ენატრებოდა „კურსოვნიკი“ შვილი, ხოლო ასეთი ატესტაციით მღვდლად კი არა, დიაკვნადაც არ მიიღებდნენ. დატრიალდა ზაქარია და ყოვლის შემძლე პროტექციას მიმართა. ერთ დღეს ზაქარია ეპისკოპოსს აღექსანდრე ოქროპირიძეს ეახლა, შეეხვეწა მღვდლად მინდა შვილი გამოეზარდო და ყოფაქცევაში ცუდი ნიშნით აბა სემინარიაში ვინ მიიღებსო.

ეპისკოპოსის დახმარებით მამამ ლადო „ყოფაქცევის გამოსასწორებლად“ მეორე წელს დასტოვა გორის სასულიერო სასწავლებელში. მეორე წელს დატოვებული ლადო ერთხელ უკვე გავლილ საგნებს ნაკლებ დროს ანდომებდა და აკრძალული წიგნების კითხვაში ატარებდა მთელ თავის დროს.

1889 წელს გორში სცენის მოყვარენი ყოველკვირაობით სახალხო წარმოდგენებს მართავდნენ. ზ. ედილაშვილის გადმოცემით, ისა და ლადო ხშირი სტუმრები იყვნენ ამ წარმოდგენებისა და კონცერტებისა. აქ ნახულობდნენ იმ პირთ, რომელთა მეოხებითაც შოულობდნენ აკრძალულ წიგნებს და კითხულობდნენ.

გავიდა მეორე წელიც. ადმინისტრაციამ შეაჯამა ლადო კეცხოველის ნიშნები. ბევრიც რომ სდომებოდათ ნიჭიერ მოსწავლეს, რომელიც ადვილად ეუფლებოდა საგნებს, ცუდ ნიშნებს ვერ დაუწერდნენ. თუ ახალ აღთქმასა და ძველი აღთქმის ისტორიაში სამიანები ეწერა მოწმობაში, სამაგიეროდ გეოგრაფია, არითმეტიკა, რუსული, ქართული, გერმანული და სხვა საგნები ხუთიანებით იყო აქრავებული. სემინარიაში იმ წელიწადს 20 მოწაფეს მიეცა შესვლის უფლება, თუმცა კლასში, როგორც ლადოს სკოლის ამხანაგი იფანებს, 20-ზე მეტი მოწაფე იყო. ლადომ უკვე გამოსცადა, რას ნიშნავდა ცუდი ნიშანი ყოფაქცევაში, იცოდა, რომ სემინარიის კარი დახშული იყო იმ მოწაფისათვის, ვისაც ხუთი არ ეწერა ყოფაქცევაში. ლადო მუდამ მზად იყო დასჯილ ამხანაგს გამოჰკომავებოდა, მხარში ამოსდგამოდა. გორის სასულიერო სასწავლებლიდან ვარიცხულ 13 მოწაფეს სათავეში ჩაუდგა და მოითხოვა მათი სკოლაში დაბრუნება. როდესაც ვერაფერი გააწყო, სკოლის საზიზლარ ადმინისტრაციისადმი თავის დამოკიდებულების გამოსახატავად სასწავლო ოთახის კედელზე მასწავლებელთა შეუშინებლად ცარციით რუსულად მიაწერა: „Да будет проклято наше начальство“.

აი ასე გამოასწორა „თავისი ყოფაქცევა“ ლადომ, აი ასეთი განწყობილებით დასტოვა მან გორის სასულიერო სასწავლებელი, დასტოვა ის სკოლა, რომელმაც ვერ მოღრიკა მტკიცე ნებისყოფის ადამიანი.

არ გამართლდა პოეტ დავით გურამიშვილის სიტყვები: „ყრმა სწავლაში მომშვიდების რკინა ცეცხლში მორბილდების“. რა დაამშვიდებს ლადოს, მის გულში ცეცხლია დანთებული, ცეცხლი, რომლითაც უნდა დასწავს ყოველივე ის, რაც გზას უღობავს მშრომელთა ბედნიერებას. „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო“, ამბობს პოეტი. თუ როგორ გატკბილდა კენწეროში ეს ძირი, ამას დავინახავთ სასულიერო სემინარიაში, სადაც ლადო 1890 წელს იქნა მიღებული

თავი მესამე

ლადო თბილისის სასულიერო სემინარიაში



საქართველო
ენციკლოპედია

ალარ დარჩა ძველი ჩრდილად,
ძველს ანგრევენ, ახალს სქედენ,
მზის ყვავილი გადაშლილა,
დიდუბიდან ისნის ბჭემდე.

აბაშელი.

ბერიას სახელობის მოედნის ქვემოთ, პუშკინის ბაღის პირდაპირ, კეცხოველის და პუშკინის ქუჩების დასაწყისში, აღმართულია სამსართულიანი სვეტებიანი სახლი, რომლის მარჯვენა კიბთან ვაკრულ მემორიალურ დაფას ამშვენებს წარწერა: „დიდი სტალინი, საკავშირო კომპარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, სტოვრობდა და სწავლობდა აქ, ყოფილ სასულიერო სემინარიაში, 1894 წლის 1-ლ სექტემბრიდან 1899 წლის 29 მაისამდე და ხელმძღვანელობდა თბილისის არალეგალურ მუშების წრეებს“. მემორიალური დაფა, რეკონსტრუქციული სვეტები მოაგონებენ ძველ თბილისელებს, რომ ეს შენობა ყოფილი სემინარიაა.

გამარჯვებული თბილისის მშრომელნი ასრულებენ თავისი საყვარელი შვილის და მრამავის ამხანაგ ლაერენტი ბერიას დაეალებას: „გადავაქციეთ თბილისი სანიმუშო კეთილმოწყობილ დედაქალაქად“. დიდუბიდან ისნის ბჭემდე იცვალა სახე თბილისმა, გაჰქრა ვახივით დაგრეხილი ვიწრო ქუჩები, ალიზით ალესილი ბანიანი და კრამიტიანი სახლები, გუდრონით და ასფალტით დაგებულ განიერ, მცენარეებით ამწვანებულ ქუჩებს ამყადა დაჰყურებენ ბეტონით აგებული მრავალსართულიანი სახლები. „ალარ დარჩა ძველი ჩრდილად, ძველს ანგრევენ ახალს სქედენ“ და სვეტებიან სახლსაც წინ აღარ ეჩხირება თამაშშვიის ქარვასლა. იგი ახლა პირდაპირ გასცქერის დიდ მოედანზე პატარა ბაღთან აღმართულ ტრიბუნას, სადაც მშრომელნი რევოლუციურ დღეებში გამარჯვებას დღესასწაულებენ და თავიანთ ძალების დარაზმულობის დემონსტრაციას ახდენენ..

აი ამ სვეტებიან სახლში, მაშინდელ სასულიერო სემინარიაში 1891 წლის სექტემბერს მიღებულ იქნა პირველ კლასში ლადო კეცხოველი. რევოლუციურად განწყობილი, ათვისტი, 15 წლის ჭაბუკი უკვე სემინარიის მოწაფეა. თუნორნი ბავშვი ვერ გარდაქმნა თავისებურად სასულიერო სასწავლებელმა, ახლა მის გულში ისეთი ცეცხლია დანთებული, რომ მის ჩაქრობას ვერ შესძლებენ სემინარიის მესვეურნი. — რექტორი და მისი დამჭეაწნი.

სემინარიის მართველობა ცდას არ აკლებდა, აღეზარდა მოსწავლენი მეფის ტახტის ერთგულ მოხელეებად, მაგრამ მათი ცდა თავიდანვე განწირული იყო ლადოსებრ ჭაბუკთა მიმართ. თავისუფლების სიო უკვე ჰბერდა ჩრდილოეთიდან და ეს გამოხმაურებას პოვებდა როგორც საქართველოს მშრომელთა გულში, ისე სემინარიის კედლებში. მიუხედავად სასტიკი ზომებისა, ეზუიტური ატმოსფეროსა, სემინარიის მოწაფეთა წრეში შეიქრა რევოლუციური სულისკვეთება და შეურიგებლობა არსებულ რეჟიმისადმი. საკმარისია გავიხსენოთ რამოდენიმე ეპიზოდი სემინარიის ცხოვრებიდან, რომ ნათელი სურათი გადაგვეშალოს იმ განწყობილებისა, რაც ამ სასწავლებლის კედლებში მეფობდა. ჯერ კიდევ 1870 წელს ტახტის დასაყრდენი შავი ძალა—ქანდარმერია გადაციტებით აღევნებდა თვალყურს სემინარიას და თავისუფალ აზროვნების ჩახშობას ლამობდა მასში. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო სემინარიის მოსწავლელის დავით კეზელის საქმე, რომელსაც აწარმოებდა ქანდარმთა სამმართველო.

„1873 წელს, 6 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე თბილისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ესაძე მიიხზო შეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსმა და განუცხადა, რომ დღეს, მეტი იმპერატორებითი უდიდებულესობის ნაცვალმა კავკასიაში, დიდმა მუშაობის მთელი ინება შეხედროდა ალექსანდრეს ბაღში სამ ახალგაზრდას, რომლებიც, შეხედნენ თუ არა მეფის ნაცვალს, ქუდებზე ხელი ოდნავ მოიკიდეს, შეფის ნაცვალს ჯეროვანი სალაში არ მისცეს და ერთმა მათგანმა კიდევ გაიღიმა. ეს ახალგაზრდები დაპატიმრებულ და ვაგზავნილ იქნენ თავიანთ უფროსებთან. ეს ახალგაზრდები აღმოჩნდნენ სემინარიის მოწაფენი: დავით კეხელი, სტეფანე ქრულავეი და ალექსანდრე მაქაროვი.

იმვე დროს სემინარიის მოლარეს 30 მანეთი დაეკარგა. ამის გამო სემინარიის რექტორისა და ინსპექტორის განკარგულებით, გაჩხრეკილ იქნა დავით კეხელის ბინა, სადაც აღმოჩნდა საეკვო წერილები და საბუთები, რომელნიც გადაეცა ეანდარმთა სამმართველოს გამოსაძიებლად.

ამიტომ ეანდარმთა კორპუსის უფროსმა, პოლკოვნიკმა ესაძემ ამავე 6 დეკემბერს. დაავადინე: თანახმად 1871 წლის 19 მაისის და 1872 წლის 7 ივნისის უმაღლესი ბრძანების მე-5 და მე-6 მუხლებისა, აღიძრას საიდუმლო ხასიათის ძიება სახელმწიფო დანაშაულობათა კვლევა-ძიების წესის მიხედვით, რაც ეცნობოს თბილისის სამმართველოს პალატის პროკურორის.

ეანდარმთა კორპუსის პოლკოვნიკი ესაძე.¹⁴

ამ გამოძიების დროს გაჩხრეკეს მოსწავლე ივანე მახვილაძე, რომელსაც აღმოუჩინეს დავით კეხელის წერილები. აღნიშნული წერილები დიდის ტემპერამენტით არის დაწერილი, მასში გამოსკვივის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდის სულისკვეთება, რომელიც ზიზლით არის გამსკვალული მეფის რეჟიმისადმი და მზად არის იბრძოლოს თვითმპყრობელობის დამსობისათვის. ერთ-ერთ წერილში მეამბოხის ფსევდონომით იგი, სხვათაშორის, სწერს ივანე მახვილაძეს: „სად არის ის თავისუფლება, რომლის შერყეულ საფუძვლებს ამაგრებენ ჰუმანიტები?.. კაცობრიობას შეთვისებული აქვს ბევრი რამ, რაც ეწინააღმდეგება საღ მოსაზრებას მაგ. ნების თავისუფლება, სულის უკვდავება, ღვთის არსებობა, საიქიო და ბევრი სხვა. ეს ყველაფერი უმეცრების ნაყოფია. ნეტარება იმ საუკუნეს, როდესაც კაცობრიობა განთავისუფლდება ამ ცრუმორწმუნოებისაგან. ჩვენ ამას ვერ მოვესწრებით. ჩვენმა ძვლებმა იქნებ წარმოშენ გენიოსი, რომელიც ამ საქმეს იკისრებს და კაცობრიობას გზას უჩვენებს“.

რა იცოდა კეხელმა, რომ მისი ნატერა ასე ადრე ასრულდებოდა, რა იცოდა მან, რომ ამ წერილის დაწერის 6 წლის შემდეგ მისივე სამშობლოს შუაგულში, ქ. გორში, დაიბადებოდა ადამიანი, რომელმაც განთავისუფლა ხალხი ცრუმორწმუნოებისაგან, მონობის ბორკილი დაამსხვრია და კაცობრიობას სწორი გზა უჩვენა. რა იცოდა ამ წერილის ავტორმა, რომ იმავე სასულიერო სემინარიაში, საიდანაც ის განდევნილ იქნა, 1894 წელს შესდგავდა ფეხს ის ქობულა, ვინც მშრომელთა ნატერა შეასრულა, მთისა და ბარის იმედი გახდა და თავისი ბრძნული პოლიტიკით ხალხს ბედნიერება მოუპოვა. დიდმა სტალინმა ხორცი შეასხა და სრულყოფილი ჰქმნა ის იდეალები, რომლებიც აწუხებდნენ კაცობრიობის პროგრესულ ნაწილს, რისთვისაც იბრძვიან მთელი მსოფლიოს მშრომელნი; სანატრელად მიიჩნიათ ის ქვეყანა, რომლის საქესაც მართავს დიდი სტალინი.

¹⁴ საქ. რევოლ. მუზეუმის არქივი, საქმე თბილ. ეანდ. სამმართველოსი, № 9, გვ. I.

იმავე წერილში ავტორი სთხოვს მახვილადეს, უყიდოს და გაუგზავნოს ჩერნიშევსკის თბულდება ხელოვნებაზე. მოსწავლე ახალგაზრდობა რომ ვატაცებით კითხულობდა ჩერნიშევსკის, სხვა წერილებიდანაც სწავს, და არსებულ წესწყობილებისადმი რომ ნილილისტურად იყვნენ განწყობილნი ეს თუბდაც იჭიდანაც ირკვევა, რომ ერთ-ერთ წერილს ასეთი ხელმოწერა აქვს: „შენი მეგობარი, ამბობებული ნილილისტი“. ავტორი ერთ-ერთ წერილში სემინარიის ეზუიტურ რეჟიმს ეხება: „გწერ უებიტეტოთ ე. ი. არც „საყვარელო“ და არც „ძვირფასო“, მაგრამ შენ თუ კარგათ იცნობ ნილილისტების ბუნებას, დამეთანხმები, რომ ნილილისტურ პირდაპირ და უბრალო სიტყვებში უფრო მეტი სიყვარული და მეგობრობაა, ვიდრე სხვის ალერსში,“ შემდეგ ავტორი კითხულობს სემინარიის ამბებს და სწერს: „სემინარია დაღუპული დაწესებულებაა. ჩემთვის მას კარგი რა გაუკეთებია? ამ შემთხვევაში მე ვიტყვევი ისე, როგორც მოიქცნენ XVIII საუკუნის ფრანგები, რომლებიც უკიდურეს ზომამდე მიიყვანეს სასულიერო მამებმა... ვის ხელშია სემინარიის მართვა-გამგებლობა!“. წერილის დასასრულს კვლავ სთხოვს ჩერნიშევსკის თბულდების გაგზავნას. წერილს აწერია: შენი მეგობარი ნილილისტი. მემამბოზე რესპუბლიკანელი.

ჩვენ აქ შევხვებით 70-იან წლების ერთ-ერთ მოსწავლის სულისკვეთებას. ასეთი განწყობილება თანდათან ძლიერდებოდა და იყო შემთხვევები, როცა ეს ნილილისტურ-ბუნტარული დამოკიდებულება არსებულ რეჟიმისადმი ინდივიდუალურ-ტერორისტულ აქტის სახეს ღებულობდა. ამ მხრივ ყურადღების ღირსია 1886 წელს სემინარიის რექტორის, დეკანოზ ჩუდევცკის მოკვლა სემინარიიდან „მგლის ბილეთით“ გამოირიცხულ იოსებ ლალიაშვილის მიერ. ლალიაშვილის საქმის გამო შემდგარ საბრალდებლო დასკვნაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „სემინარიის ინსპექტორმა იაკობ სტეფანეს-ძე სტეფანოვიმ აჩვენა, რომ პედაგოგიური საბჭოს 1885 წლის 9 დეკემბრის ურნალში აღნიშნული აზრის თანახმად, რაც დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეგზარქოსის მიერ, მესამე კლასის მოწაფეს იოსებ ლალიაშვილს მოესპო სახელმწიფო ხარჯი, რადგან მას უბოვეს დღიური, რომელშიაც ისეთი რამ ეწერა, რაც ამტკიცებდა მოწაფის შეუწყნარებელ მიმართულებას; ეს მიმართულება იმაში გამოჩნდა, რომ ლალიაშვილი არად ავდებდა საეკლესიო მოძღვრებათ და სასულიერო პირთ, მძულვარებით ლაპარაკობდა აგრეთვე თავის დღიურში ერთ-ერთ მასწავლებელზე და, დასასრულ, მონაწილეობას იღებდა საიდუმლო ხელნაწერ ვახუთში, რომელსაც ქართულად სწერდნენ და რომელსაც სახელად „ყვავილი“ ერქვა. სრული სახარჯოს მაგიერ 6 მანეთის ძლევა დაუწყეს თვეში. ამ ზომამ არ გასჭრა და ლალიაშვილმა თავისი არ დაიშალა.“ 12 მარტს, როდესაც სტეფანოვი მივიდა მის სახლში, ლალიაშვილმა თავისი წიგნები და რეგულები არ აჩვენა, იმ მიზეზით, რომ ყველა წიგნი მე არ შეკუთვნის და ჩემს წიგნებში სხვისიც ურევიაო. როდესაც გაუსინჯეს, უპოვნეს მოზრდილი წიგნი, ურნალი „Отечеств. Записки“ ხოლო წიგნში რეგული შემდეგი ეპიგრაფით: „ცოდნა სინათლეა, თავისუფლებას აძლევს კაცს. თუ ცოდნა არა გაქვს, არც თავისუფალი ხარ“. როდესაც ლალიაშვილს ეს წიგნი სთხოვეს, მან უპასუხა: „თქვენ ნება არა გაქვთ წიგნები წაიღოთ“ და სხვა.

ლალიაშვილის დღიურში, რომელიც მას აღმოუჩინეს, ვხვდებით შემდეგ ჩანაწერებს: „ინსპექტორს დემურჩი-ოლლის, პირველ ჯაშუშს თინიევს არავინ არ ეკარება, ყველა ერიდება, როგორც ქეციან ძალს. 1885 წელს, 9 ნოემბერს, მე მთხოვა მან, რომ ყოველ დღე ვიარო იმ წრეში, რომელიც სემინა-

რიელებისაგან შესდგება. ამ წრემ უნდა აღზარდოს ახალი თაობა მტკიცე ხასიათით და კეთილგონიერებით სავსე ნამდვილი მოღვაწენი. იოსებნი“.

ლალიაშვილმა ინდივიდუალური ტერორის მიმართა და რექტორის ჩუღდევცი მოჰკლა სამხედრო-საოლქო სასამართლომ 1886 წლის 16 იანვარს, რექტორ არა სრულწლოვანს, მიუსაჯა 20 წლის კატორღა. სემინარიის რექტორის ჩუღდევცის უსულგულო დამოკიდებულებამ, მისმა არაადამიანურმა მოპყრობამ ლალიაშვილს ხანჯალი ააღებინა ხელში. „მარტში ჩემ ბინაზე მოვიდა ინსპექტორი ზედამხედველით და ჩემ წიგნებში იპოვეს პისემსკის თხზულება: „მეორე მოცე წლების მოღვაწენი“ და რვეული, რომელშიაც მე ჩემ თავგადასავალს ვწერდი. მე არ ვიცი ინსპექტორის ეს წიგნი რატომ ეურნ. „Отечественныя записки“ ეგონა და წიგნი და რვეული მთხოვა. მე არ მივეცი და იმიტომ ძალმომრეობით სემინარიიდან გასვლის თხოვნა შემატანინეს, დამითხოვეს და ყოფაქცევის ნიშნად 4 დამისვეს. ამ ნიშნით მე არსად არ შემეძლო შესვლა და ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავეარდი... რამდენჯერმე მივედი რექტორთან და ვსთხოვე, რომ გადაესწორებინა ყოფაქცევის ნიშანი 5-ზე. მაგრამ რექტორი ყოველთვის უარს მეუბნებოდა. ბოლოს ვსთხოვე დაებრუნებინა სასულიერო სასწავლებლის მიერ მოცემული მოწმობა მაინც. მაგრამ ამაზედაც უარი მითხრა.“ ასეთ ჩვენებას იძლევა ლალიაშვილი. იქვეა მოხსენებული, რომ იოსებ ლალიაშვილი, მოწმეთა ჩვენებით, „იყო ძალიან კარგი ყოფაქცევის ყმაწვილი, კარგი ხასიათისა, ჩუმი, წყნარი, პატივისმცემელი, მომთმენი და არაფერ ცუდში შენიშნული არა ყოფილა. მოწმე ნინო მახარაშვილისამ, ამას გარდა, ისიც სთქვა, რომ ღვიძლ შვილებზე უფრო მიყვარდა.“²

აი ასეთი ხასიათის ადამიანი წონასწორობას ჰკარგავს და თავის თავს ანგარიშს ვერ უწევს, რომ ინდივიდუალური ტერორით საქმე არ გამოსწორდება, ჩუღდევცი მოკვდება, მაგრამ მას მეორე ჩუღდევცი მოჰყვება, ხანჯლით უკობს გულს რექტორს და ამით გულზე მოწოლილ ბოლმას იოხებს. ჩუღდევცი მოაშორა სემინარიის ლალიაშვილმა, მაგრამ განა მისი შემცვლელი უკეთესნი იყვნენ? ჩუღდევცის მოჰყვა პაისი (ეინაურადოვი), რომელიც დანიშნულ იქნა რექტორად 1886 წელს და ამ თანამდებობაზე დაჰყო 1889 წლამდე, ხოლო იმ დროს, როცა ლადო კეცხოველი შევიდა სემინარიაში, რექტორად იყო ნიკოლოზი (ზოიროვი), რომელიც მალე თავრიდის ეპისკოპოსად დაინიშნა, ხოლო სემინარიის რექტორად ვადმოიყვანეს 1891 წელს ტიხონი. ეს უკანასკნელი ერთი წლის შემდეგ დანიშნეს ელიზავეტგრადის ეპისკოპოსად და მის ადგილზე ვადმოიყვანეს არქიმანდრიტი სერაფიმი (მეშჩერიაკოვი), დიდი განსხვავება არ იყო მათ შორის, ან როგორ უნდა ყოფილიყო, როცა რეჟიმი დამყაყებული იყო, ყაზარმული სული მეფობდა სემინარიის კედლებში, ეზუიტური ატმოსფერა სულს უხუთავდა მოსწავლეთ და რექტორი მხოლოდ მაშინ დაიშახურებდა სინოდის მადლობას და ეპისკოპოსის მიტრას გაიკრავდა, თუ „კრამოლას“ აღმოფხვრიდა სასწავლებლის კედლებში.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს თბილისის სასულიერო სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებლის მიერ 1908 წელს გამოქვეყნებული მოგონებანი, წიგნი ავტორის ხელმოუწერლად არის გამოქვეყნებული და ეწოდება: „მართლმადიდებელთა ჭართული სასულიერო სემინარიის რუსული ენის მასწავლებლის მოგონებებიდან“ (მოსკოვი, „რუსკაია პეჩატნისა“ სტამბა 1908 წ.).

²) საქ. ცენტრ არქივი. კავ. სამხედრო ოლქის საქმე, № 225.

³) კავ. ცენტრ. არქივი. სამხ. ოლქის საქმე, № 235.

უსახელო ავტორმა, რომელიც, ვგონებ, იოანე მენშიკაძე უნდა იყოს, შესავლის ნაცვლად, წიგნს ეპიგრაზად მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის პ. ს. კაზანსკის შემდეგი სტრიქონები წაუშმღვარა: „ქრისტიანული ბოროტების მიზეზი რექტორი-ბერები არიან... ან დესპოტიზმს უტყუარად პირველი ეგოისტი, რომელსაც მხოლოდ თავისი თავი აგონდება, რომელიც მხოლოდ თავის მდგომარეობაზე ფიქრობს“.

წიგნის ავტორი, რომელიც ააშკარავებს თავის ერთგულებას მეფის ტახტისა და რელიგიის კულტისადმი, ეხება რა სემინარიის რექტორებს, იძულებული ხდება განაცხადოს: „არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ქართული სემინარიის რექტორი-ბერები სულელები იყვნენ (თუმცა მათ მოქმედებას დიდი შეცდომები სდევდა თან), მაგრამ ერთი კი ჭეშმარიტებაა, რომ ისინი იყვნენ „დესპოტები, პირველი ეგოისტები, რომელთაც მხოლოდ თავიანთი თავი აგონდებოდათ და რომელნიც თავიანთ მდგომარეობაზე ფიქრობდნენ“. ისინი აგვიყვებულნი იყვნენ ეპისკოპოსის მიტრისათვის. მათ უნდოდათ ეპისკოპოსის კათედრაზე ასვლა და ამის მისაღწევად მზად იყვნენ უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლი დაეღვარათ და მათ გვაძებნენ გადაეცლოთ... და ავიდნენ კიდევ კათედრაზე, მაგრამ სიმყრალის კვალი და სიკვდილი დათარეშობს ბოროტების გზით მიღწეული მათი საეპისკოპოსო ლამპარის ირგვლივ. აღზრდა და სიყვარული კი არ შეიტანეს მათ, არამედ სიძულელი, გარყვნილობა და დიდი ბოროტება ქართული სემინარიის კედლებში და აქედან მთელ საქართველოში... ღმერთმა დაგვიფაროს, — არაერთხელ გაიძახოდნენ ეს ბერები, — ამბოხების ან მღელვარების შემთხვევაში ადვილად შეიძლება დაეკარგათ ადგილი და რეპუტაცია და მაშინ უნდა გამოეთხოვოთ სამსახურში დაწინაურებას. უმჯობესია, რაც შეიძლება მეტი მოწაფე გამოვირიცხოთ, განსაკუთრებით ქართველი; მაშინ შიში და რიდი ექნებათ, ამასთან მოწაფეთა მცირე რიცხვი ველარც გაბედავს რაიმეს დაწყებას“.¹

აი ასეთი რექტორები „ამშვენებდნენ“ სემინარიებს. თუ უფროსები ასეთები იყვნენ, რანი იქნებოდნენ მათი ხელქვეითნი. თუ რომელიმე მასწავლებელი გამოერეოდა ისეთი, რომელიც ადამიანურად დაუწყებდა მოსწავლეთ მოპყრობას, მას რექტორი და მისი დამქაშნი აიძულებდნენ სასწავლებელი მიეტოვებინა. მოსწავლეთა შორის რომ ჩაეხშოთ თავისუფალი აზროვნება, სასწავლებლის ადმინისტრაცია ჯაშუშებს იჩენდა. ადმინისტრაცია ცდილობდა ყოველ კლასში რამდენიმე ჯაშუში მაინც ჰყოლოდა. ნებისყოფას მოკლებულ, ზნეობრივად წამხდარ ელემენტებში ადმინისტრაცია თავისაკენ გადაიბირებოდა ხოლმე ფისკალებს და მათის მეოხებით რეპრესიებს აჩაღებდა. ზემოხსენებული წიგნის ავტორი, ეხება რა თბილისის სემინარიის ერთ-ერთი რექტორის „მოღვაწეობას“, სხვათა შორის, სწერს: „სწორედ ამ ავადმყოფური ექვიანობის ნიადაგზე მამა ს...მ სემინარიაში გაიჩინა მოწაფეთა და მოსამსახურეთა შორის ჯაშუშები ყოველ კლასში ორი-სამი ჯაშუში იყო. მამა ს... მიიხმობდა ხოლმე ამ ჯაშუშებს, უმასპინძლებოდა და აღუთქვამდა, რომ დაივიწყებს მათ ცულ ყოფაქცევას და მეცადინეობაში ჩამორჩენილობას, ჰპირდებოდა შეღავათებს, თუ დასთანხმდებიან და ამხანაგების შესახებ ცნობას მიაწვდიან, წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნილ ემუქრებოდა. ამას საშინელი დემორალიზაცია შეჰქონდა მოსწავლეთა შორის, მათ ზნეობრივ დაქვეითებას იწყებდა, აღზრდის ნაცვლად გაბრწვნილება შექონდათ მათში. მოსწავლეთ სძულდათ მამა ს... და, განსაკუთრებით, საზიზღარი ჯაშუში მოსწავლენი, რომელთა სიცოცხლეც ხში-

¹) „რუსი მასწავლებლის მოგონებები“, გვ. 4.

რად საფრთხეში იყო. მამუზღარებს ცემით უმასპინძლებოდნენ. აქო წყნობევეები, როცა ჯაშუშები მე-4 სართულის აივანიდან უნდა გადმოეყარათ, ამ ჯაშუშებს ყველა იცნობდა, რადგან ისინი ხშირად დაიარებოდნენ ს. ქუთუაძის კლასში მათი სიარული, ლოთობა, დებოში დაუსჯელი რჩებოდა. „უჩაღი რეჟისორი“ მერე განა ასეთი სისტემა მხოლოდ ერთი რექტორის დროს იყო? ეს იყო სემინარიის დაარსებიდან, და ლადო კეცხოველის დროს, როგორც შემდეგშია ცხარ შეცვლილა იგი.

აი ასეთ სულის შემზუთველ ატმოსფეროში მოჰყვა ლადო სემინარიაში. ბავშობიდანვე კითხვის მოყვარული ლადო ხარბად ეწაფება წიგნებს. მის საყვარელ ავტორებად ვახდენენ ნეჩაევი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, პისარევი და სხვანი, ჩვენ კლასიკოსებსაც საფუძვლიანად ეცნობა იგი სემინარიაში. რომ მოწინავე მოსწავლეთა წრეები არსებობდა, ადმინისტრაციის შეუმჩნეველი არ დარჩა. ლალიაშვილის საქმესთან დაკავშირებით, 1886 წლის 6 იანვარს თბილისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს უფროსი ჰგზავნის პოლიციის დეპარტამენტში მოხსენებას, რომელშიაც სწერს, რომ სემინარიაში მოსწავლეთა არალეგალური წრეებია, ამასთან ასახელებს ერთი წრის წევრთა შემადგენლობას: „სემინარიის ინსპექტორის აზრით, სემინარიიდან დაუყონებლივ დათხოვნილ უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა მიხეილ ცხაკაია, მეექვსე კლასის მოწაფე, ნიკოლოზ ხახტოვი, მეოთხე კლასისა, როსტომ ჩიკვაიძე და სხვანი. იოსებ ლალიაშვილის დაშიფრულ რვეულში ამ წრის შესახებ, — განავრძობს ეანდარმთა სამმართველოს უფროსი, — შემდეგი ცნობები აღმოჩნდა: „1885 წ. 9 ნოემბერს გ. მ. მომცა წინადადება, მიმეღო მონაწილეობა იმ წრეში, რომელიც სემინარიელებისაგან შესდგება. წრეს მიზნად აქვს მტკიცე ნებისყოფისა და სალი გონების ახალგაზრდობის შექმნა. მსურს. იოსები“. „19 ნოემბერი. განზრახული სისრულეში იქნა მოყვანილი 19 ნოემბერს, ე. ი. ჩემი მეგობრები შამატავა, ჩიკვილაძე, უზნაძე ვიყავით წრეში კუკიაში. იოსები“. ეს წრეები უფრო მეტად ლიტერატურულ ხასიათს ატარებდა. ნაროდნიკული იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რადგანაც იმხანებში მარქსისტული იდეები ჯერ არ იყო შემოჭრილი საქართველოში. მარქსიზმის პირველი თესლი, როგორც ამას ამხანაგი ლ. ბერია აღნიშნავს თავის შესანიშნავ წიგნში „ა. კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“ 90-იან წლებში იქნა შემოტანილი. მიუხედავად რეპრესიებისა, მიუხედავად მოწაფეთა მგლის ბილეთით გამორიცხვისა, სემინარიაში წრეები არ მოსპობილა და თუ ერთი წრე დაიშლებოდა, მეორე არსდებოდა.

გორის სასულიერო სასწავლებელში არალეგალური „განთიადის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი, რევოლუციური იდეებით აღჭურვილი ყრმა სემინარიაში შესვლისთანავე მოსწავლეთა არალეგალური წრის წევრი ხდება. სემინარიის ადმინისტრაცია დავეწილი ძალევიით ეძებდა ამ წრის ადგილსამყოფელს. სემინარიის კედლებში წრის მეცადინეობა შეუძლებელი ხდებოდა. წრე კონსპირატიულად მეცადინეობდა სანდო ამხანაგების ბინებში. იმ წრეს, რომლის აქტიური წევრიც ლადო ვახდა, ხელმძღვანელობდა იმხანად თბილისში ჩამოსული ცნობილი ქართველი მწერალი ევგენე ნინოშვილი. „თავისი ხასიათით წრე ლიტერატურულ-საგანმანათლებლო იყო. იქ სწავლობდნენ ტურგენევის, დოსტოევსკის, ლევ ტოლსტოის, ბელინსკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, პისარევის, ყაზბეგის, ბარათაშვილის და სხვათა ნაწარმოებებს“. (ლ. ბერია „ლადო კეცხოველი“, გვ. 8).

*) „რუსული ენის მასწავლებლის მოგონებებიდან“, გვ. 18.

წარმატებით ვადადიოდა ლადო კლასიდან კლასში. 1893 წლის ის უკვე მესამე კლასის მოწაფეა. წრის მუშაობა გაჩაღდა, ამხანაგების სწრაფი სიყვარულით სარგებლობს ლადო. მისი მტკიცე ნებისყოფა, დღესველ მიზნებისადმი შეუდრეკელი მისწრაფება, ბრძოლისათვის მზადყოფნა, ქართველთა წინაშე პირიზონტი, — ყოველი ეს ლადოს ამხანაგების საიმედო ძალად ხდის. ამით უნდა აიხსნას, რომ ლადოს პირველ დაძაბებისთანავე თბილისის განაპირა უბანში, საბურთალოზე, 1893 წლის 30 ნოემბერს სემინარელთა არალეგალური კრება მოეწყო. ამ კრებაზე გადასწყდა გამოცხადებულიყო საპროტესტო გაფიცვა. სემინარიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ 1893 წლის 1 დეკემბერს დაიწყო გაფიცვა და იგი 4 დღეს გაგრძელდა. მოსწავლეებმა საქართველოს ევზარხოს წარუდგინეს კოლექტიური მოთხოვნები. განცხადების დასაწყისში აწერილია სემინარიაში გამეფებული რეჟიმი. სემინარიის მთავრობა, — სწერენ განმცხადებლები, — თავისი მოქმედებით ჩვენში სიძულვილს აღვივებსო.

„თავდაპირველად რექტორის, ინსპექტორის და მათთან ერთად მასწავლებელ ნ. ი. ბულგაკოვის მოქმედება, — განაგრძობენ მოსწავლენი, — სცილდება ყოველივე საზღვარს და მივეყვართ ზნეობრივ დამონებამდე, რაც ჩვენთვის ყოველად აუტანელია. რექტორი, როგორც სემინარიის უფროსი, ყველა მასწავლებლისათვის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს, უნდა უჩვენებდეს მათ ადამიანურ მოპყრობას და ზნეობრივ დამოკიდებულებას. წინააღმდეგ, რექტორი გვაძვირებს ჩვენ და ჩვენ თხოვნაზე გვიპასუხებს ზოლმე გინებით და ლანძღვით... ზედამხედველნი ვ. ვ. ივანოვი და უ. თ. პოკროვსკი ყოველდღე გვაგინებენ, გვიწოდებენ მხეცებს, სულელებს და სხვა უშვერი სიტყვებით გვიმასპინძლებიან... მასწავლებელმა ბ. ბულგაკოვმა კი გადააჭარბა ზედამხედველებს თავისი შეუწყნარებელი საქციელით. მაშინ, როდესაც ეკლესიაში ჩვენ ყოფაქცევას თვალსურს ადევნებდნენ ზედამხედველები, ის სდგას ეკლესიაში როგორც ერთი მლოცველთაგანი და იმავე დროს გვლანძღავს, რომ ჩვენ ღვთის მოსავობით არ ვლოცულობთ. ეს კაცი ისეთი დახვესებული ხასიათისაა და პედანტია, რომ ძნელია სხვა ასეთი პიროვნების პოვნა... მესამე თვეა, რაც აგვიკრძალეს ყოველგვარი საერო რუსული და ქართული წიგნების კითხვა... არავითარი საშუალება არ არის ეკლესიის დატოვება წირვა-ლოცვის დროს აუცილებელი ბუნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად რადგან თუ გამოდი, თვითურ ნიშანს ყოფაქცევაში ცუდს მიიღებ... მოსწავლეთა შორის სემინარიის მთავრობას ჰყავს ჯაშუშები, რითაც იგი ზნეობრივად ათახსირებს ახალგაზრდებს და იწვევს მათ შორის მტრობას და შურს... ამიტომ ჩვენ, სემინარიის მოსწავლეები, მოვითხოვთ შემდეგს:

1) რექტორმა თავი დაანებოს ჩვენს შეურაცყოფას და დამცირებას, მოისმინოს ჩვენი განცხადებები ისე, რომ არ გავლანძლოს, აღდგენილ იქნას ქართული ენისა და გალობის სწავლება, მოგვეცეს უფლება ვიკითხოთ საერო მწერლების ნაწარმოებნი, როგორცაა დოსტოევსკი, ტურგენევი და სხვები, მიიღოს რექტორმა ზომები, რომ ჩვენ შეურაცყოფას არ გვაყენებდნენ მასწავლებლები და ზედამხედველები.

2) რადგან შეუძლებელია, რომ მასწავლებელი ბულგაკოვი და ზემოთ-დასახელებული ორი ზედამხედველი გასწორდნენ, დათხოვნილ იქნენ ისინი.

3) არ იქნას მოსპობილი ქართული გალობა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება სლავიანურს. ქართული ენა ისწავლებოდეს არა რუსულის საშუალებით, არამედ როგორც სავანი — ქართული, დაარსდეს სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რადგან თუ ქართული ენა და ქართული

ლიტერატურა არ გვეცოდინება, ჩვენს მოვალეობას საზოგადოების წინაშე ვერ შევასრულებთ.

4) წირვა-ლოცვის დროს უფლება გვქონდეს გამოვიდეთ ეკლესიიდან აუცილებელი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

5) მოისპოს სემინარიაში ჯამუშობის სისტემა. „ჯამუშობა ეწინააღმდეგება ქრისტიანულ გრძობას და ზნეობრივად ათახსირებს ადამიანს.

სემინარიის მოწაფეთაგან. 1893 წლის 1-ლი დეკემბერი.

სემინარიის ადმინისტრაციისათვის მოულოდნელი იყო მოსწავლეთა ასეთი ერთსულოვანი გამოსვლა. საქართველოს ეგზარხოსი შეეცადა გაფიცვის ჩახშობას, მივიდა სემინარიაში, თავი მოუყარა მოსწავლეთ და „დარიგებას“ შეუდგა. თბილისის პოლიციისტიერი 1893 წლის 11 დეკემბრის პატაკით ვუბერნატორს სწერს:

„როგორც ჩემ მიერ სრულიად საიდუმლოდ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ დროს მოწაფეთ ექორათ თავი სრულიად შეუფერებლად და მის ყოველადუსამღვდელოების წინაშე ბედავდნენ გამოთქმას ისეთ მოსაზრებებისას, რომლებიც არ ეგუება მთავრობის მიზნებს და რომლებიც საქართველოს გამოცალკევების იდეის მომხრეობაში ამხელენ მათ...“

2 დეკემბრის ღამეს სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა სერაფიმემ პირადად გადმომცა სემინარიაში მომხდარი ამბების შესახებ და მთხოვა ზომების მიღება იმ შემთხვევისათვის, უკეთეს რაიმე ძალდატანებას ეტუნება ადვილი.

ამასთან ისიც დასძინა, რომ ვიდრე სინოდისგან არ მიიღებს საქირო განმარტებას, საქართველოს ეგზარხოსს არ სურს ამ ამბის გახმაურება... სამ დეკემბერსაც არ შევიდნენ მოწაფეები გაკვეთილებზე. ოთხ დეკემბერს შეგროვილმა მოწაფეებმა, დაინახეს რა სემინარიის მთავრობის მიერ გამოკრული განცხადება, რომლიდანაც გაიგეს დროებითი სწავლის შეწყვეტის შესახებ და ის, რომ მათ ევალებათ საგზაო ბილეთების მიღება და დაუყოვნებლივ თავიანთ სახლებში დაბრუნება, ჩამოგლიჯეს ეს განცხადება, დახიეს იგი და განაცხადეს, რომ მათ არ სურთ სემინარიიდან წასვლა. გავიგე რა ახალგაზრდობის ასეთი გადაწყვეტილება, იმ წამსვე გავაძლიერე სემინარიაში ჩაყენებულ პოლიციელთა რიცხვი და აგრეთვე სემინარიის გარშემო — ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, პუშკინის ბაღში — ჩაასაფრებული იქნა ჩემს მიერ გაძლიერებული რაზმი პოლიციელთა“¹

4 დეკემბერს თბილისის ენდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსმა იანკოვსკიმ შემდეგი დებუმა გაუგზავნა პეტერბურგში ენდარმთა კორპუსის უფროსს:

„მართლმადიდებელთა სემინარიის მოსწავლეთა უმრავლესობამ, მოითხოვა რა ზოგიერთი მასწავლებლის გაძევება და ქართული ლიტერატურის კათედრის შემოღება, შესწყვიტა მეცადინეობა. რჩევა-დარიგებამ უშედეგოდ ჩაიარა. ეგზარხოსის დებუშის თანახმად, სინოდის განკარგულებით მოწაფეები დათხოვნილი არიან 8 იანვრამდე“.

სემინარიის მოსწავლეთა მოულოდნელმა გაფიცვამ ენდარმერია დააბნია. კარგმა კონსპირატორმა ლადომ თავის ამხანაგებთან ერთად გაფიცვის წინასწარი სამზადისი ისე ჩაატარა, რომ ფისკალების ყურამდე ვერ მიიღწია ამ ამბავმა და რექტორმა გაფიცვა მაშინ შეიტყო, როცა იგი მომხდარი ფაქტის წინაშე დადგა. ენდარმერია ეძებს, სათავე გამოუნახოს ამ გაფიცვას და დაუკავშიროს იგი ქართველების ეროვნულ მოძრაობას. ჯერ კიდევ 1892 წელს დაისვა საკით-

¹) საქ. რეს. მუზეუმის არქივი, საქმე თბილის. ენდ. სამმართველო, № 102, გვ. 17.

ხი ქართველ საზოგადოებაში 1845 წელს განჯაში გარდაცვლილი და იქვე დასაფლავებული ქართველების საამაყო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ. ხუთი თვე დასჭირდა ნებართვების მიღებას მთავრობისაგან ნეშტის გადმოსვენების შესახებ. როგორც იქნა, *ქალაქი ქვეყნის* ქვირფასი ნეშტის გადმოსვენება განჯიდან თბილისში. გაზეთი „ივერია“ ასე აგვიწერს ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას:

„ივერია დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი თბილისის რკინისგზის ვაგზალზე... ვაგზლის არემარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჰედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეყარა თავი... 9½ საათზე მოვიდა მატარებელი, და ვაგონიდან გადმოასვენეს კუბო ძვირფასი ნეშტით... აქ ვაგზალთან ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრია და პატივი სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. გზადაგზა რამდენიმე ხორო ვალობდა: ხორო ქალებისა, სასულიერო სემინარიის შეგირდებისა... როცა ლიტანია მიუახლოვდა (დიდუბეს), ხალხმა კვლავ მოიდრია მუხლი. საფლავზე სიტყვები და ლექსები წარმოთქმეს: აკაკი წერეთელმა, ილია ქაქუცაძემ, ნინო ორბელიანისამ...“

ქანდაკერიამ ქართველების საამაყო პოეტის ნეშტის გადმოსვენებაში, რომელმაც ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო, სეპარატიული მოძრაობა დაინახა და შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა პოლიციის დეპარტამენტს:

„აქ 5 იანვრის № 64 თქვენს მოწერილობაზე პატივი მაქვს მოგახსენო პოლიციის დეპარტამენტს, რომ მე არა მაქვს ფაქტები და საბუთები ქართველი ერის სეპარაციისადმი მიდრეკილებაში გასამტყუნებლად, მაგრამ რომ ექვს გარეშეა ასეთი მიდრეკილება, ამას მიმტკიცებს მე ის ხმები, რომელნიც ნდობის და დაჯერების ღირსნი არიან. მაგალითად, ქართველები (რასაკვირველია, მალალი და საშუალო კლასები) ამბობენ: „საქართველო ქართველებისათვის“. აქედან, აშკარაა, ის დასკვნა გამოდის, რომ საქართველოში მართვა-გამგეობა უნდა იყოს განსაკუთრებით ქართველების ხელში და მათ ქვეყანაში რუსის ეროვნების შეიძლება იყოს მხოლოდ ჯარი. ქართველებმა ხელახლად წამოაყენეს მივიწყებული საკითხი ქართველი პოეტი ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ განჯიდან თბილისში, რომელიც გარდაიცვალა ამ საუკუნის დასაწყისში და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოასვენეს თბილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდის პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას...“

იქვეა აღნიშნული ქართველი ბელეტრისტის, ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების ამბავი. მოხსენება ასე თავდება: „მივიღე აგრეთვე ცნობები (კერძო პირთაგან) იმის შესახებ, რომ სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი ღვაწლი მიუძღვით აგრეთვე სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთ, რომელი სკოლაც არსებობს მხოლოდ ქართველებისათვის. ამ ხელათ შეუძლებელია ამ ცნობის სისწორით გამოკვლევა“. სემინარიის გაფიცვას კვლავ უბრუნდება ქანდაკერი და 1894 წლის პირველ მაისს (№ 565) ატყობინებს პოლიციის დეპარტამენტს:

„აქ 7 მარტის (№ 224) მოხსენებაში მე მქონდა აღნიშნული, რომ სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წილი უძვეთ თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთ (არსებობს განსაკუთრებით ქართველებისათვის). აგენტების საშუალებით ახლად შეგროვილი ცნობები, რომელნიც ღირსია ნდობისა, ადასტურებენ, რომ დასახელებული სკოლის მასწავლებელთა გავლენა არ განისაზღვრება მარტო სემინარიით, არამედ ეს ხელმძღვანელნი მონაწილეო-

ბას იღებენ უფრო ფართო ეროვნულ მოძრაობაში ქართველთა შორის დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიც ეროვნულ მოძრაობის გაღვივებაა, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო კეკელიძის და მგლომედიძის მატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში, საერთოდ, და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის, განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროადადრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს. უეჭველია არსებობენ სხვა, მეორე ხარისხოვანი პიროვნებანიც, რომელნიც მეცადინეობენ ააღვსონ ახალგაზრდობა და შეათვისებინონ აზრი სეპარაციასზე... დასასრულ, თანახმად პოლიციის დეპარტამენტის 19 მარტის ა. წ. (№ 1826) წინადადებისა, მაქვს პატივი მოგახსენოთ: თბილისის სემინარიის დაკეტვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე და უკმაყოფილება გამოიწვია მათში რუსების წინააღმდეგ საერთოდ და საქართველოს ეგზარხოსის წინააღმდეგ კერძოდ. უწმინდეს სინოდის ა. წ. 31 იანვრის (№ 457) ბრძანების ძალით, გასული წლის დეკემბერს მომხდარ უწესოებისათვის თბილისის სემინარიიდან გამორიცხულ იქმნა, სხვა სემინარიებში სწავლის გაგრძელების უფლების ახლით 87 მოწაფე, რომელთაც აკრძალული აქვთ თბილისში ცხოვრება ამ უკანასკნელი ზომის საესეებით განხორციელება არ მოხერხდა, რადგან ზოგიერთი, მოწაფის მშობლები და ნათესავები თბილისში სცხოვრობენ”.

ამ მოხსენებიდან აშკარა ხდება, როგორ ცდილობდნენ მეფის სატრაპები ყოველივე გამოსვლა სეპარატიული მოძრაობით აეხსნათ, ამუხად აეგდოთ ერის სათაყვანებელი შვილები, როგორ უდიერად იხსენიებდნენ ქართველი ერის გენიალური პოეტის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ნეშტს: „განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს რაღაც ძვლებიო“. მათ უნდოდათ ეროვნებათა შორის შუღლი დაეთესათ და ამით თავიანთი ბნელი ზრახვებისათვის მიეღწიათ. ამიტომ ცდილობდნენ ექზარხოსი და სემინარიის რექტორი სერაფიმი გადებირათ რუსი მოწაფენი და მათსა და ქართველ მოწაფეთა შორის მტრობა ჩამოეგდოთ. მაგრამ აქაც ანგარიში აერიათ: ქართველ მოწაფეთ ძმურად უწვდინდნენ ხელს დიდი ერის საუკეთესო შვილნი. სემინარიიდან გამორიცხულთა შორის რუსებშიც მოხდნენ: ოგვარენკო, სოლოვიოვი, პაშჩენკოვი.

სემინარიელების გაფიცვამ გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. იმავე მოხსენებაში აღნიშნულია: თბილისის სემინარიის დაკეტვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე და უკმაყოფილება გამოიწვია მათ შორის რუსების წინააღმდეგ, საერთოდ, და საქართველოს ეგზარხოსის წინააღმდეგ, კერძოდ“. ძალიან სცდებოდა მეფის აგენტი, როცა ქართველი საზოგადოების უკმაყოფილება რუსებზე გადაქონდა. უკმაყოფილებას იწვევდნენ ექზარხოსები, რექტორები, სასწავლო ოლქის უფროსი იანოვსკები და მისთანები და ამ უკმაყოფილების თესლს სთესდნენ დიდი რუსეთის საუკეთესო შვილები—ჩერნიშევსკები, დობროლუბოვეები, პისარევეები და სხვები, რომელთა იდეებიც ღრმად იყო შემოჭრილი მაშინდელ ქართველ მოწინავე საზოგადოებაში, სემინარიის მოსწავლეთა 1893 წლის გაფიცვა იყო ბრძოლის იმ ერთი რგოლთაგანი, რომელიც თანდათან ინასკებოდა და ახალ-ახალი ბრძოლის საწინდრად ხდებოდა.

სემინარიის გაფიცვის მონაწილეთა დათხოვნას მოჰყვა რეპრესიები. სინოდის ბრძანების ძალით, რომლის შესახებაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, სემინარიიდან გამორიცხულ იქნა 87 მოწაფე, რომელთა შორის გამოსვლების სულის ჩამდგმელი ვლადიმერ კეცხოველიც მოჰყვა. თბილისის სასულიერო სემინარიის

რექტორი არქიმანდრიტი სერაფიმე 1894 წლის 24 მარტის თარიღით და 43 ნომრით თბილისის საგუბერნიო ენდარმთა სამართველოს უფროსს სწერს:

„1894 წ. 22 მარტის № 280 თქვენი მომართვის საპეტეხეუფეუცნობებთ რომ თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა გაცნობებთ, რომ 37 მოსწავლისა, რომელნიც, უწმ. სინოდის 1894 წ. 31 იანვრის № 457 ბრძანების ძალით, გამორიცხულნი არიან სემინარიიდან 1893 წლის 1-4 დეკემბერს მომხდარ არეულობაში მონაწილეობისათვის“. შემდეგ ჩამოთვლილია გამორიცხული 87 მოსწავლის გვარები. ასე ამთავრებს სერაფიმე თავის მიმართვას: „აღნიშნული მოსწავლეები გამორიცხული არიან და მათ აკრძალული აქვთ სხვა სემინარიაში სწავლის გავრძელება. უწმ. სინოდის ბრძანებით, თბილისის პოლიცემისტერს ეცნობა სია ამ გამორიცხული მოწაფეებისა იმ მოსაზრებით, რომ მათ წინააღმდეგ მიღებული ყოფილიყო სათანადო ზომები. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი, სწორეთ ისინი, ვინც ამ არეულობის ხელმძღვანელნი იყვნენ, და დღესაც აქტიური მოწინააღმდეგენი არიან არსებული წესწყობილების, თავისუფლად განაგრძობენ ქალაქ თბილისში ცხოვრებას“.

ამ მოწერილობის შედეგი იყო ის, რომ გამორიცხულთაგან 23 სემინარიელს აეკრძალა თბილისში ცხოვრება. მათ შორის ლადო კეცხოველიც იყო.

ლადოს ხელში შერჩა „მგლის ბილეთი“, რომ იგი სწავლობდა 1891 წლიდან 1894 წლის 31 იანვრამდე თბილისის სემინარიაში და სინოდის ბრძანებით გამორიცხულ იქნა მესამე კლასიდან. მოწმობა დათარიღებულია 1894 წლის 4 მაისი. ხელს აწერს სემინარიის რექტორი და მდივანი.

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში ვატკბილდებო“ გავიხსენეთ პოეტის სიტყვები ამ წიგნის მეორე თავის დასასრულს. სემინარიის უკუღმართმა რეჟიმმა ვერ გაატკბილა კენწეროში ეს სწავლა. „მგლის ბილეთი“ დიდ სიტკბოებას არ მიანიჭებდა სწავლა მოწყურებულ ნიჭიერ ყმაწვილს. მარცხით ვათავდა პირველი ბრძოლა, მაგრამ მასში სიტკბოებაც იყო. ეს იყო პირველი საბრძოლო ნათლობა 17 წლის ჭაბუკისა. ამ ბრძოლამ დაანახვა, რომ საბოლოო მიზნის მიღწევისათვის საჭიროა უფრო მეტი დარაზმულობა, შემკიდროება. ამ ბრძოლამ გაუძლიერა ლადოს სურვილი კვლავ ჰყვეთებოდა მტერს და დაემხო იგი.

„მგლის ბილეთი“ მოაგონებდა ხოლმე ლადოს, რომ საჭიროა ძირიან-ფესვიანად აღმოიფხვრას ის რეჟიმი, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობას სასწავლებლის კედლებს ატოვებინებს. გამორიცხეს 87 მოსწავლე, მაგრამ მათი ადგილი სხვა 87-მა დაიკირა. სემინარიიდან 1894 წლის 13 იანვარს გამორიცხეს ლადო და იმავე სემინარიაში იმავე წლის 1-ლ სექტემბერს ფეხი შესდგა ლადოს მეგობარმა, მომავალი ბრძოლების დიდმა სარდალმა, რევოლუციის გენიალურმა მესაქემ იოსებ სტალინმა.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი ბაქანი

ლ ა შ ქ რ უ ლ ი

მოლაშქრენი მიდიან
ბედაური ჭიხვინებს —
თავით ვარსკვლავს ეხლება
როცა ყალყზე შედგება.
ტრამალეზე ნისლი ძევს,
ტრამალეზე ჭირხლი ძევს
და უზანგის წყრიალში
ბრძოლის დილა თენდება.

მუხნარიდან გავიდენ.
შემოსძახეს მგზავრული,
ვაეკაცური სიმღერა
ეფინება გზაშარას.
ბედაურებს აფიცებებს
ქარქაშების ელარუნი
და ლაგამის ხრამუნით
სულ დაგლიჯეს ავშარა.

მიჰქრიან და მრისხანედ
ისწორებენ ფაფახებს,
მიჰქრიან და მიჰყვებათ
სურნელება ველებს.
სისხლი ღებავს ტყაბუჭებს,
სისხლი ღებავს ბალახებს,
თოფის წამლის სუნითა
განკლენთილა ხელები.

აგერ ერთი დაღონდა,
ვიცი რაზე იღარდებს, —
შვილზე, — ქალზე რომელიც
ახლა მასთან არ არის.

შეიყვარე ძმობილო,
ძმაცაცოვით გიყვარდეს
შვიდი ტყვია, ფოლადის
რევოლვერში ჩამჯდარი.

რას მიჭვია უნაგირზე
უცებ ძილმა მოგისწროს!
ჩაღის ფასად არა ღირს
ეს მოლაშქრე ომის დროს.
ჩემი დები ქოხში მოჰკლეს,
შენი გზაში დაფლითეს.
მაშ მახვილო გამოხილო,
ელვასავით გაეფრინდეთ,
ქარქაშს მაშინ დაუბრუნდი,
როცა სისხლს გაეაჭვითებთ.

ჩენი ველი, ჩენი მიწა
ბრძოლით გადავიარეთ.
ჩვენ ვაზნები დავითვალოთ
ნუ დავითვლით იარებს.

ნუ ვიკითხავთ მაშინ გზაკვალს,
რომ სიკვდილიც გველოდეს,
ცხენებს დეზი შემოჰკარით,
ხელში ხმალი მღეროდეს,

კაცი მოკვდეს უნაგირზე,
ძირს ჩამოსვლა არ იყოს.
ჩენი დების, ჩენი ძმების
წმიდა სისხლი ავილოთ.

თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ.

მიკოლა ბაჰანი

ჰოზიანის სარობა

ფოტრო კიბესთან, ფულუროში, წკვარამ ღამეში,
ფოტრო კიბესთან გაქვარტლული ჰკიღია კარი.
ნესტიან ზერელში, მოსახვევში და სიმლაშეში,
როგორც აკლდამა, დაწყველილი სარდაფი არი.
აბრა მოხსნილი. უსახელო, სავანე ბნელი,
სადაც ქალები ბრიუგერთა მისვლას ელიან.
სადაც ფანტასტი, მეძავენი და მეეტლენი,
ვით ჩვეულებას, ბოროტ სარდაფს შეკედლებიან.

გაფოფრილია, დავარდნილი სარდაფი ბნელი,
როგორც ლოთების ღია ხახა, კბილებდამპალი-
სანთლით დაღვრილი, ჩამომდნარი ქონი ყვითელი
შეხორკლებია სქელ სასმისებს და ჰკრთის შანდალი.
მუშტების გვარად ამართულან ხორკლი ქონისა,
როგორც ვაშლები კეთილისა და ბოროტისა,
დგანან სუფრაზე გაბერილი თასები უხვი.
ბოსით და ღვინით აღსავსეა სუფრა ნაქები.
გადმოზნექილი, მოჭანავე ტაბლები მუხის
დასვრილი არის თითებით და ღვინის ლაქებით.
შანდილიდან ქონი გადმოღვრილი დაისერება-
ნელი სისინით მავიდებზე მისცურავს წყნარი.
მიაგავს ზემს დამშვიდებულს მათი სერობა,
სადაც ყოველი შემოჭრილი სარდაფს სტუმარი
ზღება მაშინვე განუყრელი მოძმე ყარიბი,
სიზმრის მხილველთა მონაწილე და მოუბარი,
სურაფიონელთ ერთგული და მკვიდრი არიფი.
ათასი ღამე ამ სარდაფში, ათასი ეამი,
სვამს და იცინის ამეღვი ქვეყნის მკილავე;
ენა ტარტალა და ხელმწიფე აწეულ ღამის,
წრეს გადასული მოქეიფე, გულთამხილავე.
დამჯდარა იგი კუდაბზიკა მეფისტოფელი,
მავნე ნადიმთა გამგებელი ჩვეულ ხალისით;
არ ახსოვს ცოლის მოღვრილი შავი ფოსტალი,
არ ახსოვს ჩინი, არც ორდენი და არც ხარისხი.
ჩაბუხს აბოლებს. აჭაშნიკებს ღვინოს ჭიჭაში,
დადუმებული აელვარებს თვალებს შუქივით.
წარბს ათამაშებს დამცინავად ხალხის წინაშე,
წარბს შემორკალულს და მოღუნულს კატის ზურგივით.



თითქო კატა, პირფერია მზიბლაეი ეშით,
 ხან უცხო ხილვით იტანჯება კაცი მისანი
 უხიაგებში, გარყენილგებში და პოეტებში.
 ხან ეშმაკია და ხან კიდევ სული წმინდანი.
 ხან კატა არის, ვებერთელა კატა მური,
 მოხრის ზურგსა და ბრჭყალებს ნაზად მოეფერება,
 წკვარამ სარდაფში გაშლილია ნისლი და ბური,
 განწირულთ წრეში, ღრიანცელში მოეჩვენება
 ძველ მეოცნებეს, სიზმრის მხილველს, საოცარ ფანტასტს,
 აწეულია თითქო უცხო თეატრის ფარდა.

„ეი, სირაჯო, არ ვარ მთვრალი, არ ვარ საპყარი,
 მოგვეც სანთელი, აბა, ჩქარა, ღვინო გახსენი.
 მოგვეც სასმისი, ლიმონი და ბლომად შაქარი,
 პოეზიისთვის გამოვეცალოთ, ძმებო, თასები.
 აანთეთ სპირტი, სასმისია აუტოდაფე.
 შიგ იწვის სპირტი, როგორც სული განკიცხულისა.
 შეკედლებულნო, თქვენ, ბერლინის ურწმუნო კაფეს,
 ველურ ყვირილით დაანთიხეთ შხამი გულისა.“
 ამბობდა პუნში, ფართქალებს და ცეცხლზე ინთება
 პუნშის ენები ცისფერები კაფეს მოედო.
 გაბერილ თუჯის ჭურჭელიდან ღვინო იღვრება,
 „ეხ, მეზობელო, ვადმოეცი პუნში თეოდორს,
 ვწამდეს მარადის, ღვინოშია ქეშმარიტება.“

როგორც კოკონი საიდუმლო ინკვიზიციის,
 ელავს ჭიქაში სუსხიანი ღვინის ცისკარი.
 ღვინო დაეღვარათ ამ თუჯიდან, როგორც სიცილი
 და გამოვეცალოთ ჯოჯობეთის წყალი ცინცხალი.
 აღუღლებიან ბობოქარნი შხეფნი შხამისა,
 აყვავებულ კოკონები არსად ანთია.
 ბოლი და ბნელი, აჩრდილები ბოროტ ღამისა
 და სასმისებშიც — ანთებული შარავანდია.
 ამღვრულ თვალში ბუნდოვანად მისცურავს ბნელი —
 კაფეში მსბდომთა თავები და ზურგი მრავალი,
 იფეთქებს, ჭრება შავასავით სწორი სანთელი,
 იშლება ღამის საოცრება და კარნაველი-
 უცებ სარდაფში მოელვარე დუმილი ღვება,
 შემდეგ ბაგენი ვახლჩებიან სიტყვის ხანძარით.
 სიტყვა და სიტყვა, ათასობით ფრაზა იქმნება
 და შემდეგ უფსკრულს გადაცვივა როგორც კაქარი.

იზრდება ცეცხლი, სვეტივით მშვიდი,
 როგორც სვეტი და კენესა ნაკემის:
 „მე ეშმაკურად წავართვი სიკვდილს
 ეს ღამე ღვინის და ალტაცების.
 დავიდებ მხრებზე ღამეს აწეულს,
 ვით ჯვარს ცოდვისას და მოწყალებას.“



და ჩემ დაფუთქულ შხამიან სხეულს
 ნელა დავათრევ, ვაჩვევ წვალებას.
 ეამს სიბილწისას, ბოდვით და ვნებით,
 სიტყვის აჩრდილებს ვუბრძანე ყველას,
 გულის ორმოდან, ბუღით ვონების
 ობობებივით გამოდით ნელა.
 თქვენ ობობებო, ნაშხამნო მარად,
 უშიშრად, მტკიცედ გაცოცდით ლალად.
 რომე დაეწყით გვამების გვარად
 გაფითრებულს და მწვითარე ჭალადს.
 გასწით, გაშორდით ბოროტი ხინჯით
 ალიაჭოთში ტვინთ განამოხებს;
 განშორდეს შალე ფიჭვი მახინჯი
 პოეტს წმინდანსა და მემზობეს.
 მაშინ კალამი, როგორც კივილი,
 როგორც კივილი გამხდარ თითებში,
 ეცდება შექმნას ლხინი ყივილით
 და მოჭრიალე მანუსკრიპტებში,
 მან დააძინოს ეშმაკის ფეხით
 ნახშირად ქმნილი ხალასი მტვერი.
 მაშ, შეუკეთეთ თუჯის ქვაბს ცეცხლი,
 აღუღდეს ღვინო რიყრაყისფერი.
 დე, ირუხუხოს ღვინომ კაფეში
 და იმბაუროს ქარვამ შეეფისამ.
 მოდი, მოგელი ამგვარ ღამეში.
 შენ გარყენილება შეთავონებისა,
 დამიგჯეს გული ნაკუწ-ნაკუწად,
 ვაეფანტო ლოთმა ვათენებისას“.

ქალარა მოძმეს გამოართვა საცხე სასმისი,
 უნდა ჩააჭროს ანთებული ენა ვარვარა.
 კაფეში მსხდომთა საუბარი ისეც გაისმის
 და ამედეი, გალურსული, განზე გამდგარა.
 კიბორჩხალივით გამოცოცდა ხაშში ბინძური,
 ლოთთა ხახაში ჩადის ხაშში და იძირება.
 ღვინით და სიტყვით მიღეული, გამოფიტული,
 სანთლით დაღვრილ ქონს დაყრდნობია და ეძინება-

ჯერ თუჯის ქვაბში დაკიაფებს ეანგის ფერადი,
 იზრდება ბნელი და ჩურჩულებს ხალხი შეყრილი.
 მთვლეშარ მოახლეს მწვეველთათვის მოაქვს დრეკადი
 სქელი თუთუნა, დასტა-დასტა და დაგრეხილი.
 ცისფერ მორგვებად ჩიბუხებზე ბოლი იჩქარის,
 და ჩიბუხები ხროტიანებენ დაძაბულები.
 ეამი ღუმლის, საუცხოვო, ეამი სიწყნარის
 და ზარმაცობენ სიზმრის ქსელში განაბულები.
 უჭირავთ გრძელი ჩიბუხები ფლეიტებივით,
 სინჯავენ გემოს, დაეყნოსოთ თითქო ყვავილი,

და ცელქი ბოლი, ცისკენ მსრბოლი, ცისფერ თმებივით
არის პოეტთა ფიქრებიდან ამოყვანილი.

„ქმარა სიტყვები! სიკვდილის და გზნების მშობელი!
შეიდი ეშმაკი გერმანული არ არს საშიში.

სად არს ნოტები? — ამედეი! კონცერტს მოველით!

ისწრაფე ძმაო, დილეტანტო, გელის კლავიში!

ღე, გამხდარ ხელმა აკორდები სწრაფად დაიპყრას,
დამწიფდეს ბგერა, პიანისტი სწუხდეს აშკარად.

იგი წამოდგა, მის ფეხებთან ქარი აიძღვრა

და დროშასავეით მოთამაშე ბოლი გაშალა.

ბალნიან ხელით, მორიდებით, იგი ეხება

ცისფერ ეშვების უსპეტაკეს თვინიერ კლავიშს.

დაკრავს თორმეტჯერ. შეიყრება და დაიხრება

ციფერბლატივით დაშვებული თითები შავი.

თითქო შეუთხზა ერთგულ ძმობილს წყველა ღვთიური,

წაეცხო თითსაც ღვთაებრივი ეამი ვარამის-

„ძმებო, ზედმეტად ნუ ვიქნებით რომანტიული.

წავიდეთ მალე, ჩქარა ქუდი და მოსასხამი,

გარეთ წვიმა“

წკრიალებენ წვეთები წვიმის,

როგორც ქალაღღზე პედანტიურ კალმების წყება-

გადაწერილა ეს ბერლინი წვიმიან სიმიტ

და ხის შტოები მოშრიალე კედლებს აწყდება.

წვიმის ეკლები რომ დასძლიოს, კაცი სად არი;

ვინ დასძლევს წვიმას, გადაიტანს წვეთებს გოტიკის,

იგი ქანაოხს ტბორთა შორის, თითქო მთელმხარი

მიდის პოფმანი, ჩურჩულებს და ქარი მოპკივის.

მიპყვება ქუჩა, როგორც გამის გამოძახილი,

მისცურავს გამმა, ივრბება და ნთქავს წყვიდადი.

მოთესილია მოედანი წვიმიტ დაღლილი.

ხშირი ტბორები, ნიაღვარი და განთაიდი.

როგორც ბგერები, აწყობილი, წვიმის შეფეხები,

შეშლილ შემოქმედს, მაწანწალას, ეცემა მძიმედ.

წვიმის ქიმერავ! ისრებით და წვრილი სვეტებით

გაღმოდირხევით, იქანავე და იზეიმე!

და ნაცნობ კართან აქვითინდი მწყობრი წვეთებით.

ნაცნობი სახლი, მას მოელის სითბო და ცოლი,

ნაცნობი სახლი, ოთახები სიამის მგერელი,

ცოლის ხალათი მოქარგული უცნაურ ზოლით,

ცხელი ღუმელი, საამური ცხელი ღუმელი.

„შენ უკვე გძინავს, ამალია, ადგე, ივარგე,

კარი გამიღე, აკაუნებს ქმარი ამაყი“.

„უკვე მობრძანდი, ამედეი, სად დაიკარგე.

წალა გაიძვრე, ნუ შემოგაქვს სახლში ტალახი“.

ბუხართან წალა მიაფიცხა მან ვასაშრობად,

კმაყოფილია ამედეი და ილიმება-

ბუხარზე არის ჩუქურთმების მთელი ლაშქრობა,
 ცისფერ გოგოსთან დეას რაინდი და იჭიმება,
 სდგას ლიბიანცი, ჭიაფერით სუფთად ნაფერი, **გაქონული**
 ჩასკენილ დედაკაცს მოხვევია ალტაცებისას, **გინგლირთხვა**
 ჰოფმანს უღიმის: ისეირნე, იყავ ჯანმრთელი
 (იდილიაა ფლამანდრიელ ოსტატებისა).
 როგორც ასული მედიდური და სასურველი,
 ლევის ბუხარი, ზატული და ფლამანდრიელი
 და შორენკესაც ავარვარებს ცეცხლის სურნელი,
 იწვის ლაქვარდი, ყირმიზი და ოჭოს იერი,
 ხის კარები და იატაკი ჭრიჭინებს მშვიდად.
 ჰოფმანის ვრძნობას ოჯახური ყოფა ანელებს,
 და მოძველებულ, გამობერილ საწერ მაგიდას
 ამკობს კალამი ფრთიანი და შუშის სამელნე.

თარგმანი უკრაინულით
სიმონ ჩიკოვანისა.

იონა ვაკელი

შამილი*)

ტრაგედია ოთხ მოქმედებად

მოკმედეგა მისაში

შამილის სერალი—დარბოზი

დანიელ-ბეგ — მაშ ყველაფერი უწებლად მოალაგეს მუსა, მსახურებმა?
მუსა — სუყველაფერი ჩემო ეფენდი.

დანიელ-ბეგ — ხანუმებს ცუდათ უმგზავრიათ ასე გადმომცეს.

მუსა — ხანუმები კარგად გახლავთ ეფენდი. ცოტა შუანეტს ეტყობოდა ვხაში სისუსტე, და ეხლა ისიც კარგად არის.

დანიელ-ბეგ — გარედ ხომ არაეინ მელოდება, მუსა?

მუსა — სწორედ აგრე გახლავს, ჩაჩნებია და თქვენი ნახვა სურთ ეფენდი.

დანიელ-ბეგ — შემოუშვი!

მუსა — მობრძანდით პატივეცემულნო, აქეთ მობრძანდით! (შემოდინან: ფეზი, ხასიმ და თეფი).

დანიელ-ბეგ — ო, თეზი ეფენდის ვახლავართ, ჩემს ძველ მეგობარს, ფეზი ეფენდის!

ფეზი — სალამ ალეიქუმ დანიელ-ბეგ!

დანიელ-ბეგ — ალეიქუმ სალამ! აი, აქ დაბრძანდი ჩემთან ახლოს. სხვარა ამბავი მოიტანეთ ფეზი ეფენდი, მითხარით რაზედ გარჯილხართ!

ფეზი — ჩვენ, ჩაჩნები, რალა საკითხავი ხალხი ვართ დანიელ-ბეგ, ურუსებმა აგვიკლეს და დლითი დღე ენადგურდებით.

დანიელ-ბეგ — ეხლა ლეკებიც არ არიან ნაკლებ დღეში ფეზი ეფენდი... მათი აულეებიც განადგურებულია, სახლკარი გადამწვარი და ხალხი ხვადავივით მთაში ბალახსა სძოვს.

ხასიმ — მართალია, ლეკებიც ცუდ დღეში არიან, მაგრამ ჩაჩნების გაჭირვებას, მაინც ვერ შეედრება ლეკების უბედურება. ჩვენ ჯოჯოხეთში ვართ ჩემო ეფენდი...

დანიელ-ბეგ — რალა თქმა უნდა კარგ დღეში არ იქნებით... მაგრამ თუ იმარჯვებთ ისევე გამოსწორდება თქვენი მდგომარეობა... რატომ არ შეებრძოლებით გიაურებს?

თეფი — სად გვაქვს შეებრძოლების თავი ეფენდი, ხალხი წელში გატეხილია და სიმშლით იხოცება.

ფეზი — ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ დანიელ-ბეგ ძალიან ბევრი და ბოლოს ისევე გიაურებიანდმი მორჩილება ვარჩიეთ.

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 8.

დანიელ-ბეგ — რაო? ეგ რა სთქვი ფეზი? გიპურების ულული ხარით თავისუფლებას?

ფეზი — სხვა გზა არ გვაქვს უბედურ ჩაჩნებს... რაკი ~~შეიძლება~~ შესძლო ჩვენი დაცვა — ისევ ურუსებთან შერიგება ვარჩიეთ. ~~შეიძლება~~

დანიელ-ბეგ — მერე ვინ ეტყვის ამ თქვენ სურვილს მრისხანე იმამს? ვინც მაგას შამილს გაუბედავს, იმას სიკვდილი არ ასცდებია... თვალებს დასთბრის, ან კიდევ ბაგეებს ამოუტყარას იმამი მაგის მოქმელსა!

ფეზი — ჩვენ საწყალ ჩაჩნებს, მხოლოდ შენი იმედი გვქონდა დანიელ-ბეგ. თუ დიდათ არ დაიზარებ, მოგვეყვი დღესვე შამილის დედასთან და ჩვენი თავი შეაწყინარე... ის გულმოწყალე ხანუშია, როგორც ამბობენ.

დანიელ-ბეგ — ბახუ მესვლე თუმც ქალია ფეზი ეფენდი, მაგრამ მას არ ესმის შეცოდება იმ მართლმორწმუნის, რომელიც ეძებს თავშესაფარს გიპურებთან. არა, თქვენ არ ხართ უფნური ჩაჩნები ღირსნი, — წმინდა შაჰმადის მართლმორწმუნეთ იწოდებოდეთ... თქვენ სამუდამო სამოთხე, წუთიერ დამშვიდებაზე გინდათ გადასცვალოთ და წმინდა ვალიც დაივიწყოთ ამ ქვეყანაზე... ამ სურვილისთვის არსებობს მონანიება და თქვენ სამთავეს სამარცხვინოდ მოგაკედინებენ!

ფეზი — მაშ, არაფრის იმედი არ უნდა ვიქონიოთ დანიელ-ბეგ?

დანიელ-ბეგ — სრულიად არაფრის!

ფეზი — ჩემი თანამომენი შენ დიდად გაფასებენ ბრძენო დანიელ... ნიშნად პატივის და შენდამი ერთგულებისა, გამოგვგზავნეს ჩემის ხელით, აი, ეს ფული!

ხასამ — მიიღე ეფენდი ეს ოქროები და ჩვენი თხოვნა შეიწყინარე!

თეფი — რაკი არაფერი გვეშველება, წავიდეთ ხასიმ, წავიდეთ და აგერ კობიტ შაჰომასთან მივიდეთ, ის ჩვენ მეტი ყურადღებით მიგვიღებს, თან ის დანარჩენი ხუთასი თუმანიც წავიღოთ, რომელიც ხანუშის ფეშქეშად გვქონდა მოტანილი! (დაიწყებს ფულის აკრებას)

დანიელ-ბეგ — ნუ ხარ ასეთი გულფიცხი ფეზი ეფენდი, იქნებ ერთთავად ვერ გავიგე რაც უნდა გეთქვა... სთქვი კიდევ ერთხელ, გასაგებად გაიმეორე!...

თეფი — განმეორებას რა აზრი აქვს ჩემო ეფენდი, გატყობთ სახეზე, სრულიად რომ არ გეპზალებით...

დანიელ-ბეგ — ვფიცავ დიდ ალლაჰს მებრალეებით, მაგრამ რას ვიზამ, დიდად გაბედვა უნდა თქმასაც: ძნელი საქმეა, თან შეიძლება ხიფათიც რამ მოჰყვეს ამ თხოვნას, და მიტრამ ვამბობ ძნელია-თქო, თუმც უსაშველო არა არის რა ქვეყანაზე ძვირფასო ფეზი.

ფეზი — ამბობენ ხანუშს დიდ პატივს სცემს თურმე იმამი!

დანიელ-ბეგ — რაღა თქმა უნდა... მშობელი დედის ერთი სიტყვით, სიკვდილს მისჯილნი ლებულობენ პატივებს და გაძარცვულებს ქონება უბრუნდებიათ.

ფეზი — მაშ. შეაწყინარე ჩვენი თავი იმ ქალს დანიელ და ჩვენც კაცნი ვართ ქვეყანაზედ.

დანიელ-ბეგ — რაკი ასეა, შევეცდები... ხანუშის ჩემდამი ხატრი და თქვენი ხუთასი თუმანი, მე მგონია, აამოქმედებს ბახუ მესვლეს თქვენს სასარგებლოდ... მე თქვენ გუებნებით ხუთასი თუმანი მეთქი, ხომ ვაიგეთ, ეს თანხა ჩემთან დარჩეს ფეზი ეფენდი.

ფეზი — როგორც შენ გსურდეს დანიელ-ბეგ, შენი იმედით, საწყალი ჩაჩნის ხალხი, ესლა ნადირივით დგას მთებში და მხოლოდ ჩვენს მისვლას ელოდება.

დანიელ-ბეგ — მესმის ძვირფასო მეგობარო, განა არ მესმის? თქვენ მთებზე ისე ხართ ეხლა მიმწყვდეული, თითქოს ჩიტი იყოს გალიაში... აი, ჩიტიც ერთხანს ასე ფართხალებს, ფართხალებს, მაგრამ შემდეგ ურიგდებუტყვეობას და გალობასაც იწყებს, თუ კვება არ მოაკლდეს... მაშ ასე, ჩემო მეგობარო, დახმარებას საჭიროებთ. რალა თქმა უნდა, მეც თავს შევიწუხებ და რამეს ვიღონებ, თვით დიდ ალლაჰსაც არ ეწყინება საწყალი ხალხის დახმარება.

ფეზი — თუ კი ამ საქმეს მოაგვარებ ბრძენო დანიელ, ვფიცავ დიდ ალლაჰს, ამ ფულს ერთ ამდენს დაუმატებთ...

დანიელ-ბეგ — უსათუოდ გაკეთდება ფეზი ეფენდი. მართალია, მე წელან კოტა გადაეკარბე ყურანის და მართლმორწმუნის შესახებ, მაგრამ ეს ისე მომივიდა... ეხლა მე წავალ შამილის დედასთან და თქვენს სათხოვარს მოვახსენებ... მაგრამ ამას ვთხოვ ჩემო ფეზი, დარგოში დარჩეთ, სანამ პასუხს მიიღებდეთ. მუსა, გაიყვანე ეს პატროსანი ხალხი და შენს ბინაზედ მოასვენე, შემდეგ კი, იმამს თუ სძინავს, წადი, ნახე...

მუსა — მესმის ჩემო ეფენდი (შემოდის კიბიტ მაჰომა)

დანიელ-ბეგ — მობრძანდით კიბიტ!

კიბიტ მაჰომა — შამილს ვერ ნახავ ამ სალამოს დანიელ-ბეგ?

დანიელ-ბეგ — მგონია სძინავს იმამს ეხლა. ჰო, მართლა სურხაი ნახე?

კიბიტ მაჰომა — წელან შემხვდა და საყვედურით ამავსო კიდევ.

დანიელ-ბეგ — საყვედურითო?

კიბიტ მაჰომა — რა არა მკადრა, რა არ მითხრა, წარმოიდგინე უმსგავსო ფლიდიც დამიძახა, იმ არამზადამ!

დანიელ-ბეგ — მერე შენ რა ჰქენ, მოითმინე?

კიბიტ მაჰომა — ამ ერთხელ მართლაც მოვითმინე, მაგრამ შემდეგ კი...

დანიელ-ბეგ — არა, შემდეგშიც მოუთმინე, ასე აჯობებს... ძროხას მარილით ატყუებენ, ქალს ალერსით და მოფერებით, ხოლო მამაკაცებს სახელისა და დიდების მოხვეჭის შეპირებით. ბრიყვი არ გეგონოს! შამილი ანგარიშს ისე უწევს იმ დათვის, თითქოს მთავარი მრჩეველი ის იყოს და არა მე, თუმცა ესეც გასაგებია: ამ ჯამად სურხაი ის რგოლია — ჩვენა და მდაბიო ხალხს, რომ მციო-უე ხნით გვაკავშირებს! ისე კი, ჩვენ მაინც სიფრთხილე გემართებს, თავდაკერით რომ იყო ის აჯობებს, რაკი დროებით მაინც სასარგებლო კაცია იგი ჩვენთვის.

კიბიტ მაჰომა — მე რომ კაცმა მკითხოს, ქარის არც შემოტანილი მინდა და არც გატანილი.

დანიელ-ბეგ — შემოტანილი მაინც სჯობია დამიჯერე — გატანით კი ნურაფერს გავატანთ... ვატყუოთ ასე, ტყბილი სიტყვით მიუალერსოთ, თუ რანე ვთხოვოს, დაუყვავით ცბიერი ჭებით და მუდამ ისა ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ ნამდვილად, გვინდა მდაბიოს სიკეთე და ბედნიერება. რა ჭენი მუსა, რა გაიგე?

მუსა — სძინავს ეფენდი!

დანიელ-ბეგ — შამილის დედა რას აკეთებს?

მუსა — ბახუ მესედუე წინდებსა ქსოვს ეფენდი.

დანიელ-ბეგ — კიბიტ, აქ დარჩი, ჩემს მოსელამდე არსად წახვიდე!

კიბიტ მაჰომა — მუსა, ეს რა უცნაურ ხასიათზეა დღეს დანიელ-ბეგი!

მუსა — რა ვიცი ეფენდი, ყოველ სულეერს აქვს უფლება, როგორც მას მოსწონს, ისეთ ხასიათზედ იყოს.

კიბიტ მაჰომა — მე გეკითხები, რატომ ასე მზიარულია მეთქი?

მუსა — ალლაჰი ყველას უგზავნის ეფენდი ცოტაოდენ სიამოვნების გრძობას, აი, გოშიაც, შამილის ძაღლიც რომ არის, პატარა გოშია, ისიც მზიარულა, როცა რიგიანი ლუქმა ჩაუფარდება პირში!

კიბიტ მაჰომა — შეხეთ ამ ოხერს, როგორ ბრძვეულად მიაღწიეს, მე შენ თვალებს დაგთხრი და მარილიან წყალში მოგხარშავ, არამზადა!

მუსა — შაქარწყალში რომ მომხარშო, ის გირჩენია ეფენდი, შაქარწყალში მოხარშული, შენთვის აჯობებს: სიმწარე დამეკარგება და ტკბილად შეგვრგებო.

კიბიტ მაჰომა — წადი, აქედან დაიკარგე! (შემოდის სურხაი)

კიბიტ მაჰომა — მობრძანდი სურხაი, აი, აქ დაჯექი და გულწრფელად მითხარი, მართლა ნაწყენი ხარ ჩემზედ?

სურხაი — სულელი ვიქნებოდი, რომ არ ვიყო! ჩემი საშუალებით უცმაყოფილო ხალხი შეირიგეთ და როცა პირობის განაღდებაზე მიდგა საქმე, მეც ზურგი შემაქციეთ და იმათაც დასცინეთ!

კიბიტ მაჰომა — შერე ამაზედ ხარ ნაწყენი მეგობარო?

სურხაი — სწორედ მაგაზედ... ვარდა ამისა, თქვენთან დაახლოვებამაც ბევრი პირადი მტერი შემძინა და სიკვდილით შემუჭრებთან.

კიბიტ მაჰომა — სირცხვილი და სისულელეა მაგაზე შიში.

სურხაი — რა არის სირცხვილი? განა სიკვდილის შენ კი არ გეშინია?

კიბიტ მაჰომა — შენ, შეგიძლია სურხაი შეაჩურო ის ანგელოსი, რომელსაც ალლაჰი სულისათვის გამოგვგზავნის?

სურხაი — რა თქმა უნდა არ შემიძლია!

კიბიტ მაჰომა — მაშ, ნურაფრის გეფიჭრება... არავის შეუძლია წინ აღუდგეს იმას, რაც ზეციდან არის დაწესებული.

სურხაი — სულ ეგ არის შენი სიტყვა?

კიბიტ მაჰომა — რაო, არ მოგწონს რაც ვითხარი?

სურხაი — შენ ხომ შარიათის მიხედვით შემპირდი, მდაბიო ხალხს მეტ ანგარიშს გაუწევ და გადასახადებსაც საგრძნობლად შევამცირებთო!

კიბიტ მაჰომა — მართალია, სიტყვა შარიათის მიხედვით მოგეცი, მაგრამ შევიცვალე და ეხლა ადათის მიხედვით ვიქცევი.

სურხაი — დამცინი კიდევ შე ქორცხვირა!

კიბიტ მაჰომა — რაო რას ბედავ არამზადავ!

სურხაი — არამზადაო! აბა დამხედი, თუ ვაჟკაცი ხარ!

(ხმლით ეკვეთებიან ერთმანეთს. შემოდის დანიელ-ბეგ)

დანიელ-ბეგ — ეს რა ამბავია სურხაი, კიბიტ-მაჰომას ხმალში იწვევ?

სურხაი — მე მას სიკვდილში გაეწვევდი, რომ გამყვებოდეს!

დანიელ-ბეგ — არაფერია მეგობრებო ცოტა დამშვიდდით და მე ეხლავე შეგარიგებთ!

სურხაი — ეგ არ მოხდება!

დანიელ-ბეგ — ისე მოხდება, რომ თქვენ ორთავეს გაგიკვირდეთ! ან კი რა ვაქვს შენ საჩხუბარი? რაც გულში გიდევს, იმ სურვილს მე ნაღდ საქმედ ვიქცევ და სხვა რა გინდა ერთი მითხარი?

სურხაი — ფიცით დაბეჭდე, თუ გულით გსურს რასაც მპირდები!

დანიელ-ბეგ — ეფიცავ ჩემს გამწენს და შენს გამჩენსაც, ჩემო სურხაი, თუ ცოცხალი ვარ ავისრულო გულის წადილი. შენ ხომ ხალხისთვის იღებ თავსა? მეც შენთანა ვარ. გადასახადებს შევამცირებთ გაძლევ პირობას და ზოგ უხეშ და უადგილო კანონსაც შეეცვლით, რასაც ვერ გულობს ახლა ხალხი!

სურხაი — რაკი შენ ამბობ და სიტყვებსაც ფიცით ამტკიცებ, მე შემიძლია ვიყო ახლა დამშვიდებული... დამე ნებისა დანიელ-ბეგ...

დანიელ-ბეგ — ბედნიერ დამეს და ტკბილ ძილსა გისურვებ მეგობარო!

კიბიტ მაჰომა — ეხლა მე წავალ და ამას გთხოვ ჩემო დამშვიდებული სურხაის ყველგან გაუფრთხილდე!

დანიელ-ბეგ — მესმის ძვირფასო მეგობარო, რაც მას შევპირდი, შეპირება ცარიელი — ვფიცავ დიდ ალლაჰს, ზღაპრისებური შეპირება!

(კიბიტ მაჰომა გადის, შემოიბრუნეს მუსა)

მუსა — სამწუხარო ამბავი უნდა მოგახსენო ეფენდი...

დანიელ-ბეგ — რა ამბავია მუსა?

მუსა — ყარაღაჯიო ყურს გვიგდებდა თურქე ეფენდი. კედლის ყურესთან მიმალული გვითვალთვალებდა, როცა შევნიშნე, სწორედ მაშინ წამოდგა ზეზე და აქეთ მოდის აჩქარებით.

დანიელ-ბეგ — ახ, შე ფლიდო და არამზადა! ასე გუშავობ? სად გქონდა ყური, ან თვალები სად გქონდა მეთქი? რად ვერ შენიშნე მტერი კარზედ, ამიხსენ ჩქარა!

მუსა — დამნაშავე ვარ, მომიტყევე ჩემო ეფენდი.

დანიელ-ბეგ — აქვე დაგახრჩობ ჩემი ხელით შე არამზადა, და გარეთ ხეზე ჩამოგკიდებ ყორანთ საქმელად!

(შემოდის ყარაღაჯიო).

ყარაღაჯიო — რა ამბავში ხარ დანიელ-ბეგ?

დანიელ-ბეგ — ეს რაო, ვეებატონო, დიდი ხანია რაც ამ ხელობას დაადექით სასახლეში?

ყარაღაჯიო — ეს მას შემდეგ დავიწყე, რაც შენ და კიბიტმა სინდისის გზას გადაუდექით და სურხაის გაბრიყვება გადასწყვიტეთ.

დანიელ-ბეგ — მერე და შენ როგორ გგონია, ჩვენ სურხაის გაბრიყვებაზედ ესაუბრობდით.

ყარაღაჯიო — თავს ტყუილად იწუხებ, რაც თქვენგან მოვისმინე, ხვალ დილით მივალ სურხაის ვეტყვი და შემდეგ იმამს მოგახსენებ.

დანიელ-ბეგ — გზაზე ნუ მხედები უკუნურო, სჯობს შენთვის იჯდე, თორემ მაგ კვეხნით, ისეთ რასმე ჩამადენინებ, რომ ბოლოს თვით მე შემეჭნება სანანებელი!

ყარაღაჯიო — შენ, ჩემზედ ცული წარმოდგენისა ყოფილხარ დანიელ-ბეგ... ყარაყაჯიოს მუქარის არ ეშინია!

დანიელ-ბეგ — როდი გაშინებ, მე მხოლოდ გაფრთხილებ და დარიგებას გაძლევ!

ყარაღაჯიო — გმადლობ რჩევისათვის... ხვალ დილით ორთავე იმამის წინაშე წარსდგებით და იქ მოვილაპარაკებთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

დანიელ-ბეგ — ველარ მოგართვი, აჰა, ჰამე ეს არამზადა! (დამბარას ესერის)

ყარაღაჯიო — ალლაჰ! (ძირს დაეცემა და კვდება)

დანიელ-ბეგ — აქ მოდი მუსა, მომეხმარე, ამ ღორის გვამი გარეთ ქუჩაში გადავაგდოთ.

მუსა — რად მოკალით ეს საწყალი კაცი ეფენდი?

დანიელ-ბეგ — შენ რა გესაქმება, საჭირო იყო და მოგვალ კიდევ.

მუსა — ალლაჰისთან, რომ მივა ახლა ეს უბედური, ასე იტყვის ლაჩრულად მომკლესო.

დანიელ-ბეგ — იქ, რაც უნდა ის ილაპარაკოს. აქ კი დაეჩუქეთ და ველარაფერს იტყვი.

მუსა — ხალხს ძალიან უყვარდა ყარაღაჯიო ეფენდი. მესე, მკვლელის ამბავი დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს... თუ რამ გაიგო, ჭკვედიანად შურს იძიებს და ეს მაფიჭრებს...

დანიელ-ბეგ — ნუ გეშინია, კვალს ისე აურდაურვე ძიებას, რომ თავის დღეში ვერ აღმოაჩინონ დამნაშავე...

მუსა — ესეც სათქმელია ეფენდი, როცა საიჭიოში წავალთ, რა პასუხი უნდა გავცეთ ალლაჰს?!

დანიელ-ბეგ — ჰე, ამ საიჭიოს ხსენებამ, მართალი გითხრა, მეც სინდისი ამიშალა...

მუსა — ჩვენისთანა ხალხისათვის სინდისი ზედმეტი ბარჯია ეფენდი... ისე კი, ეს სინდისი ვერაფერი შვილი ყოფილა, ყველაფერში უკანა სწევს ადამიანის შვილსა...

დანიელ-ბეგ — სინდისი სამოთხის ჩიტა მუსა, მეტად სათუთი და მარად საფერები. ერთი თუ გაგიფრინდა, შერე ველარ დაიჭერ.

მუსა — გამიფრინდება თუ არა, იმის სიცოცხლემ სხვები კი ხელად გაუღებენ სახლის კარსა!

შამილი — (სერალიდან) რა ამბავია ეს ჩოჩქოლი, ვინ ბედავს ხმაურს, ძილს რომ მიფრთხობს და მოსვენებას მირღვევს ამ ღამე? მუსა, სად არის, დაუძახე დანიელ-ბეგსა?

დანიელ-ბეგ — დანიელ-ბეგ აქ გახლავს იმამინალ, მთელი ღამე ამ სასახლეს უტრიალებდი, ვცვლიდი დარაჯებს, ვამხნეებდი და თან ვცდილობდი, შენი სულისთვის მყუდროება არ დამერღვია!

შამილი — მაშ ის ხმაური რაღა იყო?

დანიელ-ბეგ — ყარაღაჯიო მოკლა ესლა ვილაც უცნობმა და მკვლელიც მყისვე მიიშალა.

შამილი — რაო? ეს რა თქვი? ვინ ვაბედა, სად არის მკვლელი?

დანიელ-ბეგ — მკვლელი გაიქცა იმამინალ!

შამილი — უკან მღეერები გაადვენეთ?

დანიელ-ბეგ — ხუთი, ხუთი ვაჟაკი გავაკიდე... შენ მშვიდად იყავ იმამინალ... მალე ბოროტი, კაცის მკვლელი აქ გეყოლება და შეგიძლია საკადრისად დაასჯევიო...

შამილი — ძარღვებსა მჭრიან, თავზე ჩარდახს მანგრევენ ურცხვად, ხალხს მაშორებენ ერთგულსა და ნაცადს ბრძოლაში, ძირს უთხრიან ჩემს გეგმებსა და დაწყობილებას და მაცდურის კვალს ვერც ვხედავ... ამას მოვითმენ? საკირეს ცეცხლში დავსწვავ მეთქი, საკირეს ცეცხლში, თუ კი ჩავიგდე ხელში მკვლელი!

(შემოდის ბახუ მესედუ)

შამილი — შენ აქ რა გინდა დედაჩემო?!

ბახუ მესედუ — რა იყრ შეილო, რატომ ასე მღელვარეს ვხედავ?

შამილი — არაფერია, წადი სახლში!

ბახუ მესედუ — მაინც რა იყო შეილო ჩემო?

შამილი — არაფერი თქო გუტუნები!

ბახუ მესედუ — წამოდი შეილო, მოისვენე, არ ვარგა ასე, მუდამ დღე და ღამე შფოთვარე და მღელვარე იყო.

შამილი — ჩემი-ვისი ნუ შიშობ დედაჩემო, სახლში წადი და მოისვენე.

ბახუ მესედუ — რადგან წამოსვლას არ აპირებ, ჩემო სიცოცხლე, გთხოვთ ორი წუთი შემომწიროს ყურადღებისა, მეტად დიდი და საპატიო სათხოვარი მაქვს!

შამილი — დაიწყე დედი!

ბახუ მესედუ — ჩაჩნები იყენენ ჩემთან შეილო...

შამილი — სიო?

ბახუ მესედუ — ჩაჩნები იყენენ შეილო ჩემო, თხოვნით მოვიდნენ და თავის ქვეყნის გაქორება შემატყობინეს. მძიმე ყოფილა მათი ხვედრი; ყოველდღე თურმე, მათ ურუსები არბევენ და ანადგურებენ!

შამილი — მართალია ავიწროვებენ.

ბახუ მესედუ — თურმე ბავშვებსაც არ ინდობენ, შეილო ჩემო, ძუძუთა ბავშვებს!

შამილი — ესეც სწორია... მაგრამ ეხლა ჩაჩნებს რა უნდათ? ხომ არ მოსწყინდათ მტრის უღელი?! თუ დახმარებას თხოულობენ, მზად ვარ, ყოველმხრივ დავეხმარო!

ბახუ მესედუ — ისინი გთხოვენ შეილო ჩემო ჩამოშორებას... სურთ რომ ურუსებს თავის ბედი დაუმორჩილონ და მუდამ მშფოთვარე ცხოვრებაზე აიღონ ხელი!

შამილი — რაო? ეს რა სიტყვი დედაჩემო? როგორ გაბედე? ან რა ეშმაკმა ჩაგაგონა ეს ბილწი აზრი! ჩქარა მითხარი, რა ეშმაკმა გაცდუნა მეთქი?! წადი სრაღში, გამეცალე, ოი, შენ თავო უბედურო, რას მოესწარი, რა გაიგონე დასავსები შენის ყურებით. რაღა ვარ ეხლა, რაღად მინდა ცოცხალი თავი! რასაც ვუფრთხობი, რასაც წლობით ვემაღლებოდი, ვერიდებოდი, როგორც ცოფს და გადამდებ სენსა, მაინც პირისპირ წარმომიდგა როგორც აჩრდილი: გვეყოფო, შესდექ, მეტი აღარ შეგვიძლიანო!...

დანიელ-ბეგ — თუმცე მებრალება, მაგრამ მეტად შესაზარლება, ვფიქვან მაჰმადს, შესაზარლება ჩაჩნების ბრძევი საქციელი!... რა დროს ეგ იყო, სისხლში ცურავს მთელი ქვეყანა და სწორედ ამ დროს მოითხოვენ მყუდრო ცხოვრებას!.. აგრე სასტიკად რად მიცქერით იმაშინალ?

შამილი — ფლიდობას გატყობ დანიელ-ბეგ, ხმაზე გეტყობა, რომ შენ აღარ ხარ გულწრფელი და პატიოსანი!

დანიელ-ბეგ — ფლიდობას მატყობ? ერთგულებას მაშ ვილას ამჩნევ, პაჯი მურატსა, იანუსს თუ კობიტ მაჰომას? იქნება მათაც გულჩათხრობილ ფლიდობას ატყობ?!

შამილი — არა, ჯერ მხოლოდ შენ გეტყობა. მაგრამ ეგ სხვა დროს. ეხლა ჩაჩნების თხოვნას მინდა პასუხი გავსცე... წადი შეკრიბე ხალხი მყისვე. ნამაზისათვის თავი მიზგითში მოიყარონ, იქ, მეც ვიქნები და ღამეს ლოცვაში გავატარებ... ენახოთ გუმანი რას მანიშნებს... ჩემი პასუხი ის იქნება ჩაჩნების მიმართ, რასაც ალლაჰი ჩამავონებს.

სურათი მორაბ

(მიზგითის ფასადი)

მურთაზ — რა ხმაური გაქვთ ხალხო?

ფეზი — ვის გაუგონია მურთაზ ასეთი გაუთავებელი ნამაზი! ალლაჰი ყრუ ხომ არ არის, თუ გაგონება უნდა, ისედაც გაგვიგონებს!

მურთაზ — თქვენი ბრალია! შამილს, სანამდე ალლაჰი რამე აზრს არ ჩააგონებს, მანამდე სულ ყველა აქ უნდა ვიყოთ შეგროვილი.

ფეზი — ჩვენი რა ბრალია! ჩვენ მხოლოდ ჩვენი ხალხის სატყეარი გვაწუხებს შურთაზ!

იანუს — რა განხუბებს ხალხო, რა საკადრისია ამისთანა დროს კინკლაობა?!

მუსა — სუყველაფერი საკადრისია, რაც დროს მოაქვს იანუს.

იანუს — შენ, რა ბევრს ლაპარაკობ! კაცები აახლე დანიელ ბეგს ცხენების მოსაყვანად?

მუსა — არხეინად იყავი ჩემო კეთილო, სამი შენისთანა ვირი გაუგზავნე წელან! (შემოდის დანიელ-ბეგ)

დანიელ-ბეგ — შამილი ჯერ კიდევ მეჩეთშია?

მურთაზ — მეჩეთში გახლავს ჩემო ეფენდი.

დანიელ-ბეგ — მოლაც და ყადიც იქ არიან?

მურთაზ — შამილთან არიან ნამაზზედ.

დანიელ-ბეგ — მერე მთელი ეს ორი დღე და ღამე ასე დგებართ უქმელ-უსმელი?

ფეზი — რა ექნათ ჩემო ეფენდი, ასეთია შოქანება, ყველანი აქ უნდა ვიდგეთ შამილის გამოსვლამდე.

(შემოდის ყადი)

დანიელ-ბეგ — ეს როგორი ნამაზია ყარაბეკირ? ხალხი ჩამოხმა ფეხზე დგომით!

ყადი — ეგ შამილსა ჰკითხე, იგი ავიხსნის, თუ როგორი ნამაზიც არის... მე თვით არ მესმის არაფერი!

დანიელ-ბეგ — კიდევ ლოცვადა დგას იმამი სულიერო მოძღვარო?

ყადი — მალე გამოვა, ლოცვას მორჩა და მოდის კიდევ. აბა, დადექით, სანამაზო ლოცვა იწყება: ატახ იატალ!!! დიდება ალლაჰს, ჩვენს მეუფეს კეთილის მყოფელს, დიდება მაჰმადს, ჩვენს უდიდეს წინასწარმეტყველს... არ არის ღმერთი, გარდა ღვთისა მხოლოდ ჩვენისა, — მაჰმადი არის მისი ერთადერთი მემკვიდრე.

ყადი — ატახ-იატალ! არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მაჰმადი არის ღმერთი, გარდა ღვთისა მხოლოდ ჩვენისა — მაჰმადი არის მისი ერთად-ერთი მემკვიდრე.

ხალხი — ატახ! — იატალ! არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მაჰმადი არის მისი წინასწარმეტყველი (შემოდის შამილი)

შამილი — დიდ არს მაჰმადი და წმინდაა მართლმსაჯულება, სომელიც მოდის ზეცისაგან... ალლაჰ აღსრულდეს ნება შენი ცხოველ-მყოფელი, მსგავსად ყურანის აღთქმებისა... დარგოს მცხოვრებნო! მე თქვენ საშინელი ამბავი უნდა გაცნობოთ. ჩაჩნებმა ჩვენმა ოდესღაც მეგობრებმა, უკვე სასტიკად დაივიწყეს ალლაჰისა და მაჰმადის წინაშე დადებული წმინდა ფიცი. მათ უნდათ ვახდენ ურუსების ჭვეშევრდომნი და საქვეყნო საქმეს ზურგი შეაქციონ... ხედავთ, რა რიგად გათახსირდა ჩვენი ბუნება? თავისუფალი ჩაჩნის ხალხი ისე დაეცა, რომ მტრებში ეძებს თავშესაფარს. მათ არც კი შერცხვათ აქ კაცების გამოგზავნისა, და რაკი გრძნობდნენ თავის თხოვნის მთელ სისაძაღლეს პირდაპირ მე ვერ გამიბედდეს, ჩემ მშობელ დედას შეაწყალეს თავი მუღარით... და, მან, ვით სუსტმა დედაკაცმა — დიდ თხოვნის შემდეგ, იშუამდგომლა ჩემს წინაშე ბრძოლი ჩაჩნები... მე კი ორი დღე, ორი ღამე ლოცვად ვიდექი და ვსთხოვდი ალლაჰს შთავონებას ისეთი აზრის, რაც ჩვენს ქვეყანას მძიმე წყლულებს დაუამებდა. ბოლოს ისმინა ზეცამ ჩემი ლოცვა მისდამი და ასე

მტკიცედ ჩამავონა: ვინც სამარცხვინო ეს ამბავი პირველად გითხრა: შენ მას დაქარი ოცი როზგი!

დანიელ-ბეგ — ოი, შენ ღმერთო ზეციერო! მავას რას ბრძანებ, ეს ხომ შშობელი დედა არის შენი იმამო!

ბახუ მესედუ — ინშალაჰ! მეტიც დამქარით, უფრო მეტის ღირსი ვყოფილვარ, რაკი ზეცისთვის შემიცოდავს!

დანიელ-ბეგ — არა, შესდექით, რას სჩადიხარ იმამინალ!

ბახუ მესედუ — დამქარი შეილო, შეწყალების ღირსი არა ვარ, როგორც ზეციდან ჩავაგონეს ისე მოიჭეცე!...

შამილი — რაღას უყურებთ, ჩქარა წნელი და დამნაშავეს მოხადეთ ჩადრი! (შამილი ხუთ დარტყმას გადაითვლის. ბახუ მესედუ ღონე მიხილილი ძირს დაეცემა).

დანიელ-ბეგ — საკმარისია იმამინალ, ხუთი დარტყმა საკმარისია, მეტს ვერ აიტანს დედაქაცია!

ჟადო — მოუტევე იმამინალ, ეს ერთხელ მაინც მიუტევე... ზეცა არ არის ისე გულქვა, ჩადენილ ცოდვას — ლოცვებით და ნაშაზებით მოვიწინაიებთ!

იანუს — ა, ჩემი ზურგი, მე დამარტყი იმამინალ, რამდენიც ვსურდეთ, მცემეთ, მგვემეთ შეუბრალებლად!

დანიელ-ბეგ — შამილ! შენ უნდა შეიწყნარო ამ ხალხის თხოვნა, ხალხი მოითხოვს პატივბას!

შამილი — (დაიჩქებს) ცის ბინადარნო წმინდანებო, თქვენ გაიგონეთ ჩემი ლოცვა უკანასკნელი და ნება დამართეთ — ეს სასჯელი ესოდენ მძიმე, მე რომ მივიღო ჩემს უბედურ საკუთარ თავზე! მე ამ განაჩენს სიხარულით მივეგებები, და მას მივიღებ ისე, სროგორც ძვირფას საჩუქარს, თქვენი მაღალი სათნოების დასამშვიდებლად! დარგოს მცხოვრებნო, ჩემი ლოცვა ზეცამ მიიღო და უმაღლესი მსჯავრმდებელი მე ნიშანს მძღვეს: სასჯელი იგი რაც მან დედაჩემს მიაკუთვნა, მე რომ მივიღო ჩემს თავზე; ასე მსჯის ზეცა და თქვენ ეხლა ნუ შემბრალებთ, რადგან ლაჩარი ხალხის წინამძღოლს მეტიც ეკადრება. ეხლა დამქარით მე ეს წნელი, მაგრამ გაფრთხილებთ, ვინც გამოტოვებს, ან უღირსად მომერიდება — მე მას მიუჩენ სასტიკ სასჯელს... ეგ კი, სერალში წაიყვანეთ!.. მზად ვარ, ა, ზურგი... გაბედულად დამქარი იანუს!

იანუს — ხელი მომჭერი მიჩჩენია ჩემო ხელმწიფე! და ამ ცოდვაში ნუ ჩამავლებ!

შამილი — მოდი იაკუბ, რას უყურებ, აიღე წნელი!

იაკუბ — სხვა რამ მიბრძანე უმკაცრესი იმამინალ, და ამ რისხვისგან დამიხსენი!

შამილი — აჰ მოდი იანუს, შენ მაინც ნუ გაჯოუტლები, აასრულე ზეცისა და ჩემი სურვილი!

იანუს — ალლაჰ! ინშალლაჰ! (იანუს ხუთმეტს დარტყმას გადაითვლის, შემდეგ წნელს ვასტეხს და გადაავდებს)

შამილი — ეხლა სად გაქტრენ, მომიყვანეთ ის უგუნურნი, რომელთა გამო, მე ესოდენ ტანჯვა ვიგევე!

ფეზი — ჩვენ აქ ვახლავართ შენი წყრომის და რისხვის ღირსნი და ველოდებით სრულ სიმშვიდით იმ სასტიკ მსჯავრსა, რასაც შენ ეხლა გადაავიწყვეტ!

ხასიმ — დაგვსაჯე მკაცრად, შებრალების ღირსნი არა ვართ.

თეფი — არად მივიჩნევთ ჩვენ უღირსნი თვით სასტიკ მსჯავრსა თუ ამ ცოდვისთვის ღირსეულად მოგვაკვდინებენ!

შამილი — თქვენი სიკვდილი მე რად მინდა! ადექით, წადით სანაჩროში... ხალხს აუხსენით რაც აქ ნახეთ და დაარწმუნეთ მათი თხოვნის უმსაჯურებაში. ისიც უთხარით, თუ როგორი აზრის არის ალლაჰი მათზე, ვინც უფლებებს ემბრობა და ყურანსა და სამლოთ ომს გაუბრძის, ხომ გესმით რასაკად უფლებები? სწორედ ისა სთქვით, რაც აქ ნახეთ და გაიგონეთ, ეხლა კი წადით!

სურათი მესამე

სერალი, შამილის წინ დგას იანუს და სურხაი, ელოდებიან იმამის განკარგულებას.

შამილი — რა ქენი იანუს, შეასრულე ჩემი დავალება?

იანუს — მსოლოდ ორმოცდაათი ცხენი მოვიყვანეთ იმამინალ!

შამილი — ხორაგ-სანოვაგე!

იანუს — მცირეოდენი შევავროვეთ ჩემო ხელმწიფეე.

შამილი — მცირეოდენი?

იანუს — ხალხს არაფერი აბადია იმამინალ!

შამილი — განა ასე გაჩანაგებულა აულები, იანუს?

იანუს — ხალხი ტყეშია გახიზნული იმამინალ და პირუტყვივით ბალახს სძოვენ.

შამილი — წადი, დანიელს დამიძახე! (იანუს გადის)

სურხაი — მე რას მიბრძანებ იმამო?

შამილი — შენ, დიდი ხანია არაფერი ვითქვამს ჩემთვის სურხაი. განა ასე ცუდი ამბები ტრიალებს ხალხში?

სურხაი — ხალხში დიდი უკმაყოფილება იკიდებს ფეხს იმამინალ. ყარა-ლაჯიოს სიკვდილი, დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ყველგან.

შამილი — კიდევ რა იწვევს უკმაყოფილებას, სურხაი?

სურხაი — შენი ნიშამი, განსაკუთრებით ის ადგილი, რომელიც ჭალების მიერ, ქმრების არჩევას ეხება... როგორ თუ გოგოებმა უნდა ამოგვირჩიოს საქმროლო — გაიძახიან მამაკაცები!

შამილი — ჭალებიც უკმაყოფილონი არიან სურხაი?

სურხაი — პირიქით იმამინალ, დედაკაცებს დიდად უხარიათ!

შამილი — მაშ კარგათ ყოფილა საქმე. ჭალები ნახევარი მოსახლეობაა, სურხაი, და თუ სუსტ ნებისყოფის მამაკაცებს დავუმატებთ, გამოდის რომ ხალხის უდიდესი ნაწილის გული მომიგია.

სურხაი — გადასახადების მომატებაც დიდ გაუგებრობას ბადებს იმამინალ, ჯერ ამ გრძნობას თავი აშკარად არ უჩენია, მაგრამ მე ვატყობ, რალაც უკმაყოფილება იღვიძებს ხალხში.

შამილი — მჯერა სურხაი, მჯერა უკმაყოფილონი იქნებიან... მე მჯერა ჩემს შემდეგ, ჩემზე უფრო ძლიერი ჭკუის ადამიანები დაიბადებიან... მაგრამ ჩემს მიერ დადგენილი კანონები, მათთვისაც სავალდებულო იქნება. ეს რა ხმა მოდის? რალაც ხმაური ახლოვდება!

(შემოდის დანიელ-ბეგ)

დანიელ-ბეგ — ჰაჯი მურადი თავს დაგვესხა ჩემო ხელმწიფეე!

შამილი — ჰაჯი მურადი?

დანიელ-ბეგ — ყარალაჯიოს მოკვლას ალბთ ის ჩვენ გვაბრალებს და გულბოროტი, ბრახით სავსე, მას კი არ ეძებს, ვართ თუ არა ვართ დამნაშავე!

შამილი — დაე, მოვიდეს, მე ყოველივეს, აუხსნი მას თუ როგორც მოხდა.

დანიელ-ბეგ — რალა დროსია იმამინალ, ბუქს და ნალარას ემატება ცხენთა ჭიხვინი, ეაშას ყიფინი — დადის გრიალს და ამ შფოთით გამხსნეებულნი:

ასე უსირცხოდ გაიძახის ბრბო გარეწარი: ჰაჯი მურადი, ჰაჯი იყოს ჩვენი იმამი!

შამილი — ნუ გვექტრება ჩემი თავის... მე მალლა ვდგევექტრე ქრესტოვით კიდევ ღმერთია და ყოვლის შემძლები სამარადისო მსჯავრმდენეღმერთი მოვიდნ და გაბედონ! (შემოდის ჰაჯი მურადი)

ჰაჯი მურადი — ეს კარგია, რომ აქ ყოფილხართ, ეხლა მითხარით, სად არის ჩემი საყვარელი ყარალაჯიო?

შამილი — ნუ ღელავ ჰაჯი!..

ჰაჯი მურადი — როგორ ნუ ველავ, ეხლა სიმშვიდე, ლაჩრობას უფრო დაამტკიცებს, ვიდრე მხნეობას, სად არის მეთქი ყარალაჯიო?

შამილი — ყარალაჯიო მოჰკლეს, ჰაჯი!

დანიელ-ბეგ — ჩვენ მის სიკვდილში ბრალი არ გვაქვს ვფიცავ წმინდანებს!

ჰაჯი მურადი — ეგ სულ ერთია, გაქვთ თუ არა, მე მკვლელს დავეძებ... ჩემი ძმად ნაფიცი მეგობარის მკვლელი მომეცით, თორემ არ ვიცი რას ჩავიდენ!

შამილი — განა შამილი კი არ ეძებს, მერწმუნე ვეძებ... შენ ნუ გგონია მე ეგ საქმე არ მაწუხებდეს... განა არ მესმის რა საზარი მკვლელობა მოხდა! შენ რომ არა სთქვა არაფერი, — ხალხი რას იტყვის?.. ჩვენს ერთგულ პირებს მუსრავენო დაიყვირებენ... მე მესმის ჰაჯი, რასაც ვამბობ, მიწას გავხეთქ და აღმოვაჩენ ზოროტის კვალსა... სიტყვას გაძლევ რომ აღმოვაჩენ...

ჰაჯი მურადი — კარგი, თანახმა ვარ, ეგ პირობა მაქმყოფილებს, თუ კი დაიცავ ღირსეულად გაცემულ სიტყვას.

შამილი — გაძლევ პირობას! ეხლა მითხარ, ხუნძახში რა ჰქენ, გახდი რასმეს?

ჰაჯი მურადი — მიუხედავად დარბევის და აწიოკების, ხუნძახელები კვლავ ერთგული არიან ჩვენი.

შამილი — ოი, შენ ღმერთო ზეციურო!

ჰაჯი მურადი — ათი აული მოვამზადე, ხალხი ფეხზე დგას და ჩვენგან ნიშნს ელოდება!

შამილი — მარჯვედ ყოფილხარ! ყოჩაღ ჰაჯი, შენი იმედი მუდამ მჭონდა მე გაკირვების მწარე წუთებში. ოცდაათი წლის ჩემი ღვაწლიც სწორედ ეგ იყო ჩამომეგლიჯა მახარობელა მძიმე საბელი, ჰაერს რომ ახშობს და გვიწამლავს ცხოვრების ხალისს... ვგონებ ვეწიე ჩემს საწადელს ძვირფასო ჰაჯი!.. შენც გაიხარე დანიელ-ბეგ, აღსრულდა ეხედავ, ვახლდებით ისევ ნაცრისაგან, როგორც ფენიკსი!

დანიელ-ბეგ — ავსებული ვართ სიხარულით დიღო იმამო!

შამილი — აგერ, ეს ხმალი, ჩემო ჰაჯი, ნიშნად ძმობისა და საკუთარი ყურადღების აღსაბეჭდავად. მიიღე იგი, როგორც ჯილდო დიდი ღვაწლისა... და ნურც ნურას დროს უღალატებ დიად ჰაზავატს!..

ჰაჯი მურადი — დიდათა გმადლობთ იმამინალ. (შემოდის სურხაი).

სურხაი — ნაიბები უკვე შეიკრიბენ იმამინალ, და თქვენს გამოსვლას ელოდებიან!

შამილი — წავიდეთ ჰაჯი, ნაიბები შეკრებილან. დღევანდელი დღე დიდთ მნიშვნელოვანია ჩვენ ცხოვრებაში. შენ რას იტყვი, მე ჩემს შეილს უთმობ იმამობას... ამიერიდან ის იქნება ქვეყნის პატრონი!

ჰაჯი მურადი — ამას რას ბრძანებთ, იმამინალ!

შამილი — ვფიქრობ ასე სჯობს, ჩემო ჰაჯი, უკვე მოვხუციდი, ქვეყანას უფრო ახალგაზრდა ძალა სჭირია.

ჰაჯი მურადი — არა იმამო, ყაზი მაჰომას ჯერ არაფრით დაუმსახურებია

ეს არჩევანი. სანამ შენ ცოცხალი ხარ, იმამიც შენ იქნები. მისმინე შამილ! ნუ გადადგამ საბედისწერო ნაბიჯს. განა შენ მემკვიდრეობით ჩავაბარეს იმამობა?

შამილი — მაშ, რა ექნათ ჰაჯი, შენ თვითონ სთქვი, რა გზას დაედივით?

ჰაჯი მურადი — იმამად ისევ შენ დარჩები. არაფერს არ ვთხოვთ, ადამიანად და მხოლოდ სახელმწიფო საქმეს მიხედვით.

დანიელ-ბეგ — მგონია, ჰაჯი მართალს ამბობს... ისე კი, შენიც მართალია იმამინალ და მიტომ ვამბობ, რომ ორივე სიმართლეს ბრძანებთ.

შამილი — მაშ, შენის აზრით, ჩემს შემდეგ ვინ უნდა იყოს იმამად დალესტანში?

ჰაჯი მურადი — იმამად ის იქნება, ვისაც ნათელი გონება აქვს და ხმალიც ბასრად უჭირს!

შამილი — როგორ? ჩემს შეილს, განა არც ერთი ეს ღირსება არ გააჩნია? შენ ცდები ჰაჯი, ის გამოიჩინოს ამ ღირსებებს! (შამილი და სურხაი ვადის, რჩება ჰაჯი მურადი და დანიელ-ბეგი. ჰაჯი მურადი ხმალს ათვალეირებს)

დანიელ-ბეგ — არ გეცინება ამ ჯილდოზე. პირდაპირ მითხარ, ამ მოკლე ხმალსაც ჯილდო ჰქვია?

ჰაჯი მურადი — ვაჟაკის ხელში ხმალს სიმოკლით აბა რა უჭირს, ფეხს თუ წინ წარსდგამს, შორს გაწედება!

დანიელ-ბეგ — შენ ვერ მიმიხვდი რას ვგულისხმობ... განა ხმალს ეწუნობ, ხმალი რა არის ან და ჯილდოც რა სათქმელია, როცა ილბალი და უნარი სხვა ხვედრს გამოხადებს.

ჰაჯი მურადი — ეგ ქაჩაგმები მე არ მესმის!

დანიელ-ბეგ — კარგი, გარკვევით მოგახსენებთ, ჩვენ გადავწყვიტეთ...

ჰაჯი მურადი — ვინ თქვენ?

დანიელ-ბეგ — ჩვენ ყველამ, სერალის და საბჭოს წევრებმა — შენ შეგთავაზოთ იმამობა თუ დასთანხმდები!

ჰაჯი მურადი — მერე შამილი?

დანიელ-ბეგ — ჩვენ მას ვაფასებთ, პატივსაც ვცემთ, მაგრამ რა უყოთ ხალხს გმირი უნდა მეთაურად!

ჰაჯი მურადი — შამილი არა მარტო გმირია დანიელ-ბეგ, ის შემქმნელია გმირებისაც... აი, მე, შენცა და მრავალი ჩვენისთანები, მის მიერა ვართ დაჩეკილნი.

დანიელ-ბეგ — შენ ცდები ჰაჯი, როცა შამილს ასე აფასებ, და არ გსურს სწორედ დაინახო იმამის ღვაწლი... მეც გეთანხმები რომ ბჭობაში ის პირველია, მაგრამ ბრძოლაში კი ვერ ვიტყვი, რომ პირველობდეს!

ჰაჯი მურადი — მაშ ის ცხრაგმები ხმლის ნაკრავი ასე გამოდის — მას აქ, საბჭოში მიუღია! მე ეს არ მჯერა. ეხლაც მეტია იგი ჩვენზე!

დანიელ-ბეგ — რით არის იგი შენზე მეტი, ეგ შენს რწმენაში არის ასე, სინამდვილეში — შენ შთა ხარ მასთან შედარებით... აბა ჯირითში შეგეჯიბროს თუ არ აჯობო, ხმალშიაც სინჯოს თავის ღონე, თუ არ დამარცხდეს! ის მხოლოდ ჰკუთნებდა შენს გვერდით დავსვათ და ესეც კიდევ მე მგონია საკითხავია, არის თუ არა ამის ღირსი!

ჰაჯი მურადი — ჰკუთნებდა ნუ მიმღერე დანიელ-ბეგ!

დანიელ-ბეგ — განა სიმართლეს კი არ ვამბობ?

ჰაჯი მურადი — არა, სიმართლე ეგ არ არის, და თუნდაც იყოს, მე არ მსურს მეთქი გეუბნები, ჰეზბის მოსმენა!

დანიელ-ბეგ — ქება კი არა, მე სიკეთე შალაპარაკებს, მე მხოლოდ შენი სიკეთე მსურს თუ დაიჯერებ... დანიელს უნდა შენ, რომ იყო ჩვენი იმამი!

ჰაჯი მურადი — მეტი არა სთქვა ეგ სიტყვა, გესმის?

დანიელ-ბეგ — რატომ არა ესთქვა თუ, რომ მართლა შენა ხარ ღირსი, შამილის დროშა დაიჭირო... მერე ამასაც, რომ ამბობენ გეცოდინებოდა, რომ ეს არ არის სისხლით ლეკი, თითქოს დენგაუს, ვილაც გურჯი წახმრდებოდას, ჩვენი იმამის შექმნისათვის... რაღა მე ვითხრა ყველაფერი, შენ თვითონ იცი, გურჯის-ტანელი ალექსანდრე ბატონიშვილი, სწორედ იმის ბუში არის ჩვენი იმამი.

ჰაჯი მურადი — რაო? რას ამბობ, შეიშალე?

დანიელ-ბეგ — არა მგონია შენ გულწრფელდ მიჯავრდებოდე... მაგრამ ეს სხვა დროს. შენ ეხლა მხოლოდ ის მითხარი: გულში რას ფიქრობ, გინდა თუ არა იმამობა, მითხარ გადაჭრით!

ჰაჯი მურადი — კმარა ცბიერო! მე ისეთი ჩიტი არა ვარ, ყველა მახეში ფეტვისათვის რომ შეყოფს თავსა... ეგ სხვა ჩიტუნებს დაუყარე შენი საკენკი!

დანიელ-ბეგ — არ მეკადრება შენგან ჰაჯი მე ეგ სიტყვები!

ჰაჯი მურადი — მეტის ღირსი ხარ არამზადავ... პირმოთენ ფლიდი!

დანიელ-ბეგ — რაო, ფლიდოო? ფლიდი ვარ მე, ჩითახო, კოკლო?

ჰაჯი მურადი — სუყველა კოკლზედ საზიზღარი ვიყო თუ აქვე, ეგ სიტყვა შენვე არ განანე... ხმალს რაზედ იღებ, ამ პატროსან იარაღს მე შენზედ არ გავსერი, ისე კი წყენას არ დაგაკლებ, ასე ამგვარად... ფლიდი იწყინე? ეს რა არის, არამზადა ხარ, ნებვის ჭია და კიდევ მეტი! აი, მადლობა, შენი რჩევა-დარიგებისათვის. კარგი ჯილდოა, სწორედ შენი საფერო იყო (გადის)

დანიელ-ბეგ — არაფერია, ეხლა უკვე ჩემს მახეში ხარ, და შენს გამობხნას თვით ალლაჰიც ვეღარ იქისრებს... მორჩა, აღსრულდა, რაც მინდოდა მოვესწარ კიდევ, იყო კაცი და აღარ არის! (შემოდის შამილი).

შამილი — რა ამბავი გაქვს დანიელ-ბეგ?

დანიელ-ბეგ — არაფერია, ნუ სწუხდები იმამინალ!

შამილი — აღარ იტყვი ის ხმაური საიდან იყო?

დანიელ-ბეგ — რაკი ხიფათი ავამორე, სჯობს არ იცოდეთ!

შამილი — ნულარ აყოვნებ, ყოველივე აშკარად მითხარ.

დანიელ-ბეგ — მე მხოლოდ შენს სულს ვერიდები, არ მინდა შენი მყუდროება გავანადგურო!

შამილი — ეკლებზე ვდგევარ, ჩქარა მეთქი, ნუ მალოდინებ!

დანიელ-ბეგ — რაღა დავმალო იმამინალ, ჰაჯი მურადი გაერია ქვეყნის ღალატში და საღამოსთვის ურუსებთან გააბრავს ფიქრობს!

შამილი — რაო?!

დანიელ-ბეგ — მეც მთხოვა თან რომ გავყოლოდი, ბევრი მეხვეწა, შემდეგ ცემაც არ დაუკლია... მაგრამ მე ჩემი ხვედრი უკვე გარკვეული მაქვს და შენი ბედის ვარსკვლავს იგი დაუმორჩილე... რაც შენ მოგივა, დე მეც იგი მეწვიოს უმაღ!

შამილი — მერე რად გცემა აღარ იტყვი?

დანიელ-ბეგ — ჩხუბი ბარათზე მოგვივიდა, აი აგერ მაქვს.

შამილი — რაებსა ჩმახავ! რის ბარათი?

დანიელ-ბეგ — სცადა ხელიდან წაეგლიჯა, მაგრამ ვერ შესძლო, აგერ, ბარათიც თუ არ გჯერა! კარვად გასინჯეთ და თვით გაიგებ, რასაც სწერენ შამილის ნაიბს... (შამილი გამოვლევს ბარათს და კითხულობს)

შამილი — ვაი, ამ სირცხვილს, რას მოვესწარ ამ სიბერის დროს. ნეტავი მიწა ვამზეთოდა და ცოცხლად მეწყერს დავემარბე, არ მექნებოდა სანანებლად ვერც გავიგებდი ამ ღალატს და საფლავში ძვლებიც მოსვენებული იქნებოდნენ ცივად მდებარე... ეხლა რად მინდა ეს მშფოთვარე ურწმუნო სული, ან ეს

სიცოცხლე, ეს ცხოვრებაც, თუ ღია გულით მეგობარსაც ვეღორ ვენდობო! ჩქარა აქ ჰაჯის დამიძახეთ...

დანიელ-ბეგ — მუსა! (შემოდის მუსა)

მუსა — რას მიბრძანებ ჩემო ეფენდი?

დანიელ-ბეგ — ჰაჯი მურადი მონახე და ასე უთხარი: მყისვე იმამთან გამოცხადდეს.

მუსა — მესმის, ჩემო ეფენდი (გადის)

დანიელ-ბეგ — ვიცოდი იქვით და აღსრულდა რასაც ველოდი. ჩუმიად ლა მობდა იმამობის ხელში ჩაგდებას, მაგრამ როდესაც ეს სურვილი მე ჩავემწარე, ეხლა გადადის ურუსებთან!

შამილი — აი, ნახავ შენ დანიელ-ბეგ შურისძიება, თუ როგორ ვიცი თაღლითის და გამცემის მიმართ, ასე დავგლეჯ მას, აი, ასე და მის ნაფლეთებს სვაეებს და ყორნებს გადაუგდებ!

დანიელ-ბეგ — ეს მეტის მეტი სიმკაცრეა იმამინალ!

შამილი — არა, ჩემს სიტყვას მე არ შეეცვლი არას გზით ისე, როგორც ნასროლი ტყვია უკან არ დაბრუნდება. მე ჩემი ვსთქვი და გავთავებ.

მუსა — ჰაჯი მურადი აქ არ არის, იმამინალ, ამბობენ სადაც წავიდაო.

დანიელ-ბეგ — აკი, ვითხარი ურუსებთან გადადის მეტეი..

შამილი — ჩქარა მღვერები დაადენე გაქცეულის კვალზედ, და სადაც ნახონ, იქ შეიპყრან მოურიდებლად.

დანიელ-ბეგ — ვემორჩილები შენს ბრძანებას ჩემო ხელმწიფე... წამოდი მუსა. (გადიან, შემოდის კიბიტ მაჰომა)

კიბიტ მაჰომა — გარღვეულია წინა ხაზი ყოისუს მხრიდან და მტერი მოდის სასახლეზედ.

შამილი — ეს როგორ მოხდა, მტრები რომ კარზე მოგვდგომია! სად არის შენი მოწინავე დროშის მხლებლები?

კიბიტ მაჰომა — სად იქნებინ იმამინალ... ცხარე ბრძოლის დროს, საღ კლდეებზე დაასხეს სისხლი და თავის მიწას შეეწირენ. (შემოდის იანუს)

იანუს — კალიასავით მოდის მტერი იმამინალ და სუყველაფერს ანადგურებს მისი მახვილი!

შამილი — წადი იანუს, ცეცხლს მიეცი ყველა საწყობი, დასწვი თოფხანა, ეგ სასახლეც თავის სერალით და ზედ მეჩეთიც მიაყოლე!

კიბიტ მაჰომა — ცოდვა არის იმამინალ, საკუთარ ხელით, საკუთარი ავლადიდება გაონაერებულ ზანძარს მიეცეთ.

შამილი — რაკი სიცოცხლეს აღარ ვზოგავთ ცხარე ბრძოლაში, არც ესენია დასანანი. წადი ახლავე შეასრულე ჩემი ბრძანება.

იანუს — მაგ დავალებას ვერ ვიკისრებ ჩემო ხელმწიფე.

შამილი — წადი, გიბრძანებ, დასწვი მეტეი, დახრუკე ისე, რომ მარტო დარჩნენ ნაკარ-ტუტა და ნატამალი... არც ჩვენ, არც მაგათ, ასეთია ჩემი სურვილი! (კიბიტ მაჰომა და იანუს გადიან).

შამილი — (ზეცისაკენ ხელს აღაპყრობს) ალაჰა, რომელი ხარ მპყრობელი ცათა და მიწათა, რომელი განაგებ საკვირველის განგებითა, მძლეთა მძლეველო, შენ დაიფარე საჩაინო და ლეკეთი ჩემი... შენ მას მომადლე გვირობა და მძლეველი სული, რომ ერთი მუჭა მხნე მთიელი რომელიც იბრძვის, ამ შენს ცის ქვეშე თავისუფალ ცხოვრებისათვის. შენ დაიცავი მოსუელი ურდოებისგან.. ამას ვთხოვთ ალაჰა, ფეხთა მტვერნი, მაჩთლმორწმუნე ერთგულნი შენნი!

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

(ჩონთა ლეკის სახლი აულში)



ფატიმა — კარები დახურე ჩონთა, ხომ ზედავ დაღამდა, ადამიანო, უწინდელი დრო ხომ არ გგონია, გარეთ ათასი აბრაგი და გარეწარი დაწანწალებს!

ჩონთა — ჰაჯი მურადის სიმამრს, სირცხვილია სახლის კარები გამოკეტილი ჰქონდეს... ჩონთა თავის სახლში ზის, ფატიმა!

ფატიმა — შენ თუ გიყურე, კარგი ხეირიც დაგვეყურება! (კარს მოხურავს)

ჩონთა — ბარემ მანდილიც დამხურე დედაკაცო და ის არის! (გარედან მოისმის კარზედ კაკუნი, ჩონთა წამოხტება, თოფს მოავლებს ხელს და შესძახებს) ვინ არის?

ჰაჯი მურადი — მე ვარ, ჰაჯი მურადი, კარი გამიღე, ჩონთა (ჩონთა კარს გააღებს, წემოდის ჰაჯი ცოლშვილით)

ჩონთა — მშვიდობა ხომ არის ჰაჯი?

ჰაჯი მურადი — არის და არც არის... ჩემი წუთები დათვლილია, თუ თავს დროულად არ უშველე...

ფატიმა — უიმე შვილო...

ჩონთა — უი შენა და ხმის ჩაწყვეტა? აღარ იტყვი რა მოხდა ადამიანო?

ჰაჯი მურადი — შამილმა ჩონთა, შამილმა მდეგრები გამომიყენა დანიელ ბეგის მეთაურობით... დაქერას მიპირებენ და მეძებრებივით დაგეშილნი უკან მომდევნ!

ჩონთა — მერე და შამილს რა ხელი აქვს შენთან ჰაჯი?

ჰაჯი მურადი — არაფერი მესმის... როგორც შემეძლო ქვეყანას ისე ვემსახურე, ხალხის ჭირვარაჲს ორ ფურცლად ვკითხულობდი, გაჭირვებულს ვშველოდი და დაცემულს ფეხზედ ვაყენებდი... ასე დამიფასეს ჩონთა, ასე გადამიხადეს ჩემი ღვაწლი და ამაგი!

ჩონთა — ალლაჰს ნუ სცოდავ ჰაჯი, დამშვიდდი და ყოველივე მოგვარდება, შამილთან წავალ და ნამდვილ მიზეზს გამოვარკვევ...

ჰაჯი მურადი — რალას გამოარკვევ, ადამიანო, ყველაფერი გამოარკვეული და ნათელია... რაკი დანიელ თავს დამესხა — ეტყობა საქმე ცუდათ არის. აქ აღარ მეცხოვრება, სადმე შორს უნდა გავეცალო. ცხენები თავლაში გყავს?

ჩონთა — ჩონთა მოგიკედეს, თუ მტერს ლაჩრულად შეეგებოს... საკმაოა ერთი გადავძახო აულს და მთელ ვაეკაცობას ფეხზე დავაყენებ!

ჰაჯი მურადი — საჭირო არ არის. ცხენები ხომ თავლაში გყავს, გკითხები?

ფატიმა — მერე ასეთ დროს, სად უნდა წახვიდე შვილო?

ჰაჯი მურადი — ურუსებთან!

ჩონთა — რაო, ურუსებთანო!

ჰაჯი მურადი — მივდივარ ჩონთა, ურუსებთან უნდა გადავიდე... გულით კი არა, იძულებით მივდივარ, გული და გრძობა აქ იქნება, აქ ვტოვებ ოფლით მოგებულ ღვაწლსა და ხმლით მოპოებულ სახელს.

ჩონთა — ვაი შენ ჩემო თავო, უბედურო! ეს რა გიქნია ჰაჯი, შამილს გადაუღდექი?!

ჰაჯი მურადი — შამილს კი არა, დანიელ ბეგს და მის დამქაშებს...

ჩონთა — აქ დარჩი ჰაჯი, ნუ მიღიხარ, გირჩევ აქ დარჩე...

ჰაჯი მურადი — შეუძლებელია ჩონთა... დანიელ ბეგს — ძალიან სული აქვს და გველის ჰკუა, მას ვერსად დავემალეები... სანამ მის ნაზიზლორას შამილი გაიგებდეს, თავს ურუსებს შევაფარებ, ასე სჯობია დამხვევრეულს ჩონთა — არ არის ჰაჯი გაიურებთან წასვლა ლამაზი უნდადქონეს კიტყვის, მართლმორწმუნე ლეკი გულზედ გასკდება ბოლმისაგან და სახელს შეგიგინებს!

ჰაჯი მურადი — რად შემვიგინებს?! აქ რომ დავრჩე ჩემსა და შამილს შორის ომი მოხდება. ამით კი ურუსები გაიხარებენ... შამილი ჰკვიანია, იგი მალე მიუხედება დანიელ ბეგს ცბიერებას და ისევ მალე დამიძახებს... წადი, ცხენი მომიყვანე!..

ჩონთა — ინშალლაჰ!... შენი საქმისა, შენ უფრო იცი ჰაჯი, ოღონდ შამილს ნურაფერს დაუშავებ... იგია ჩვენი იმედი, ჩვენი ხსნის იმედი, შეილო!

ფატიმა — რას ამბობ რასა, აღამიანო! შეილო ჩემო, ნუ უყურებ ამ გადაყრუებულ ბერიკაცს... შენ ახალგაზრდა ხარ, თავს ნუ ღუპავ, წადი და თავს უშველე! (კარზედ ძლიერი რახუნი ისმის)

დანიელ ბეგ — (ხმა გარედან) ეჰეი, ჩქარა, კარი გაგვიღე მასპინძლო!

ჩონთა — სტუმარი ღვთისაა ეფენდი, მაგრამ გვიბრძანეთ, აქ ვის ეძებთ?

დანიელ ბეგ — (ხმა გარედან) ჩქარა, გააღეთ კარები, თორემ ძალად შემოვამტვრევთ და შავ დღესაც დაგაყენებთ!

ფატიმა — ვაიშე შეილო, დავიღუბეთ!

ჰაჯის ცოლი — დაგვტოვე ჰაჯი, თავს უშველე, ნუ გეფიჭრება, ჩვენ აქ არაფერს გვაკადრებენ!

იუსუფი — ჩვენ აქ დავრჩებით, მამაჩემო, წადი დაგვტოვე!

ჩონთა — მართალს ამბობენ ჰაჯი, შენთვის მოსულან ეგ ძაღლები, წადი, გაგვეცა, რას უღგებარ!

ჰაჯი მურადი — ეხლა წავიდე? ეხლა მე ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან... სჯობს აქვე თქვენთან დავიღუბო... გაუღეთ კარი არამზადებს!... მზად ვარ ჯოჯოხეთს გაეუმკლავდე... შევზნელო აზრაილ, სიკვდილის ანგელოსო, ამოიღე შენი მახვილი! (ხმალს ამოიღებს)

ჩონთა — რალას აყოვნებ დალოცვილო, ჩქარა, აქედან გაიქეცი!

ყველანი — ჩქარა, გადახტი, გაიქეცი!

ჰაჯი მურადი — რალა დროს არის, მილალატა მომლიმარ ბედმა, მადლი მატლად მიქცია და ამაგი შურისგებად. მეც რალა დამრჩა ჰკვიანაზედ... მშვიდობით იუსუფ, მშვიდობით ოჯახო, და შენც მშვიდობით დაღუპულო ცხოვრებაე!...

ჩონთა — არ არის შეილო დაღუპული, გადახტი ჩქარა, გასწი აქედან ვედენოსკენ!

ჰაჯი მურადი — (გადაკოცნის ყველას) მიედივარ ჩონთა, შენ იცი, როგორ მოუვლი ამით.. ჩემი ნუ გედარდებათ, მე ისევ მალე დავბრუნდები... (ჰაჯი ფანჯრიდან გადახტება, დანიელ ბეგი, იაკუბი და რამდენიმე პიორიდები კარს შემოამტვრევენ და შემოდიან).

დანიელ ბეგ — სთქვი მოხუცო, სად არის მოლალატე?

ჩონთა — მე ერთი უბრალო იუზდანი ვარ ეფენდი. მოხუცი იუზდანი... აღარაფერი მეყურება, ვინ ერთგულია ვინ მოლალატე!

დანიელ ბეგ — სიტყვას ბანზე ნუ ავდებ ჭოფაკო, გეკითხები და მიპასუხე!.. განა ახლა აქ არ იყო ჰაჯი მურადი?

ჩონთა — არ გზღებიათ ჩემო ეფენდი, თვეზე მეტია, რაც იგი არ გვინახავს მის კეთილებს!...

დანიელ-ბეგი — არამზადა, ტყვილებსაც მიბედავ? (მათრახს შემოკრავს. ჩონთა ხანჯალზე გაივლებს ხელს, მაგრამ დანიელ ბეგი დამზაჩას ესერის და ჩონთაც უსულოდ ძირს დაეცემა) ჩქარა, შეპკარით სუყველანქს (მოფრელები მიესევინა ჰაჯი მურადის ცოლშვილს დასაპერად).

ფატიმა — (დანიელს ეცემა) უძღებო სეაფო, მე შენ დავახრობ ჩემის ხელით!...

სურათი მეორე

გუნების ციხე. შამილი და დანიელ ბეგ.

დანიელ-ბეგ — ჰაჯი გაგვექცა მართალია იმამინალ, მაგრამ ცოლშვილი დაეიქირე მოლაღატისა და, თუ ისურვებ წარმოგიდგენ ჩემო ხელმწიფე!

შამილი — ჩქარა, მომგვარეთ ჰაჯის შვილი!

დანიელ-ბეგ — იგი აქ გახლავს იმამინალ! (კარს გააღებს და შემოიყვანს ჰაჯი მურადის შვილს — იუსუფს).

შამილი — შენა ხარ ჰაჯი მურატის შვილი!

იუსუფ — მე გახლავარ იმამინალ!

შამილი — შენი სახელი?

იუსუფ — იუსუფ მქვია მბრძანებელო!

შამილი — იცი რა მიყო მამაშენმა?

იუსუფ — ვიცი და ვწუხვარ უაღრესად ჩემო ხელმწიფე!

შამილი — წერა არ იცი?

იუსუფ — ვიცი მბრძანებელო, მე მოლად მზრდიდენ მუფტიები... .

შამილი — მაშ, მისწერე მამას, თუ ჩემთან ეხლავე დაბრუნდება — დანაშაულს მიუტევენ და ყველაფერი ძველებურად იქნება, თუ არ ვადმოვა და სამუდამოდ ურუსებთან დარჩება, მაშინ შენ თავს ჯალათებს მოვაკვეთინებ... ასე დასწერე და გადაეცი ჩემს ელჩს. ეხლა კი წადი, შეასრულე ჩემი ბრძანება! (კარებთან როცა მივა იუსუფი, ხანჯალს ამოაცლის მუსას ქარქაშიდან და თავის მოკვლას დააპირებს, მაგრამ მუსა დაასწრებს და ხანჯალს წაართმევს).

მუსა — ვალამ, რას შევები შენ უღირსო?!

შამილი — თავს რად ილუბავ შენის ხელით? განა სიკვდილით გამოისყიდი დანაშაულს?!

იუსუფ — ვფიქრობ ასე სჯობს ბრძანებელო... ჩემი ცხოვრება დაღუპულია სამუდამოდ...

შამილი — ნუ გეშინია შვილო ჩემო, შენ ჯერ ნორჩი და ჭაბუკი ხარ, თუ სიკეთის გზას დაადგები, ყოველივე გამოსწორდება... მალე დაბრუნდეს — ასე მისწერე ჰაჯი მურატს. მან კარგათ იცის, თუ როგორ ვექცევი მოლაღატის. ეხლა კი წადი! (მუსა გაიყვანს იუსუფს).

დანიელ-ბეგ — მე რას მიბრძანებ იმამინალ!

შამილი — შენ წერილს დასწერ, და ნაიბებს შეატყობინებ, თავი ანებონ კინკლაობას, ნაცვლად ღვარძლისა მისწერე ჯარი მომაშველონ.

დანიელ-ბეგ — ეხლავე დაესწერ იმამინალ.

შამილი — ნუ დაუმალავ რა შეგ დღეშიც აქ ვიმყოფებით. ისიც აცნობე რომ არ არის მშველელი არსად, რომ ძლიერ გვიქირს, ციხეში ვართ გამო-მწყვდეული.

დანიელ-ბეგ — ჰაჯის ღალატი არ ვაცნობო?

შამილი — არა, მაგას ნუ დაუმატებ, ეს ცნობა ცუდათ იმოქმედებს (შემოდის იანუს)

იანუს — საშინელი ამბავი მოგიტანეთ იმამინალ!

შამილი — ისეთს რას მეტყვი, რაც დღემდე არ გამოიგონია!

იანუს — ორი ნაიბი ვაიპარა, ჩემო ხელმწიფე... თქვენი სიძე და ლამაზანი, ჯარი მოხსნეს და გადავიდნენ გიაურებთან...

დანიელ-ბეგ — სტყუი, მურტალო, მოქორილი ამბავი ამბავს დასწავლი... ძლიერძლით იმამს ეუბნები... მე შენ ვაგაქრობ არამაზადე!...

შამილი — შესდექ დანიელ!...

იანუს — მართალია იმამინალ, ვფიცავ მაჰმადს, მართალია... გვიღალატეს და გადავიდნენ გიაურებთან.

შამილი — ათასის ხელით, მძიმე ჯაფით დადგმული სახლი, ერთს შეუძლია დაანგრეოს. მე კი რას ვიზამ, რას გავხდები, როცა ერთი ვარ და ჩემის ხელით აშენებულს ათასი ანგრევს!...

დანიელ-ბეგ — გულს ნუ გაიტებს იმამინალ!..

შამილი — გასწი იანუს, დარჩეული ხალხი შეკრიბე, ციხის კარებზეც სახლო კაცები დააყენე, რომ გამოცვლამდე ფხიზლად იდგნენ. მეც იქ ვიქნები, გასწი მყისვე და იმოქმედე! (შამილი და იანუსი გადიან)

დანიელ-ბეგ — (მარტო) ვგრძნობ რომ ვათავდა, სუყველაფერს ბოლო ეღება. აჲ, ვერ ვიხილავ მე, ჩემს სიძეს იმამის დროშით და რაც ხანია, მას შამილიც დაკარგავს, მჯერა რაკი სულ გაქრა უკანასკნელ იმედის სხივი! მაშ რაღას ვიციდი აქ მე ახლა, ასე უმიზნოდ? არა სჯობია გადავიდე გიაურებთან და ჩემს ბედ-იღბალს სხვა გზა მივსცე იმედიანი? რომ შეურიგდე გიაურებს ვითომდა რაო?! განა ღალატი იქნება ეს, დაღუპვის ნაცვლად კაცმა თავი, რომ გადირჩინოს? ასე მოიქცა ხომ ისმაილ შამილის სიძე და ლამაზანიც თავის კვალზე გაიყოლია! ბრძოლა თუ ღალატს დაუძახებს ამ ჩემს საქციელს, მჯერა, ჰკვიანი, შორსმჭვრეტელი მას მამატიებს და შეეხარბოს იქნებ კიდევ. შორს ჩემგან შიშო, უძლურების მერთალო მუქარა, უკვე გადაწყდა, მე მივდივარ გიაურებთან!

(შემოდის კიბიტ მაჰომა)

კიბიტ მაჰომა — ხედავ დანიელ, რა ცეცხლში ვარ, ეს სამი დღეა ასე ვიბრძვი შეუსვენებლად.

დანიელ-ბეგ — სულელი ხარ და მიტომ იბრძვი ჩემო კეთილო!

კიბიტ მაჰომა — მავას რად ამბობ, ხომ არ გაგიყდი?

დანიელ-ბეგ — სწორედ გიყები, თავს იტეხენ, თორემ ჰკვიანებს მითხარა რა აქეთ საბრძოლველი?... მათი არ არის ეს ჰქვეყანა, ცა და ხმელეთი?

კიბიტ მაჰომა — მაშ, არ ვიბრძოლო კარზე მომდგარ მტრის წინააღმდეგ?

დანიელ-ბეგ — ყური დამიგდე: ვინდა მიიღო ურუსთავან ფული და პატიება?

კიბიტ მაჰომა — ისე კითხულობ, თითქოს ჩემი გამოცდა გასურდეს!

დანიელ-ბეგ — მე გეკითხები, თუ გასურს მეთქი?

კიბიტ მაჰომა — რომ მეკითხები, განა ესეც საკითხავია?

დანიელ-ბეგი — მაშ, რაკი ვინდა ასე გიორჩე: ეხლავ მოხსენი შენი რაზმი ბრძოლის ველიდან და ურუსებთან გადავიდეთ!

კიბიტ მაჰომა — როგორ? შამილი მივატოვოთ!?

დანიელ-ბეგ — შამილის დარდი რად გაწუხებს! შამილი რამეს ილონებს, ჩვენ ჩვენი საქმე მოვაგვართ... აბა, წავიდეთ, გველოდება კარებთან მუსა!

კიბიტ მაჰომა — თითქოს სინდისმა, აი, ეხლა გამოიღვიძა და მუხლებს მიჰქერს მუხრუჭივით.

დანიელ-ბეგ — სინდისის ქეჯანას რას უყურებ. სინდისი ახლა დაჭერილ მხეცსა გავს. პირველად ძალიან გაიბრძოლებს, მაგრამ ისევ მალე დაშვრილდება... წაივლით ჩქარა! (შემოდის მუსა)

მუსა — ჩქარა ეფენდი, ჩქარა გაიქეც, თავს უშველე! ერკინულაი
შინჯლიჩოთეჟა

დანიელ-ბეგ — რაო, რა მოხდა?

მუსა — რალა რა მოხდა ეფენდი, შამილს ბრძანება გაუცია, დაპატიმრებას გიპირებენ...

კიბიტ მაჰომა — რაო! რას ამბობ, შე რეგვენო?

მუსა — ვფიცავ მაჰმადის წმინდა სახელს — დაპატიმრებას გიპირებენ... უკვე ბრძანებაც გაუცია... გეძებენ კიდეც, ვფიცავ ალაჰს, ცული დღე გელის.

დანიელ-ბეგ — აკი ვითხარი, ჩემო კიბიტ, წაივლით მეთქი. ხომ დაინახე, ეხლა ჯერი ჩემზე მოვიდა, შემდეგ გაივლის მცირე დრო და შენც მოგნახავენ.. აბა, რას უცდით? ჩქარა, გამომყეოთ თავს უშველეთ! (დანიელ-ბეგ, კიბიტ და მუსა გადიან. შემოდის შამილი და იაკუბ)

შამილი — ეხლავ გაფრინდი იაკუბ და კიბიტ მაჰომას დამიძახე, უთხარი მყისვე გამოცხადდეს.

იაკუბ — დანიელ ბეგის ამბავი თუ მკითხა რა უთხრა?

შამილი — არა ვიცი თქო უპასუხე...

იაკუბ — მესმის იმამო. (იაკუბ გადის)

შამილი — ეინ იცის, იქნებ მართალია ის არამზადა, და მოლაღატეთ მეჩვენება! რაც კაცს დროებით ეჩვენება... მაგრამ არა, ასპიტია, შამმ გესლით საგსე... თურმე გველს ეზრდიდი, გველი მყავდა უბეში დიდხანს და მას მეგობრად ვღებულობდი! (შემოდის ხევსური თავისი შვილით) შენ ვილა ხარ აღამიანო?

ხევსური — მე ხევსური ვარ, მთის ბრძანებელი! ათი მთა და ოცი მდინარე გადმოვლახე, რომ შენთან მოვსულიყავ... მიილე ჩენი თავი და გვიმსახურე...

შამილი — ჩემებმა ზურგი შემაქციეს — უცხო კი მშველს... მოდი მოხუცო, მოდი გულში ჩავიკრა, შენ ეხლა მთელი ლაშქარი და სასოება ხარ ჩემთვის... მოდი, ჩამეკარ საამბოროთ... (შამილი და ხევსური ერთმანეთს გადაეხვევიან) მაშ, მთა ქართველებიც ჩემთან ხართ მოხუცო?

ხევსური — შენთან ვართ და შენთან გვინდა დავიხოცოთ. ასი კაცი მოვიყვანე, ასი ჭირი და დარღუბალა ჩენი მტრებისთვის... ეს ჩემი შვილია, ესეც თან წამოვიყვანე... ეს ჩემი ხანჯალი, ჩემი ხელით გამოიკეთებია, ეს ჩოხაც დიაციის ხელით არის მოქოვილი, რათ გვინდა შჩაგვრელები, ჩვენ თითონ მოუვლით ჩვენს ცხოვრებას.

შამილი — ყოჩად მოხუცო, მარგალიტია შენი სიტყვა, ობოლი მარგალიტი... შენ ბრძოლაში ჩეხის არ გეშინია ჭაბუკო?

ახალგ. ხევსური — ჯერ არა ვარ ისე ხნიერი სიკვდილის მეშინოდეს! (შემოდის იანუს)

იანუს — ყოვლად უმსგავსო საქმე მოხდა იმამინალ!

შამილი — რაო, რა მოხდა?

იანუს — დანიელ ბეგმა გვილაღატა იმამინალ! კიბიტ მაჰომაც გაიყოლა თავისი რაზმით და ურუსებთან გადავიდნენ.

შამილი — რაო, ეს რა სთქვი შე ყარყუმო?

იანუს — მე რა ბრალი მაქვს, საყვარელო ჩემო ხელმწიფე!

შამილი — დიახ, შენცა გაქვს, მეც და ყველას: ლამის გავვიტდე... რალა მიკლია, შევიშალე კიდეც ეს არის, თორემ რას ვამბობ! ეხლა ხმალი უნდა მე-

ქიროს და ჯალათივით თავსა ვსჭრიდე. მოლაღატეებს... ეხ, ვაჭკობავე, აქ მომცა ხელში, ის ჯოჯო ის, ქაობის მუმლი, რომ ნუშოს ბოლში გამოეხარჩო, დავმართებ მეტსაც, ოღონდ კი ხელში ჩამივარდეს შესამოსტრეველქ (ყუხუღი მაჰო-მა შემოიყვანს დაქერილ მუსას).

შამილი — მხოლოდ ეგ ერთი დაიჭირე?

ყაზი მაჰომა — მხოლოდ ეს ერთი მამაჩემო!

შამილი — ნეტავ ის ორიც მოგეყვანა... სიკვდილი მაგას!

ყაზი მაჰომა — რალას გაჩუმდი, კრიჭა შეგეკრა? რატომ არ გახსნი მაგ ჩასამტერევე პირს?!

მუსა — შეეცდი ეფენდი, მომიტყევით... დანაშაული, ჩემი დიღია, თუნდაც ის, რომ დანიელს აეყვე და გონიერ ხმას სიმართლისას გადაუღდექი. მაგრამ მე ვიტყვი ყოველივეს, აშკარად ვამბობ, რა სიბრძივეც მაქვს ჩადენილი. პირველი ცოდვა ყარაღაჯიოს მოკვლა იყო... დანიელ ბეგმა საკუთარ ხელით მოკვლა იგი მუხანათურად.

შამილი — რაო?!

მუსა — მუხანათურად მოკვლა მეთქი, ჩემო ეფენდი!

შამილი — მე მყავდენ ძმები, რომლებსაც ჩემ აბჯრებად ვთვლადი... ეხე-დავ მოეტყუედი, ახლა მტრებია ისინი მხოლოდ. მყავდენ ერთგული მეგობრებიც, ასე შეგონა — ისინი იყვნენ ისრები ჩემი, მაგრამ ვაი, რომ ყველა გულზედ დამესო მწარედ! (მუსას) იქნებ სტყუი, შენ გველაძუა!

მუსა — სიმართლეს ვამბობ, ვფიცავ ალლაჰს, სწორედ ის იყო შუღლი ჰაჯისაც ჩამოუგდო — ეს მართალია და გააჭკია კიდევ იგი... თუ რომ ესტყუოდე...

შამილი — ოი, შენ ცაო გამოგზანენ ისეთი წვიმა, წვიმა გესლით და შხამით საესე, რომ დედამიწა — ყველგან თანაბრად მოიწამლოს... მოყვეს ამ წარღვნას: ქრისტეანი, მაჰმადიანი, თავზარი დასცეს ბრალიანს და თვით უბრა-ლოსაც — სისხლის ცრემლები აფრქვევინოს, ასე სჯობია, რადგან მე ვხედავ, კაცი არ არის ქვეყანაზედ!

მუსა — თავის მართლებას ვერ გაზებდავ, ჩემო ეფენდი, უაღრესად ვარ თქვენს წინაშე შეცოდებული, მაგრამ მე მჯერა, ჩემს წარსულ ღვაწლს არ დაივიწყებ და გამიკითხავ საწყალ ცოდვილს..

შამილი — არავითარი შეწყალება. ლალატისათვის შეწყალება არ არსებობს... სიკვდილი მაგას!

იანუს — რა გვარ სიკვდილით მოვაკვლევინოთ ეგ საძაგელი?

შამილი — გაიყვანეთ და ხალხს მიეცით, დე, ხალხმა დასდოს თავისი მსჯავრი ვერავ გამყიდველს!

მუსა — ნუ მიმაპირებ ხალხის რისხვას, აი, ამას გთხოვ, შენი საკუთარ ხმლით დამკალ ჩემო ხელმწიფეც!

შამილი — იანუს, ჩქარა გაიყვანე!

მუსა — ვალაჰ, ასრულდეს ნება შენი... (მუსას გაიყვანენ)

შამილი — აი, ამ გვარად. აი, ასე დაისჯებიან, ყველა ფლიდნი და გამ-ცემლები თავის ხალხისა... არვის შევარჩენ ქვეყნის ლალატს... გულს გავი-ქვავებ, კიდევ ვიციოცლებ, ას წელიწადს, — მტრების თინაზედ და მთას, კი-სრიდან გადავაძრობ მონობის უღელს....

სურათი მესამე

(გუნების ციხის წინა მხარე)

გურკა — (გარმონზე ამღერებს)



უყვარდი დედასო, უყვარდი, მეუბნებოდა,
 ეი, იაშა, ჩემო კარგო, იჯექი წყნარად,
 არ დაუჯერე ძვირფას დედას და წამოვედი,
 და ეხლა მწარე მწუხარების ცრემლი მდის ღვარად...
 სადმე ბნელ ხევში, ჩაჩნის მიერ თავგაჩენილი
 ჩავლები მარტოდ, ან და შემქვამს მშვიერი მგელი,
 თვალებს დაეხუჭავ უცხო ცის ქვეშ და იმ წუთიდან
 ეი, იაშა წაიშლება შენი სახელიც...

ჩოპკა — რად შეაჩერე, მამავ და შეილო, დაუკარ ისევ!

გურკა — გულშაგები ნებას არ იძლევიან... მტერი ნიშანზე ავილებსო!

ჩოპკა — მიჰქარავენ! ახლა მტერს ჩვენთვის სცხელა! განა ვერ ხედავ თა-
 ვი, რომ ოხრად რჩებათ იმ უბედურებს? ერთი, იმათგანი ეხლა ჩვენთან არის,
 დანიელ ბეგ ელისუელი...

გურკა — ეს ელისუელი ვილა ოხერია, ჩოპკა?

ჩოპკა — ვინ იქნება, ელისეის ყოფილი სულთანია. ათი წლის წინად მაგ
 ფოცხვერმა ჩვენ გვიღალატა და ლეკებს მიემხრო... ეხლა შამილს გამოექცა
 და ჩვენებს ატყუებს... ერთი სიტყვით მამავ და შეილო შარი კაცია! (შე-
 მოდის გულშაგი)

გულშაგი — კიდევ აქა ხართ არამზადებო, წადით დაიკარგეთ აქედან!
 (ჩოპკა და გურკა გაიპარებიან. გულშაგი თოფზე ჩამოყრდნობილი დგას და ცო-
 ხეს მისჩერებია) ეხ, რა ცხოვრებაა ახლა ეგ ჩვენი ცხოვრება! რა მინდა აქ, რა
 დამკარგვია და რას ვეძებ. რამდენი ბიჭები დაგვეხოცა ამ დასაქცევში და მე-
 რე რისთვის, რისთვის ყოველივე ეს?!

(შემოდის ჰაჯი მურადი. ხანჯალამოღებული ებარება გულშაგს, მაგრამ
 შეებრალება და ისევ ჩააგებს ხანჯალს.. ხელს სტაცებს, თოფს ხელიდან გააგ-
 დებინებს და შეკრავს)

ჰაჯი მურადი — (ციხეს მიმართავს) მადლობა ალლაჰს, ძლივს ველირსე...
 ისევ შენთან ვარ, ჩემო ქვეყანავ, სიმზნით საესე და შთაგონებულ გულით მოვ-
 დივარ... წინ რა დამიხვდება! გაქცეულ აფთარს დავიჭერ ხელით და
 თავზე შემოგველები: მოვდივარ, გულში ჩამიკარი, მშობელო მხარეკ! (ოფი-
 ცრი შემოდის, თვალს რომ მოჰკრავს, ჰაჯის დამზახას ესერის)

ოფიცერი — ველარ მოგართვი, მოკვდი, მხეცების ნაშიერო.

ჰაჯი მურადი — (დაჭრილი) ჯერ არ მოვკვდები, სანამ შენც წინ არ
 გავიყოლებ! (ხანჯალს გულში დაჰკრავს) ვაი, რა ცუდ დროს ვიღუპები?...
 მუხთალი ბედი გვქონია, ჩემო ქვეყანავს... შენც უწყალო და სასტიკი ყო-
 ფილხარ, ზეციერო! შამილ, შენ მაინც, შამილ, შენ მაინც გადაუ... ხადე...
 დონ... ღუ... ზებს!... (ჰაჯის გვამს გაიტანენ... შემოდიან დანიელ ბეგი, ლა-
 ზარევი და თურქესტანიშვილი).

დანიელ-ბეგ — აცნობე ცინეს ჩვენი მოსვლა, პარუჩიკო!

თურქესტანიშვილი — ახლავე თქვენო ბრწყინვალეებავ! (საყვირით ეძა-
 ხის, გუნების ციხიდანაც საყვირითვე უპასუხებენ)

დანიელ-ბეგ — (მოუახლოვდება ციხეს. ციხის გაღაფნიდანაც თავს გამო-
 ჰყოფს იანუსი და იაკუბ) ეი, თქვენ, ჩემი საყვარელი ქვეყნის შვილებო, ყური-
 დამიგდეთ ორი წუთით!

იანუს — აბა, დაიწყე! ენახოთ იაკუბ, რას გვეტყვის ეგ მწყურჩიტა.

დანიელ-ბეგ — ხომ კარგად მიცნობთ მე ვინცა ვარ?

იანუს — გიცნობ რა შვილიც ჰყვებარ ალლაჰს!

დანიელ-ბეგ — ამეამად მე ვარ ურუსების გამოგზავნილი... მაგრამ თქვენთვისაც კეთილი მსურს!

იაკობ — ყველაზე გატყობ, რაც უნდა სთქვა, ბერო ჭოფავო!

დანიელ-ბეგ — გაიგე იანუს, ყველაფერს თავისი ბოლომდე და საზღვარი აქვს!

იანუს — შენი ფლიდობა უსაზღვროა დანიელ ბეგ, მას არც კიდე აქვს, არც საზღვარი!

დანიელ-ბეგ — როგორ მიბედავ მაგგვარ სიტყვებს, იცი მე ვინ ვარ?

იანუს — საკუთარი ქვეყნის დამტყვევი და ამომგდები!

დანიელ-ბეგ — ფრთხილად იყავ, უგუნურო, აქ ჩემი სახით თვით რუსთ ხელმწიფე ლაპარაკობს!

იანუსი — ვაჰ, მისი ბრალი, რაკი შენზე დაუდგა საქმე!

დანიელ-ბეგ — მე, აქ ელჩი ვარ, გამარჯვებულ მხრიდან მოსული და უფლება მაქვს...

იანუსი — შენ, ეშმაკის მეგობარი ხარ და მისი კუდიანი მოციქული..

დანიელ-ბეგ — თქვენ გელაპარაკებათ დანიელ სულთან ბეგ, ელჩი დიდი ხელმწიფისა! გინდათ მიიღოთ პატიება და ყველანი უვნებლად გახვიდეთ ციხიდან?

იაკობ — მერე რა იყო, რომ გვინდა?

დანიელ-ბეგ — გააღეთ კარები, დაემორჩილეთ ხელმწიფის სარდლობას და სიცოცხლეს გაჩუქებენ... წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას დაგზოცენ და ციხესაც აიღებენ..

იანუს — მოდიტ და სინჯეთ!...

დანიელ-ბეგ — შამილი მაინც გადმოგვეციტ... თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ მას არაფერს დავუშავებთ!

იაკობ — წადი, დაიკარგე, შე ყვაეების საფრთხობელა, შენა!

დანიელ-ბეგ — რაზე ჯიუტობთ, ოჯახი მაინც შეიბრალეთ! გადმოგვეციტ შამილი და სამაგიეროდ ჩემი თავი მიიღეთ მძევლად!

იანუს — რის შამილი, რის ოჯახი, თავი დაგვანებე შე შაითანის თექო!

დანიელ-ბეგ — რაკი მაგრეა, ეხლა ნახეთ, რაც დაგემართოთ... მალე ამ კედლებს ჩვენს ზარბაზნებს დავალეწინებთ, ცეცხლის ხანძარში გავხვევთ ციხეს და ქვას ქვაზედ არ დაეტოვებთ.. აი, ეს არის ჩემი სიტყვა!

იანუს — ეხლა ეს ჩემიც მოისმინე! (თოფს ესვრის, დანიელ ბეგ უსულოდ ძირს დაეცემა, თურქესტანიშვილი და ლაზარევი გაიქცევიან) გემრიელია? ასე იცის ბოლმიან გულმა!

სურათი მეოთხე

(გუნების ციხე)

შამილი — დასცხე იანუს, დასცხე მეთქი, თავს ნუ დაზოგავ, ამოსასვლელიც ააფეთქე, ციხაბო კლდეზე!

იანუს — ავაფეთქე იმამინალ, ამოსასვლელიც ავაფეთქე.. აგერ შეხედე, როგორც საშინლად ჩაიხერგა ციხის კარიბჭე..

(შემოდის ყაზი მაჰომა)

შამილი — რა ამბავი მოიტანე შვილო ჩემო?

ყაზი მაჰომა — ჰაჯი მურატი მოუკლავთ ურუსებს, მამაჩემო!

შამილი — რაო? ჰაჯი მოუკლავთ?!

ყაზი მაჰომა — ურუსებს გამოქცევია და ჩვენკენ მორბოდა თურმე უბედური. საზღვარზე გადმოსვლისას, ყაზახები დასწევით და ძალღურად მოუკლავთ.

შამილი — მე რომ მომეჭრა თავი მათთვის — ვინც ჰაჯი მურატს ჩემთან ასმენდა ღვარძლითა და შურიანობით და მხოლოდ ჰაჯი შემენახა ვით-მეცობარი, მე შავ დღეში ეხლა რომ ვარ, არ ვიქნებოდი.. ვაი, შენ თავი უგუნურო ვით გაგაბრეყვეს!

ქაზი მამომა — დღეს მამაჩემო, საშინელი ამინდიც მტერს გვერდში ამოუდგა და ორთავე გაბოროტებით გვიტყვენ.

შამილი — ნუ გეშინია შვილო ჩემო, მალა ღმერთია, ქვეყანაზედ მართლ-მორწმუნენი და ხელში ხმლები დაღესილი გვეჭიროს მტაციცად.

ქაზი მამომა — ტყვილი იმედებია მამაჩემო, ჩვენი მზე უკვე ჩაესვენა.

შამილი — მზე როდია ჩვენი, ნამგალა მთვარე კვლავ ანათებს კრიალა ცაზე.

ქაზი მამომა — ნამგალა მთვარეც კულ დღეშია, ლამის მრისხანე ორთავიან არწივის ფრთებმა, შავს უფსკრულში გააქანოს..

შამილი — მაგისი ნუ გეფიქრება შვილო ჩემო... ჯერ მთვარემდე არც ერთ ფრინველს არ მიუღწევია და ვერც ორთავიანი მიაღწევს მაჰმადის წყალობით. წადი, ახლავე, ზარბაზნები აამეტყველე.. დე, ზარბაზნებმა გადასწყვიტოს გუნების ბედი-

(შემოდის სურხაი)

სურხაი — კულად წავიდა ჩვენი საქმე იმამინალ... სამივე მხრით ვართ შემორტყმული მტრის ურდოებით.

შამილი — ნუ თუ საშველი არ არსებობს!

სურხაი — არავითარი. ბრძოლა უკვე წაგებულა... ეხლა ქართველი ჯარისკაცებიც მოადგენ ციხეს, თოკის კიბეებს აკეთებენ და ასე ბობლვით ამოდიან ციხაბო კლდეზე.

შამილი — ურუსები რომ მუსრს გვაელებენ, ეს მესმის და მეყურება, ჩვენ მათ ხაზაში ვავეჩხირეთ და მიტომ გველტერენ, მაგრამ ქართველ თავადებს რალა უნდათ, რომ დააბრმავათ, რომ ხარობენ ჩვენი წახდენით!

სურხაი — რა გზას დავადგე, რა ვიღონოთ იმამინალ?

შამილი — ახლავე გასწი სერაღისაკენ ჩემო იანუს, ეხლავ გასწიე და იქ შეკრიბე ქალების რაზმი... რაკი მამაკაცთ აღარ ძალუძთ გმირული ბრძოლა, ისევე ქალებმა უნდა დასდონ ქვეყნისთვის თავი (იანუს გაღის).

სურხაი — სირცხვილს ნუ გვაქმევ იმამინალ, ვთხოვ ეს ბრძანება შეაჩრო!

შამილი — ეხლა ქალების ჯერი დადგა, მათმა გმირობამ, გამოისყიდოს უნდა მყისვე ესოდენ მძიმე: მამაკაცების შერცხვენა და თავსლაფის დასხმა! (იანუს ისევე დაბრუნდება) რა ქენი იანუს, რად დაბრუნდი?

იანუს — მოდიოდენ იმამინალ, აი, იქ შემხედენ, მამაკაცურად ჩაცმულები მწყობრად მოდიან და მათ მცირე რაზმს წინ მიუძღვის თქვენი მეუღლე.

შამილი — წინ მათ შენანეტ მოუძღვება?

იანუს — არა, ჯაგარატ ქისტის ქალი (შემოდის ქალების რაზმი).

ჯაგარატ — შამილ, გვიბრძანე, აი, აქ ვართ ყველა ქალები. აგერ ფატიმაც, აი, მე და სხვებიც მრავალი...

ფატიმა — გავგიძებ შამილ, გავგიყვანე მტერთან ბრძოლაში!

შამილი — ყოჩაღ ქალებო, თავდადებას თქვენსას ვაფასებ და იმედი მაქვს კიდევ თქვენი. ტყვედ თუ ჩავარდეთ, დაიკარით გულში მახვილი, და ცოცხლად მტერს ნუ ჩაბარდებით აბა, მომყევით, ერთად დაესდოთ ქვეყნისთვის თავი! (შამილი წინ გაუძღვება ქალების რაზმს. თოფების და ზარბაზნების გრიალი, ხმაური და ყიყინა, ქარის ზღუნენი... იანუსს ქვებს და ლოდებს ჰყრის ქვევით)

იანუს — განკითხვის დღეა, საშინელი ბრძოლა დაიწყო. აბა, შამილიც ჩა-
ერია... ეგ რა ხდება? პირი იბრუნა მტერმა გასაქცევად! ო, არა, ისევე შემო-
ბრუნდნენ... ჩვენებიც მედგრად მიეგებენ... ეგრე, ეგრე, თქვენც... პირიმე
მთის არწივებო, დასცხეთ, გადადით შეტევაზე... ეგ ვინ ^{ჩვენთან} ჩვენი გარშემო
ზევით მოიწევენ, თქვენი ქოჩი გაწყდეს სრულად... უნდათ რომ თოკით ამო-
ცოცდნენ... ვერა, ვერ მოესწრებით თქვენს საწადელს... ეს თქვენ, ესეც კიდევ
თქვენს გამოგზავნელს... აბა, სინჯეთ და მოდით კიდევ!...

(შემოდის სურხაი).

იანუს — ეს რა ქუხილი და ვრიალია სურხაი?

სურხაი — ჯოჯოხეთია იანუს. ტყვიამ იმამის ცოლი ვაგმირა და შეი-
ლიც მკერდზე მიაკლეს...

იანუს — შუანეტ მოკლეს ურუსებმა?

სურხაი — არა, შუანეტ ცოცხალია... ჯავარატ მოკლეს.

იანუს — შამილმა იცის ეს ამბავი?

სურხაი — იცის და აქეთ მოიქარის... (შემოდის შამილი)

შამილი — ხედავ იანუს, რა ამბების მომსწრე შევიქნენ?

იანუს — ვხედავ და ვწუხვარ იმამინალ.

შამილი — უკვე გადაწყდა, დაიღუბა სულ-ყველაფერი... იყო შამილი,
იყო ავარეთიც, ესლა აღარც შამილია და აღარც ავარეთი...

იანუს — გულს ნუ გაიტებ იმამინალ, ალლაჰი ხედავს, ჩვენს ტყვილებს.

შამილი — შენ აღარ ხარ ჩემო საჰიდ, სულ პატარაა ის ჭრილობა, შენ მას
ვერა გრძნობ, მაგრამ შენ მამას ეწევის იგი გველნაკბენივით, რადგან ეს ტყვია
მე მესროლეს გიაურებმა... აწ, ასე ველარ ვადავისვამ ხელს ხუქუქ თმაზე,
ვერც ჩემს მშობლიურ ხმას მოგაწევენ... მშვიდობით საჰიდ... შენც მშვიდო-
ბით ჩემო ჯავარატ, ნათელი თვალთ ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს
და თვალში ცრემლით გეთხოვები უკანასკნელად...

(შემოდის სურხაი)

შამილი — ხედავ, რა მიყო ბედმა სურხაი!?

სურხაი — გეყოფა გლოვა, მწუხარება დიღო იმამო, რამე ვიფიქროთ
უკვე მტერი გვიანხოვდება!

შამილი — ცრემლებს არ ვღერი მე, თუმცა გული მწარედ მიტრის,
გლოვისთვის კიდევ ვიპოვით დროს და მაშინ ვაეძღეთ, — მძიმე განცდით და
მდულარებით, ნუ სტირი იანუს! (მიუჩრდიებს) აბა, გმირებო, ჩემს ვარშემო
შეიკრიბენით, რაღას უყურებთ, გააკეთეთ წრე და ხელები ერთმანეთს მტკი-
ცედ გადასჭიდეთ, აი, ამ ვეარად! აბა, დაიწყეთ შემოსძახვით სიყვდილის ჰიმ-
ნი და სიმღერის დროს დავიხოცოთ ყველანი ერთად... ლაიჰ ლაჰ, ილ ალლაჰ!

მიუჩრდიები — ლაიჰ ლაჰ ილ ალლაჰ! ლაიჰ ლა, ილ ილლაჰ!

შამილი — მაგრე გმირებო, დასცხეთ მაგრე... თქვენ ზარბაზნებო, მაგრე
იქექეთ, ივრიალეთ, ნუ დაწყნარდებით. შენც ყურთავამირო ჯოჯოხეთო და-
ივრიალე, და შორს ვასტყორცნე შენი მეხის კორიანტელი... მზე დააბნელე,
ნუ ანათებს ნურც ვარსკვლავები, ნურც კაცს დაინდობ და ნურც ცხოველს,
ლირსი არ არის, რისხვით დავლიჯე, სისხლი ღვარე, ცაცხლი აფრქვიე, ცაც-
ხლი რომ სხვებსაც წაეკიდოს, ჩვენც ხომ ვიწეებით!..

(გარედან მოისმის ზარბაზნების ძლიერი გუგუნე, ციხეში კი გრძელდება
წრეში მწყობრი სიარული და ექსტაზში გადასული სიმღერა. ამ დროს შემო-
დიან შამილის ოჯახის წევრები, მათ წინ მიუძღვის შუანეტ წრეში მორბენა-
ლი, გახელებული მიუჩრდიები შეჩერდებიან)

მილი აღარ იქნება ქვეყანაზედ... (ხანჯალს გულისკენ წაიღებს შავრამ ამ დროს შემოვარდება — ყაზი მაჰომა, და შამილს ხელში ეცემა)

ყაზი მაჰომა — აბა, რას შერები მაჩაჩემო? რას შერებუქმეცხული

შამილი — ხელს ნუ შემიშლი შეილო ჩემო! უკვე შამელმა ყოველს ცხოვრება დაასრულა. გამიშვი ხელი, ჩემს ბებურ ძვლებს სურს მოსვენება!

ყაზი მაჰომა — ხელს ვერ გაგიშვებ, თუნდ მომკალი აქვე მახვილით, აი, ამ ხანჯლით რომ დამჩეხო ხელს ვერ გაგიშვებ.

(ამ დროს გარედან მოისმის ძლიერი გუგუნე. ციხის ერთი კედელი ჩამოინგრევა და სცენაზე შემოცვივა რუსის ჯარისკაცები იერიშის ყიფინით. ჯარის სარდალი ბარიატინსკი წინ წამოდგება და შამილს მიმართავს).

ბარიატინსკი — შამილ, მთელმა ქვეყანამ იცის შენი გმობა და არც არასდროს წაიშლება შენი სახელი. შენ ახლა ჩვენი სახელოვანი ტყვე ხარ და სამხედრო ბანაკში უნდა წაგიყვანო!

შამილი — ნება შენია სერდარ, სანამ ძალა შემწევდა, მე ვიცავდი ჩემს ხალხს და თავისუფლებას, ახლა არც ძალა მაქვს და სურვილიც დამეკარგა... ნუ უყურებ ჩემ შავ წვერს, მე უკვე ჭაღარა ვარ, სერდარ!

ბარიატინსკი — სახელოვანო იმამო, დალესტინსაც, გთხოვთ იარაღი ჩამაბაროთ!

შამილი — (ქარქაშიდან ხმალს ამოიღებს და ერთ ხანს გულდაწყვეტილი უყურებს) ო, ჩემო ხმალო, ჩემო ქვეყნის ნაჭედო რკინაც, ვართ ეხლა რამე? არაფერი!... მაშ, გაჭრეს ხსოვნაც და განვილილ ბრძოლის ერთმულსაც გამოვეთხოვოთ... ჩავიკლათ გულში და მხოლოდ ეს გრძნობა წავიღოთ, რომ ოდეს მაინც ამ მიწაზედ მოვა სხვა ხალხი და სხვა სიხარულს მოიტანენ. ბალებს გასხლავენ... მწყემს მისციემენ თავის იარაღს, და ჩაგრულ ხალხებს თავის კერას დაუბრუნებენ... მანამ კი, მშვიდად განისვენე ჩემო ერთგულო და შენც ელოდე იმ მომავალს მწარე ლოდინით. (ბარიატინსკის) შენ კი, ცეცხლითა და მახვილით მოსულა მტერო, მე შენ ხმალსა მთხოვ? (ხმალს მუხლზე გადაიტებს და ბარიატინსკის მიუგდებს) ა, ჩემი ხმალიც, აგერ არის მიიღეთ იგი!

(შამილი ადგილიდან დაიძრება, ქალები ტირილით აცილებენ მას, ხოლო მამაკაცები ტუჩებით ეხებიან იმამის ტანისამოსს. უცებ დაიჭუხებს რუს-ჯარისკაცთა „ვაშას“ შეძახილი. შამილი შეჩერდება, მაგრამ ისევ განავრძობს გზას. ციხეში ტირილია, ხოლო გარეთ დიდი ხმაური და ალტაცება).

ფ ა რ დ ა

დასასრული

რ ა მ ე ი ა ნ ი *)

ინდიური ეპოსი

III

ნახ კეიკეის მონა-მანთარამ
 უცებ დასტოვა თავის ალაგი.
 ავიდა ბანზე. გამოჩნდა სრულად
 აიოცია უცხოთ ანაგი.

ნახა ანაზდად, რომ უჩვეულოდ,
 იყო მორთული მთელი ქალაქი.
 ქუჩა-ბალები მოერწყათ ყველა,
 გადმოეკიდათ ბაირალები
 და გვირგვინები ვარდებით
 წულუი.

თან აღემართათ გზებზე თალები,
 და ყველგან იღვნენ, ან

დადიოდნენ
 მოქალაქენი მხნე და ლაღები.

ბრწყინაუდნენ ვერცხლით
 სალოცაეები,

საამურ ხმებზე უკრავდნენ
 ჩანგებს.

გაოცებული მონა-მანთარა
 ყურს არ უგდებდა მომზიბვლელ
 ჰანგებს.

იქ იღვა, ბანზე რამას გადიაც,
 მოსილი თეთრი ქათანით ვანგებ.

ჰკითხა მანთარამ: „ახ, რამას
 დედა,

ბედს ხომ არ უხმობს,
 გადანაბირებს,

და ძუნწი წინათ, დღეს ამის
 გამო

ხსნიხ ხალხისათვის სკვირის
 ნაბირებს?

სთქვი, რა ახარებს ხალხს ასე
 დიდათ.

იქნება მეფე ზეიმს აპირებს?“

„ხვალ დილით მეფე ტახტზე
 სვამს პირშოს“, —

უთხრა გადიამ, სახე-მკინარემ.
 მხვევლი მყის ქვეშ ჩაიჭრა,

დღევით
 უთხრა ქალბატონს, ტკბილად

მძინარეს:
 „ადექი ჩქარა, რა დროს ძილია,

უნდა გდიოდეს ცრემლის
 მდინარე.

შენ კი ნებეირობ მაშინ, როდესაც
 შტრებს სურთ დაგღუპონ

ფარული ბოძოლით
 და ლამის წახდენ მათი

მზაკვრობით.
 გატყუებს ქმარიც, შენს მკლავზე

მწოლი,
 ვის აღერსითაც თავი მოგჭონდა

და გწამდა იყავ რჩეული ცოლი.
 მაგრამ შენდამი მეფის წყალობა

უკვე ამოშრა, როგორც ანკარა
 მჩქეფარე წყარო მზის

მცხუნვარებით“.
 დედოფალს იჭემა ხელი აკარა

და სთქვა: „რა მოხდა! მხვევალმა,
 ვისაც

თვალბში ენთო ღვარძლის
 თაკარა

უთხრა: „ო, ვაგლახ!—მეფეს
 სწადია

რამას გადასცეს ტახტი ხვალ
 დილით.

ამ ამბის მცნობელს მომედვა
 ცეცხლი,

მოველ, გაშორო უკვდავს
 სიკვდილი, —

*) დასასრული. აბ. „მნათობი“ № 7.

მე შენი ხედარი საკუთრად
 მიჩანს,
 პირსა და ლხინში ვარ შენი
 ჩრდილი.
 მეფის ცოლებში, გვარით შენ
 უნდა
 გქონდეს პირველი ცოლის იერი.
 მაგრამ, ცხადია, დღეს კავზალიას
 რომ განაცვალე მზეც ცბიერი.
 შენ ვერა ხედავ სხვის
 ბოროტებას,
 თვითონ უმანკო და ცისიერი.
 დაზარათ მხოლოდ სიტყვით
 გეტკობა,
 ნამდვილად გიხვევს თვალს ცრუ
 ქადლით.
 კავზალიას კი ის საქმით
 წყალობს,
 მან აასრულა მისი წადილი —
 შენი ფარატი გაგზავნა სხვაგან,
 რომ არ ჩაშლოდა რამას
 წადილი.
 მტერს, გველის შხამიანს, შენ
 როგორც დედა
 ნახ მზრუნველობით მკერდით
 ათბობდი.
 მეფე კი თურმე, ავი, მუხთალი,
 ვისაც ალერსით მუდამ
 ატკობდნი,
 შენ გიმზადებდა მწარე
 სატანჯველს
 ისე მზაკვრულად, თვით ვერ
 იტყობდნი.
 რამა მეფედ სურს, შენ-კი
 ბედშავო
 თვალშერცხვენილმა იწუხე
 მარად.
 მას გულში უღევს შენი
 ღალატი;
 იჩქარე, ვიდრე გაქცევდეს არად,
 იხსენ ფარატი განსაცდელისგან,
 ძალასთან ძალა იხმარე ფარათ".
 რა გაიგონა ეს კეიკელი
 დასტოვა წამსვე ფარჩის საწოლი,
 და მხეველს მისცა ბეჭედი უცხო:
 „რადგან ამბავი დღეს მოსაწონი

მამცნე, გიბოძებ მაგ ბეჭედს,
 კიდევ
 იმდენს გაჩუქებ ვერც ვუღწონი.
 როგორც კარატე მშენიანს
 მიყვარს,
 მათთვის ეს გული მაქვს
 თანაბარი.
 მახარებს მეტად, რომ ის იქნება
 ყვეთელი ქოლგით აწ დანაფარი".
 გაოცდა მონა, როს მოისმინა
 დედოფლის სიტყვა და
 დანაბარი.
 მყის შორს ისროლა ოქროს
 ბეჭედი
 და თან შესძახა: „ნუ თუ შენს
 ბაგეს
 შეშვენის ასეთ სიტყვების
 როშვა,
 ან რა გახარებს ვით სულელ
 ბაღლებს?
 დაბრმავებულხარ და ველარ
 ხედავ
 შენს ჩასანთქმელად მძივნვარე
 ტაღებს!
 თუმც სული მიწუხს, მაგრამ
 მაკინებს
 შენი გიჟური ლხინი და ჭკევა.
 გონი აღარ გაქვს თორემ აქ
 ყოფნას
 ამჯობინებდი სხვაგან გაქცევას.
 ვინ არი რამა? მისი სვე სხვაში
 გამოიწვევდა ხშირ ცრემლთა
 ქცევას.
 შენ კი ზეიმობ. სიტყვი, რა
 გახარებს?
 რამას მეტოქე არი ფარატი,
 იმათი გზები ტანტთან ერთდება.
 ნუ თუ პატოვი, ძალა მარადი
 რამას ფერხთა წინ უნდა
 დაავლო,
 ვით დახეული ძველი ბარათი?
 ტანში მაჭრეოლებს, როდესაც
 ვფიქრობ,
 რომ წინად შენგან წყალობის
 მდომი
 ამიერიდან დაგიწუხებს ქირღვას,
 მოხერხებული მან იცის ომი.

კანდიერია. უნდა გახსოვდეს
მსხვერპლს არ დაინდობს
მძინევარე ლომი.
რამაზე მარჯვე და ფანდიანი
არარის ჩვენში დღეს მეომარი.
ამასთანავე ის თვალმაქცია,
გული აქვს შავი, დაუნდობარი,
ამიტომ ვშიშობ, ფარატისათვის
იქნება მუდამ ცუდის მდომარი.

კავზალია-კი არი ნეტარი —
ბელ მისი პირშმო ბრამანთა
ბელით
დაჯდება ტახტზე და უმაღ
დელას
ნახავს მეფურად თვალგანახელი.
ისიც მიიკრავს საყვარელ შვილს
და
დალოცავს უკდავ ინდრას
სახელით.

მაშინ მის წადილს ვინდა
ელჩოს
ლაზიან გულს ვერვინ
გაუძღვებს.
როგორც მხეველი დადრკები მის
წინ,
წყალობის თხოვას რამას
დაუწყებ.
შენს შვილს და შენაც გელით
მონობა,
ცხადზე ცხადია, რასაც
გაუწყებ“.

მაგრამ მანთარას ასეთ
სიტყვებზე
სიტქვა დედოფალმა: „რამა
მარადის
იყო ხელმწიფის მორჩილი
შვილი
სათნოა, კშვენის, თან მუზარადი
და მას, ვით პირშმოს, სამეფო
ტახტი
უფრო ეკუთვნის, ვიდრე
ფარატის.
იგი იქნება ძმების და მათი
ერთგული ყმების მუდამ
დამცველი.

რატომ წინასწარ ავრე
ვშიშობდეთ,
როს დაღლის შრომა და ზრუნვა
მეგონებდა
რამა მეფის ტახტს ჩემს შვილს
დაუთმობს,
როგორც წესია მტკიცე და
ძველი.

შვილზე უმეტეს, მე მიყვარს
რამა,
მისი დანახვა ჭმუნვას
მაცილებს.
ისიც მაფასებს დედაზე უფრო
აწიცი მტერს ჩვენზე არ
გააცილებს,
და პატივს, მეფურ ბედნიერებას
თვის მოყვარულ ძმებს
გაუნაწილებს“.

ამ ქების შემდეგ მხეველი
დიღხანს
მძიმედ ოხრავდა, ბედის
მწუნარი.
ბოლოს ქალბატონს უთხრა:
„ვწმუნდები,
რომ დაინახო არ გვაქვს უნარი,
როგორ დაღვრილა უბედურება
შენს ირგვლივ, ვით ზღვა წამით
მღუღმარი.

რამადან ტახტი მის შვილს
ეკუთვნის,
ძმაზე მეტყვიდრე შვილია
უფრო.
სხვა შვილთა შორის, აქვს შნო
თუ არა,
წესით მეფობის აძლევენ
უფროსს
რომ სამეფოში არ ატყდეს
შვითი.
მოსპონ მიზეზი მტრის
სასაუბრო

ო, სამუდამოდ შენი ფარატი
ხეს მეფობისას მოსწყდა, იცოდე-
მსურდა უბედურს
დაგხმარებოდი.

და იმის ნაცვლად, დარდით
 იწოდებ, ^{ქამბანდებს}
 შენ მზიარულობ, გონ
 დაქარგულმა
 საჩუქარიც კი გამომიწოდებ.

გონს მოდი, რამას ხელმწიფედ
 მჯდომელს,
 რომ არ შეერყეს ძალა და
 ბურჯი,
 იგი შენს ფარატს სხვაგან
 გაგზავნის,
 ანდა მოაშთობს, ფარულად,
 ურჩი.

მაგრამ შენ თვითონ იგი
 განდევნე
 მის ვერაგობას რომ გადაურჩე.

იხსენი სპილო, რომელსაც ტყეში
 უკვე გლეჯს ლომი და აჩანაგებს.
 იხსენ ფარატი რამისაგან მალე-
 ხომ გახსოვს ერთხელ, როგორ
 ანაგებ,
 დარდილვ ბედით შენ
 კავზალია,
 ახალა კი იგი შენს ბედს
 განაგებს“.

მხველის სიტყვებმა კეიკეის
 გულს
 მოსწყვიტეს ოხვრა. მოედვა
 ალი.

„დე აგრე იყოს. მე თანახმა
 ვარ,

რამისთვის ტახტი ვყო
 ანაკრძალი
 და მეფედ დავსვა ჩემი ფარატი,
 მაგრამ მითხარი, როგორ, რა
 ძალით?“

მან უპასუხა:“ ო, დედოფალიო,
 მზად ვარ, როცა გსურს,
 სანთლად ამანთე.

დამოგდე ყური, მაგრამ ჯერ
 მითხარ —

ალარ ვახსოვს თუ ხმარონ
 ქამბანდებს
 და ჩემგან ვინდა, ^{რეჟიმ მთისმწირო}
 ის, რაც შენ ერთხელ ^{ფეფეფეფე}
 გამანდებ?

ცბიერო, გატყობ, გწადს გაიგონო
 შენივე ფიქრი ამ ჩემი პირით.
 კარგი, გაამბობ. როს აზურებთან
 საომრად შეპკრეს ღმერთებმა
 პირი,
 შენი მეუღლე მწედ იხმო ინდრამ,
 გაგზავნა სამხრეთს, ვით გამირთა
 ვმირი.

ამ დროს სამხარა, აზურთა მეფე,
 დანდაკას ტყეში, ბნელის მსახური,
 იდგა თვის ქალაქ ვაიჯაიანტს.
 დოღბას უგავდა თავზე საზური,
 და მის დროშაზე პირდაღებული
 იყო ვეშაპი გამოსახული.

და ერთხელ, როცა ბრძოლების
 შემდეგ
 დაღლილ მეომრებს მოედვათ
 რული,
 უცებ დასხენ თავზე რაქშაზნი,¹⁾
 შეიქნა ქლუტა, ომი გამირული.
 ამ დროს დაზარათ, შენი მეუღლე,
 დაეცა ისრით მეკრდგამირული.

მაგრამ ხელმწიფე ბრძოლის
 ველიდან
 შენ ვაიყვანე, სისხლში ცურვილი.
 როდესაც სიკვდილს გადაარჩინე
 და კვლავ სიცოცხლის იგრძნო
 წყურვილი.
 მადლობის ნიშნად მოგცა პირობა,
 რომ ავისრულოს ორი სურვილი.

ამ აღთქმის ძალით მეუღლეს
 სთხოვე —
 შენი ფარატი მეფედ დასახოს.
 რამა კი ხვალვე დანდაკას ტყეში

¹⁾ აზურნი — ღმერთების მტრებმა.

²⁾ რაქშაზნი — ბოროტი სულნი.

თოთხმეტ წლის ვადით
 გადაასახლოს“
 მყის დედოფალმა მანთარას
 რჩევა
 სიამით გულთან მიიღოს ახლოს:

„შენზე ჭკვიანი, ჩემო მანთარა,
 ჭვეყნად არ არის სხვა კუზიანი.
 შენი საზრუნე იყო ყოველთვის,
 რომ მქონებოდა მე დღე მზიანი,
 და ბრძნული რჩევით ახლაც,
 ერთგულთა,
 გსურს ამაშორო მტრისგან
 ზიანი.

კუზიანები უშნოა ყველა
 გულიც ნასი აქვთ, ავის
 მღვევარებს.
 შენ კი ლოტოსის ყვავილსა
 ჰგვევხარ,
 ოდეს სიისგან ნახად
 მღვევარებს.
 და შენი რვეალი სახე მაგ
 მხრებზე,
 ეთ ბადრი მთვარე, ისე
 ეღვარებს.

შენს მაღალ ფეხებს, კოსტად
 დათლოლებს.
 აქვთ სიმსუბუქე გაფრენილ ბუზის.
 ვიბრწყინავს წელზე ვერცხლის
 ქამარი
 და ჩემს სასთუმალს როცა არ უზი
 თეთრ სამოსელში ყარყატას
 ჰგვევხარ,
 როგორც ზებუ ხარ¹ ვიზდება
 კუზიც.

მაგ კუზში ბუდობს გამპრიახობა,
 სწვადასხვა გვარი გრძნულეზანი
 იგი სამბარას, აზურთა მეფის,
 ცბიერის ჭკუის სალარო არი.
 დადგება დრო და კუზს
 დავიმშვენებს
 გვირგვინი, ოქრო და მინანქარი.

სახესაც მევე ისე შევიმტრე
 ვერ გვჯობდეს მთვარე, ტახტზე
 ნაცური.
 მოგრიტა, შეგმოსაგმე, მტრისგან
 ფარებით,
 გაკურონ ტახტზე ვარდის ნაწური
 მაშინ ყველა მტერს თვალს
 დაუქუნებს
 შენი იერი და საგანძური“.
 მონამ სთქვა: „დამშრალ წყალის
 ალაგას
 ხიდს არ აავებს გონზე მყოფელი.
 დროზე მოჰკიდო, სჯობს ხელი
 საქმეს“.
 და დედოფალი, ტახტის
 მკობელი,
 ადგა, შევიდა მანთარას ზღებში
 წყრომის ოთახში, ბედის
 მგმობელი.

იქ მან მოიხსნა ათასი კეცი
 თვალ-მარგალიტის უცხო
 ფარლული
 და ვანბარკულმა, მიწას
 განთხულმა
 სთქვა: „მტკიცედ მაქვს ვულს
 დამარხული
 ან უნდა გახდეს მეფედ ფარატა
 ან ამ ოთახში მოკვდეს მარხული.“

V

როცა დამთავრდა სამეფო
 ბქობა
 და ხალხს აცნობეს ნაფიჭრ-
 ნაწონი
 მეფე შევიდა კეიკეისთან,
 სურდა ნანატრი ენახა ცალი,
 მაგრამ არ დახვდა ჩვეულებრივად
 თვის სარეცელზე ნებიერად
 შწოლი.

გაოცდა მეტად დიდი ხელმწიფე,
 მყისვე დედოფლის იხმო ფარეში.
 ფარეშმა შიშით ძლიეს მოახსენა.
 „მეფევ, მზის დარო ყოველ
 მხარეში;

1) ზებუ — კუზიანი ხარი.

წყრომის ოთახში ზის
დედოფალი,
ჭკნება ყვევილი სიმწუხარეში.

მეფე წარვიდა სწრაფად ნორჩ
კოლთან,
მწუხარებისგან პირდაღრევილი
და ნახა, ეგდო ძირს კეიკეი
ვით ვარდის ნერგი

ამოგლეჯილი.
როგორც კინნარებს¹ ჰჭონდა
ტრემლებით
მას დასეტყვილი წამწამთ
ჯეჯილი.

ვით სპილო ტყეში ხორთუმით
თვის ცალს,
შხამიან ისრით დაკოდილს
მძიმედ.
ეალერსება, ისე დედოფალს
თავს ევლებოდა დიდი
ხელმწიფე.

თან საყვარელ ცოლს ეტყოდა
ზრუნვით:
„ო, მშვენიერო, მამცნე.

მითხარი,
რატომ მრისხანებ განუკითხავათ,
ჩემი დანახვა რათ არ გიხარის.
ძირს ისე წევხარ, ისე ვალალებ,
თითქოს ეშმაკმა გიქცია შხარი.

თუ აეადა ხარ, ეიბმობ
შეკურნალებს.
მუისვე განგ შორდნენ ავი
ძალები.

გსურს, დავსჯი ვინმეს ან
შევირდომებ.
იყავ თამამად, ნუ შეკრძალები!
მიბრძანე: მდიდარს ვაქცევ
გლახაკად,
ვლახაკს აეავსებ ოქრო, ლალებით.

თავისუფლებას მივცემ
პატიმარს,

არ გაეახარო შენი ორგულთი,
სოტქვი დასურვილი ავისრულდება,
გთხოვ, კეიკეი, გამეფილე გულთი
ერცელი ქვეყანა, ~~ქვეყნის~~ ~~სრულად~~
ვარდყვევილებით ირგვლოვ
მორგული.

შიგ მაქვს საუნჯე აურაცხელი
და ვარ მდიდარი, როგორც ზღვა
ქვიშით.

ირჩიე, რაც გსურს, ოღონდ
გამანდე
კმუნვის მიზეზი. ნუ ვიპყრობს
შიში.

მაშინ ვით თოვლი მზის შტქისაგან
გაქრება შენი დარდი და ვიში“.

კეიკემ სოტქვა: „ჩემო ხელმწიფე,
ვინ გამიბედავს, ვიყო ურვილი!
არც ვინმეს ცუდი უკადრებია,
მაქვს მხოლოდ გულში ერთი
სურვილი.

თუ დასტურს მომცემ და
ამისრულებ,
ვეტყვი, რისიც მკლავს ასე
წყურვილი“.

როგორც ირემი, თავადერილი,
შირბის და გზაზე ვერ ამჩნევს
მახეს.

ისე ხელმწიფე ენდო დედოფლის
მაცდურ სიტყვებსა და ლამაზ
სახეს.

მისცა პირობა საბედისწერო
და უთხრა ტკბილად
გულმოცახტახემ:

„ჩემს პირმშოს შემდეგ რომ, შენ
მიყვარხარ,
ეს ყველასათვის ცხაღზე ცხადია.
და გეფიცები რამას, რომელიც
მამაცთა შორის მკლავ ნაცადია,
ვინც რაქუს შტოა, მას გეფიცები
სოტქვი, ავისრულლო რაცა ვწაიდა.“

¹ კინნარი — სიმდიდრის ღმერთის კვერას მხევალი. შემოღე მხეველს კვერ-
ა მიწაზე განდენიდა ხოლმე.

და კეიკეიმ წარმოსთქვა
 სწრაფად:
 „ღე დამიფარონ ქირში უეცი
 ოცდაცამეტმა ციურმა ღმერთმა.
 მეფური სიტყვა მათ ესმით,
 ვიცი.
 ესმოდეს ცასაც, მზესა და
 მთევარეს,
 ვარსკვლავთა ხომლსაც ეგ შენი
 ფიცი.“

ესმოდეს დღესაც, ღამეს,
 სამყაროს,
 ისმენდნენ ღმერთნიც
 დარბაზისანი,
 ისმენდნენ მიწის ავი სულეები,
 ყოველნი არსნი მაღალ ცისანი,
 იყენენ განზარაენიც მოწმედ
 იმისა,
 რასაც მპირდები მეფე მისანი.
 ვახსოვს ხელმწიფეც, როცა
 ღმერთები
 ეომებოდნენ ცბიერ აზურებს,
 შენ დაიკერი შხამიანი ისრით,
 მაგრამ მომაყვდავს, სისხლში
 ნაცურებს,
 გარს გეველებოდი დღითა და
 ღამით
 და გამხნეებდი თავმონაძლეებს.

გადაგარჩინე. ნაცვლად
 აღმითქვი,
 ამისრულებდი ორ დიდ
 სათხოვარს,
 მაგრამ აჭამდე არ მსურდა რამე,
 ახლა გაგონებ სიტყვას
 სათხოვარს
 და უფრო აღრე ვარჩევ აქ
 სიკვდილს,
 ვიდრე დაეთმობდე წადილს
 სასოვარს.
 ეს წადილია: პირველი—ფასატს
 გადასცე ტანტი თავის ამალით.
 მეორე — რამა ხუთი და ცხრა
 წლით
 დანდავს ტყეში ყო დანამალი“.
 ჩავარდა მეფე საგონებელში,
 და შხამათ ექცა ლხენის წამალი.

იღვა უძრავად. მაცდურ
 ლიზრმემა
 ეგონა თავი რაქუს მოგვარეს.
 გზაზე უეცრად ვეფხვანენულნი
 ვიცი ვეფხვანენულნი
 ვით შევლს, მშვიდობის მულამ
 მოყვარეს,
 აიტანს თრთოლვა, ისე ხელმწიფეს
 ქალის სიტყვებმა შიში
 მოგვარეს.

ბოლოს წარმოსთქვა: „შენი
 გუმანი,
 როგორც მახვილი, გულზე
 დამეგო...
 ეგ რა მითხარი, ალბათ ფარატი
 მიყვარს თუ არა გსურდა გაგეგო
 თვითონ მიჩრევი რამას
 მემკვიდრედ,
 შრომაზე მოხუცს ხელი ამელო.
 ნუ თუ ცბიერი იყო ეს რჩევა,
 ჩემს მოსახიბლად საამოდ
 თქმული?
 ნუ თუ ამიტომ ცდილობდი
 მულამ
 ჩემთვის ალერსით მოგეგო
 გული?
 ვერ დავიჯერებ, მხოლოდ შენ
 ერთი
 იყო ბედნიერ რამას ორგული.“

ნუ თუ მაცდურ ეინს ვინდა
 შესწირო
 რაც ჩვენს წინაპრებს წესად
 ჰქონიათ.
 ო, კეიკეი, შენი სიტყვები
 გულს არა სჯერა, ტყვილი
 მგონია.
 რომ რამა გიყვარს ღვიძლი
 შეილივით
 თვით შენგან ხშირათ
 გამოგონია.

შენი სურვილის, შენი წადილის
 მულამ მორჩილი რამა ყოფილა.
 ახლა რა მოხდა, რამ გაგარისხა,
 შენს გულზე ღვარძლი მან რით
 მოფინა

და მძულვარებით თავისი ბედი
ასე უწყალოდ დაეაგმობინა?

მას ყველა იცნობს, ვით სულით
მაღალს,

ქვეყანად მზის შუქის
დამრფველია.
როგორც მტრებს ომში ხმლით
იმორჩილებს.
ისე ხალხს გულით, რადგან
ქველია.

წყალობს ლატაკებს.
მშობლებისთვისაც
მუდამ ვარამის გამქარველია.

ვით დაეიჯერო ასეთმა ზნისამ
მარტო შენ გიყო ცუდი და ავი?
მწამს, ხუმრობ, მაგრამ თუ მე
გიყვარეარ,
ამგვარ ხუმრობას ანებე თავი! "
კვლავ კეიკეიმ შესძახა მეფეს:
"ვერ დამიჭირავ დღეს მაგ
სადავით.

რა მეხუმრება! ვითხოვ,
ხელმწიფევე
რომ ამისრულო მყის დანაპირი.
მოკვდედე შირჩენის, ვიდრე
ენახავდე
ხვალ კავზალიას მლიმარე
პირით.
ნულა აყოვნებ, თორემ, ხომ
ხედავ-
მევესება შხამით თასის ნაპირი".

ავ კეიკეის ასეთ სიტყვებზე
რისხევით აენტო ვული დაზარათს.
შესძახა: "ბილწო, მაგას რას
ამბობ
ჩენი სამეფო სახლის საზარათ?!
ო. უსირცხვილოვ, შენმა
სურვილმა
ეს ჩემი გული სევდით დაცარა!

სოქვი, ვინ ვირჩია, ვინ
ჩაგინერგა
ვგ ქვენა აზრი. ქუჭყში ნაფალი?

შენს განზრახვაში, დლოდო,
თავხედო,
ნათლად ჩანს მძულვარე სული
ქვეყნის ქვეყნიველს
აქამდე თურმე ვერ
გცნობილობდი,
აწ კი მოიცვა ნისლმა მთაბარი.

ოი, ქალებო, წყევლიმც
იყავით
გული გაქვთ მანენ და ბიწიერი!
მაგრამ მათ შორის ყველაზე
უფრო
შენში ყოფილა შხამი ძლიერი
ჩემს დასალუბად გველი
შემირთავს
მეფის ასულის სათნო იერით.

რომ დღემდე მკერდზე გველი
მყოლია
თვით არ მცოდნია მოსილოს
ქალარით.
ვით მონადირე ტყეში ცხოველებს
იტყუებს ახლო ტყბილი ნაღარით,
ისე მომზიბლე, მაგრამ ამაოთ
ეყოფილვარ თურმე გულ
ვანახარი

ბედმა მარგუნა მე შენი თავი
ვატყობ ჩემივე ტახტის
შსახერელად...
როცა დევნილი იქნება რამა,
ჩემი სასახლე იქცევა ხერელად:

როცა დადგება ეამი მრისხანე
ჩემი დიდების
აღმოსაფხერელად;

როცა დამლუბავ ლაქშმანთან
ერთად,
შერცხვება ჩემი ბრწყინვალე
გვარი;

როდესაც სიტა და კავზალია
დაიწვებიან დარდით ვით კვარი;
როცა ფარატას აიყვან ტახტზე,—
მაშინ დაცხრები, ალბად,
მზაკვარი.

წაბილწულ პირში მიყვირს მავ
ენამ
ასეთ რამის თქმა როგორ
ვაბედა!
წენს სურვილს მაინც არ
შევასრულებ,
თუ გინდ ახლავე და უცაბედად
გაშმაგებულმა ჩემი თვალისწინ
მოიკლა თავი, იქვე აბედად¹.
მეფის სიტყვებზე კეიკეიმ სთქვა:
„ამაოდ ანთხევ შხამსა და
ნალველს,
ვალად ვდევს ფიცი რომ
შეასრულო“.
მაშინ უტიფარ ცოლის
დამნახევლს
წაერთვა ენა. ვით განწირული,
ველარ გაეცა ფიჭებს
დამდაღველს.

როს გაახსენდა თავისი ალთქმა,
კვლავ უხმოთ მდგარმა, დიდხანს
იწუხა
ბოლოს უეცრად, უჩვეულო
ხმით
„ვაი რამია“ — ერთი იქუხა
და ძირს, მიწაზე, დაეცა ის,
როგორც ჭარისგან მოთხრილი
მუხა.

არაეინ არი, ქვეყნის მბრძანებელს
რამე წამალი რომ მოუგონოს,
როგორც მთვრალი და ბანგ-
დალეული,
კეიკეის წინ ეგდო უგონოდ.
იყო უძრავად, ვით ხერხელში
გველი,
ვით მომაკვდავი იწვა უღონოდ.

ხოლო როდესაც გონზე მოვიდა
მიაპყრო მხერსა უჩრ ცოლს
ყვედრებით.
შემდეგ სუსტი ხმით და მძიმე
ოხვრით
ვით ესუსურმა, უთხრა
ვედრებით:

„ო, კეიკეი ვთხოვ შემობრალე
ჩემს ჩრდილსაც აწი ველარ
ვედრები-
ერაქნეული
ვდგავარ მოხუცი და გაჯანსაღი
მაშორეო ცოდვა. მისევა ნამი ცის,
მექმენ მფარველად. თვითონ
განსაჯე,
ვით შემძლია მპყრობელმა მიწის
უარვეყო ახლა ჩემი ბრძანება,
როცა ის უკვე ქვეყანამ იცის.

ეგ იქნებოდა ხომ ისეთივე,
რომ მტერი ომში იხმო
პირველად.
მაგრამ შეშინდე და უკუ იქცე-
სურთ რამა ნახონ
გაუქირველად.
მე კი გავდევნო? ეს ყველა
თავადს
მოეჩვენება გასაკვირველად.
იტყვიან: ტახტზე დიდხანს
ჯდომისგან
მთლად დაუკარგავს მეფეს
გონიო.
რა ვუთხრა ბრძენებს და
დარბაისელთ-
სიტყვა რით ვცადრო ანაკონიო.
ან კავზაღიას როგორ ვაუწყუო
ეგ აზრი შენგან ჩანაგონიო.

მეც ხომ დავიწვი და
დავიფერფლე,
როდესაც სიტა, როგორც
კინარი-
დაიწყებს წუხილს დევნილ
რამაზე.
და ქვეყნისაგან დანაცონარი
იამას¹ სახლში უნდა შევიდე
სამარადისო ძილით მძინარი.

ესურს კავზალია დაეთმო,
უარვეყო
დაეთმო სიკოცხლეც, ტახტი
სეიანი.

¹) სიკვდილის ღმერთი.

მაგრამ ვით ძალშიც რამის
 მოვწორდე?
 როცა ვცვრეტ არად მიჩანს
 ზიანი
 და თავს ვგრძნობ ისე მხნედ და
 ძლიერად.
 როგორც ქაბუკი სახე-მზიანი.
 ქვეყანა ვფრო გასძლებს უმზეოდ
 და ბრინჯიც უწყლოდ მოვა
 ნახარი.
 ვიდრე ურამოდ მე შევძლებ
 ყოფნას
 ნულა ჯიუტობ. მაქვს დანახარი
 შენც წინ, ვით მთხოველს
 მოწყალებიანთის,
 თავი მოსილი ვერცხლით,
 ქალარით."

ასე შესთხოვდა ის კეიკეის,
 მაგრამ კელაე ცოლმა შესძახა
 მკვებელ
 "ადექ, მეფეო, ვით დამნაშავე-
 ძირს ნუ აგდიხარ ნურცა
 ცახცახებ.
 თუ ასრულება არ გინდა
 აღთქმის
 უარყავ ბარემ მეფისა სახეც.
 ნულარც იკვები პირიანობით.
 ან კი რას ეტყვი ნეტავ
 თავადებს!
 იქნება უთხრა, რომ არ გწამს
 ფიცი,
 აღარც ასრულებ სიტყვას და
 ვადებს.
 რომ ცოლს, რომელმაც დაგდო
 მალამო
 ისრით დაჭრილსა და დანაევადებს.
 ატყუებ, სტანჯავ, მაშინ
 როდესაც

მას შენთვის გულში ქვეშ გაუვგია,
 სიტყვის გადათქმა, დაოლვევა
 ერქმევი ნათქმის
 ბავშვმაც კი იტყვას რომ სუფთა.
 ასეთი რაშე სხვა მეფისაგან
 ჯერ კაცს ამ ქვეყნად არც
 გაუვგია.

ვისაც პირი აქვს, ის
 დამიმოწმებს,
 სიტყვის შენახვა მეფის ვალია.
 საიავამ ხომ პირობისამებრ
 ქორს მისცა გული, სული დალია.
 აღარკმაც ბრამანს მისცა
 თვალები.
 შენც არ იყავი დღემდე მხდალია.

ზღვა—მდინარეთა დიდი
 ხელმწიფე,
 მაშინაც, როცა ლელვას აპირებს,
 რადგან პირობა დადებული აქვს,
 არ გადალახავს თავის ნაპირებს.
 პირს შენც ნუ გასტეხ, არ
 დაემსგავსო
 კაცს, ყველასაგან გადანაბირებს.
 მუდამ იყავი სიტყვის ერთგული,
 ახლაც სიტყვის წინ თავი დახარე.
 ნულა ყოყმანობ, ჩემო მეფეო,
 გახსენი წარბი, მეც ვამბარე.
 "ქანასკნელად ვითხოვ, იცოდე,
 ხვალვე განდევნო რამა სხვა
 მხარეს.

რაკი დარწმუნდა მეფე დაზარათ
 ამო იყო ხვეწნა, მუდარა,
 ისეც დაეცა ძირს ფერ-მიხდილი,
 მქმუნვამ ისარი გულს გაუტარა,
 ჯადოსნურ წრეში იწვა, ვით
 გველი
 გადაეფარა თითქოს სუდარა.

მთარგმნელი რაფელნ ვვეტაძე

გ. მებრეილი

ალ. წულუკიძე მუშათა კლასის გალაგაქების შესახებ კავიჯალიზმის პირობებში

„ამხ. წულუკიძე იყო იმ დროის ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგ სტალინის და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი“.
(ლ. პ. ბერია — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 30, 1938 წ.).

ალ. წულუკიძე ძველი ბოლშევიკური გეარდიის ერთი შეუდრეკელი მემბროლოთაგანი იყო. იგი ერთგული და უშიშარი თანამებრძოლი იყო დიდი სტალინისა. დიდ სტალინთან და ლ. კეცხოველთან ერთად იგი აგებდა საქართველოში მუშათა კლასის ახალი ტიპის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას. ამ პარტიის აგებასა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის მაღალ საფეხურზე აყვანას, მუშათა კლასის საკუთარ კლასობრივ ამოცანებამდე ამაღლებას მან შესწირა მთელი თავისი წმინდა, ფაქიზი სიცოცხლე. ალ. წულუკიძე ალტყინებულად, რევოლუციური ენტუზიაზმით და თავისი დაუშრეტელი, ძლიერი ენერჯით იბრძოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ყველა უბანზე, სადაც კი საჭირო იყო თავდადებული, მარქსისტულ თეორიის ბრწყინვალედ დაუფლებული ხელმძღვანელი. მისი რევოლუციური მოღვაწეობა, მართალია, ხანმოკლე იყო, მაგრამ მეტად მრავალმხრივი და ნაყოფიერი. ამხ. ლ. პ. ბერია თავის ცნობილ შრომაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც ბოლშევიზმის ისტორიის უძვირფასეს საუნჯეს წარმოადგენს, ალ. წულუკიძის ასეთ დახასიათებას იძლევა:

„ამიერ-კავკასიის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საქმეში მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამხ. ა. (საშა) წულუკიძე. ამხ. ა. წულუკიძემ, უმცირესობის ჯგუფიდან, სხვა ამხანაგებზე ადრე დაიწყო მუშაობა და ამასთან ერთად ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ. ამხ. წულუკიძე 1895 წელს შევიდა „მესამე დასში“ და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას შესწირა. მაგრამ ამხ. ა. წულუკიძეს მძიმე ავადმყოფობის — ტუბერკულოზის გამო არ დასცალდა მთლიანად გაეშალა ენერჯია. ხშირად მოსწყვეტდა ხოლმე მას პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობას.

ამხ. წულუკიძე იყო იმ დროის ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგ სტალინის და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი“¹⁾.

¹⁾ ლ. პ. ბერია — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 29—30, 1938 წ. ვაშლიყმა.

ამხ. წულუკიძის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ბრწყინვალე მარქსისტული შრომებისა იმ მრავალი მეცნიერულ-პრაქტიკული საკითხის შესახებ, რომლებსაც მაშინ საზოგადოებრივი ცხოვრება და მუშათა კლასებისთვის უფრო მოძრაობა აყენებდა ვადასაწყვეტად.

ამხ. წულუკიძე, რომელიც „მესამე დასის“ უმცირესობას ეკუთვნოდა და იბრძოდა დიდ სტალინთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით მესამე დასის უმრავლესობის წინააღმდეგ, განსაკუთრებული ენერჯით და თანმიმდევრობით იცავდა მარქსისტულ შეხედულებებს, მარქსისტულ თეორიებს, ებრძოდა მათ დამახინჯებლებს და მტრებს ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ბანაკიდან საქართველოში.

ახალგაზრდა ალ. წულუკიძის კალამს ეკუთვნის ისეთი ბრწყინვალე, განსაკუთრებული სიღრმით დაწერილი შრომები, რომლებშიაც ის მარქსიზმის მეტად ღრმა მცოდნედ და ბრწყინვალე წარმომადგენლად მოსჩანს, როგორცაა: „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ (1904 წ.), „ოცნება და სინამდვილე“ (1903 წ.) და მრავალი სხვა. განსაკუთრებით დიდი ადგილი ალ. წულუკიძის შრომებში მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებს უჭირავთ. დიდი ინტერესი, რომელსაც მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის საკითხებისადმი იჩენდა ალ. წულუკიძე და რომლის კალამსაც, როგორც აღვნიშნეთ, ეკუთვნის ბრწყინვალე ნაშრომი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, აიხსნება შემდეგი გარემოებით: ალ. წულუკიძე ენტუზიასტი რევოლუციონერი და ერთერთი ხელმძღვანელთაგანი იყო მუშათა რევოლუციური მოძრაობისა; იგი დაინტერესებული იყო მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებით და მის მაღალ საფეხურზე აყვანით, ამ საქმეში მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას შეეძლო უდიდესი როლის თამაში. მარქსის ეკონომიური მოძღვრების გადმოცემა ნიშნავდა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ტიპების მეცნიერულ ახსნას, კაპიტალისტური საზოგადოების საიდუმლოებისთვის ფარდის ახლას, მუშათა კლასის როლისა და მდგომარეობის სურათის მოცემას, კლასობრივ ურთიერთობათა ბუნების განხილვას კაპიტალიზმის პირობებში. ყველაფერი ეს კი ორიენტაციასა და რწმენის ძალას მისცემდა მუშათა კლასს, გაარკვევდა რა მუშებს საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მექანიკაში, მუშათა კლასი ადვილად შეიგნებდა თავის კლასობრივ ამოცანებს და ადვილად დაირაზმებოდა ჯერ მეფის ხელისუფლების დასაშობად, ხოლო შემდეგ კაპიტალისტური წარმოების წესის სალიკვიდაციოდ. ამიტომაც, რომ მუშათა მოძრაობის გარკვეულ საფეხურზე ამხ. ალ. წულუკიძე თეორიის დარგში უპირველეს ყოვლისა ცდილობს გადმოსცეს მარქსის ეკონომიური მოძღვრება. მარქსის მუშათა გალატაკების თეორიის დაცვა და მუშათა მდგომარეობის საკითხების შესახებ მის მიერ ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ თეორიათა დამსხვრევა საქართველოში სწორედ ამ ამოცანას ისახავდა. მარქსის თეორია მუშათა კლასის გალატაკების შესახებ მარქსის ეკონომიური მოძღვრების ერთ-ერთ ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს და ერთი გადამწყვეტი მომენტთაგანია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ამოცანების განსაზღვრის საქმეში. ამიტომ იყო, რომ ალ. წულუკიძე მთელი თავისი შესაძლებლობით იცავდა მას საქართველოს პირობებში, თუ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომ კაპიტალიზმის პირობებში, კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, საწარმოო ძალების და მატერიალური სიმდიდრის ზრდასთან ერთად მიმდინარეობს მუშათა კლასის მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესება, მაშინ უარი უნდა ესთქვათ სოციალიზმზე, პროლეტარულ რევოლუციაზე, კლასთა ბრძოლებზე. მაშინ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის თანამშრომლობის გზით უნდა იფიქ-

რო კაპიტალიზმის აყვავებაზე და აღიარო, რომ კაპიტალიზმის აყვავებას მოაქვს სიმდიდრე და კარგი ცხოვრება მუშათა კლასისათვის, რამ თუ მუშათა კლასი დაეხმარება ბურჟუაზიას, ითანამშრომლებს მასთან, მას შეუძლიან ძველ ფეოდალზე უფრო უკეთესად იცხოვროს, როგორც ამას ამტკიცებდა ბურჟუაზიის ზოგიერთი აპოლოგეტი საქართველოში, „ცნობის ფურცელში“ (გოგინაიშვილი, ჯორჯაძე და სხვები).

გალატაკების მარქსის თეორიის მიღება, რომლის ამოსავალი დებულებაა, რომ მუშათა კლასის სილატაკე აჩქარებული ტემპით იზრდება კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, რომ ამრიგად პროლეტარიატის მდგომარეობა გამოუვალა, ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატს არა აქვს სხვა გზა მონობიდან ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრიდან, განდევნილობიდან თავის დაღწევისა, გარდა იმისა, რომ მან რევოლუციურად უნდა დაანგრის კაპიტალისტური წყობილება. აი რა დებულებამდე მივყევართ გალატაკების მარქსის თეორიას. იძულებითი შრომა, მუშათა კლასის მონური მდგომარეობა, მისი სილატაკის ზრდა, მუშათა კლასის განდევნილებაში ყოფნა, ამ თეორიის მიხედვით, დაფუძნებულია თვით კაპიტალისტური წარმოების სისტემაზე, და პროლეტარიატის სილატაკის მოსპობა შეიძლება მხოლოდ კაპიტალისტური სისტემის რევოლუციური დანგრევით. ამიტომაც, რომ მარქს-ენგელსის და შემდეგ ლენინისა და სტალინის მიერ განვითარებული ეს თეორია დიდი ხანია გადაიქცა ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგების უდიდესი მოუსვენრობის წყაროდ. ამ თეორიის წინააღმდეგ მსოფლიოში დაწერილა ურიცხვი წიგნი და ფელეტონი, ურიცხველი არის იგი უპატივითი და ფალსიფიცირებული ბურჟუაზიულ პროფესორთა, ბურჟუაზიის ლაქიების, სოციალ-დემოკრატ-მუღაბზნელების მიერ. მაგრამ მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის გალატაკების შესახებ მუდამ სინამდვილის აუარებელ ფაქტებში პოულობდა გამართლებას როგორც წარსულში, ისე განსაკუთრებით თანამედროვეობაში.

სანამ ჩვენ იმ საკითხზე გადავიდოდეთ, თუ როგორ იცავდა ამ თეორიას საქართველოში მარქსიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი აღ. წულუკიძე, მოკლედ შევხებით ამ თეორიას, იმ მიზნით, რომ მივსცეთ მკითხველს წარმოდგენა, თუ რა თეორიულ სიმდიდრეს იცავდა აღ. წულუკიძე მარქსიზმისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის მტრებთან ბრძოლაში.

მარქსის მუშათა კლასის გალატაკების თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ზედმეტი ღირებულების მოძღვრებასთან და საყოველთაო დაგროვების კანონთან. ლენინი სწერდა: „მარქსის ნაწერებში უარესად დიდმნიშვნელოვანი და ახალი ანალიზი კაპიტალის დაგროვებისა, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნაწილის გადაქცევისა კაპიტალად, მისი გამოყენება არა კაპიტალისტის პირად საჭიროებისა და ახირებისათვის, არამედ ახალი წარმოებისათვის... კაპიტალის დაგროვება, რომელიც აჩქარებს მუშების გამოდევნას მანქანის მიერ და ქმნის ერთ პოლუსზე სიმდიდრეს, ხოლო მეორეზე სილატაკეს, წარმოშობს აგრეთვე ეგრეთწოდებულ „მუშათა სარეზერვო არმიას“, მუშების „შედარებით სიჭარბეს“ ანუ „კაპიტალისტურ ჭარბ მოსახლეობას“, რომელიც იღებს სხედასხენაირ ფორმებს და კაპიტალს შესაძლებლობას აძლევს მეტად სწრაფად გააფართოვოს წარმოება“¹⁾.

მაშასადამე, დაგროვების კანონიდან გამომდინარეობს მუშათა სარეზერვო სამრეწველო არმიის წარმოშობა, და საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთ-

¹⁾ ლენინი — „მარქსი-ენგელსი-მარქსიზმი“, გვ. 28 (წერილი — კ. მარქსი). 1936 წ. ქართ. გამოცემა.

თად, დაგროვების გაფართოვებასთან ერთად, ეს არმია იზრდება კლასულად, მუშათა მოსახლეობა ხდება „ქარბი“, მოკლებული ყველგან შემოსავლის წყაროს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ უფრო მეტად მუშათა კლასისა მდგომარეობს მხოლოდ ამ ქარბი მოსახლეობის წარმომადგენელში. თუ როგორ ესმის მუშათა კლასის გალატაკება მარქსს, ეს სჩანს ქვემოთ მოყვანილი ამონაწერიდან, რომელიც იძლევა მუშათა კლასის მდგომარეობის დახასიათებას მთლიანად. მარქსი სწერს:

„მეთოთხე განყოფილებაში შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების გამოკვლევის დროს ჩვენ დაინახეთ: კაპიტალისტური სისტემის შიგნით შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალის განვითარების ყველა მეთოდი სრულდება ინდივიდუალური მუშის ხარჯზე; წარმოების განვითარების ყველა საშუალებანი გადიქცევიან მწარმოებელზე გაბატონებისა და მისი ექსპლოატაციის საშუალებად, ისინი ასახიჩრებენ მუშას, აქცევენ რა მას ნაწილობრივ ადამიანად, ამდაბლებენ, ხლიან რა მას მანქანის დამატებად, სპობენ მისი შრომის სიძნელესთან ერთად მის შინაპრსიანობას, ართმევენ მას შრომის პროცესის სულეერ ძალებს იმავე ზომით, რა ზომითაც მეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი ძალა, შრომის პროცესს უკავშირდება; ამხინჯებენ პირობებს, რომლებშიაც იგი მუშაობს, უმორჩილებენ მას ფრიად წვრილმან, საზიზღარ დენპოტიზმს, მისი სიცოცხლის მთელ დროს აქცევენ სამუშაო დროდ და მის ცოლშვილს ავდებენ კაპიტალისტური ჯაგერნაუტის ბორბლებს ქვეშ. მაგრამ ზედმეტი ღირებულების წარმოების ყველა მეთოდი იმავე დროს დაგროვების მეთოდია, და დაგროვების ყოველი გაფართოება, პირიქით, იმ მეთოდის განვითარების საშუალებაა. აქედან გამომდის, რომ იმ ზომითაც, რა ზომითაც კაპიტალი გროვდება, მუშის მდგომარეობა უნდა გაუარესდეს, როგორც უნდა იყოს — შალალი და დაბალი მისი ხელფასი“¹⁾).

მაშასადამე, როგორც ამ ამონაწერიდან სჩანს, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესება, სიმდიდრის დაგროვება ერთ მხარეზე და სიღარიბისა მეორეზე გამომდინარეობს თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ბუნებიდან, თვით ზედმეტი ღირებულების წარმოების მეთოდებიდან, და ამის ერთი შედეგთაგანია „შედარებითი ქარბი“ მოსახლეობა, რომელიც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა კლასზე. გალატაკების ამ ფაქტორის მოქმედების გადმოცემასთან ერთად მარქსი მუშათა კლასის მდგომარეობის ასეთ სურათს ადგენს კაპიტალიზმის პირობებში:

„და ბოლოს, ის კანონი, რომელიც მუდამ იცავს წონასწორობას რელატიურ ქარბ მოსახლეობას ანუ სამრეწველო სარეზერვო არმიასა და დაგროვების მოცულობასა და ენერჯის შორის, მიაჯაქვავს მუშას კაპიტალზე უფრო მტკიცედ, ვიდრე პეფესტის ურო პრომეთეოსს მიაჯაქვავდა კლდეზე. ეს კანონი იწვევს კაპიტალის დაგროვების შესაფერ სილატაკის დაგროვებას. ამრიგად, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სილატაკის, შრომით დატანჯულობის, მონობის, უციკობის, გაველურების და ზნეობრივი დეგრადაციისა მოპირდაპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს“²⁾

როგორც ამ ამონაწერიდან სჩანს, მარქსი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად უარესდება მუშის მდგომარეობა, მიმდინარეობს მისი გალატაკება, როგორც აბსოლუტურად ისე შედარებითად.

¹⁾ მარქსი — „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 592.

²⁾ მარქსი — „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 592.

თავის კონსპექტში „სამუშაო ხელფასი“ მარქსი პირდაპირ და ისე ნათლად სწერდა, რომ თითქოს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო შემდეგში ორი პარის არსებობა მარქსის გალატაკების თეორიის შესახებ. მარქსი აღნიშნავდა: „პირდაპირ განვითარების მსვლელობაში სამუშაო ხელფასი ეცემა ორივე მხარეზე — საერთო სიმდიდრის გაზრდასთან შედარებით, მეორე მხარეზე კი — აბსოლუტურად, რადგან საქონელთა რაოდენობა, რომელსაც დებულობს მუშა გაცვლაში, თანდათან მცირდება“¹⁾. ამ ამონაწერიდან ცხადად მოსჩანს, რომ მუშის მდგომარეობას კაპიტალიზმის პირობებში ახასიათებს გალატაკების პროცესი და რომ ამ პროცესს ორი მხარე აქვს: შედარებითი და აბსოლუტური. რომ მუშათა კლასი კაპიტალიზმის პირობებში აბსოლუტურად ღატაკდება, ეს ნიშნავს, კაპიტალიზმის დროს მოქმედებს ისეთი კანონები წარმოების წესის განვითარებისა, რომელიც მუშას აიძულებს წინანდელზე უფრო ღარიბად იცხოვროს, ე. ი. წინანდელზე უფრო ცუდად იკვებოს, უფრო მეტად იშიმშილოს და თავი შეაფაროს სარდაფებს და სახურავებს ქვეშ მდებარე ბინებს, — ეს ერთი; მეორე — გალატაკების პროცესის შედეგად საზოგადოებრივ პროდუქტებში, საზოგადოებრივ შემოსავალში მუშათა წილი შეფარდებით ეცემა, მაშინ, როდესაც სწრაფად და სწრაფად მდიდრდებიან მილიონერი კაპიტალისტები. სწორედ ასე ესმოდა ლენინს მარქსის მოძღვრება მუშათა კლასის გალატაკების შესახებ და ამ მოძღვრების ყველა მხარეს პროლეტარტა გენიოსი ბელადი ლენინი იცავდა და ანვითარებდა. ლენინი „პრავდაში“ სწერდა:

„მუშა ღატაკდება აბსოლუტურად, ე. ი. პირდაპირ წინანდელზე უფრო ღარიბდება, იძულებულია იცხოვროს უფრო ცუდად, უფრო ნაკლები ჭამოს, უფრო მეტად იშიმშილოს, სარდაფებს და სახურავებს ქვეშ მდებარე ბინებს შეაფაროს თავი. მაგრამ უფრო თვალსაჩინოა მუშათა შეფარდებითი გალატაკება, ე. ი. მათი წილის შემცირება საზოგადოებრივ შემოსავალში, მუშათა შეფარდებითი წილი უფრო და უფრო მცირდება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც სწრაფად მდიდრდება (ცინიდან უფრო და უფრო სწრაფად მდიდრდებიან მილიონერები“²⁾. ლენინი იმავე წერილში აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული რეფორმისტები და ზოგიერთი ოპორტუნისტები სოციალ-დემოკრატების რიგებიდან ამტკიცებენ, თითქოს გალატაკება მუშათა კლასისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ მიმდინარეობდეს, თითქოს მასების კეთილდღეობა ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდეს, თითქოს უფსკრული შეძლებულთა და არა შეძლებულთა შორის კი არ ღრმავდებოდეს, არამედ მცირდებოდეს. ამხანაგი ლენინი იმავე წერილში მთელი რიგი ქვეყნების მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემებით ან ფაქტური ხასიათის მასალებით ამსჯერებს ოპორტუნისტების ამ დებულებას და ააშკარავებს მის სრულ უსაფუძვლობას. მარქსის გალატაკების თეორიას იცავდა და ანვითარებდა ლენინთან ერთად, პროლეტარიატის გენიოსი ბელადი ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინმა ცხადყო, რომ ამ თეორიას ამართლებენ არა წარსული განვითარების ფაქტები, არამედ ომის შემდგომმა კაპიტალისტურმა განვითარებამ, განსაკუთრებით მსოფლიო კრიზისმა ერთხელ კიდევ ნათლად დაამტკიცა მუშათა კლასის გალატაკების მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერული ხასიათი, მისი სისწორე. საკ. კ. პ. (ბ) მე-17 პარტყრილობაზე ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა:

¹⁾ მარქსი და ენგელსი — თხზ. ტ. V, გვ. 545, 1929 წ.

²⁾ ლენინი — ტ. XVI, გვ. 212 — 213, შესამე გამ. იხ. წერილი „Обнищание в капиталистическом обществе“.

„კაპიტალიზმმა მოახერხა რამდენადმე შეემსუბუქებინა მრევლელობის მდგომარეობა მუშების ხარჯზე — მათი ექსპლოატაციის გაღრმავებით, მათი შრომის ინტენსივობის გაძლიერების საფუძველზე, ხუცულ მუშების ხარჯზე — ყველაზე უფრო დაბალი ფასების პოლიტიკის გამოყენებით მათი შრომის პროდუქტებზე, სურსათზე და ნაწილობრივ ნედლეულზე, კოლონიებისა და ეკონომიურად სუსტი ქვეყნების ვლენტა ხარჯზე — ფასების კიდევ უფრო მეტად შემცირებით მათი შრომის პროდუქტებზე, უმთავრესად ნედლეულზე, და შემდეგ სურსათზე“ 1).

მაშასადამე, არავითარი საფუძველი არა გვაქვს მუშათა კლასის გალატაკების მარქსისტული თეორია გავიგოთ მეორე ინტერნაციონალის ზოგიერთი ოპორტუნისტის მსგავსად, რომელიც ჯერ აყალბებდა მას, ფორმალურად ინარჩუნებდა ჭეშმარიტი შინაარსისაგან დაკლილს, ხოლო უკანასკნელ ხანებში აშკარად უარყოფდა საესებით. ჯერ კიდევ ბერშტეინთან თაღლითური კამათის დროს კაუცკი აღნიშნავდა, რომ სილატაკე შეიძლება განიხილო ფიზიკური გაგებით ან სოციალური გაგებით. თუ სილატაკეს კაუცკის აზრით, ფიზიოლოგიური მნიშვნელობით გავიგებთ მარქსის მტკიცება მართლაც უსაფუძველო გონოდგება, რადგან ამჟამად მუშათა კლასის ცხოვრების დონე თურმე გაცილებით უფრო მაღალი ყოფილა, ვიდრე 50 წლის წინათ იყო.

ხედავთ რა გამოდის: პირველი იმპერიალისტური ომი და მრავალი მილიონი მუშის ომში დაღუპვა და დასახიჩრება, ომის შემდეგ ათეული მილიონობით მანქანური წარმოების განვითარების საფუძველზე მუშის გადატყვევანქანის დამატებად, მისი დასახიჩრება, შრომის ინტენსივობის თავებრუდამხვევი ტემპებით ზრდა და სხვა, ამასთან თითქოს ლაპარაკობდეს იმაზე, რომ მუშათა კლასი „ფიზიკურად“ არ ლატაკდება და, მაშასადამე, მარქსის თეორია ამ „გაგებით“ უსაფუძველო ყოფილა. ასეთი იყო შენიღბული მტკიცება კ. კაუცკისა ბერშტეინთან კამათის დროს. ეს ნილაბი მან ბოლო ხანებში საესებით მოიხადა და ოპორტუნისტულად ნაცოდვილარ თავის მთელ რიგ შრომებში აშკარად გამოვიდა მარქსის გალატაკების თეორიის წინააღმდეგ. რენეგატმა კაუცკიმ მარქსის გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავზე სიურპრიზად სწორედ მარქსის გალატაკების თეორიას აშკარა, პირდაპირი კრიტიკა უძღვნა...

მარქსის მოძღვრების მიხედვით, მუშათა კლასის მდგომარეობა აბსოლუტურად უარესდება, იმის მიუხედავად, თუ რა წილს ლებულობს მუშათა კლასი საზოგადოებრივი პროდუქტიდან სამუშაო ხელფასის სახით. აბსოლუტური და შეფარდებითი გალატაკება ერთიანი პროცესის ორი მხარეა. აბსოლუტური გალატაკება მუშათა კლასისა უნდა გავიგოთ, როგორც მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესება განსაზღვრულ პერიოდში, წინანდელთან შედარებით. მუშათა კლასის გალატაკების პროცესი მიმდინარეობს მეტად რთულად და მრავალფეროვნად, მაშინ, როდესაც შეფარდებითი გალატაკება ნიშნავს მუშათა კლასის წილის დაცემას საზოგადოებრივ პროდუქტში, ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალში. ამრიგად, შეფარდებითი გალატაკება, მარქსის მიხედვით ნიშნავს, კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო ღრმა უფსკრულის გაჩენას მუშის ხელფასსა და კაპიტალისტის მოგებას შორის. ტენდენცია მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებისა, ტენდენცია მუშათა კლასის გალატაკებისა გამომდინარეობს კაპიტალიზმის ბუნებიდან. იგი დაკავშირებულია კაპიტალისტურ წარმოების წესის განვითარების იმანენ-

1) სტალინი — „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 534, 1939 წ., ქართ. გამოცემა.

ტურ კანონებთან და მოიხსენება მხოლოდდამხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის რევოლუციური დანგრევის შემდეგ.

აი მარქსის ამ მოძღვრებას მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ თავს დაესხნენ არა მარტო ბურჟუაზიული პუბლიცისტები საქართველოში, არამედ ლეგალური მარქსისტებიც — „მესამე დასის“ უმრავლესობა. „მესამე დასის“ უმრავლესობამ გაიზიარა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის თეორია და შეეცადა მარქსის დროშით მის დაცვას, ამ თეორიის მარქსისტულად გასაღებას. ქართველი ლეგალური მარქსისტების სახით, მესამე დასის უმრავლესობის სახით მარქსის ვალატაკების თეორიას სასტიკი მოწინააღმდეგენი ჰყავდა. მათ წარმომადგენლებს უნდოდათ ქართველი მუშათა კლასი ქართულ ბურჟუაზიასთან შეერივებინათ, ამ ბურჟუაზიის მახანჩალად, მის მსახურად გაეხადათ. მათ სანუკვარ ოცნებას ქართული კაპიტალიზმისა და ქართული ბურჟუაზიის გაძლიერება წარმოადგენდა. მათ რასაკვირველია, არ მოსწონდათ მარქსის მუშათა კლასის ვალატაკების თეორია, რომლის პოპულიარიზაციაც მუშებს თვალს უხვლდა, სწორ წარმოდგენას იძლეოდა მათ მდგომარეობაზე და უჩვენებდა გამოსავალს პოლიტიკური განდევნილობიდან, მატერიალურ სიღატაკოდან. კაპიტალიზმის აბოლოგებები საქართველოში დაადგინენ მუშათა კლასში ილუზიების შექმნის, მუშათა კლასის მოტყუების, გაბიაბრუების გზას ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ვასაგებია, რამდენადაც ისინი შესძლებდნენ მუშათა კლასში იმ ილუზიის შექმნას, რომ კაპიტალიზმში საწარმოო ძალების ჩქარ და ძლიერ განვითარებას თან მოჰყვება მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, იმდენად მოახერხებდნენ მუშათა კლასის გადაცდენას რევოლუციური მოძრაობის გზიდან, მუშათა რევოლუციური მოძრაობის შეფერხებას, მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებას ბურჟუაზიის სასარგებლოდ. მარქსის თეორიის უკუდგებით ისინი მოახერხებდნენ იმ ილუზიის გაბატონებას, რომ ქართველმა ბურჟუაზიამ და ქართველმა მუშათა კლასმა ხელიხელ ჩაიდებულეებმა უნდა განავითარონ კაპიტალიზმი ერთმანეთთან თანამშრომლობის გზით, რადგან მისი განვითარება ქართველი ბურჟუაზიისთვის ნიშნავს დიდ მოგებას, ხოლო ქართველი მუშისათვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამდიდრებას, ზოგიერთ ფეოდალზე უკეთესად ცხოვრებას, როგორც ამას ამტკიცებდნენ, მაგალითად, „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტები ალ. წულუკიძის წინააღმდეგ მიმართულ ფელეტონებში. ამ დამპალი ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ გამოდიოდა ალ. წულუკიძე.

საქართველოში ალ. წულუკიძე მკაცრად ებრძოდა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის დებულებას, რომელსაც მესამე დასის უმრავლესობა და სხვა ოპორტუნისტები იცავდნენ საქართველოს მუშათა მოძრაობის რევოლუციური გზიდან რეფორმისტულ გზაზე გადაყვანის მიზნით. მუშათა მდგომარეობის შესახებ ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი დებულებებია, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, მის საზოგადოებრივ საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად კაპიტალიზმის პირობებში მუშათა კლასის მდგომარეობა უმჯობესდება. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, მატერიალური სიმდიდრის ფლობის თვალსაზრისით, განსხვავება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის თანდათან ისპობა.

თუ აღრინდელ ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას ავიღებთ, მისი წარმომადგენლები იმის მტკიცებასაც კი ბედავდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, მატერიალური სიმდიდრის ფლობის თვალსაზრისით, ხდება კლასთა ნიველირება. ამ აზრით, განსხვავება მუშასა და კაპიტალისტს შორის

ი. სომხთა, რადგან კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მამლინაოლებს პროცესი მუშების გამდიდრებისა და კაპიტალისტების გაღატაკებისა. ბურჟუაზიის მომსახურე „მეცნიერებიდან“ ეს თეორია ჯერ კიდევ კერძონიჭუნის წამყვანი იდეოლოგიური იდეაა, ხოლო ყბადაღებული ბასტია ამ თეორიას იცავს თავისი „საქმიანობით“ და ასაღებს ისეთ თეორიად, რომელიც სათავეს თითქოს ბასტიასაგან იღებდეს. კაპიტალიზმი, ბასტიის აზრით, შრომას ანუ მუშათა კლასს ბრწყინვალე პირობებს უქმნის, უფრო უკეთესს, ვიდრე კაპიტალს, კაპიტალისტურ კლასს. ბასტიის აზრით, საზოგადოებრივ პროდუქტებში მუშათა წილი იზრდება როგორც შეფარდებით, ისე აბსოლუტურად მაშინ, როცა კაპიტალისტების წილი აბსოლუტურად იზრდება, ხოლო შეფარდებით ეცემა. ეს თითქოს „მეცნიერული“, „ობიექტური სინამდვილის“ გამომხატველი დებულება ბასტიის მიერ არავითარ საბუთებით არ არის გამაგრებული, როგორც, საზოგადოდ, ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიაში.

საქართველოში ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ეს ძირითადი დებულება მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ გაიზიარეს მესამე დასის უმრავლესობამ და სხვა ოპორტუნისტებმა. გოგინიაშვილი თავის წერილებში ალ. წულუკიძის წინააღმდეგ (იხ. „ცნობის ფურცელი“, № № 2682, 2696, 2702, 1904 წ.) ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ამ დებულებას შენიღბულად, მაგრამ მაინც აღფრთოვანებით იცავდა.

ალ. წულუკიძე ჯერ კიდევ 1899 წელს „ოცნებასა და სინამდვილეში“ ნათლად და მეტად კატეგორიულად აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური განვირგების ტენდენციაა სიმდიდრის დაგროვება ერთ მხარეზე, სიღარიბისა მეორეზე. ეს იყო დამოუკიდებელი, სწორი ორიენტაცია მარქსის მოძღვრებაში, მაშინ, როდესაც ევროპაში ბერშტეინს და სხვებს, რუსეთში ლეგალური მარქსისტების სტრუვესა და სხვების თაოსნობით, საქართველოში მესამე დასის უმრავლესობის, ნოე ჟორდანიას მეთაურობით აღმართული ჰქონდათ ხელი მარქსის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც კაუცკი, მარქსიზმის დაცვის ნიღბით შენიღბული, ბერშტეინთან კამათის დროს სწორედ ამ საკითხებში და სწორედ 1899 წელს სთომბდა ჰეშმარიტ მარქსისტულ პოზიციებს, ამახინჯებდა მარქსიზმს, უარყოფდა მარქსის მუშათა კლასის აბსოლუტური გაღატაკების თეორიას, წარმოადგენდა მას დამახინჯებულად, იცავდა მარქსის თეორიას „შეფარდებითი გაღატაკების თეორიის“ ნიღბით; როდესაც კაუცკი „ორტოდოქსალურ მარქსისტად“ ყოფნის დროს მისთვის ჩვეული ორაზროვნობის გარეშე ამტკიცებდა, რომ მუშათა კლასი ლატაკდება არა აბსოლუტურად, არამედ შეფარდებით, პირიქით, აბსოლუტურად მისი მდგომარეობა უმჯობესდება; როდესაც კაუცკის კვალდაკვალ პლენანოვი კ. სტრუვეს წინააღმდეგ დაწერილ წერილებში ამტკიცებდა, რომ მარქსისთვის უცხოა აბსოლუტური გაღატაკების თეორია; როდესაც ქართველი ოპორტუნისტები ქართველ მუშას გაბურჟუაზებული მემამულის პერსპექტივას უსახავდნენ, — აი ამ დროს მარქსის ღრმა ცოდნით შეცნობადებული, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ბოლომდე ერთგული, ახალგაზრდა ალ. წულუკიძე ყოველგვარი რყევის გარეშე აცხადებს, რომ „ჩვენ არც ისეთი ბრმა თავყვანისმცემელები ვახლავართ ავტორიტეტების, რომ, თუ ევროპაში კაუცკომ სთქვა „უპირტიკოდ ვაგიმეორითო“¹⁾. ავტორიტეტები ალ. წულუკიძის ვერ აცდნენ და ყალბ პოზიციაზე ვერ აყენებენ. ბრწყინვალე ნიჭი, მარქსის შრომების ღრმა და მოფიჭრებული გაგება მას საშუალებას აძლევს აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე, როგორც „ორტოდოქსების“, ისე აშკარა

¹⁾ ალ. წულუკიძე — იხ. კრებ., გვ. 316.

ობორტუნისტების წინააღმდეგ, იყოს ნამდვილი მარქსისტი. ახალგაზრდა 23 წლის წულუკიძე 1899 წელს დაწერილ „ოცნებასა და სინამდვილეში“ იძლევა კაპიტალისტური წარმოების წესის მოკლე, კონდენსირებულ ანალიზს და დასკვნის, რომ ის წარმოადგენს ექსპლოატაციის ერთი ფორმის შექმლას მეორე, უფრო უარესი ფორმით. საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარების ტენდენცია, რაც კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია წინანდელ წარმოების საზოგადოებრივ ფორმებთან შედარებით, წულუკიძეს როდი აძლევს უფლებას დასკვნას, მსგავსად ყველა ჯურის რეფორმისტ-ობორტუნისტებისა რომ იგი მუშათა კლასის მდგომარეობის განუზრებელ გაუმჯობესებასაც ნიშნავსო. „საწარმოო ძალთა განვითარებამ ყველას ცხადათ დაუმტკიცა, — სწერს იგი, — რომ კულტურის განვითარება, ქვეყნის ეკონომიურად ზრდა-გამდიდრება ვერ უზრუნველყოფს კაცობრიობის უმეტეს ნაწილს, სწორედ ამ დროს უფრო ღრმადდება ის უფსკრული, რომელიც მდიდარსა და ღარიბს შუაა. პირველი კიდევ უფრო მდიდრდება, მეორე კი უარესათ ღარიბდება“¹⁾.

ამ ამონაწერიდან ნათლად სჩანს, რომ აღ. წულუკიძე იცავს მარქსის მოძღვრებას მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ, ის აღიარებს, რომ კაპიტალიზმის დროს მოქმედებენ კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების ისეთი კანონები, რომელნიც იწვევენ მუშების გაღატაკებას, აძულებენ მათ წინანდელზე უფრო ღარიბად იცხოვრონ და სხვა.

შემდეგ „უკანასკნელი საუკუნეების გამოგონებებმა, რომლებმაც ადამიანს სრულიად დაუმორჩილა ბუნების მკაცრი ძალები, ააყვავა წარმოება, გააორკეცა შრომის ნაყოფიერება და მრავალი ნივთიერი და გონებრივი ავლადიდება შემატა კაცობრიობის საუნჯეს, ხოლო ვერ გაანთავისუფლა ერთი ადამიანი მეორის მონობისაგან, ვერ ააყვავა უმრავლესობის მდგომარეობა, ვერაფერი შემატა ჭონებრივათ მას; წინააღმდეგ, კიდევ უფრო დაამონა, მეტად გააღარიბა და საზოგადო ცხოვრების მზიარულ სუფრას დაშორებული, იგი მშვიერ-მწყურვალი ჭჭაზე მოხეტიალედ გახადა“²⁾.

ან ავიღოთ შემდეგი სტრიქონები:

„სიმდიდრე თანამედროვე წყობილებაში იქ შეტია, სადაც მეტი საქონელი წარმოებს, სადაც მეტი საცვლელი ღირებულება მზადდება; მხოლოდ ამ უკანასკნელის ბატონ-პატრონი ისაა, ვისაც ის მასალა ეკუთვნის, რომლითაც ეს საქონელი მზადდება, ვისაც შეუძლია მის დასამუშავებლად ჭირა გაიღოს და სხვისი ფიზიკური ძალა მოიპოვოს. ვისაც შეუძლია განვითარებული ტექნიკით ისარგებლოს, ის მეტ საქონელს აწარმოებს, მეტს იძენს და კიდევ უფრო მეტი შემძლე ხდება ეკონომიურად. რა რჩება მას, ვინც ამ საქონლის ნამდვილი მწარმოებელია, ვინც უსახსრობის გამო თავის ძალას სხვას აძლევს, რადღან თვითონ საწარმოო იარაღები არა აქვს, საჭირო მასალები არ აბადიო? მას აქვს მხოლოდ ის, რითაც ამავების გადაკეთება, დამზადება შეიძლება, რაც საქონლის ნამდვილ ღირებულებას ქმნის და მით მისი პატრონის ჯიბეს მატებს — ფიზიკური ძალა. ამის ნაცვლად, თუ დღიური საკვები მიიღო — უნდა დაკმაყოფილდეს; მხოლოდ მისი გამოკვება მარტო მას როდი ეჭირვება. ეს თვით საქმისათვის არის აუცილებელი საჭიროება, რათა მისი განახლებული ძალა ისევ საქონლის შესაქმნელად გამოიყენებოდეს“³⁾.

¹⁾ აღ. წულუკიძე, თხზ. კრებ., გვ. 89. ხაზს ზეენ ვესვამთ.

²⁾ აღ. წულუკიძე, — თხზ. კრებ., გვ. 89.

³⁾ აღ. წულუკიძე, — თხზ. კრებ., გვ. 91.

რა აზრია გატარებული და განვითარებული წულუკიძის ამ ამონაწერში? ეს ამონაწერი თავის იდეური შინაარსით საცესებით ემთხვევა მარქსის „ეკონომიურ-ფილოსოფიურ მანუსკრიპტებში“ გამოთქმულ მოსყუჩებულ კლასთა იგი, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი, ხელთ ჰქონოდა ალ. წულუკიძეს სამამონაწერიდან სწანს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მუშა ცხოველის მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ ის არ გვევლინება ადამიანად მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშა არის არსება, რომელიც „განსაკუთრებულ“ მოვლას საჭიროებს თავისი ფუნქციის შესასრულებლად, რათა მისი განახლებული ძალა ისევ საჭიროის შესაქმნელად გამოიყენებოდეს, კაპიტალისტის მოგების ზრდისათვის გამოიყენებოდეს.

„კაპიტალ“-ში მარქსი იძლევა დაჭირავებული შრომის მრავალმხრივ ღრმა და ამომწურავ ანალიზს, სადაც გარეგნულად თავისუფალ დაჭირავებულ შრომას მარქსი წარმოადგენს, როგორც დაჭირავებულ მონობას. იგი ფარდას ხდის მთელი მუშათა კლასის სილატაკეს და ამასთანავე გვიჩვენებს, თუ როგორ ფარავენ კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი და ფეტრისტური მოვლენანი მუშათა მდგომარეობას მოვლენების ზედაპირზე, როგორ წარმოადგენენ მუშათა კლასს საზოგადოების თავისუფალ და თანასწორუფლებიან წევრად რომ დაჭირავებული შრომა არის მონობა, დაფარული მუშის ფორმალური თავისუფლებით და ამასთან ბევრად უფრო მკაცრი მონობა, ვიდრე იყო წინანდელი ფორმები მონობისა, ნაჩვენებია ნათლად, კატეგორიულად, დასაბუთებულია კაპიტალისტური წარმოების წესის მეცნიერული ანალიზით, გამოყვანილია მისი განვითარების კანონებიდან, დასაბუთებულია არა მარტო თეორიულად, არამედ ურიცხვი ფაქტიური ხასიათის მაჩვენებლით. და ეს აზრი გატარებულია არა მარტო „კაპიტალ“-ში, არამედ მარქსის ყოველ შრომაში, დაწყებული „მანუსკრიპტებით“ და გათავებული მარქსის პირადი მიმოწერით.

„კაპიტალში“ მარქსი სწერს: „შემდეგ კაპიტალი განვითარდა იძულებით ურთიერთობად, რომელიც ძალას ატანს მუშათა კლასს იმაზე მეტი შრომა შესასრულოს, ვიდრე ამას მის საკუთარ საარსებო მოთხოვნილებათა ვიწრო ფარგალი მოითხოვს: და როგორც სხვისი შრომის მოყვარობის მწარმოებელი, როგორც ზედმეტი შრომის ამომწოვი და სამუშაო ძალის ექსპლოატატორი — კაპიტალი თავის ენერჯით, გაუმძღრობით და მოქმედების უნარით სჭარბობს ყველა უწინდელ პირდაპირ იძულებით შრომაზე დამყარებულ წარმოების სისტემას“⁴⁾.

და როცა საქართველოში ახალგაზრდა წულუკიძე მთელი თავისი შეუპოვრობით იცავდა მარქსის ამ დებულებას და ამით ცდილობდა სწორი ორიენტაცია მიეცა საქართველოს მუშათა კლასისათვის კლასობრივ ბრძოლაში, დაერწმუნებინა მებრძოლნი, რომ გამოსავალი პროლეტარულ რევოლუციასა, კაპიტალიზმის დამსხვრევაში და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაში ფ. გოგჩაიშვილი, მარქსის ცოდნას რომ იკვებნიდა, ვაოცებით ეკითხებოდა წულუკიძეს, სად ამოიკითხა მან მარქსის ნაწერებში ასეთი უცნაური აზრი, რომ კაპიტალიზმი უფრო სასტიკი მონობაა, ვიდრე იყო წარმოების წინანდელი საზოგადოებრივი ფორმები. იგი გერმანული ბურჟუაზიული უნივერსიტეტის დიპლომის ავტორიტეტს ამოფარებული, ცდილობდა დამტკიცებინა, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მუშათა კლასის მდგომარეობა უკეთესდება, უმჯობესდება, რომ ღარიბდებიან კაპიტალისტები, მდიდრდებიან მუშე-

⁴⁾ მარქსი — „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 264 — 265.

ბი. ფ. გოგინაიშვილი ველგარული პოლიტიკური ეკონომიის მოტივებით მღეროდან. მისი აზრით პირველი, რისთვისაც კაპიტალიზმს უნდა შეეცადოს დაჭება-დიდება შეეცასათ მას, ვითარცა მშვენიერ დეზდემონას, არის ის, რომ მან უფლებრივი გათანასწოება მოახდინა ბურჟუაზიული საზოგადოებას ყველა კლასისა, რომ მან ბურჟუაზიული საზოგადოების კლასებს და მათ შორის მუშებსაც მისცა „თავისუფლება პრესის, სიტყვის, კრების, შეკავშირების, კოალიციის, საარჩევნო უფლება, პარლამენტი, სახალხო სკოლა, ადამიანის მოქალაქობრივი უფლებები. ყველა ეს და მრავალი კიდევ სხვა ბურჟუაზიულ ხანაში ვახლავთ ერის საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძვლად აღიარებული და დაკანონებული. ამ დაწესებულებებით სარგებლობს არა მარტო ბურჟუაზია არამედ მთელი ხალხი, მთელი საზოგადოება“¹⁾.

უფლებრივი თვალსაზრისით ეს შედეგია კაპიტალიზმის განვითარებისა, მაგრამ ნიველირობის პრინციპი ეკონომიკაშიც ბატონობს. კაპიტალიზმის განვითარებით მუშათა კლასის ეკონომიური დაბეჭავება უკუივდება, რადგან „ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება დაფუძნებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე. შრომის დანაწილება კი ნიშნავს ადამიანის საეკონომიო მოქმედების გაბარაქიანებას და განაყოფიერებას, სახალხო სიმდიდრის გაზრდასა და მატებას. რამდენადაც, ერთის მხრით, წარმოების ტექნიკა ვითარდება და ნაწარმოები იაფდება, და მეორეს მხრით მუშა ხალხი თავის ეკონომიურ ინტერესებს იცავს და საზოგადოებაში მეტ გავლენას პოულობს (ჩანს. ფ. გოგინაიშვილი კარგად იცნობს ტუგან-ბარანოვსკის „კონცენკციებს“), იმდენად მდობიო ხალხი მალა იწვევს კულტურულად. — უმრავლდება როგორც მოთხოვნილებანი, ისე სახსარიც იმათ დასაკმაყოფილებლად“²⁾.

აქედან სოციალ-პოლიტიკური დასკვნა: თუ ასეთია კაპიტალიზმის განვითარების ტენდენცია, თუ ის მატერიალური კეთილდღეობის მატებას ნიშნავს მუშათა კლასისათვის, მაშინ უნდა მოიხსნას დებულება მუშათა კლასის და ბურჟუაზიის ინტერესთა შეუთანხმებლობის შესახებ, მათი ანტაგონისტური დამოკიდებულების შესახებ. მუშათა კლასი არ უნდა ცდილობდეს, მოამზადოს ძალები კაპიტალიზმის დასამზობად, რადგან გადატრიალებებს მუშათა კლასის მდგომარეობაში ახდენს თვით კაპიტალიზმის განვითარება. ის იწვევს მუშათა კლასის მატერიალურ-კულტურული დონის განუზრელად ზრდასა და მატებას.

აღ. წულუკიძე სპეციალურად „ცნობის ფურცლის“ წინააღმდეგ მიმართულ წერილებში კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ამ ოპორტუნისტულ შეხედულებას მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ და ნილაბს ხდის „კომუნისტურ მანიფესტში“ ჩამოყალიბებულ იდეათა დამახინჯების ცდებს „ცნობის ფურცლის“ მიერ.

საქმე იმაში იყო, რომ „ცნობის ფურცელში“ ფ. გოგინაიშვილმა „საკამათო საგნების“ გამო პოლემიკა გაუმართა ალ. წულუკიძეს და თავს დაესხა ალ. წულუკიძის მიერ მარქსის მუშათა კლასის გალატაკების თეორიის დაცვის ცდას. ალ. წულუკიძე, როგორც ცნობილია, იმ აზრს ანვითარებდა, რომ მუშათა კლასის გალატაკების მარქსისტული თეორია გულისხმობს, მუშათა კლასის როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით გალატაკებას, ამან ფ. გოგინაიშვილი აღაშფოთა და მან ალ. წულუკიძის დებულების გასაბათილებლად მოიშველია ციტატები „კომუნისტურ მანიფესტიდან“. ფ. გოგინაიშვილი ამტკიცებდა, რომ ის მოსაზრება, რასაც წულუკიძე ანვითარებს, უცხოა „კომუნისტური მანიფესტის“

¹⁾ „ცნობის ფურცელი“ № 2696, 1904 წლ.

²⁾ იქვე.

ტის“ ავტორებისათვის და ამის მსგავს დებულებას „კომუნისტურ მანიფესტში“ ვერ ვხედავთ. უკუ აგლო რა ფ. გოგინაიშვილის ყალბი კომენტარები „კომუნისტური მანიფესტისა“, ალ. წულუკიძემ ცხადყო, რომ ვერცხედილი, როცა თავისი სიტყვებით ალაპარაკდა, გადასცა „მანიფესტის“ მნიშვნელობის მოძღვრებას და თავისი ნამდვილი საენე მოიპოვა — ბურჟუაზიული აზროვნება¹⁾.

წულუკიძე ებრძვის „კომუნისტური მანიფესტის“ ოპორტუნისტულ გაგებას. იგი ვადმოსცემს „კომუნისტური მანიფესტის“ პირველი თავის შინაარსს, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესის მეცნიერულ ანალიზთან, კლასებისა და მათი როლის დახასიათებასთან ერთად წარმოდგენილია მუშათა კლასის მღვთვარეობა, მისი გალატაკების პროცესი.

ალ. წულუკიძე ამტკიცებს, მანიფესტის ავტორების აზრით, „ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, რომელიც ტენიკის განვითარებას იწვევს, საქონლის გასაიაფებლად აუარებელ მუშა ხელს უსაქმოდ, მაშასადამე, უსახსროდ სტოვებს, მით ანვითარებს მუშებს შორის კონკურენციას და შრომის პირობებს ათახსირებს. ხალხის უმრავლესობა ლატაკდება, მაშინ როცა სიმდიდრე იზრდება პატარა ჯგუფის საგემებლად; მრავლდება საერთოდ კულტურული მოთხოვნილებები, ხოლო ხალხის უმრავლესობა მოკლებულია ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საშუალებას“²⁾.

შემდეგ: „იმ დროს, როცა საზოგადოების სხვა კლასებს მოთხოვნილების მომატებასთან ერთად ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საშუალებანიც ემატებათ, პროლეტარიატი მოკლებულია ამ საშუალებებს და სიღარიბის მუხრუჭები დღითი დღე უფრო საგრძნობელი ხდება მისთვის.

ამაირად ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის უფსკრული ღრმავდება, ფართოვდება და არა კლებულობს, ივსება. ასე აზროვნებდნენ „მანიფესტის“ ავტორები და ამ თეორიას „გალატაკების თეორია“ (Теория обнищания) ეწოდა მეცნიერებაში“³⁾.

ფ. გოგინაიშვილი კი „მანიფესტიდან“ ამონაწერების თვითნებური მოყვანით, თვითნებური შემოკლებითა და მანიპულაციებით ჰქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს „კომუნისტური მანიფესტში“ თითქმის სავსებით იმას არ ფიქრობდნენ მარქსი და ენგელსი, რასაც წულუკიძე იცავს და ანვითარებს თავის პოლემიკურ წერილებსა და შრომებში.

წულუკიძე აღნიშნავს: ფ. გოგინაიშვილს მოჰყავს ამონაწერები „კომუნისტურ მანიფესტის“ პირველი თავიდან, მაგრამ ეს თვითნებური ამოწერა თავისთავად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ამახინჯებს აზრს და, გარდა ამისა, გოგინაიშვილი მას ისეთ ყალბ კომენტარებას უკეთებს, რომ „კომენტარიები“ და მანიფესტში განვითარებული აზრები ისე დაცილებული არიან ერთმანეთს, როგორც ცა დედამიწას. მაშთლაც, მოჰყავს რა გოგინაიშვილს მანიფესტიდან ამონაწერი, სადაც ნახვენებია ბურჟუაზიის პროგრესიული როლი, სადაც ვადმოცემულია სურათი კაპიტალიზმის მიერ საწარმოო ძალთა ჩვერი განვითარებისა წინანდელ ფორმაციებთან შედარებით, სადაც ლაპარაკია სასწაულზე, რომელიც ბურჟუაზიამ მოახდინა წარმოების სფეროში და სხვა, ის შემდგომ ასეთ დასკვნას აკეთებს: „როგორც ვხედავთ „მანიფესტის“ ავტორთა აზრით, ბურჟუაზია დიდ პროგრესიულ ძალას წარმოადგენს ხალხის ეკონომიური განვითარებისათვის. ვგევი აზრი გვაქვს ჩვენც გამოთქმული ერთ წინანდელ წე-

¹⁾ ალ. წულუკიძე — თბულებანი, გვ. 280.

²⁾ ალ. წულუკიძე — თბ., გვ. 280.

³⁾ ალ. წულუკიძე — თბ., გვ. 281.

რილში („მოამბე“, 1, გვ. 115), რომელსაც წულუკიძე გაუჯავრებდა და „საპასუხოდ გამოუწვევია“¹⁾.

ამას მოსდევს გოგინიაშვილის უფრო ნათელი განმარტებებიც: „განჯავრების ძიება: „ბურჟუაზიული წესწყობილების გამეფება“... არის ისევე, როგორც რომლებიც როგორც ვაჟარ-მრეწველთათვის, ისე მუშებისათვისაც, როგორც ბურჟუაზიისათვის, ისე პროლეტარიატისათვისაც სასურველი და სასარგებლოა“²⁾.

გოგინიაშვილის აზრით, კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარება საშუალო მუშის ოჯახისთვისაც კი ნიშნავს მდიდრულ ცხოვრებას ღვინითა და მოკლილებად-დასვენებით, როგორც, ჩვენში ბრწყინვალე თავადების ოჯახებშია ხოლმეო. აი ჩას სწერდა იგი: „საკმარისია ნახოთ ევროპაში საშუალო მუშის საოჯახო მოწყობილება და გაიცნოთ მისი ბიუჯეტი და ყოველდღიური ცხოვრება, რომ დარწმუნდეთ, თუ რაოდენად მაღალ დონეზე სდგას იქ მუშა ხალხი ნივთიერად. ევროპიულ მუშის სახლში თქვენ ნახავთ ბევრ ისეთ „კომფორტს“ და მოწყობილებას, რომელიც აკლია ჩვენში ბევრ ბრწყინვალე თავადის ოჯახს“³⁾.

ასეთი იყო, გოგინიაშვილის აზრით, კაპიტალისტური განვითარების შედეგი ევროპაში მუშისათვის, და ამავდროულად გამოიწვევდა კაპიტალისტური განვითარება საქართველოში. ეს გოგინიაშვილს იმით აქვს დასაბუთებული, რომ კაპიტალიზმი ეყრდნობა შრომის განაწილებაზე, ხოლო შრომის განაწილება ნიშნავს „აღამიანის საეკონომიო მოქმედების გაბარაქიანებას და განაყოფიერებას“. სიმდიდრის ზრდის საფუძველზე მუშაც მდიდრდება და ცხოვრობს „ბრწყინვალე თავადის“ ოჯახზე უფრო უკეთესად.

ამ დებულებებს აღ. წულუკიძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და აცამტევრებს გოგინიაშვილის წინააღმდეგ მიმართულ წერილებში⁴⁾. უპირველეს ყოვლისა, წულუკიძეს აღდგენილი აქვს და მართებულად გადმოცემული „კომუნისტური მანიფესტის“ იდეები. „კომ. მანიფესტში“, წულუკიძის აზრით, მარქსმა და ენგელსმა პირველად გვიჩვენეს კაცობრიობის განვითარების ნამდვილი სურათი, პირველად დაგვანახვეს მათ პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული როლი და მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარება და კლასობრივი ბრძოლა თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალიზმს მიიყვანს დაღუპვამდე, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე, კომუნისტური საზოგადოების დამკვიდრებამდე.

მისი აზრით „კომ. მანიფესტი“ წარმოადგენს რევოლუციონური პროლეტარიატის პირველ მეცნიერულ პროგრამას, სადაც გამოკვლეულია ისტორია პროლეტარიატის განვითარებისა, მოცემულია დახასიათება მისი მდგომარეობისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, და იგი სრულიდაც არ გულისხმობს იმას, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდეს მუშათა კლასის გამდიდრების პროცესი, რომ, „კომუნისტური მანიფესტის“ ავტორების ღრმა რწმენით, კაპიტალიზმის განვითარება საესეებით გამოიჩინებავს ასეთ პერსპექტივას მუშათა კლასისათვის.

ამრიგად, როდესაც მეორე ინტერნაციონალის ევროპელი და რუსი ბელადები ამახინჯებდნენ მარქსის გალატაკების თეორიას, ხოლო მათ საქართველო

¹⁾ „ენობის ფურცელი“, № 2696.

²⁾ იქვე.

³⁾ „ენობის ფურცელი“, № 2696, 1904 წ.

⁴⁾ აღ. წულუკიძე — თბზ., წერილი „ბ-ნ გოგინიაშვილის სამოღვაწეო ნიმუშები“.

ში კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ქართველი ლეგალური მარქსისტები და სხვები, წულუკიძე იცავდა მარქსის დიად ეკონომიურ მოძღვრებას მესამე დონის უმცირესობიდან ბრძენი, გენიოსი მასწავლებლის დიდი სტალენის ხელმძღვანელობით. მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია, განვითარებული ლენინისა და სტალინის მიერ ის იარაღი იყო წულუკიძის ხელში, რომლის იდეების ბრწყინვალე პოპულიარიზაციით იგი ცდილობდა მეცნიერულად ცხადეყო მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის ინტერესთა შეურიგებლობა. ამრიგად მუშათა თვითშეგნების აწევით ალ. წულუკიძეს სურდა დაერაზმა მუშათა კლასი მეფის ხელისუფლებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, დაერწმუნებინა, რომ გამოსავალი სილატაკიდან და განდევნილობიდან იყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაში, კაპიტალიზმის რევოლუციურად დამხობაში.

ალ. წულუკიძეს, რომლის გულწრფელი სურვილი იყო დროულად დარაზმულიყო და შემჭიდროებულიყო მუშათა კლასი თავისი დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ, ვადაქცეულიყო იგი საესკებით დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად და ამბლღებულოყო თავის საკუთარ კლასობრივ ამოცანებამდე, ძალიან კარგად ესმოდა დიდი სტალინის გენიალური დებულება, რომ „საქმე სწორედ ის არის, რომ დარაზმვა (რასაკვირველია, ჩვენი ვაგებით და არა გაპონის ვაგებით), უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ განავითარო კაპიტალისტებისა და მუშების შეურიგებელი წინააღმდეგობის შეგნება“¹⁾.

აი რა აზრი ჰქონდა ალ. წულუკიძის მიერ მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის იდეების პოპულიარიზაციას ქართველ მუშათა კლასში და მათ დაცვას მარქსიზმის მტრებთან ბრძოლაში. ცხადია, მარქსის გალატაკების თეორია, რომელიც შემდგომ განვითარებულ იქნა ლენინისა და სტალინის მიერ, განსაკუთრებული ძალით მოქმედებს იმპერიალიზმის პირობებში. ქრონიკული კრიზისები, რომლებიც ასე ხანგრძლივი, ღრმა, ვაქიანურებული და საყოველთაოა, და ომები, რაც ასე ახასიათებს იმპერიალიზმს, — მარტო ეს მოვლენები, სხვებს, რომ თავი დავანებოთ (შრომის ინტენსივობის ძლიერი ზრდა, სიძვირის ზრდა, უმუშევრობის ზრდა, სამუშაო ხელფასის დაცემა) აძლიერებენ, ჩქარი ტემპებით მუშათა კლასის გალატაკებას.

კრიზისები და ომები სიცოცხლეს უსპობენ მრავალ მილიონებს. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეყანა, სოციალისტური საბჭოთა კავშირი, რომელიც არ ემორჩილება კაპიტალისტური განვითარების კანონებს და რომელიც, ბრძნული სტალინური კონსტიტუციით გაბრწყინებული, განუწყვეტლად ზრუნავს იმისთვის, რომ მაღლა ასწიოს მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონე. არც უმუშევრობა და არც უიმედობა ხვალისდელ დღეში, დიადი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა არ იცის. სტალინური ხელწილედის განხორციელების შედეგად მშრომელთათვის შექმნილია ბედნიერი და საამური ცხოვრება.

¹⁾ გაზ. „გულდოკი“, № 4, 1907. ციტირებულია ანბ. ლ. პ. ბერძანის შრომიდან: „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 151, 1938 წლ. გამოცემა.

დამატებითი განმარტებითი

ესთეტიკის საკითხები

წიგნი № 1

მეცნიერებათა აკადემიის დასავლური განყოფილება

„როგორც არ შეიძლება მათემატიკური რიცხვისათვის ხელოვნური ზღვარის დადება, ისე შეუძლებელია ხელოვნური განსაზღვრულობა ხელოვნების შიგნით მომქმედ ბუნებრივი კანონისა“.

გ. თ. თ. თ.

ხელოვნების თეორიაში ერთ ურთულეს პრობლემას შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ცნება წარმოადგენს. ამ ცნების ბუნებრივ განმარტებას უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იმის გამოკვეთვა, თუ რა დამოკიდებულებაშია შემოქმედების ფსიქოლოგია ობიექტურ სამყაროსთან, იჭკვევა გამოსავალ წერტილად შემოქმედებითი პროცესის მეცნიერული განმარტების დროს. შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ცნების განმარტება დაწყებული არისტოტელიდან დამთავრებული ჰეგელით, ყოველთვის ცალმხრივი იყო; ცალმხრივი იყო, რადგანაც ამ პრობლემას ისინი იხილავდნენ მხოლოდ როგორც ფილოსოფოსების. არისტოტელისა და ჰეგელის ნათელი გონება ხელოვნების იმანენტური კანონის განმარტების დროს ზოგად ფილოსოფიური თვალსაზრისიდან მიდიოდა კონკრეტულისაკენ და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ცნებას განმარტავდა არა როგორც თვით ხელოვნების შიგნით მომქმედ კანონს, არამედ ხელოვნების გარეშე არსებულ კანონს, როგორც დამოუკიდებელ და „თვითმყოფ საგანს“.

არისტოტელისა და ჰეგელისათვის რა კი შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ცნება ზოგად, ფილოსოფიურ პრობლემად იყო ქცეული და ზოგადი კანონები ხელოვნების იმანენტური სულის ახსნის დროს დაჰყავდათ კონკრეტულ განსაზღვრულობამდე, ხელოვნებაც წინასწარ მოცემულ კანონის ჩარჩოში თავსდება. ამ ნიადაგზე ცნების ფილოსოფიური განსაზღვრულობა ხელოვნურად მოქავდა შემოქმედების ნების თავისუფლებას, ზომილიც დასაბამიდან ბუნებრივად თან დაჰყავდა ხელოვნებას, როგორც არ შეიძლება კიბორღი რეაქტივების გარეშე ახსნა საგნის კიბორღი თვისებებისა, თუ რეაქტივების დაწყებამდე არაფერი არ ვიცით საგნის შინაგან თვისებაზე, ისე შეუძლებელია შემოქმედების რთული პროცესის ზოგადი თვალსაზრისით ახსნა, თუ კი ხელოვნების შიგნით მომქმედ ბუნებრივ კანონს ანგარიშს არ გაუწევთ.

ისტორიულად შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ახსნის დროს ფილოსოფოსები ხელოვნების შინაგან სამყაროდან კი არ გამოდიოდნენ, არამედ ხელოვნებასთან მიდიოდნენ წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით. ასეთი არაბუ-

ნებრივი კვლევის ლოგიკური შედეგი იყო წინააღმდეგობა თეორიულ თვალსაზრისსა და ხელოვნების შიგნით მომქმედ კანონს შორის.

როგორც ცნობილია აზროვნების ისტორიაში პირველად კრისტოტელემ შესძლო მწყობრი თეორიული თვალსაზრისის შემუშავებები შემოქმედებითი ფსიქოლოგიაზე; იგი პირველი ამბობდა ჯერ კიდევ სხვისაგან უთქმელ სიტყვას ტრაგედიაზე, როგორც ადამიანის სულის კატარსისზე (განსაწმენდელზე). არისტოტელეს აზრით ხელოვნებითი შემოქმედების პირველი დანიშნულება — მკითხველისა (და თვით ნაწარმოების გმირების) განთავისუფლება სულიერი ტანჯებისაგან. ლოგიკური ცნება Katarsis-ისა პირველ რიგში სულიერი ტანჯვისაგან გაწმენდას გულისხმობს. მაგრამ რა გზით უნდა მოხდეს ამ გვარი განწმენდა? ამ კითხვას არისტოტელე „პოეტიკაში“ პირდაპირ არ უპასუხებს და მკითხველს უტოვებს უფლებას თვითონ გამოიტანოს დასკვნა. ვინების თვლით თუ განუსჯილთ არისტოტელეს კატარსისის ცნებას, ჩვენ მივალთ შემდეგ დასკვნამდე: შემოქმედებითი ფსიქოლოგიას ორი, მაგრამ ერთი-მეორის საწინააღმდეგო, პოლუსი აქვს. თვით შემოქმედისათვის შემოქმედებითი პროცესი ფსიქოლოგიური ტანჯვაა, მაგრამ მკითხველისათვის ხელოვნებითი ქმნილება უნდა იყოს სულიერი დამშვიდების წყარო. არისტოტელეს ვაგებით, როცა მკითხველი ხელოვნებითი ნაწარმოებს ჰკიდებს ხელს, ეს უკანასკნელი (მკითხველი) კითხვის პროცესში უნდა განიწმინდოს იმ ტანჯვებისაგან, რომელიც მან მიიღო პრაქტიკული ცხოვრებიდან. ამ თვალსაზრისით ხსნის არისტოტელე ტრაგედიის პრობლემასაც. ტრაგედიაში თვით მძაფრი კოლიზიების დროსაც კი არისტოტელე ტრაგიკოსისაგან მოითხოვდა ნათელ სიმშვიდესა და სულიერ სიმალლეს. მხოლოდ ასეთი გზით შესძლებდა ტრაგედია ორგვარი აქტის — შიშისა და თანაგრძნობის აქტის გამოწვევას მაყურებელში; ამავე გზით მოახერხებდა იგი მაყურებლის სულიერ ტანჯვისაგან განწმენდას და განთავისუფლებას.

სულის კატარსისი რომ ადევნატური ყოფილიყო დრამის არქიტექტონიკისა, არისტოტელე მოითხოვდა დროის, ადგილისა და მოქმედების მთლიანობას ტრაგედიაში. მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელეს მოსაზრებას ზოგჯერ არ ეთანხმებოდა ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგედიები, მაინც იგი (არისტოტელეს მოსაზრება) სწორად გამოხატავდა ბერძნული ტრაგედიის სულს. ამავე დროს არისტოტელეს მოსაზრება ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია ბერძნული გენიის ძალისა და შესაძლებლობისა. სულის კატარსისის შესაბამისად არისტოტელემ პირველად სცადა სხვაობის აღმოჩენა ერთის მხრით შემოქმედებითი ფსიქოლოგიასა და იმ ფსიქოლოგიურ განწყობას შორის, რომელსაც შენამოქმედარი იწვევს მკითხველში. რაკი ხელოვანმა მკითხველზე ადრე იხილა და განიცადა ქვეყანა, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში წარმოადგინა, როგორც სანახაობის ჯერ კიდევ სხვებისთვის უხილველი ფორმა, იგი (ხელოვანი) მკითხველთან შედარებით ყოველთვის ინარჩუნებს უპირატესობას გამოხატული საგნის ყოველ მხრივ ათვისების დროს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ერთი დასკვნა: შემოქმედებითი ფსიქოლოგია განხორციელებული მხატვრულ ნაწარმოებებში უფრო რთულია, ვიდრე იმავე მხატვრულ ნაწარმოებიდან მიღებული ესთეტიური და ფსიქოლოგიური განცდა. ეს არაპროპორციულობა აიხსნება იმ მიზეზით, რომელიც განასხვავებს ერთი მეორისაგან დიდსა და პატარა შემოქმედს. შემოქმედებით პროცესში ხელოვანი უფრო მეტს გრძნობს და განიცდის ვიდრე გამოხატავს. სწორედ რომ ესთეკათ: გამოსახვის საშუალებანი უფრო ვიწროა, ვიდრე განცდის სფერო. განცდისა და გრძნობის შესატყვის ფორმაში გამოვლინების დროს ყოველი ხელოვანი გრძნობს ერთ-

გვარ სისუსტეს. ამ სისუსტის დაძლევა მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ. რადგან ხელოვნების იდეალს წარმოადგენს შინაგანი განცდებისა და ამ განცდების გარეგანი გამოსახვის მთლიანობა, ხელოვანი უნდა მიისწრაფოდეს „აქტიურად“, რომ მკითხველი რაც შეიძლება მეტის სიღრმით დაუახლოვდეს მკითხველთა ფსიქოლოგიის პროცესს. მაგრამ ეს მეტად რთული ამოცანაა.

ჩვენი აზრით არისტოტელემ მხოლოდ ამ სირთულის დაძლევისათვის ხელოვნება გამოაცხადა, როგორც მიბაძვა ბუნებისადმი. არისტოტელეს აზრით რაკი მიბაძვის ნიჭი ბუნებრივად თან დაჰყვა ადამიანს, მისთვის ადვილია მიბაძვითი განსახიერება ბუნების ყოველი საგნისა და ხელოვნებაში განსახიერებელი საგნის მხატვრული ათვისება. მაგრამ არისტოტელეს განმარტებაში გამორიცხულია ერთი მომენტი, სახელდობრ, თუ რას უმატებს ხელოვანი საგნის ბუნებრივ მდგომარეობას? ძველი ლათინური თქმაა: „ars homo additus naturae“ (ხელოვნება ის არის, რასაც მხატვარი უმატებს ბუნებას). ხელოვნების თეორიის შემდგომმა განვითარებამ დიდი ხანია მოხსნა არისტოტელესებური გაგება ხელოვნებისა. ჯერ კიდევ ადრე ლესინგმა იგრძნო უხერხულობა არისტოტელეს დასკვნებში და ერთგვარი ეჭვი გამოსთქვა ამ დასკვნების საზიანოდ. ლესინგმა ხელოვნება მიიღო, როგორც აქტიური ფენომენი და შემოქმედებითი ფსიქოლოგია ბუნების წაბაძვიდან გადმოიტანა სოციალურ ურთიერთობაში. ჰეგელმა თავის ლექციებში — ესთეტიკის შესახებ, საბოლოოდ გამოუტანა განაჩენი არისტოტელის წაბაძვის თეორიას. ჰეგელის აზრით ბუნება პასიურია და ამავე დროს არაესთეტიური კატეგორიაა. მშვენიერების იდეალი, როგორც ქეშმარიტება, (რომლისაკენაც მიისწრაფის ხელოვნება) ადამიანის სულშია მოცემული და არა ბუნებაში. ჰეგელისათვის მშვენიერება გამოხატული ხელოვნებაში უფრო მაღალი კატეგორიაა, ვიდრე მშვენიერება ბუნებაში. მიუხედავად იმისა რომ ჰეგელის ესთეტიკაში (ამ საკითხთან დაკავშირებით) ჩვენ გვაქვს საქმე ერთგვარ ფორმალურ დამოკიდებულებასთან ხელოვნებასა და ბუნებას შორის, რომლის გაზიარება მარქსიზმს არ შეუძლია, მაინც ჰეგელი პირველი მოაზროვნე იყო, რომელმაც ადამიანის სული გამოაცხადა ხელოვნების საფუძვლად და ამავე დროს ხელოვანს დაუტოვა უფლება იქნაოს გამოგონებასა და ქეშმარიტებას შორის.



ჰეგელის შემდეგ ხელოვნების თეორიაში უფრო მძაფრი ბრძოლის მიზეზად გადაიქცა შემოქმედებითი ფსიქოლოგიის პრობლემა. რაკი ესთეტიკამ ვერ გადასჭრა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ერთის მხრივ შემოქმედების რთულ პროცესსა და მეორეს მხრივ სინამდვილეს შორის, ახლად შობილმა მეცნიერებამ, ხელოვნების სოციოლოგიის სახელით რომ გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე, სცადა ამ წინააღმდეგობის გადაჭრა. გერმანელ პაუსენშტეინის და რუსი ფრიჩეს მეშვეობით ხელოვნების სოციოლოგიამ შექმნა თავისი თვალსაზრისი არა მარტო ხელოვნების დაცემის და აყვავების კანონზომიერებაზე, არამედ შემოქმედებითი ფსიქოლოგიაზედაც. ჩვენ წინა წერილში ესცადეთ იმ მცდარ თვალსაზრისის კრიტიკა, რომელიც ხელოვნების სოციოლოგიამ შეიმუშავა პირველ საკითხთან დაკავშირებით. აქ კი მეორე საკითხი (ე. ი. შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკითხი) უნდა დადგეს ყურადღების ცენტრში.

რამდენადაც ფრიჩეს კანონი ვერ ხსნის ხელოვნების აყვავების და დამახობის კანონზომიერებას, იმდენად ფრიჩეს, პაუსენშტეინთან ერთად, ყალბი წარმოდგენა აქვს შემოქმედებითი ფსიქოლოგიაზე. ფრიჩესათვის მხატვრული

ნაწარმოები შექმნილი ხელოვანის მიერ იგივეა, რაც ხელოსნის მიერ ვაკეთებულ ნივთი. ფრიხს „ხელოვნების სოციოლოგია“ უფრო შორს მიდის და ამ ორ (იდეურ და ტექნიკურ) პროცესს ვულგარულად აიგივევებს, ემბატერული შემოქმედება, — სწერდა ფრიხე, — ემორჩილება იმავე წესებს, რასაც ჩვენი ღირებულებათა შექმნა. სამეურნეო სისტემა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ბატონობს, აუცილებლად განსაზღვრავს მხატვრის მწარმოებლურ შრომას და მის სოციალურ მდგომარეობას. ისევე როგორც ნივთიერი ღირებულებანი იქმნებიან ან საკუთარ ოჯახში მოსახმარად, ან დაკვეთით, ან და ბაზრისათვის, მხატვრული ნაწარმოების შექმნის დარგშიაც ერთი-მეორეს ასეთივე წარმოების ფორმები სცვლიან“

ეს ვულგარული განმარტება შემოქმედებითი ფსიქოლოგიისა, ამგვარი განმარტება პირველ რიგში არ ეთანხმება ადამიანის სულს, ე. ი. არ ეთანხმება ჰუმანიტეტსაც. აქ, ამ განმარტებაში მარტივად და ფრიად ზერელედ არის გაგებული ხელოვნების შინაგანი თვისება, და თვით შემოქმედების ფსიქოლოგიას დაკარგული აქვს თავისი ცხოველყოფელი ძალა. ინდივიდუუმის შინაგანი სამყარო, რომელსაც ხელოვნების ენაზე ადამიანის სულს უწოდებენ, მეტად რთული, ღრმა და ვრცელია თავისი ხასიათით. სიღრმე, სირთულე და ვრცეულობა ადამიანის ხასიათისა კაზმულ ხელოვნებაში გამოვლინდება, არა როგორც მექანიკური პროცესი, არამედ როგორც სულის შინაგანი მოთხოვნილება. შემოქმედებითი რთული პროცესის გაიგივებას ნივთის წარმოების პროცესთან ჩვენ მივყავართ ხელოვნებისა და ხელოსნობის გაიგივებასთან, მაშინ როდესაც პირველი ადამიანის სულთან არის დაკავშირებული, მეორე კი ფიზიკურ შრომასთან: პირველ შემთხვევაში ხელოვანი ქმნის სულიერ ღირებულებას, მეორე შემთხვევაში ხელოსნის მიერ იქმნება მხოლოდ მატერიალური ღირებულება. პირველ შემთხვევაში ღირებულების შექმნა ხდება შინაგანი მოთხოვნილებით, მეორე შემთხვევაში გარეშე (ზოგჯერ იძულებით) შეკვეთით იქმნება. პირველი ფსიქო-იდეური სფეროა, მეორე წარმოებითი.

იმისათვის რომ ჩვენ ჩაეწვდეთ შემოქმედებით ფსიქოლოგიის პრობლემას, საჭიროა პრობლემასთან მისასვლელი გზა განსჯისა და გონების შექმით იქნას განათებული.

ზემოდ დასახელებული პრობლემის გადაწყვეტამდე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები: პირველი, რომ შემოქმედებითი პროცესი არ არის წარმოებითი პროცესი. მეორე, რომ სტილი და მოდა ხელოვნებაში სხვადასხვა ცნებაა. მესამე, რომ სინამდვილისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის კაუზალურ დამოკიდებულებაში მთავარ როლს თამაშობს არა ფორმალური დამოკიდებულება, რომელიც ხელოვნებას ხან მალა აყენებს ბუნებაზე, ხან, კი დაბლა, არამედ იმის განმარტება, თუ ხელოვნებისა და სინამდვილის ერთმანეთთან შეხვედრის დროს ხელოვანი რა ზომით უახლოვდება, ან შორდება სინამდვილეს. მეოთხე, რომ ხელოვნებითი ქმნილების შეფასების დროს მთავარია არა ტენდენციური დამოკიდებულება მასთან (სულერთია ობიექტური იქნება თუ სუბიექტური ეს დამოკიდებულება), არამედ ხელმძღვანელობა თვით ხელოვნების შიგნით მომქმედი კანონით.

კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპიდან, როდესაც კაპიტალიზმმა იწყო დაბლა დასვლა ქვეყნის ეკონომიური და სულიერი ჰეგემონიის დროს, შეიქმნა წარმოდგენა, თითქმის ხელოვნება იყო წარმოებითი პროცესის შედეგი, ე. ი. ემორჩილება იმავე კანონებს, რასაც ნივთიერ ღირებულებათა შექმნა. ამ თვალსაზრისმა თავისი კლასიკური — პრაქტიკული გამოვლინება ჰპოვა ნატურალიზმში, იტალიურ და რუსულ ფუტურისმში. ემილ ზოლა სათავე იყო ამ შე-

ხედულებისა. ზოლას მოთხოვნილება რომ ხელოვანმა ბუნებისმეტყველებელი სი-
ზუსტით უნდა აღადგინოს სინამდვილე და შემოქმედებითი პროცესი უნდა
დაემსგავსოს წარმოებითი პროცესსო, თავის ახსნას პოულურს, კულტურულ
სოციოლოგიზმში. ფუტურისმის დაძმობილება ინდუსტრიულ რევოლუციურ ეპო-
ქაში შემთხვევითი მოვლენა. მხატვრული შემოქმედების პროდუქტს ფუტურ-
რისში უწოდებდა გადაკეთებულ ნივთს. ნივთი იყო ფუტურისმის
გამოსავალი წერტილი და ნივთის ფუტურისმში ნახულობდა იგი გამართლებას.

ხელოვნების სიკვდილი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ხელოვანი
ზურგს უბრუნებს ადამიანის სულს და ნივთს აქცევს შემოქმედების ობიექტად.
მაინც რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხელოვნება ხელოვნურად
სწყდება თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას, ე. ი. ადამიანურ ენებიანობას, რო-
მელიც წარმოადგენს იდეალს ხელოვნებისას. ხელოვნების ისტორია, დაწყე-
ბული ანტიკური ეპოქიდან ჩვენი დროით დამთავრებული, გვასწავლის, რომ
საზოგადოებრივ ურთიერთობაში წარმოშობილმა მალაღმა მიზნებმა და იდე-
ებმა უნდა გაიაროს შეგნება ხალხის, ან და იმ კლასის, რომელსაც ხალხი მიჰ-
ყავს ვმორობასთან, რომ ამ საფუძველზე შეიქმნას ნიადაგი ნამდვილი, ჭეშმა-
რიტი ხელოვნებისათვის. ძველი ბერძნების უმშვენიერესი ხელოვნება, რომელ-
შიაც ადევკატური გამოხატულება ჰპოვა ადამიანის უბრწყინვალესმა იდეა-
ლებმა, მხოლოდ იმიტომ მიიღწია ნაწილისა და მიუწყდომლობის სიმალღეს,
რომ ზოგად საყოველთაო (სახალხო) იდეები და მიზნები აქცია საკუთარ ნია-
დავად. რატომ ხდება რომ ბერძნული ხელოვნება დღესაც გვაგრძობინებს
მხატვრულ სიამოვნებას, მაშინ როდესაც მისი წარმოშობი მიზეზი (მითოსი)
დიდი ხანია გაჰქრა ადამიანის გონებიდან? იმიტომ რომ ბერძნულმა ხელოვნე-
ბამ ჩვენ თვალწინ გადაშალა ადამიანურ სულისა და ნებისყოფის უმაღლესი
ინტერესები; ეს ინტერესები თავისთავში იყო უაღრესად ძლიერი გულისა და
გონების ჭეშმარიტი სიღრმე. მიუხედავად იმისა რომ ბერძნულ ხელოვნებაში
მოთხრობილია ორიათასი და ზოგჯერ სამიათასი წლის წინად მომხდარი ამბავი,
მასში მაინც არის მყარი საფუძველი, რომელსაც ხელოვნების ენაზე ადამია-
ნურ ენებიანობას უწოდებენ. ამ უკანასკნელს კი არ შეუძლია გავლენა მოახ-
დინოს ჩვენზე, მეოცე საუკუნის მოქალაქეებზე, რადგანაც ჩვენ, უპირველეს
ყოვლისა, ადამიანები ვართ. ძველმა ბერძნებმა თავიანთ ბრწყინვალე ხელოვ-
ნებაში მოათავსეს საკუთარი შინაარსით მდიდარი შინაგანი განსჭკრეტანი და
წარმოდგენები სამყაროზე; ამდენათ იგი (ხელოვნება) ბერძენი ერის სიბრძნისა
და რელიგიის გასაღებსაც წარმოადგენს. მთავარი ის არის რომ ბერძნული ხე-
ლოვნების ცენტრი ადამიანი იყო.

ამრიგად ხელოვნება ზოგადად საკუთარ თავში ატარებს ისეთ ელემენტებს,
რომლებიც მარადიულ, უცვლელ ნორმის სახეს ინარჩუნებენ ყველა დროში
და პირობებში. შეიძლება თუ არა ამ თვისების მატარებელი იყოს იმ გვარი ხე-
ლოვნება, რომელიც შემოქმედების პროცესს შეხედავს, როგორც წარმოები-
თი პროცესს. რა თქმა უნდა არა. რაკი მთელი სამყარო, ყოველი საგანი, ფერი,
ხმა — ხელოვნებისათვის წარმოადგენს შემოქმედებითი სარბიელს, მაშინ ამ
სამყაროს ასახვა ხელოვნებაში (და არა ზაერთოდ) უნდა ხდებოდეს ადამიანის
სულში გადამტყდარი ფორმით, ე. ი. ისეთი ფორმით, რომელიც გამოსავალი
წერტილი იქნება ადამიანური დამოკიდებულებისა გარეშე სამყაროსთან. ამ
პირობებში ხელოვნების ცენტრი ადამიანი უნდა იყოს, თავის სიყვარულით,
ტკივილით, ენებიანობით. ხელოვნების იდეალს წარმოადგენდა, დღესაც წარ-
მოადგენს, შემოქმედების ობიექტის ისეთი ათვისება, რომ გარეგანი გამოხატეა
ეთანხმებოდეს ადამიანის სულის შინაგან განზრახვებს. ამრიგად ადამიანი თავი-

სი სუბიექტური მრავალფეროვნებით ხელოვნების წინაშე დგას, როგორც შემოქმედების ობიექტი. ჩვენი დროის ხელოვნების ახალმა დამოკიდებულებამ ადამიანთან კი არ შესცვალა ეს ურთიერთობა, არამედ განამტკიცა. განსხვავება ახალი ხელოვნებისა ძველთან იმაში მდგომარეობს, როგორ აღმოჩენის სულს ერთი უკავშირდება ინდივიდუალიზმის პოზიციებიდან, მეორე კი საზოგადოებრივი, სახალხო, ე. ი. კოლექტივიზმის დიადი და უწმინდეს იდეალებიდან. ადამიანი, ამრიგად, კვლავ რჩება ხელოვნების ცენტრად.

ჩვენს დროში იყო მძლავრი ტენდენცია ადამიანების ერთი ნაწილისა, რომ ხელოვნებისათვის ეს ცენტრი მოეშორებინათ, რათა ნივთისათვის განეწმინდა გზა. ფუტურიზმის შექრა ხელოვნებაში პირველი დარტყმა იყო ადამიანზე, როგორც ხელოვნების ცენტრზე; პროლეტკულტი წარმოადგენდა მეორე დარტყმას. ვერც პირველმა და ვერც მეორე მიმართულებამ ვერ შესალო საკუთარი ყალბი პოზიციების დაცვა და ამ ნიადაგზე ორივე ლიტერატურული სკოლა იტულებული იყო თავი დამარცხებულად გამოეცხადებინა. მაგრამ ფუტურიზმი წმინდა ლიტერატურული სკოლა არ ყოფილა; იგი განსტოვდა მხატვრობაში, მუსიკაში, ქანდაკებაში, კინოში. ხელოვნების ამ დარგებშიაც ფუტურიზმმა გადამწყვეტი იერიში მიიტანა ადამიანის სულის წინააღმდეგ. ეს იერიშიც დამარცხებით დამთავრდა. ფუტურიზმის დამარცხების მთავარი მიზეზი მისი ფუნქციონირება იყო. ამ სკოლას არ გააჩნდა ხელოვნებითი საფუძველი; იგი მოკლებული იყო ჭეშმარიტ ნიადაგს. ფუტურიზმმა რა კი ნივთი აქცია შემოქმედების ობიექტად და ადამიანური ენებებს ბრძოლა გამოუცხადა, იგი მშრალ, მექანიკურ სქემათ იქცა, რომელსაც არ გააჩნდა გრძნობა, არ გააჩნდა სული. არსებითად ფუტურიზმი მოდერნიზმთან ერთად იყო, არა ლიტერატურული სტილი, არამედ ლიტერატურული მოდა, რომელიც იბადება დროის მცირე მონაკვეთში და მოკლე დროშივე უკვალოდ ჰქრება.

შემოქმედებითი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ზემოდასახელებული სკოლები ხელოვნების თვითმკვლელობა იყო. ამ ფაქტს ზოგადად ადასტურებს ყველა კულტურული ერის ფუტურისტული ხელოვნება და ლიტერატურა, კერძოდ კი ქართული ფუტურიზმი.

ქართული ფუტურიზმი იყო არა მარტო გვიანი გამოძახილი რუსული ფუტურიზმისა, არამედ წარმოადგენდა ფუტურიზმის ყველაზე უცუდეს სახეს. ხუთმეტი წლის მანძილზე ქართული ფუტურიზმი, რომელშიაც ერთი გრამიც არ ყოფილა ნამდვილი ხელოვნებისა, მკვდარ ლეშად იქცა და მისი დასაფლავება მისივე წარმომადგენლებს მოუხდათ უბოდიშოდ და უკომენტარიოდ. მოდერნიზმისა და ფუტურიზმის მსახურალი ხელი ქართულ მხატვრობასაც შეეხო. უეჭველია დიდი ნიჭისა და შესაძლებლობის მხატვრების — ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის აცდენა შემოქმედების ჭეშმარიტი გზიდან ბრალად ედება იმავე მოდერნიზმს, რომელიც მოდასავით გაჩნდა ხელოვნებაში და მოდასავით გაჰქრა ხელოვნებიდან. როდესაც ლადო გუდიაშვილის მხატვრულ სურათებს უმზერ, წამსვე აღგებრებით სინანულის გრძნობა იმის გამო, რომ მხატვარი აცდენილია შემოქმედების ჭეშმარიტ გზას. ელემენტარული მოთხოვნილება, რომელიც მხატვარს უნდა წაუყენოთ, გახლავთ — ადამიანის სხეულის და ამ სხეულთა ნაწილების სიმეტრიული განლაგების ზუსტი ცოდნა.

როცა სიმეტრია ირღვევა, ირღვევა ჰარმონია; ჰარმონიის დარღვევა მხატვრობაში იგივეა, რაც პრაქტიკულ ცხოვრებაში სიმახინჯე. მახინჯი სხეული კი, არა ესთეტიური კატეგორიაა მხატვრობაში. როგორ შეგვიძლია დავიჯეროთ მხატვრის ტალანტი, როდესაც მის მიერ შესრულებულ სურათში ადამიანის მარცხენა ფეხი თავისი მოცულობით სამჯერ იწვია მარჯვენაზე. ანდა

ადამიანის სახის ნაწილები: თვალები, ცხვირი, წარბები, პირი, ნიჟარები — სურათში მოსჩანს აღრეული ფორმით. თვალები ცხვირიდან ერთი და იმავე მანძილზე არ არიან დაშორებულნი, არამედ სხვადასხვა სიმეტრიითაა განლაგებულნი. ცნობილია რომ მთლიანობის გარეშე არ არსებობს სიმეტრიული მხატვრისათვის, თუ კი ის მანერას არ მისდევს ხელოვნებაში, ყველაზე უფრო საჭიროა მთლიანობის გრძობა. მთლიანობა და პარმონიულობა მხატვრისათვის პირველ საეალღებულო კოდექსად დააწესა ლეონარდო და-ვინჩმა.

ლადო გუდიაშვილი, როდესაც კინტოს ხატავს, მას ორიგინალურად გამოუდის. კინტო, როგორც არა მთლიანი, არა თავისთავადი, ფსიქოლოგიურად დაშლილი და დანაწევრებული ადამიანი, მხატვრისაგან მოითხოვდა ფერისა და ხაზის კონტრასტულ შეხამებას; ესე იგი იმგვარ შეხამებას, რომ გარეგანი გამოსახვის ფორმა ადეკვატური (შესატყვისი) ყოფილიყო გამოსახატავი საგნის შინაგანი სულიერი თვისებებისა. მხატვრის შემოქმედებითი ალლომ აბსოლუტური სიზუსტით მოძებნა კინტოს ფიზიონომიის შესატყვისი მხატვრული ყალიბი. შინაგან ინტელიციით ლადო გუდიაშვილმა ფერები და ხაზი დაუმორჩილა შემოქმედების ობიექტს. ამ პირობებში მხატვარი სუბიექტური კაპრიზით კი არ მოქმედებს, არამედ გამოსახატავი საგნის შინაგანი ბუნებიდან გამოდის. მაგრამ ლადო გუდიაშვილი ზოგჯერ დალატობს ქეშმარიტებას და შემოქმედების ნამდვილი გზიდან უხვევს. ამგვარ მოქმედებას მხატვარი გადაჰყავს მოდაში და მანერაში. რაკი თვითეული ადამიანი ერთიმეორისაგან განირჩევიან თავიანთი ფიზიკური და სულიერი თვისებებით, მათი გარეგანი გამოსახვის ფორმაც სხვადასხვანაირი უნდა იყოს. ამ ბუნებრივ კანონს „გუდიაშვილი არ ემორჩილება. მხატვარმა ეს თვისება ყველაზე რადიკალური ფორმით გამოამჟღავნა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეების შესრულებაში. ტარიელის ფიზიკური ძლიერება და სულიერი სიმალღე გუდიაშვილმა დაუმორჩილა ხატვის იმავე მეთოდს, რომლითაც სურათი „კინტოები“ შექმნა. მხატვრის ასეთმა არალოგიკურმა მოქმედებამ წარმოშვა ესთეტიური წინააღმდეგობა გამოსახატავი ობიექტის შინაგან თვისებებსა და გამოვლინების გარეგან ფორმას შორის. ამბობენ: გუდიაშვილი ფერებისა და ხაზის დიდი ოსტატო; მართლაც მის მიერ შესრულებულ ყოველ სურათს ამჩნევია ფერების ოსტატობა; მაგრამ ფერი მაშინ არის მშვენიერი, როდესაც იგი ადეკვატურ ფორმაში გადმოგვეცემს გამოსახატავი ობიექტის სუბსტანციას, მის სულს.

მეორე, უპველად დიდი ნიჟის და პოტენციის მხატვარი დავით კაკაბაძე მოდერნიზმის გზით წავიდა. ამ მხატვრის პირველი პერიოდის ნამუშევრები („დედა“, „მეწუბნე“ და სხვა) გვაძლევდა საბუთს გვეთქვა, რომ ქართული მხატვრობა უკვე დაადგა შემოქმედების ქეშმარიტ გზას. მაგრამ სამწუხაროდ მოლოდინი არ გამართლდა. დავით კაკაბაძემ მალე უარყო რეალიზმი და მოდურ ხელოვნებას გაჰყვა. 1924 წელს კაკაბაძის მიერ პარზში გამოქვეყნებულ წიგნში მოთავსებული მხატვრული ნიმუშები და თეორიული ხასიათის წერილები, კიდევ ერთ მტკიცე საბუთს გვაძლევს ჩვენი აზრის დასადასტურებლად.

შემოქმედებას და მით უფრო სამხატვრო შემოქმედებას არ უყვარს მოდა და მანერა. ორივე ეს თვისება მხატვრისაგან მოითხოვს ძალდატანებას, არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ მაყურებელზედაც. ძალდატანება კი საზიზღრობაა ხელოვნებაში. როდესაც მხატვარი ჩვენს ყურადღებას მანერით და მოდით იპყრობს, ჩვენ გვეკარება სურათის არსის შეგრძნების და შეშინების უნარი; თუ კი ეს უნარი შეგვრჩა, მაშინ უნდა უარვყოთ ამ გვარი სურათი, რადგანაც იქ ადამიანის სული კი არა, მანერა და მოდა მოსჩანს.

ცნობილია რომ შოდა უგემოვნობაში გადადის. ამგვარ უგემოვნობამ და ყალბმა მანერამ ქართულ თანამედროვე დრამატურგიაში იჩინა თავი. რით უნდა აიხსნას ის ფაქტი თუ არა უგემოვნებით, როდესაც დრამატურგიაში კორიგინალური და მთლიანი ნაწარმოების ნაცვლად, იქმნება მსუბუქი, მსაგებოთნო უაზრო, ღიღი იღვებდა და მაღალ მიზნებს მოკლებული პიესები? გადაკეთებისა და გადმოქართულების ტენდენციამ საფრთხის წინაშე დააყენა ორიგინალური დრამატურგია. ვაიოლების გზით სიარულმა დრამატურგიას დაუკარგა თავისი ცხოველყოფელი ძალა. დრამის ასეთი „ოსტატების“ ხელში დრამა შენდება არა შინაგან, ლოლიკურად გამართლებულ კანონზომიერებაზე, არამედ იაფფასიან ეფექტზე. ამ პირობებში შემოქმედების ადგილს იკავებს დრამის მკეთებელი. ასეთი მკეთებლობის ერთერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს შალვა დადიანის დრამები: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და „ალექსანდრე პუშკინი“. დრამაში არა სჩანს ტრაგიკული ბედი ამ ორი უშესანიშნავესი პოეტისა. რაკი პუშკინისა და ბარათაშვილის სუბიექტური განზრახვანი წინ უსწრებდნენ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მათი ბედიც კემშარიტად ტრაგიკული იყო. სუბიექტურ განზრახვებსა და ობიექტურ შესაძლებლობას შორის წარმოშობილი კონფლიქტი უნდა გამხდარიყო დადიანის პიესის მამოძრავებელ ძალად. მაგრამ ამ კონფლიქტის გადაწყვეტა დრამაში შესაძლებელია არა პიროვნებათა სქემატური დაპირისპირებით არსებულ დროსთან (როგორც ამას შალვა დადიანი სჩადის), არამედ მოქმედებაში გაშლილ და გაფართოებულ იმ წინააღმდეგობის მოხსნით, რომელიც წარმოიშვება სუბიექტის პროგრესულ განზრახვებსა და მისი განხორციელების შეუძლებლობას შორის. ასეთი წინააღმდეგობის მოხსნა პუშკინის და ბარათაშვილის დროში შესაძლებელი იყო მხოლოდ პროგრესულ პიროვნებათა ფიზიკური დამარცხებით. დრო მათ ამარცხებს, მაგრამ სულიერ თავისუფლებას კი ვერ უსპობს. თავისუფალი სული ცხოველყოფელი ძალით მოსჩანს ორივე პოეტის შემოქმედებაში. ასეთი რთული პროცესის მხატვრული გამოსახვა დრამაში, ავტორისაგან მოითხოვს, არა მხოლოდ პიროვნულ კულტურას, არამედ დრამის კანონებისა და ადამიანის სულის კოდნას. სამწუხაროდ ეს არ სჩანს ზემოდ დასახელებულ პიესებში.

მოქმედების სიმარტივესთან ერთად, დადიანს ემჩნევა მოქმედების განუვითარებლობაც. ავტორმა რაც მოქმედებით უნდა აჩვენოს, მას საუბარში ამტლავებს. დრამაში არ არის დაცული მოქმედებათა მთლიანობა, რამელიც საეაღმდეგოა ამბავთა გასაშლელად. რთული სიუჟეტური კოლიზიების ნაცვლად დრამაში იქმნება ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ფერდაკარგული სურათები. საილუსტრაციოდ მხოლოდ სამ ნიმუშს მოვიყვანთ. პირველი: მეოთხე მოქმედების მეთორმეტე მძივში (როგორც თვით ავტორი უწოდებს) შალვა დადიანს სურს ბედგამწარბული ბარათაშვილის სულიერი ღელვა გადმოსცეს. ამ აზრით ავტორი ასპარეზად ირჩევს ყაბახს. ყაბახის ერთი მალლობი დაკავებული აქვს ბარათაშვილს, მეორე კი დატოვებულია სხვადასხვა პირთა შესასვლელ-გასასვლელად. ავტორი ხან იმ მალლობს გვაჩვენებს, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას, ხან კი დრამაში მომქმედ პირთა შესასვლელ-გასასვლელ ადგილს. როცა დრამის ავტორი ბარათაშვილისაკენ მიგვახედებს, ჩვენ გვესმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები „მერანიდან“. ოთხი სტრიქონის წარმოთქმის შემდეგ შალვა დადიანს დაბლა ჩამოვყავართ. სცენაზე შემოდის მიხეილი და ლევანი. ორიოდ ფრაზის წარმოთქმის შემდეგ კვლავ ვუბრუნდებით განმარტობულ ადგილს და გვესმის ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ წარმოთქმული ლექსის ოთხი სტრიქონი. ბარათაშვილი კვლავ გვეკარგება თვალიდან და ერთი წუთის შემდეგ დრამის ავტორს ისევ ყაბახზე ჩამოვყავართ. ასეთი ელვისებუ-

რი სისწრაფით სულ სამი გვერდის მანძილზე ცამეტჯერ აეყოფარა და ჩამო-
ყვარათ დრამის აქტორს. მეორე ფაქტი: მოქმედება სწარმოებს განჯა-
ში, მაზრის უფროსის თანაშემწის კაბინეტში. კაბინეტში არიან ნიკოლოზ ბა-
რათაშვილი და მიხეილი. ბარათაშვილი ზის მაგიდასთან. უკმათ ნიკოლოზ
ბარათაშვილი საკუთარ თავთან დაიწყებს შემდეგი სახის საუბარს:

ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. — რუსნი იტყვიან: ქვეყნად ცხოვრობს და ამ ქვეყნის სი-
წერმიანეში ჩამღრჩავალია. მეც ესრე ვარ.

(სახოწარკვეთილი)

სტოლ ნაწაღნიკი! ბუღნა — ბუღნა რეგისტრაცია
ატნაშენიე, ვხაღიაშნი, იხხაღიაშნი.

პ ა უ ზ ა

ჩემი პემახი, ჩემი მუზა, ჩემი ღვთაება.

არა, არ დავთმობ მე ჩემს თავს და ჩემს მოწოდებას...

გახწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი.

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შვად მღვლეარის

გაქვეთე ქარი, გააბე წვალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,

გახწი, გაჭურცხლე და შემოიკალე მოუთმენელსა სავადნი დღენი...

კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი მიეცე ზღვის ღვლეს

და შენ მშვენიერს, აღტაცებულს გიჟურსა ღტოლვას.

მესამე შემთხვევა: პიესის დასასრულს ნიკოლოზ ბარათაშვილი
თავის სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. შალვა დადიანმა ბუნებრივ
სიკვდილს ბარათაშვილის თვითმკვლელობა ამჯობინა და ბექტდის თვალრიდან
შეასმევინა შხამი მას.

ჩვენს მიერ მოყვანილი სამივე შემთხვევა ერთ ფაქტს ადასტურებს, რომ
შალვა დადიანის დრამა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ დილოგებში მოთხრობილი
ყოფითი წერილმანებია და არა ტრაგედია, როგორც აქტორი უწოდებს მას.

შალვა დადიანის დრამაზე „ალექსანდრე პუშკინზე“ — იგივე უნდა გა-
ვიმეოროთ. ეს ნაწარმოები, რომ მხატვრულად სუსტია, მე მგონი დავას აღარ
იწვევს. მაგრამ ჩვენ ერთმა გარემოებამ გავგვარცხა და მკითხველის ყურადღება
გვინდა შევაჩეროთ ამ ამბავზე. აქ საჭიროა გავისხენოთ დადიანის მიერ ორთა-
ქალის ბაღში აღწერილი ქეიფი. ეს ქეიფი პუშკინის პარტისაცემად მოაწყეს
ქართველებმა. საინტერესოა ამ ქეიფზე სოლომონ დოდაშვილის მიერ წარმოთ-
ქმული სიტყვა, პუშკინის პოეზიის დასახასიათებლად. დოდაშვილის სიტყვამ
ჩვენ ბელისკის წერილი გავგვასენა, რომელიც ეხება პუშკინის პოეზიას. საინ-
ტერესოა როგორ მოხდა ბელში ბელისკის ეს წერილი სოლომონ დოდაშ-
ვილს. სხვათაშორის ბელისკი სწერს: „И что-же это за стих! Античная
пластика и строгая простота сочетались в нем с обстоятельной игрой
романтической рифмы, все акустическое богатство, вся сила русского
языка явились в нем в удивительной полноте; он нежен, сладостен,
мягок, как ропот волны, тягуч и густ, как смола, ярок, как молния,
прозрачен и чист как кристалла, душист и благовонен, как весна, кре-
пок и могуч: как удар меча в руке богатыря». ¹⁾

შალვა დადიანის „ალექსანდრე პუშკინში“ — სოლომონ დოდაშვილი პუშ-
კინის მისამართით ამბობს: „Поэзию Пушкина отличает античная пла-
стика и гениальная простота. В ней с небывалым подъемом выявились
богатство и сила русского языка. Стихи Пушкина нежны, сладки,
мягко журчат, как волна; острые и густые как мед, они блестят, как
молния, чисты и прозрачны, как горный хрусталь. Они ароматны и

¹⁾ В. Г. Белинский, Сочинения, том III, стр. 451, 1896 წლის გამოცემა.

желанны, как весна, метки и сильны, как стрела, пушечный из лука сказочного богатыря. Нас пленяет этот богатырский размах... И... да здравствует сам богатырь!").

ქართული

საკითხავია, რატომ დასჭირდა „ალექსანდრე პუშკინის“ მკვლელის მკვლელობის ბაღში სოლომონ დოდაშვილის ბელინსკის სიტყვებით დახასიათებინა პუშკინის პოეზია, მაშინ როდესაც ბელინსკიმ ჩვენს მიერ დახასიათებული დახასიათება პუშკინის პოეზიისა, დაწერა ორმოციან წლებში ე. ი. იმ დროს, როდესაც დოდაშვილი ფიზიკურად უკვე მკვდარი იყო. მაშინ საიდან შეეძლო დოდაშვილს ეთქვა ბელინსკის სიტყვები! ეს უბრალო ანაქრონიზმი როდია! მხატვრული თვალსაზრისით ორივე პიესა სუსტია და ხელოვნურად შეკოწიწებული ფაქტებს ეყრდნობა.

აქაც მოდა და მანერაა დამნაშავე.

ჩვენი დროის ქართული პოეზია და პროზა არ არის თავისუფალი ამგვარი ავადმყოფობისაგან. ტრაფარეტი მძლავრ ძალად იქცა სიტყვაკაზმულ ხელოვნებაში. მრავალი ლექსი და პროზაული ნაწარმოები დაიწერა, მაგრამ ბევრი მათგანი ტრაფარეტული და ერთფეროვანია; მათში არა სჩანს დიდი სულიერი ძალა თანამედროვე ადამიანისა. პოეტური ეპოსი დეფორმირებულ იქმნა. გრძელი ლექსები, რომლებიც არ ატარებენ ნამდვილ ეპოსის ხასიათს, ლიტერატურის აპარეზზე გამოდიან ეპოსის სახელით. ასეთ „ეპოსში“ ჩვენ ყურადღებას იქცევს არა ამბავთა ლოგიკური გაშლა და გაფართოება, არა თანამედროვე ადამიანთა მაღალი მიზნები და დიდი იდეები, არა მძაფრი კოლიზიები, რომელიც ეპოსის მშვენიერებას წარმოადგენს, არამედ ჩვეულებრივი გრძელი ლექსი, ზოგჯერ კარგად დაწერილი, მაგრამ ისეთი, რომელიც მკითხველის სულიერ ამაღლებას არ იწვევს. ასეთ პოემების წერის დროს პოეტი სუბიექტურ მანერად გამოდის; იგი ვერ ახერხებს მომხდარ ამბავთა და ტიპების ისეთ შესხმას, სადაც თბობა მიჰყვება ისტორიულ და მხატვრულ კანონზომიერებას.¹) პოეტების წერის მანერა ამ შემთხვევაში სუბიექტურია, პოემას კი ობიექტური გაშლა და განვითარება უყვარს.

ჩვენი დროის ერთმა უბრწყინვალესმა პოეტმა — ვალაქტიონ ტაბიძემ გამოაქვეყნა პოემა „აკაკი წერეთელი“, მაგრამ არც ერთი ელემენტით იგი არ არის პოემა; არსებითად იგი ცუდად დაწერილი გრძელი ლექსია.

ახალი პოეტური ეპოსის ძლიერი ცდები ჰქონდათ პოეტებს: ალიო მამაშვილსა და კარლო კალაძეს. ჩვენ ღრმად გვწამს ეს ჰემარიტი ცდა მომავალში გაიზრდება და მიაღწევს სრულყოფილ ფორმას.

ჩვენ რაკი რამდენიმე ცოცხალი მასალით დაედასტურეთ ის ფაქტი, რომ ხელოვნება არ არის წარმოებითი პროცესის შედეგი და ამავ დროს მოდა და მანერა უარყოფილი იქმნა, როგორც უცხო ელემენტები ხელოვნებისათვის; უნდა დაფიქრდეთ ზემოდ დასმულ მესამე კითხვას; სახელდობრ სინამდვილისა და შემოქმედების კაუზალურ დამოკიდებულებას. ასეთ დამოკიდებულებაში მთავარ როლს თამაშობს არა ფორმალური დამოკიდებულება, რომელიც ხელოვნებას ხან მალა აყენებს ბუნებაზე, ხან კი დაბლა, არამედ იმის განმარ-

¹ შალვა დადიანი. „Пушкин в Грузии“, გვ. 170.

² ჩვენს მიერ დახასიათებული პოემის რიცხვს ეკუთვნის გ. ლეონიძის „ფორთოხალა“, ს. ჩიქოვანის „ამირანი“, ე. ჰეკინიძის „მარიამ რასკოვა“. ნაწილობრივ ამ თვისების მხატვრებელია გ. ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრობა“. ჩვენ მესამე წერილში დაწერილებით ვუხებთ ეპოსის და რომანის პრობლემას. ახალი პოემის და რომანის დახასიათება დართოდ არის იქ წარმოდგენილი.

ტება, თუ ხელოვნებისა და სინამდვილის შეხედრის მომენტში ხელოვნება რა ზომით უახლოვდება, ან სცილდება სინამდვილეს.

შემოქმედების პროცესში ჰარმონია და მთლიანობა ქმნის, მაქატირებულია სრულყოფილ ნაწარმოებებს; სწორედ ამ თვალსაზრისიდან უნდა ვაჩიროდეთ, როდესაც მშვენიერებაზე გვაქვს საუბარი ზოგადად. მაგრამ მშვენიერებაზე საუბარი საერთოდ შეუძლებელია, თუ არ დავაცალკევებთ ერთი მეორისაგან მშვენიერებას ხელოვნებაში და მშვენიერებას ბუნებაში; პირველი კაზმულ ხელოვნების სფეროში შედის და ესთეტიკის კვლევის საგნად ხდება, მეორე კი ესთეტიკის სფეროდან გამოდის და მეცნიერების სხვადასხვა დარგში პოულობს ბინას. მიუხედავად ამისა კაზმულ ხელოვნებაში ხშირად იბადება კითხვა: მშვენიერება ხელოვნებაში უფრო მაღალია, თუ მშვენიერება ბუნებაში? ჰეგელი პირველი მოაზროვნე იყო რომელმაც მწყობრი თვალსაზრისი შექმნა შემოდასახელებულ საკითხზე (ჰეგელმა პლატონისა და კანტის შეხედულებათა გათვალისწინებით, მათზე უფრო მწყობრი თეორია შექმნა). ჰეგელი „ესთეტიკის“ შესავალში სწერდა: „ამ გამოთქმით მაშინათვე გამოერიცხავთ ჩვენი დისციპლინის სფეროდან მშვენიერებას ბუნებაში. ერთის მხრივ საგნის ასეთი განსაზღვრა შეიძლება თვითნებური გვეჩვენოს, რადგანაც ჩვენ ვსარგებლობთ იმით, რომ თვითუღ მშვენიერებას აქვს უფლება თავის შეხედულებისამებრ შემოფარგლოს საკუთარი შინაარსი და სადემარკაციო ხაზი, რომლითაც ზღვარდებული იქნება სხვა მეცნიერებათაგან. მაგრამ ამ აზრით არ უნდა გავიგოთ ესთეტიკის განსაზღვრა სფეროთი — მშვენიერება ხელოვნებაში. მართალია ყოველდღიურ ცხოვრებაში დაჩეულები არიან ილაპარაკონ ლამაზ ფერზე, ლამაზ ცაზე, ლამაზ მდინარეზე; გარდა ამისა ლაპარაკობენ მშვენიერ ყვავილზე, ლამაზ ცხოველებზე და უფრო მეტად კი ლამაზ ადამიანებზე; თუმცა ჩვენ აქ სრულიად არ გვსურს გავმართოთ კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია ამგვარი საგნებისათვის მშვენიერების თვისებების მიკუთვნება და საერთოდ რამდენად გვაქვს უფლება ერთი მეორის გვერდით დავაყენოთ მშვენიერება ხელოვნებაში და მშვენიერება ბუნებაში. საწინააღმდეგოდ ამისა, ჩვენ აქვე შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მშვენიერება ხელოვნებაში უფრო მაღალია, ვიდრე მშვენიერება ბუნებაში. რადგან მშვენიერება ხელოვნებაში სულ ისაგან შობილი და ხელახლა დაბადებული მშვენიერებაა, და რამდენადაც სული და მისი ნაწარმოებები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ბუნება და მისი მოვლენები, ამდენად მშვენიერება ხელოვნებაში უფრო მაღალია, ვიდრე მშვენიერება ბუნებისა. თუ ფორმალურად განვიხილავთ თვით უხეირო და აბირებულ ფანტაზიასაც კი, რომელიც თავში მოუვა ადამიანს, უფრო მაღლა სდგას ბუნების ყოველ ნაწარმოებზე; რადგანაც ამისთანა უცნაურ ფანტაზიაში სულიერობა და თავისუფლება არის წარმოდგენილი. მართალია შინაარსის მიხედვით, მაგალითად მზე, ამსოლუტურად აუცილებელ მომენტს წარმოადგენს, მაშინ როდესაც აბირებული აზრი, ან ფანტაზია შემთხვევითია, წარმავალი, მალე ჰქრება; მაგრამ თავისთავში აღებული ბუნების ისეთი არსებობა, როგორცაა მზე, განურჩეველია; თავისთავში თავისუფალი და თვითცნობიერი არ არის და მას სხვებთან აუცილებელ კავშირში განვიხილავთ ზოლმე, ისე რომ მას ჩვენ არ განვიხილავთ თავისთვის და ამით როგორც მშვენიერს.

ზოგადათ რომ ესთქვათ, რომ სული და მისი მშვენიერება ხელოვნებაში უფრო მაღლა სდგას, ვიდრე მშვენიერება ბუნებაში, ამით რა თქმა უნდა ჯერ არაფერი არ დავციდგენია, რადგან „მაღალი“ — ეს სრულიად განუსაზღვრე-

ლი გამოთქმა, რომელიც მშვენიერებას ხელოვნებაში და ბუნებაში ერთმანეთს გვერდით მდგომარედ სახავს წარმოდგენის სიერცეში; მათ შორის მხოლოდ რიცხობრივსა და ამით გარეგან განსხვავებას აღნიშნავს. მაგრამ ყველაფერი მისი ხელოვნებითი სიმშვენიერის უფრო მაღლა დგომა ბუნებასთან შედარებით, მართო რელატიური კი არ არის, არამედ სულია მხოლოდ ქეშმარიტი თავისთავში ყველაფრის შემცველი, ასე რომ ყოველი მშვენიერი მაშინ არის ქეშმარიტი მშვენიერი, როდესაც იგი ამ უმაღლესის მოზიარება და მისგან არის შექმნილი. ამ აზრით მშვენიერება ბუნებაში, როგორც არასრულქმნილი, არასრული სახე, ისეთი სახე, რომელიც თავის სუბსტანციით თვით სულში არის მოთავსებული, წარმოგვიდგება როგორც ასახვა, რეფლექსი იმ მშვენიერებისა, რომელიც სულს ეკუთვნის. გარდა ამისა, ჩვენი საგნის, კაზმული ხელოვნებით განსაზღვრა ბუნებრივიც გვეჩვენება, რადგანაც რამდენსაც არ უნდა ლაპარაკობდნენ ბუნებზე მშვენიერებაზე — მხოლოდ ძველი ბერძნები და რომაელები ცოტას ლაპარაკობდნენ ჩვენთან შედარებით, — ჯერ კიდევ აქამდე თავში არავის მოსვლია აზრად, რომ ბუნებრივ საგანთა მშვენიერების თვალსაზრისი განსაკუთრებით გამოეყო და მოეცა მეცნიერება, ამ მშვენიერებათა ერთგვარი ნისტემპატიური დალაგება. ხელმძღვანელობდნენ რასაკებლობის თვალსაზრისით, შექმნეს მავალითად მეცნიერება ავადმყოფობის წინააღმდეგ გამოსადეგი ბუნებრივი საგნებისა, აღწერა იმ მინერალებისა, ქიმიური პროდუქტებისა, მცენარეებისა, ცხოველებისა, რომლებიც სამკურნალოდ არიან გამოსადეგნი, მაგრამ მშვენიერების თვალსაზრისით არავის შეუღარებია, არვის შეუღდგენია და განუხილავს ბუნების სამეფო“¹.

ჰეგელმა ესთეტიკის შესავალში გამოთქმული ზოგადი აზრი, კონკრეტული მასალით ნათელყო, იმავე წიგნის სპეციალურად ამ საკითხზე მიძღვნილ თავებში. ამ რიგად ჰეგელისათვის მშვენიერება მაშინ არის ქეშმარიტი, როდესაც იგი ადამიანის სულიდან გამოდის. მაგრამ ამგვარი გაგება მშვენიერებისა, რომ არ ყოფილიყო სუბიექტური, ჰეგელმა თვით ადამიანის სული გამოაცხადა, ერთადერთი ობიექტურ ქეშმარიტებად. ამ ნიადაგზე თვით ბუნებაში არსებული მშვენიერება მიიღო როგორც შედეგი ადამიანის სულისა. ჯერ კიდევ ადრე ჩერნიშევსკიმ იგრძნო მშვენიერების ჰეგელისებური იდეალისტური ინტერპრეტაციის არასამართლიანობა. მაგრამ ჩერნიშევსკიმ სამართლიან დასკვნებთან ერთად, ვააკეთა არასაფუძვლიანი დასკვნებიც. ჩერნიშევსკი ბუნების მეტყველური მატერიალიზმის მიმდევარი იყო ხელოვნების ზოგიერთ საკითხებში და როგორც ბუნებისმეტყველურ მატერიალისტებს სჩვევიათ, მან ხელის ერთი მოსმით მშვენიერება ბუნებაში მალა დააყენა ხელოვნებითი მშვენიერებაზე, როგორც ცნობილია ასეთივე თვალსაზრისი ხელოვნებაზე და ბუნებაზე შეიმუშავა ფრანგულმა მატერიალიზმმა დენი დიდროს „ესთეტიკაში“. ჩერნიშევსკის სადისერტაციო შრომა ამ საკითხში თავისებური გამოძახილი იყო დიდროს თვალსაზრისისა. „ნიქი ბაძავს ბუნებას“ — ამბობდა დიდრო. ბუნება დიდროს გაგებით წარმოადგენს ხელოვნების მოდელს; ხელოვნება შეზღუდულია ამ მოდელით და ვინც მოისურვებს გვერდის ავლას ამ მოდელისადმი, მისი შემოქმედება ყალბი იქნება. „ბუნება სრულიადაც არ ქმნის სფეროსებრ მცენარეს; ამას მხოლოდ მეტაფიზიკის მკრატელი სჩადის, რაც ნაბრძანებია მეტაფიზიკის უცნაური გემოვნებით; და ნუთუ სფეროსებრი ბეები თქვენ მოგწონთ“ — ამბობდა დიდრო საკუთარი თვალსაზრისის გასამართლებლად. ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოთ ყოველ დაინტერესებულ ადამიანს შეუძ-

¹) იხ. ჰეგელი, „Лекции по эстетике“, том XII, стр. 1, 2, 3.

ლია მოიყვანოს შემდეგი ფაქტი: ვთქვათ შეუქვეთეთ პეიზაჟი რომელიმე ნიჭიერ მხატვარს. მხატვარმა თქვენი დავლება შეასრულა და წარმოადგინათ უბრწყინვალესი სურათი. მოდის თქვენთან უცნობი კაცი და ამტკიცებს, რომ მხატვრის მიერ განსახიერებელი პეიზაჟი არაა სრულყოფილი. უნდა შევქვეთო შეამზობს თქვენთან მოსული უცნობი, და გაჩვენებთ ბუნებრივ პეიზაჟს, რომელთანაც თქვენი მოწონებული მხატვრის ნამუშევარი გამოჩნდება, როგორც ყალბი ანარეკლი. თქვენ ფეხდაფეხ გაჰყვებით უცნობს. ჯერ კიდევ შორი მანძილიდან უცნობმა ხელით მიგითითათ მის მიერ ნაქებ ბუნების პეიზაჟზე. თქვენც მოგწონთ შორიდან დანახული სივრცე და ეჭვი გეპარებათ მხატვრის ძლიერებაში. მაგრამ აი თქვენ უკვე ათი ნაბიჯილა დაგრჩენიათ ნაქებ ლანდშაფტამდე. შეხედით ტყეში. თქვენ ხედავთ დიდიხნის ქაობს და ყნოსავთ ქაობის ამშორებულ სუნს. კოლოები დაგოწყებენ კბენას, ფეხს წამოკრავთ იქვე მოჭრილ ხეს; გინდათ გაიაროთ გზა, რომ მოსცილდეთ ამ სისძაგლეს, მაგრამ გზა ეკლიან ბარდს გადაუღობავს, გზაზე სიარულის დროს ეკლება გიჩხვლეტენ სხეულს. თქვენ ფიქრობთ, ნუ თუ ეს იყო შორიდან ლამაზად მჩინარი პეიზაჟი. ამ ფიქრებში ვართუღს თქვენ მოგიახლოვდათ მეორე უცნობი და შეგიყვანათ ხელოვნურად გაკეთებულ ბაღში. თქვენ თვალს ახარებს პარმონიულად რიგზე განლაგებული ხეები. იქვე ხელოვნურად გაკეთებული სუფთა ტბა და ზედ მოცურავე გედი; შედიხართ უფრო ღრმად ხელოვნურ ტყეში, თქვენ ხედავთ მოშინაურებულ ირემს, შველს, რომლებიც თავისუფლად დანავარდობენ მოღზე. იქვე კურდღელი, ვარულელი იხვი და სხვა. აი უკვე ბაღის შუა ნაწილში ხართ და თქვენ თვალწინ აღიმართა ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — რომელიდაც დიდი მგონისა. ბაღის ბოლოს ამშვენებს უზარმაზარი სასახლე. თქვენ შედიხართ სასახლეში, იქ დავხვდათ მესამე უცნობი და გეკითხებათ: სად უფრო მეტი სიამოვნება მიიღეთ: მხატვრის პეიზაჟში, ხელოვნურ ტყეში თუ ბუნებრივ ლანდშაფტში? თქვენ უპასუხებთ: მხატვრის მიერ დაბატულმა პეიზაჟმა უფრო მეტი სიამოვნება მაგრძნობინა.

ამ მაგალითიდან სჩანს, რომ ხელოვნებისა და სინამდვილის კაუზალურ დამოკიდებულებაში მთავარ როლს თამაშობს არა ფორმალური დამოკიდებულება, რომელიც ხელოვნებას ხან მალა აყენებს ბუნებაზე, ხან კი დაბლა, არამედ იმის განმარტება, თუ სინამდვილისა და ხელოვნების ერთმანეთთან შეხვედრის მომენტში ხელოვანი რა ზომით უახლოვდება, ან შორდება სინამდვილეს.

ის, რაც პეიზაჟის შესახებ იყო ნათქვამი, შეგვიძლიან გავავრცელოთ ადამიანზე, როგორც ხელოვნების ცენტრზე. ხელოვნების ქეშმარიტ იდეალს რა კი ადამიანის სულის აშენება წარმოადგენს, ეს სული გაშლილ და გაფართოვებული უნდა იქნას იმ დროის მიხედვით, რომელმაც განსაზღვრული მიმართულება მისცა ამ სულს. მაგრამ ხელოვანი ამ სულის გამოხატვის მომენტში ასაწერ საგანს უნდა უახლოვდებოდეს ვარკვეული მანძილით. დამლუპველია გამოსახატავი ობიექტისადმი, არა მართო დაშორება, არამედ ზედმეტი დაახლოება.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პარმონიულობა და მთლიანობა ჰქმნის მშვენიერებას, როგორც ხელოვნების იდეალს. სად არის მშვენიერების წარმომავლობი მიზეზი? რა თქმა უნდა არა იქ, სადაც კანტი ეძიებდა. კანტის განმარტებით მშვენიერება სარგებლიანობისა და ინტერესის სფეროს გარეშე სდგას. მაგრამ თუ გონების თვალთ დაეკვირდებით ქვეყანას, ადამიანებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ მშვენიერების ცნების კანტისებური გაგება არასამართლიანია. ცხადია რომ მშვენიერებას არ უნდა შეეხედოთ, ისე როგორც ვაძლომისა და შე-

მოსავლის წყაროს; მაგრამ ხელოვნური ნაწარმოები, რომ მშვენიერად იყოს, იგი პირველ რიგში უნდა ეთანხმებოდეს ადამიანის სულს. მშვენიერების იდეალი სრულყოფილად იმ ნაწარმოებებში გამოჩნდება, რომელშიც გარეგანი გამოვლინების ფორმა ადეკვატური იქნება გამოსახატავი საგნის სუბსტანციისა. რაფაელის მადონები მშვენიერნი არიან იმიტომ, რომ მხატვარმა გენიალური ინტუიციით მოძებნა დედის ფიზიონომიის ისეთი ფორმა, რომელიც ადეკვატურია სულიერი სიღრმის გამოხატულებისა. რაფაელის მადონები გამოხატავენ მშობელი დედის ბედნიერ, ნეტარ, მხიარულ და იმავე დროს ღვთაებრივ ნათელ და მშვიდ სიყვარულს შვილებისადმი. აი, აქ არის წყარო მშვენიერებისა, როგორც ხელოვნების იდეალის.

იგივე ითქმის ჰომეროსის აქილესზე და რუსთაველის ტარიელზე. როდესაც აქილესის კარავში მის მიერ მოკლული ჰექტორის მამა — პრიამოსი შედის — აქილესი ატირდება, საყვარელი ქალის დაკარგვით გამოწვეული მძაფრი გრძნობის გამოვლინება ავთანდილის წინაშე — ტარიელს აცრემლავს. რატომ სტირია ეს უშესანიშნავესი ვაჟაკები? აქილესის ცრემლი პრიამოსის მისვლამ გამოიწვია, რადგანაც პრიამოსმა მას საკუთარი მამა გაახსენა. ტარიელის ცრემლი ძველი სულიერი ჭრილობების ხელახლა გახსნამ წარმოშვა. აქილესისა და ტარიელის აცრემლებულ თვალებში სრულყოფილად გამოჩნდა მათი სულის შინაგანი ტკივილები. ამბობენ, ცრემლი არ შეშვენის ვაჟაკსო; ეს რაღაც აღირებული მოთხოვნილებაა! ცრემლი, რომელიც გამოჩნდება სერიოზული და თავშეკავებული ვაჟაკის თვალებში, ღრმა გრძნობასა და განცდას იწვევს.

ასეთი გზით წარმოიშვება მშვენიერების იდეალი.

უკანასკნელად გვინდა შევეხოთ ხელოვნებითი ნაწარმოების შეფასების მონეტს და ამით ჩვენს მიერ დასმული კითხვები, ასე თუ ისე, ამოწურული იქნება.

სტალინური ეპოქა ხელოვნებისაგან მოითხოვს, რომ მასში თავისი ცხოველმყოფელი გამოხატულება ჰპოვოს ჩვენი დროის ადამიანებმა. აღიარებულია, რომ დიდი მასშტაბით ხელოვნების ფორმტი ამ ამოცანას ჯერჯერობით ვერ ასრულებს. აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ; რაც შეიძლება მეტად გავზარდოთ პასუხისმგებლობის გრძნობა თვითულ შემოქმედში. მაგრამ პასუხისმგებლობის ზრდის მაგიერ, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ამ გრძნობას ასუსტებს თავისი გულგრილი დამოკიდებულებით. პირველყოვლისა იმიტომ, რომ ლიტერატურული კრიტიკა ხელოვნებას არ უყურებს თვით ხელოვნების შიგნით მომქმედ კანონების თვალსაზრისით. ამ საესებით სამართლიან თვალსაზრისიდან კრიტიკა გადავიდა ცალმხრივ თემატურ თვალსაზრისზე, როდესაც მწერალი ფასდება მხოლოდ თემატკით. ასეთი შეფასების დროს დაეიწყებულა ხელოვნების ინტერესები და ხშირად უნიჭო მწერალი იმიტომ, რომ ნაწარმოებში დაამუშავა ახალი თემა, წინარიგებში ჰყვება. დღეს, როდესაც ხარისხისათვის ზრძოლა მთელი სიმკვეთრით დააყენა ჩვენს წინ პარტიამ და ხელისუფლებამ, საჭიროა ხელოვნების ყოველი მოვლენა ფასდებოდეს იდეური და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, ე. ი. ხელოვნების კანონების თვალსაზრისით.

ჩვენ წინაშე ამრიგად მთელი თავისი სიდიადით კვლავ სდგება შემოქმედებითი ფსიქოლოგიის პრობლემა, რომლის კანონ-ზომიერი გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა ძველი, ანტაგონისტური დამოკიდებულების მაგალითით შემოქმედებასა და სინამდვილეს შორის, არამედ იმ ჰარმონიული დამოკიდებულებით, რომელიც დამყარდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ — ერთის მხრით ხელოვნების მთელ ფრონტსა და მეორეს მხრივ სოციალისტურ სახელმწიფოს ინტერესებს შორის.

ივანე ზაიხველაშვილი

ქრწანისის ომი

სამხედრო-ისტორიული ნარკვევი

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნარკვევი „ქრწანისის ომი“ წარმოადგენს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის მიერ წარმოებული გმირული თავდაცვითი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდის გაშუქების ცდას.

მომე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში მცხოვრებ ხალხთა ისტორიულ წარსულში ამგვარი ხასიათის ომების მთელი წყება დიდხანია სპეციალური დამუშავებისა და შესწავლის საგნად გადაიქცა. საფუძვლიანად არის შესწავლილი და მშრომელთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომად დამუშავებული პოლტავის ბრძოლა, ყირიმის ომი, რუსეთ-ოსტრეტიის ომები და სხვა. რევოლუციამდელი დიდი რუსი სარდლების სუვოროვის, კუტუზოვის, ბაგრატიონისა და სხვათა წინამძღოლობით მომქმედი მხედრობა, რომლის ძირითადი მასა ექსპლუატირებულ მშრომელთაგან შესდგებოდა, სამაგალითოდ სჯიდა უცხოელ დამპყრობლებს. ამ ისტორიული გაცეთილების შესწავლა და გათვალისწინება ამაღლებს ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან ოკტომბრის რევოლუციით განთავისუფლებულ ხალხთა საბრძოლო სულს. საესებით საფუძვლიანი პატრიოტული სიამაყის გრძნობით ქქნიან ბედნიერი საბჭოთა ხალხები კომუნისტურ საზოგადოებას, ახალ-ახალი, უფრო გრანდიოზული წარმატებების მოპოების უწყევი რწმენით მიდიან წინ ბრწყინვალე მომავლისაკენ.

„ქართველი ხალხის მრავალსაუკუნეიანმა ისტორიამ, მძიმე უბედურებათა და ხიფათებთან ერთად, როცა საქართველო იფერჯლებოდა ხანძრების ალში განადგურებული და დამონაეებული მრავალრიცხოვანი მტრების განუდევნელი ურდოებისაგან, იცის აგრეთვე ბევრი ბედნიერი და სასიხარულო დღე, როცა ხალხი სდევნიდა თავის მტრებს, როცა უძველესი ქალაქი თბილისი, საქართველოს გული და დედაქალაქი, ხელახლა იმართებოდა ნანგრევებიდან და საყოველთაო, საერთო სახალხო ზეიმი ქარიშხალივით ედებოდა საქართველოს შთიან ხეობებსა და ვაკეებს“ (ლ. პ. ბერია—1938 წლის 13 მაისს თბილისის მშრომელთა სამასიათასანი მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან).

საქართველოს გულის, თბილისის, დაცვისათვის უთანასწორო და სისხლისმღვრელ ბრძოლაში კრწანისის ველზე ქართველმა მხედრობამ სახელოვანი სიკვილი არჩია ნაძრახ სიკაცხელეს—ირანელ დამპყრობელთა აუტანელად მძიმე და ბარბაროსული ჩაგვრის უღელქვეშ ყოფნას.

ამ ბრძოლის მზადებისა და დინამიკის მრავალი აუცილებელი დეტალი გაუშუქებული და ბუნდოვანია. რამდენადაც უხვად მოიპოვება წყაროები ამ დეტალების გაშუქებისათვის, იმდენად დიდია წინააღმდეგობა მათ შორის, იმდენად შორს მივეყვართ ამ წყაროების მონაცემებს შორის არსებულ სხვადასხვაობასა და გაუგებრობას.

ასეთ პირობებში ამ ნარკვევის ყველა ეტობისა და ენუქულის აბსოლუტურად ზუსტ მოხაზულობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. შეეუდებოთ რა ჩენი განზრახვის განხორციელებას, ეხელმძღვანელობდით ჩენი თვალსაზრისით უფრო სანდო და სრული წყაროებით, მაგრამ ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად მზარი არ აგვიკცევია მეორეხარისხოვანი წყაროებისა და პირადი შეხედულებების გამოყენებისათვისაც.

ანანურში შეხიზნვის შემდეგ ერეკლე რამდენიმე დღე ხმაამოკლებლად იჯდა ოთახის კუთხეში, პირით კედლისაკენ, ცხვრის ტყავგადფარულში, საკმელს არ იკარებდა, პირს არავის უჩვენებდა. ოთხმოც წელს შეფუყვულ მოხუცი ლომი უხილავი ცეცხლით იწვოდა. თავს არ სწევდა მაღლა. ზრთოჭრის მსხმ კმთიებული თვალი მაშინვე წააწყდებოდა ცეცხლსა და მახვილს მიცემულ დედა-ქალას. იგი თრთოდა და ბორჯავდაჟ თითქოს მის სხეულსაც სერავდა შორს, ბედის ანაბარად მიტოვებულ თბილისში მოქნეული სისხლიანი ხმალი ირანელებისა...

ამაო იყო წუბილი: ამაო იყო ცდაც მტანჯველი ფიქრებისაგან თავის განთავისუფლებისა...

რამ გამოიწვია ეს უბედურება? როგორი იყო საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება კრწანისის პერიოდში? რატომ დამარცხდა ქართული მხედრობა? აი კითხვები, რომელთა გაშუქებაც ამ ნარკვევის დანიშნულებას შეადგენს. ცოტანი როდი იყვნენ ისინი, ვინც ქართველ მხედართა ამ საზარელი მარცხის მიზეზების ახსნას ცდილობდა მეტად უაზრო და უსაფუძვლო, ხშირად უაღრესად ვაზუიადებული წერილმანებით. ასე, მაგალითად, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქო თბილისის აოხრება რამდენიმე ჯაშუშის ბნელი საქმიანობის შედეგი იყო, და სხვ.

საკითხის ამგვარად გაშუქებას მკითხველი მიჰყავს ძალზე მანე და შემცდარ დასკვნებამდე, რითაც თავის დროზე ქართველი ხალხის მოსისხლე მტრებზე სარგებლობდნენ. თბილისის დაცემა ბუნებრივი შედეგი იყო საქართველოს ირგვლივ და მის ზონით შექმნილი პოლიტიკური ამბებისა. სულ სხვა საქმეა თბილისის ბედის გადაწყვეტის ცდა რამდენადმე სხვაგვარ პირობებში. მაგალითად, ექვს ვარეშად, რომ თბილისიც ისეთივე აუღებელ სიმაგრედ იქცეოდა როგორც იყო შუშა აღა-შაჰმად-ხანის არმიისათვის, თუ კი მის დასაცავად, სულ მცირე, 10 — 15 ათასი მეომარი მაინც მოიყრიდა თავს... ერეკლეს განკარგულებაში რომ მოზრდილი არმია ყოფილიყო, იგი არც კრწანისის ველზე გადასწყვეტდა ბრძოლის მიღებას, არ მოემწყვდებოდა სალი კლდეებით შემორტყმულ ვაკეზე და სადმე წინ, სამხრეთში, თავისებური სისწრაფითა და გონებაშახილური მანევრით აუბნევდა გზაკვალს ირანელებს. მაგრამ რა საფუძველი აქვს ასეთ ვარაუდებს?

ამ ნარკვევში შეძლებისადაგვარად არის გაშუქებული თბილისის დაცემის წინაპირობები, თვით კრწანისის ბრძოლის დინამიკა და თბილისის დაცემის შედეგები და მნიშვნელობა.

1. საქართველო — სახურადღებო სტრატეგიული კოზიციია.

კავკასიის ყელის შუაგულში მდებარე საქართველო (ოგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო) საუკუნეთა მანძილზე იქცეოდა სამი უზარმაზარი მეზობლის — თურქეთის, ირანისა და, ბოლოს, რუსეთის — მმართველთა ყურადღებას, მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველოს საზღვრები თბილისიდან თითქმის ყველა მიმართულებით თანაბრად იყო დაშორებული. ჩრდილოეთის სასაზღვრო ხაზს შეადგენდა: მამისონის უღელტეხილი, მყინვარის ჩრდილო განშტოებები, შატალის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 25 — 30 კილომეტრზე მდებარე პუნქტები, დიკლოს მთა; აქედან აღმოსავლეთის საზღვარი: კავკასიონის ქედი, ბელეჩნის სიახლოვეს დასავლეთით მდებარე პუნქტები, აღაზანი მტკვრის შესართავებამდე; სამხრეთის სასაზღვრო ხაზი: მტკვარი ძეგამამდე, სევანის ტბის ჩრდილო ნაპირები, ბამბაკის ქედის სამხრეთის კალთები, გუმბარი; დასავ-

ლეთის საზღვარი: გუმბრი, თაფარაენის ტბა, ბორჯომის დახველეთით 30 კილომეტრამდე მდებარე პუნქტები, სურამის ქედი, მამისონის უღელტეხილი.

სამხრეთიდან ერთ მხარეს (დასავლეთ ნაწილში) საქართველოს სამხრეთი ჰქონდა ახალციხე-ახალქალაქი, ზოლო მეორე ნაწილში (აღმოსავლეთით) მნიშვნელოვნად იყო გაფართოებული ვანჯა-ერევნის სახანოების ხარჯზე (ყაზახი, ბამბაკი, შამშადილი).

საქართველო, თავისებური ბუნებრივი სახელმწიფო თურქეთსა და ირანს შორის, რომლის გასრვისათვისაც დიდხანია იბრძოდა კავკასიის ყელზე ბატონობის ეს ორი მეტოქე, არაერთხელ გადაქცეულა საომარ მოქმედებათა ასპარეზად. ამასთან როგორც ირანს, ისე თურქეთს ერთი და იგივე პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა: ირანს ყოველთვის ავიჭრებდა თურქეთის წინსვლის საკითხი კასპიის ზღვისაკენ, ზოლო ეს უკანასკნელი დაბეჯითებით ცდილობდა არ დაეშვა ირანის განმტკიცება კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

მე-18 საუკუნის დასაწყისიდან უფრო და უფრო აშკარაა ვიხივით რუსეთის მისწრაფება — დაუფლოს კასპიის ზღვის სანაპიროებს, გზა გაიკვლიოს სპარსეთის უზბეკებს (ინდოეთის ოკეანისაკენ), და თავისი პირველი დიპლომატიური თუ სამხედრო ღონისძიებათა ცდებისთანავე საქართველოს საკითხს წინა პლანზე სვამს. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ფრიად სერიოზული ხასიათი მიიღო და ირანისა და თურქეთის მმართველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

რუსეთის ჯარის კავკასიის ზაზი თანდათან ეშვებოდა სამხრეთისაკენ. კავკასიის გადაულახავი მთების შემოვლა და ამიერკავკასიაში დამკვიდრება მხოლოდ კასპიის სანაპიროებიდან ხერხდებოდა, რაც სრულიადაც არ იყო საქმარისი ფართო მასშტაბის ოპერაციების წარმოებისა და კომბინაციებისათვის. რუსი ხელისუფალნი უკვე ეძებენ უხიფათო გადასასვლელს კავკასიის ქედზე. დგება საკითხი დარიალის კლდეკარის გამოყენებისა და საქართველოში გარკვეული საომარი პლაცდარმის შექმნის შესახებ. საქართველოს მნიშვნელობა, როგორც პლაცდარმისა, მდგომარეობდა იმაში, რომ რუსი მხედრობის საექსპედიციო კორპუსი თბილისიდან მტკვრის გასწვრივ გაშლილი საბრძოლო მოქმედებით მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ირანის არმიის ფართასა და ზურგს და ამით უზრუნველყოფდა კასპიის მხრიდან მომდგარი ჯარის წარმატებას ირანის არმიასთან ბრძოლაში. ამავე დროს საქართველოში დაჯგუფებული ჯარი უფრო სახერხო პოზიციას იკავებდა თურქეთის ზურგშიც.

თქმა არ უნდა, სხვა არავითარი პოლიტიკური მიზნებით არ მოქმედებდნენ რუსი მონარქები, მაშინაც კი, როცა კეთილმეზობლობასა და ერთმორწმუნობაზე ჰქონდათ მიწერ-მოწერა.

ამავე დროს რუსეთის ჯარისათვის არა თუ ღია იყო დარიალი, — ქართველები დატინებითაც კი თხოულობდნენ რუსეთისაგან სამხედრო დახმარებას, ყოველნაირად ცდილობდნენ, არწმუნებდნენ რუს მეფეებს, რომ საქართველოში ბევრი რამ იყო მათთვის საინტერესო და სახარბიელო. რუსეთის მმართველებს არასოდეს არ სჭირდებოდათ ზანგრძლივი მოლაპარაკება და დიპლომატიური სიმახვილის გამოჩენა ქართველი მეფეების დაყოლებისათვის, ეს უკანასკნელნი ყოველთვის დიდს მოუთმენლობით მოელოდნენ რუსთა მძლავრი ბატალიონების გამოჩენას დარიალში, სჯეროდათ, რომ იმპერატორები მათი მფარველობისათვის ჰქმნიან სწრაფად და თავს იტყუებდნენ. უკანასკნელი ქართველი მეფეები ყოველთვის მზად იყვნენ რუსებთან ერთად თავგანწირულად ეომნათ თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ გენერლებს ალუთქვამდნენ სურსათით მომარაგებასა და ბინების მოწყობას ჯარისათვის.

პეტრე დიდმა, ისარგებლა რა ქართველთა ამ თავაზიანობით, 1722 წელს ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში გამოსვლა და დახმარება მოსთხოვა ვახტანგ მეექვსეს. ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ აცნობა თანახმობა და სასწრაფოდ შეუდგა თავისი ჯარის მობილიზაციას. პეტრე დიდი ითვალისწინებდა საქართველოში, საიდანაც ქართველებთან ერთად გაილაშქრებდა ირანელთა წინააღმდეგ მტკვრის ხეობით. არაფერს არ ვიტყვით ამ ლაშქრობის შედეგებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსეთის ამ იმპერატორმაც თავისი განზრახვის შესრულებისთანავე კვლავ ბედის ანაბარა, ირანის პირისპირ დასტოვა ვახტანგ მეექვსე და დავიწყებას მისცა საქართველო.

ზემოთ ვთქვით, რომ იმპერატორმა პეტრემ რუსი მხედრობით ირანის წინააღმდეგ გაილაშქრა. მაგრამ არსებითად იგი ირანის ინტერესების დამცველად გამოვიდა თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც, სარგებლობდა რა ირანის შინაური საქმეების არე-დარევით, კასპიის ზღვისაკენ ცდილობდა გაფართოებას. ირანი არა თუ მზად არ იყო თურქეთისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, არამედ მისი ზოგი პროვინციის მმართველი პირდაპირ ეპარტივებოდა თურქეთს. პეტრე დიდმა არჩია დაესაჯა ირანის ეს ხანები, ვიდრე თურქეთი დაპატრონებოდა მათ საზანოებს, რადგან თურქეთთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნებოდა რუსეთისათვის მომავალში, ვიდრე ირანთან. და აი ამ მიზნის მისაღწევად ფეხზე აყენებენ საქართველოს. შემდეგ კი, როცა თურქეთმა მოხსნა კასპიის ზღვისაკენ გალაშქრების საკითხი, პეტრე დიდმაც გადაწყვიტოვად ჩასთვალა ყველაფერი, ისევ მიატოვა საქართველო.

სწორედ ასეთი დასასრული ჰქონდა რუსეთ-თურქეთის პირველ ომსაც. ამ შემთხვევაშიაც ეკატერინე მეორე მოუწოდებს ერეკლესა და სოლომონს აღზდნენ თურქეთის წინააღმდეგ. ორივე ქართველი შეფე ახლაც დაუყოვნებლივ აღზდვა, თუმცა ერეკლემ შინაც გამოსთქვა ეპეი — კვლავ მარტონი ხომ არ დაერჩებით ომის დამთავრების შემდეგაო. საქართველოში ჩამოვიდა გენ. ტოტლებენი ჯარით. ტოტლებენს დავალებული ჰქონდა გაეყეთებინა რუსეთის საქმე ქართველთა სხეულით, ე. ი. ჩაება ქართველობა თურქეთთან ომში და ამგვარად შეემსუბუქებინა ბალკანეთში რუსეთის ჯარის მდგომარეობა თურქეთთან ბრძოლაში. ამ ჯერადაც თურქეთის წინააღმდეგ საქართველოდან მომქმედი საქსპედიცია კორპუსის დანიშნულებას შეადგენდა თურქეთის ყურადღების დაქსაქსვა დივერსიით ამიერ-კავკასიის მხრიდან.

რუსეთის შეფეები თავიანთ ომებში თურქეთსა და ირანის წინააღმდეგ არა მარტო სარგებლობდნენ საქართველოთი, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული საყრდენი პუნქტით, მისი მხედრობითა და არსებული მატერიალური საღსრებით, არამედ თავისუფლად სწვევდნენ საქართველოს ცალკეული კუთხეების ბედილბალს, დაუკითხავად აცლიდნენ ნაწილებს და უთმობდნენ ირანსა და თურქეთს, ხოლო ომის დასასრულ ბედისანაბარა სტოვებდნენ მას, დავიწყებას ეძლეოდა უზვი აღთქმებიც. ასეთი ბოლო ჰქონდა, სხვათა შორის, რუსეთ-თურქეთის პირველ ომს. რუსეთმა მიიღო უფლება თავისუფალი და უკონტროლო ნაოსნობისა დარღვევებში, ხოლო საქართველომ ტერიტორია დაუთმო თურქეთს.

საერთოდ კი რუსეთის ჯარის გამოჩენამ საქართველოში, ხოლო 1783 წელს საქართველოს მიერ რუსეთის მფარველობის ოფიციალურმა აღიარებამ შეაფვოთა არა მარტო თურქეთი და ირანი, არამედ ერეკლესთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ხანები, რომელნიც, სარგებლობდნენ რა ირანის შინა-

ური საქმეების არევე-დარევეთ, დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ და ბატონს სცემდნენ ერეკლეს.

მუქარის წერილებს სწორდნენ ერეკლეს თურქეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეთა ლეხი ან კიდევ ათასნაირი დაპირებით ცდილობდნენ ხელს შეწყობისთვის მისთვის რუსეთთან კავშირზე, მაგრამ ჯერჯერობით არც ირანსა და არც თურქეთს არ ეცალათ სერიოზული სამხედრო ღონისძიებების ჩატარებისათვის. 1783 წლის ტრაქტატში გათვალისწინებული ჯარი რუსეთიდან მართლაც ჩამოვიდა თბილისში. ამ მოვლენამ გვიან მოიყვანა გონს მეზობელი სახელმწიფოები, თუმცა, როგორც ვთქვით, საამისოდ არავის ეცალა.

მიუხედავად მოსალოდნელი მწვევე შეჯახებებისა რუსეთისა და თურქეთის ან რუსეთისა და ირანის ჯარებს შორის საქართველოს ტერიტორიაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ირანისა და თურქეთის მოსალოდნელ გამოლაშქრებაზე კვლავ მარტოდ დარჩენილ საქართველოზე, როგორც რუსეთის ხელის შემწყობზე ამიერკავკასიაში, ერეკლე მაინც დაბეჯითებით ამავრებდა და ამრავლებდა რუსეთთან კავშირის ყველა ძაფსა და ძარღვს...

ასეთი მოქმედებისათვის ერეკლეს ახლა თითქოს ყველა საფუძველი ჰქონდა: ტრაქტატის რატიფიცირებული ფურცლები და შეპირებული ჯარი არტილერიით. მაგრამ სრულიად მოულოდნელად 1787 წლის ოქტომბერს ეს ჯარი უკანვე გაიწვიეს, ხოლო მეზობლებ-მოძულეებული საქართველო კვლავ მარტოდ დარჩა. რუსმა მოხელეებმა ეს მოვლენა განმარტეს სურსათის, ნაკლებობით და საერთოდ ჯარის შენახვისათვის არახელსაყრელი პირობებით, ნამდვილად-კი ასეთი მცირე ჯარის გაწვევის მიზეზი შორიდან მომდინარეობდა. 1787 წლის 26 ივლისს თურქეთმა კატეგორიული მოთხოვნა წაუყენა რუსეთის ელჩს ბულგაკოვს საქართველოზე რუსეთის პროტექტორატის გაუქმებისა და თურქეთის კონტროლის აღდგენის შესახებ რუსეთის ნაოსნობაზე დარღვევებში. თურქებმა ბულგაკოვი დააპატიმრეს და შეიძლოა იქნებ დაამწყვდიეს. მათ მართლაც ჰქონდათ საფუძველი გაემწევაებინათ მდგომარეობა: რუსეთი ამ წელს სცდილობდა შეექმნა სამთა კავშირი თურქეთის წინააღმდეგ (საფრანგეთი-ავსტრია-რუსეთი, შემდგომში ესპანეთი), ხოლო ინგლისმა, ისარგებლა რა ამით, აამხედრა თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისისავე წაქეზებით რუსეთის წინააღმდეგ ომის თადარიგს შეუდგნენ პრუსია, შვეცია და პოლონეთი. ინგლისი თავის მხრივ საკუთარ საქმეებს აწესრიგებდა: საქირო იყო რუსეთ-საფრანგეთის გავლენის ზრდის შეჩერება ევროპის კონტინენტზე. ამ რთულსა და მძიმე ვითარებაში თურქეთმა თამამად წარუდგინა ზემოაღნიშნული მოთხოვნა რუსეთის ელჩს. ამავე წლის 13 აგვისტოს უკვე დაიწყო რუსეთ-თურქეთის მეორე ომი. რუსეთი სრულიად მოუშზადებელი შეხვდა ამ ომს. მოუსაგლიანობამ ხომ უფრო ვაართულა მდგომარეობა. სწორეთ ამ ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარი თბილისიდან. ზემოთ დავინახეთ, რომ რუსი გენერლები წინა ომებში საქართველოდან აწყობდნენ დივერსიებს; ახლა პირიქით მოიქცნენ. მიზეზი ამისა მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი წინა ომებს თვითონ იწყებდა, როცა საამისოდ მოშზადებულად სთვლიდა თავს, ხოლო ახლა იგი ძალაუფლებურად ჩაება ომში. საქართველოდან ჯარის გაწვევა თურქეთის მოთხოვნის ერთ-ერთი პუნქტის დაკმაყოფილებას ნიშნავდა, რაც თავისებურ დიპლომატიურ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ ღონისძიებამ ვერ გასჭრა, პრუსიის დიპლომატიის წარმატებული მოქმედების შედეგად თურქეთი შეკავებულ იქნა ზავის დადებისაგან, თუმცა აღარც რუსეთმა დაი-

1) „Историк марксист“, № 3, 1939 წ.

ხია უკან, სუფოროვის სარდლობით რუსეთის ჯარმა გასტეხა თურქეთის ძლიერება სწორედ მაშინ, როცა საფრანგეთში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ იფეთქა — 1789 წელს.

ამ დღიდან ვითარება ძირ-ფესვიანად იცვლება, მტრულად ურთობილ სახელმწიფოთა შორის დაიწყო არსებული წინააღმდეგობა. ყველამ საფრანგეთისკენ იბრუნა პირი. ეკატერინეც ამ დღიდან თავის მთავარ ამოცანად სთვლიდა „ბრძოლას ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ საფრანგეთში“.¹ რაც თვით ეკატერინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „საფრთხის ქვეშ აყენებდა ყველა მონარქს“².

ამ პერიოდში რუსეთს არა თუ ერთ ეცალა საქართველოსთვის, იგი დიდ სიფრთხილესაც კი იჩენდა, რათა რაიმე ახალ კონფლიქტს არ ეჩინა თავი თურქეთთან და ირანთან კავკასიის პოზიციებზე, თუმცა დავიწყებას არ მისცემია ეს მხარე: 1791 წლის 14 დეკემბერს ეკატერინე ეუბნება თავის მდივანს ხრაპოვიცკის: მე თავს ვიტყბ, რათა როგორმე დავძრა ვენისა და ბერლინის სასახლეები საფრანგეთის საქმეებისაკენ, რომ თვითონ მე ვიქონიო ხელეები თავისუფლადო³).

1793 წელს-კი რუსეთმა გასწავიტა დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთთან და დაიწყო მზადება ბურჟუაზიულ საფრანგეთზე ლაშქრობისათვის. და მხოლოდ 1796 წლის 19 თებერვალს მოიხედა ეკატერინე მეორემ კავკასიისაკენ — იგი სწერდა კავკასიის ჯარის სარდალს, რომ ევროპაში ეს-ეს არის მოვაწესროვეთ საქმეები და ახალ აზიის მიწებისაკენაც მოვმართავეთ ჩვენს ყურადღებასო. მაგრამ ამ დროისთვის თბილისი დიდხნის აოხრებული იყო ალა-მაჰმად-ხანის მიერ.

ჩვენ განგებ გავცდით კრწანისის დღეებს, რათა მკრთალად მაინც შემოგვხაზა ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა იმ დროინდელი ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში და რაც ასე თუ ისე დაკავშირებულია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებთან. ამ ფონზე კრწანისის ბრძოლა ერთის შეხედვით მეტად მკირე მაშტაბის მოვლენად მოსჩანს, ასეც არის, მაგრამ იგი, როგორც შედეგი კავკასიის ყელზე ბატონობისათვის წარმოებული კიდილისა უდიდეს სახელმწიფოებს შორის, დიდი ყურადღების ღირსია.

ასევე არაფერი არა ვთქვით ირანის შესახებ, რადგან საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ამ პერიოდში იგი არავითარ ყურადღებას არ იქცევდა, გარდა იმისა, რომ ირანით, როგორც კოლონიური ჩაგვრის მომავალი ობიექტით, დიდად დაინტერესებული იყვნენ, რუსეთთან ერთად, ინგლისი და საფრანგეთი. ამავე დროს, ითვალისწინებდნენ რა კავკასიის გზების უდიდეს სარგებლიანობას, ეს სახელმწიფოები რუსეთის მმართველთა ღონისძიებების პარალელურად საქართველოშიც ამოწმებდნენ ნიადაგს დამკვიდრებისათვის. ასე, მაგალითად, 1785 წელს ბათომში გამოჩნდა ინგლისელ მოხელეთა — სამხედრო პირთა და მეზღვაურთა — მთელი რაზმი, „გაიცნეს“ მათ მეგრელები, გურულები, შეისწავლეს ამ მხარეების ეკონომიური მდგომარეობა და გასატანად ვარჯისი საქონელი⁴. თითქოს ამის საპასუხოდ აქვე მალე გამოჩნდნენ რუსები; 1790 წელს

¹) „История СССР“ (Краткий Курс), გვ. 78.

²) „Записки Екатерины Великой“, გვ. 55.

³) „Историк марксизм“, № 3, 1939 წ.

⁴) „საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები“, გვ. 26.

კვლავ ჩამოვიდა ბათომში ინგლისელების მოზრდილი ჯგუფი, 1795-98 წლებში ინგლისელები უკვე გურულ ქალებსა და ვაყებს ყიდულობდნენ¹⁾ და სხვა. ეს ღონისძიება ცხადია, აღიზიანებდა როგორც რუსეთის, უკვე არაფრისა და თურქეთის მმართველ წრეებს და დიდის დაეინებით ცდილობდნენ. სტამბულისათვის ერომანეთისათვის უკეთესი პოზიციების დაკავებაში, რათა შემდეგ, როცა ევროპა მიწყნარდებოდა, არც ისე მძიმე შრომა დასჭირებოდათ გადაწყვეტი წარმატების მოსაპოვებლად.

2. ირანი, სამპარტიველო, რუსეთი

1747 წელს ნადირ-შაბი გარდაიცვალა და ირანის შაჰობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ დიდი და პატარა, მძლავრი და უღონო ხანები (ირანის პროვინციების მმართველები). სამი წლის დაუნდობელი შინაური ბრძოლის შემდეგ მეტოქეთაგან დაწინაურდა ყველაზე მძლავრი ქერიმ-ხანი. მან დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და 29 წლის განმავლობაში განაგებდა ირანს ისე, რომ შაჰობა მაინც არ მიუთვისებია, იგი უბრალოდ, ირანის მმართველად აცხადებდა თავს. ქერიმ-ხანის მოწინააღმდეგენი მეზობელ ქვეყნებში შეიბიზნენ, ხოლო ყველაზე მძლავრი მეტოქე მაჰმად-ჰუსეინ-ხანი (ალა-მაჰმად-ხანის მამა) მთელი გვარით თურქმენეთს შეეფარა. 1761 წელს მაჰმად-ჰუსეინ-ხანი გარდაიცვალა, ხოლო მისი შვილები, მათში ალა-მაჰმად-ხანიც, დაბრუნდნენ სამშობლოში, შეწყნარების თხოვნით წარსდგნენ ქერიმ-ხანის წინაშე. ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ყველა მათგანს ასტრახადი მიუჩინა საცხოვრებლად, გარდა ალა-მაჰმად-ხანისა; იგი დააპატიმრა და საპყრობილეში ჩასვა, როგორც ყველაზე სახიფათო პიროვნება ყაჯართა გვარიდან. ახალგაზრდა ალა-მაჰმად-ხანი ქემირხანს აღრევე შენიშნული ჰყავდა, როგორც ფრიად მოხერხებული და უნარიანი ადამიანი იგი გარკვეული გავლენითაც სარგებლობდა ქერიმ-ხანის მოწინააღმდეგეთა შორის, ამიტომ მისი თავიდან მოშორება აუცილებლად მიაჩნდა.

6 წელიწადს დაჰყო ციხეში ალა-მაჰმად-ხანმა და მხოლოდ 1779 წელს, ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ, მოახერხა განთავისუფლება და ტახტისათვის ბრძოლის განახლება. იმავე წელს თანამოაზრეთა შემწეობით ასტრახადში გაბაგრდა, ხოლო 1781 წელს დაამარცხა გედაერთ-ხანი და გააძევა კიდევ იგი გილიანის პროვინციიდან.

აქედან იწყება მისი განუწყვეტელი ომები ხანების წინააღმდეგ.

სწორედ ამ გააფრთხილებული შინაური შეტაკებებისა და არეულობის დროს, 1781 წლის ივლისში, ასტრახადის უბეში გამოჩნდა რუსეთის საზღვაო ესკადრა მეორე რანგის კაპიტნის გრაფ ვოინოვიჩის უფროსობით. რუსეთის ზღვისუფალთ გადაწყვეტილი ჰქონდათ ესარგებლათ ირანის შინაური აწეწილობით და კასპიის ზღვის სანაპიროზე მოეწყობათ საკომერციო ახალშენი. უკეთესი მომენტის შერჩევა მართლაც რომ შეუძლებელი იყო. ალა-მაჰმად-ხანმა ეს მოულოდნელი ამბავი ერთის მხრით უარყოფითად მიიჩნია, ხოლო მეორე მხრით სასარგებლოდ ჩასთვალა, რადგან მის მტრებს შეეძლოთ ალა-მაჰმად-ხანის მოკავშირეებად წარმოედგინათ რუსები და დათმობაზე წასულიყვნენ. ხელმძღვანელობდა რა ამ თვალსაზრისით, ალა-მაჰმად-ხანმა რუსებს ნება დართო მოეწყობათ ახალშენი, მაგრამ, როგორც კი ოდნავ მოიმგრა წელი, იმავე წლის დეკემბერში, გადასწყვიტა გაედევნა რუსები კასპიის ზღვიდან. ჩვეულებისამებრ ალა-მაჰმად-ხანმა ახლაც უეცრად გატეხა თავისი სიტყვა: გრაფი ვოინოვიჩი

¹⁾ იმავე.

მთელი ამალით მიიპატიეა, ტყვედ ჩაიგდო, მიუჩინა მცველებმა და სარის ციხისაკენ გაუყენა გზას. ამასთან რუსებს შეუთვალა, დაუყოვნებლივ აეროლიყენენ და რუსეთის დაბრუნებულებიყენენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვეებს არ გაანათავისუფლებდა. რუსები იძულებული გახდნენ დათმობაზე წაქედიყვიყვნენ...

ხუთი წლის დაუტბრომელი ომების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა დაამარცხა შირაზისა და ქირმანის ხანები, ისინი უწყალოდ აწამა თავისი სასახლის წინ და 1785 წელს თეირანში შევიდა.

ამ დღიდან იგი განუწყვეტლივ ემზადება რამდენიმე ათი წლის წინათ ირანის მორჩილებაში მყოფ სახანოების დაბრუნებისათვის. ამასთან, პირველყოვლისა, საქართველოსკენ ეჭირა თვალი¹. 1791 წელს ალა-მაჰმად-ხანმა დაამარცხა ჯაფარ-ხანი, დიაჰყო ერავი და მალე აზერბეიჯანში შევიდა, სადაც იგი რუსეთის ინტერესებს უნდა შესჯახებოდა.

ალა-მაჰმად-ხანი კარგად იყო გარკვეული რუსი მონარქების მისწრაფებაში — დამკვიდრებულებიყენენ კასპიის ზღვის სანაპიროებზე და საქართველოში. ცხადია იცოდა აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის შესახებ და მოელოდა რუსეთის ჯარის ხელახლად გამოჩენას საქართველოში. ყოველივე ამან განსაზღვრა მისი მოქმედების ხასიათი — საიდუმლოდ ჩაეტარებინა ლაშქრობის სამზადისი, მოულოდნელად დასცემოდა საქართველოს, რათა დაესწრო რუსეთის ჯარის შემოსვლისათვის. ჯერ კიდევ 1794 წელს მან უზრუნველყო ყველა პირობის შექმნა თბილისზე გამოლაშქრებისათვის, დასძრა უზარმაზარი არმია და შეიჭრა ყარაბაღში, მაგრამ შუშის ხანმა, რომელიც ამ დრომდე ერეკლეს ერთგულად რჩებოდა, სასტიკად დაამარცხა ალა-მაჰმად-ხანის ჯარი და ჩაუშალა თბილისზე გამოლაშქრების გეგმები².

ამ მარცხმა უარესად გააღიზიანა ალა-მაჰმად-ხანი. იგი დარწმუნდა, რომ ამიერკავკასიაში უფრო სხვაგვარად იყო საქმე, რომ თვით მდინარე არაქსამდე სწელებოდა რუსეთის ხელი და გავლენა. ამიტომ საჭირო იყო უფრო სწრაფი და გადამწყვეტი ნაბიჯები. იმ დიდი მზადების შესახებ, რომელსაც ალა-მაჰმად-ხანი აწარმოებდა ახალი ლაშქრობისათვის, თუმცა კანტი-კუნტი, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელი ამბები მოჰქონდათ მოქარავენ ვაჟრებს, სამწუხაროდ, ამ ცნობებიდან, მეფისა და მის ერთგულთა მცირე წრის გარდა, ბევრს არაფერი არა სჯეროდა. საფიქრებელია, რომ იმავე ვაჟრებს საქართველოდან თეირანშიც მიჰქონდათ უფრო ზუსტი ცნობები.

ერეკლე მეორეს-კი სათანადო დასკვნები გამოჰქონდა ირანის იმ ამბებიდან, რასაც უკანასკნელ წლებში ჰქონდა ადგილი; ალა-მაჰმად-ხანის ხელით ირანი თანდათან ერთიანდებოდა, ფეხზე დგებოდა, ხოლო ყოველივე ამას არ შეიძლებოდა საფრთხე არ შეექმნა ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ფაქტიურად დამოუკიდებელ საქართველოს არსებობისათვის.

ჯერ კიდევ 1792 წელს ერეკლეს თხოვნით მოუმართავს რუსეთის იმპერატორისათვის — კვლავ შემოეყენათ 1787 წელს თბილისიდან გაყვანილი ჯარი მაგრამ, როგორც შემოთ აღენიშნეთ, რუს ხელისუფალთ ამ პერიოდში საჭიროდ არ მიაჩნდათ „დივერსიები“ და კონფლიქტები კავკასიის ფრონტზე. ეკატერინე მეორემ ერეკლეს თხოვნის საპასუხოდ შემდეგი აცნობა გენერალ გულოვისს: „საქართველოში ჯარის გაგზავნა სასურველად არ მიგვიჩნია ვიდრე საამისოდ ზელსაყრელი პირობები არ შეიქმნება, ამაზე წინასწარ არც კი უნდა

¹) „Исторический очерк кавказских войн от их начала до присоединения Грузии“.

²) „Исторический очерк кавказских войн от их начала до присоединения Грузии“.

ვიფიქროთ, სანამ არ მოეწყობა ხაზი, არ დაეყრდნობა იგი მტკიცე საფუძველს¹⁾ (ლაპარაკია კავკასიის ჯარის ხაზზე). იმავე დროს ეკატერინე მოუთხოვდა გუდოვიჩს, რათა მოსყიდვის, დაპირებებისა და სხვა საფუძველზე გადმოებირებინა დერბენტის, ბაქოს, შირვანისა და ყარაბაღის²⁾ ჩინებამდამდე ამით ხელი შეეშალა ირანის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის. ეს ღონისძიება ალკილბეგელი იყო რუსეთის მიზნების განხორციელებისათვის მომავალში. ირანის მოღონიერება — კი სრულიადაც არ შეეფერება რუსეთის მმართველთა განზრახვას კავკასიის ყელზე და კასპიის ზღვის ნაპირებზე დამკვიდრებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. და თუ ალა-მაჰმად-ხანი მაინც ახერხებდა დაქსაქსული სახანოების შემომტყეობას, თავის მხრით ეკატერინეც ცდილობდა ეს მოვლენა როგორმე გამოეყენებინა თავისი საქმეების წარმატებისათვის. ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

განაგრძობდა რა რუსეთის თვალწინ რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო გეგმების განხორციელებას, ალა-მაჰმად-ხანი ცდილობდა დაერწმუნებინა რუსეთი, რომ იგი წინააღმდეგი არ არის კეთილგანწყობილებისა, და თითქოს ამის დასადასტურებლად ერთგვარ მფარველობას უწევდა ირანში ჩასულ რუს ვაჭრებს. გილანში მათ ნება დართო მოეწყობა სავაჭრო სახლები და საწყობები უფრო ადრე კი, 1792 წელს, ამ განწყობილების დასადასტურებლად და სხვა სახელმწიფოებრივი ურთიერთობის საკითხების მოსაწყობად ალა-მაჰმად-ხანმა ელჩები გაგზავნა გიორგიევსკში გენ. გუდოვიჩთან, საიდანაც შემდეგ ისინი იმპერატორს უნდა წარსდგენოდნენ პეტერბურგში, მაგრამ გუდოვიჩმა არა სცნო ალა-მაჰმად-ხანი, როგორც ირანის მზრძანებელი, და არც ელჩების რწმუნებები, და უკანვე დააბრუნა ისინი. ამ ამბავმა უარესად განაჩინა ალა-მაჰმად-ხანი და უფრო ბეჯითად შეუტია ურჩ ხანებს. ყველა მათგანს მორჩილების ნიშნად მიჰევალნი მოსთხოვა, რაზედაც ცივი უარი მიიღო. მხოლოდ დერბენტის ხანმა გადასწყვიტა დაეცმაყოფილებინა შაჰის მოთხოვნა. ამ ხანს ალა-მაჰმად-ხანი ბევრ რამეს ჰპირდებოდა.

ერეკლე მეორემ, რომელიც ყოველივე ამას ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, 1793 წლის პირველ მარტს პეტერბურგში მყოფ შვილს მირიანს წერილი გაუგზავნა და სთხოვა მიეღო ყოველი ზომა, რომ რუსეთს დახმარება აღმოეჩინა ერეკლესათვის³⁾.

რუსეთიდან 1794 წელს კვლავაც უარით უპასუხეს ერეკლეს. გაზაფხულზე ერეკლემ კვლავ მიავლინა იმპერატორის კარზე გარსეევან ჭავჭავაძე. ალა-მაჰმად-ხანს ერეკლეს ამ საქციელის შესახებ დაწერილებით ცნობები მისდიოდა და იგი გააფთრებული ემზადებოდა სალაშქროდ.

უკანასკნელად, 1795 წლის მისში, ერეკლე მეორემ კიდევ გაგზავნა, ელჩის სახით, გიორგიევსკში გენერალ გუდოვიჩთან მოსალაპარაკებლად ამილახვარი. ერეკლე სწერდა გუდოვიჩს, რომ იმპერატორის დაუხმარებლად შეუძლებელია ალა-მაჰმად-ხანის ჯარის მოგერიებაო. გუდოვიჩმა მხოლოდ მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ 1787 წელს საქართველოდან გამოყვანილ იქნა რუსეთის ჯარი. „ეს ჯარი მეფის დაჟინებით გამოიყვანეთ უკან, განუცხადა გენერალმა ამილახვარს, — მეფე დაბეჯათებით ამტკიცებდა ჩვენი ჯარის გამოყვანის საქროებას მისი სამფლობელოებიდან... რა გამოვიდა მერე? რომ ჩვენი ჯარი თბილისში იყოს, მაშინ ჭალაქს არავითარი საშიშროება არ მოელოდა. ახლა კი, არ შემძლია საქართველოს დასაცავად არც ერთი პოლკის გაყვა-

¹⁾ „Исторический очерк кавказских войн от их начала до присоединения Грузии“ გვ. 264.

²⁾ Дубровин. „История владычества русских на Кавказе“, гл. 8-9.

ნა“¹ გუდოვიჩმა პეტერბურგს გაისტუმრა ამილახვარი. ამ დროს ალა-შაჰმად-ხანი უკვე შუშისთან იყო დაბანაკებული და მისი იერიშისათვის ემზადებოდა.

რუსეთის სატახტო ქალაქიდან მხოლოდ 1795 წლის 4 სექტემბერს (ე. ი. ქრწანისის ბრძოლის დაწყებამდე 5-6 დღით ადრე) მოაღწია ვახტანგ გუდოვიჩმა იმპერატორის რესკრიპტმა: „ვალდებული ვართ ქართლისა და კახეთის მეფე, — სწერდა ეკატერინე. — როგორც ჩვენი ვასალა დავიცვათ, ჩვენი ღირსებისა და ინტერესების შესაბამისად, მის წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმებისაგან. მისი შეთანხმება შუშის ხანთან და მათი საერთო მოქმედება ძალიან გააძნელებს ალა-შაჰმად-ხანის შორეულ წარმატებას, მაგრამ, რათა უფრო გავაძლიეროთ ქართლის მეფე მოუსვენარი ადამიანის წინააღმდეგ. ნებას გაძლევთ აღმოუჩინოთ აღნიშნულ მეფეს ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება — გაუფხავოთ ორი ქვეითი ბატალიონი, რომელთაც, ჩვეულებრივად დაწესებულ ქვემეხებას გარდა, გამოუყავით არტილერიიდან წინათ შეპირებული რამდენიმე ქვემეხი... ხოლო მდგომარეობის და თქვენი საუკეთესო მოსაზრების მიხედვით, შეგიძლიანთ დაუშაბოთ კიდევ ორი ბატალიონი, ოღონ გაფრთხილდით, რათა აღნიშნული ჯარი ტყუილ-უბრალოდ არ დაიღუპოს შორეულ შხარეში, ამასთან, ადამიანების დაკარგვასთან ერთად, სახელი არ გაუტყდეს ჩვენს იარაღს“²)

რესკრიპტის შემდგომ ნაწილში უკვე აშკარად მოსჩანან არა საქართველო, არამედ კასპიის ზღვა და მისი სანაპიროები, რომლებიც დასაპყრობლადაც, თუმცა არა თანმიმდევრობით, მაგრამ მტკიცედ მიიწევდნენ რუსი დამპყრობელნი: პირველი, — განაგრობდა ეკატერინე, — მან (ალა-შაჰმად-ხანმა — ი. შ.) უნდა შესწყვიტოს თავისი ღონისძიებანი კასპიის ზღვის სანაპიროებზე მდებარე ოლქებისათვის და ჩვენი სკიპტრის ქვეშევრდომი მფლობელთადმი, რომელთაც აქ ზუსტად დავასახელებთ: უპირველეს ყოვლისა — ქართლის მეფე, ხოლო შემდეგ ტარკოს შაშხალი, კარაკაიტალის ურშია, დერბენტის, ბაქოს, ტალიშის, აგრეთვე შუშისა და სხვა ხანები, რომლებიც აზერბაიჯანში იმყოფებიან. მეორე განაწესის სათანადო და პარტიდებითი პასუხა, და უკეთუ მოხდება შეთანხმება საზღვრებისა და სხვათა შესახებ, მაშინ შეუძლიან გამოგზავნოს ჩვენზე წარმომადგენლობა, რის სამავიეროდ ჩვენც წარუგზავნით წარმომადგენლობას“³).

¹) Исторический очерк“, ч. I, гл. 263—264.

²) „Царя Карталинского и Кахетинского, яко вассала нашего, сходно с собственными нашим достоинством и интересами, обязаны мы защищать противу неприязненных на него покушений. Согласие его с шушинским ханом и общее их действие много возспособствуют в затруднении дальних успехов Ага-Магомет-Хана; но дабы и паче усилить царя Карталинского против сего беспокойного человека, дозволяем, чтобы вы подали помянутому царю пособие, положенными по трактату с ним двумя батальонами пехоты, к которым сверх обыкновенных орудий отделить несколько из артиллерии, прежде ему обещанных... Смотри же по обстоятельствам и по лучшему вашему соображению, можете присовокупить и другие два батальона, остерегая только, дабы оные не были напрасно жертвою в отдаленности, и тем при потере людей не подвергнулась предосужденно чести оружия нашего“. („Историч. очерк кавказских войн...“, стр. 266).

³) Во-первых, чтобы он прекратил свои предприятия на области к Каспийскому морю прилежащая и на владетелей, скиптру нашему подвластных, именуя тут точно, во-первых, царя Карталинского, а потом Шахмаза Тарковского, урмия Каракайтатского, ханов дербентского, бакинского, талышского, так же шушинского и других, в Азербайджане находящихся; во-вторых, чтобы učinил приличный и почтительный отзыв и если по взаимным соглашениям положено будет о границах и о прочих, то и может тогда отправить ко двору нашему посольство, во взаимство коего так же и от нас получит“. („Исторический очерк кавказских войн“, стр. 266).

დასასრულ, ეკატერინე უფრო აზუსტებს თავის მითითებებს გუბლოჩინისადმი, საიდანაც სჩანს, რომ მას სრულიადაც არ აწუხებს საქართველოს ბედი:

„ალა-მაჰმად-ხანისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია მოსართონ-ბაღდადსა და სამხრეთით მდებარე თურქეთის სხვა სამფლობელოებს და შით უფრო ჩქარა მოიპოვოს სარგებლობა და დიდება; შეიძლება იმედი იქონიოს რუსეთის კეთილგანწყობალებზე, ხოლო ვითარების მიხედვით მის (რუსეთს) მხარის დაჭერაზედაც დივერსიითურთ, რაც შემოჭავს ოტამანის მონარქიის თითქმის მთელ ძალებს და გაუადვილებს თავისი მიზნის მიღწევას.“¹⁾

ალა-მაჰმად-ხანის მიბრუნება თურქეთისაკენ არა მარტო გადავიღებდა რუსეთის დამკვიდრების საქმეს კასპიის ზღვის სანაპიროებზე, არამედ უდიდეს სამსახურსაც გაუწევდა მას თურქეთის წინააღმდეგ ომში. მაგრამ რუსეთის დიპლომატიის ცდები ამაო გამოდგა; ალა-მაჰმად-ხანი არჩევდა ტრადიციულად ირანის მორჩილი სახანოების დაბრუნებას. მას აზრებითარი საფუძველი არ გააჩნდა თურქეთის წინააღმდეგ ვალაშქრებისათვის, რასაც ეკატერინე ურჩევდა. იგი ვერაფრით ვერ ამართლებდა ამიერკავკასიაში მდებარე სახანოებას დათმობას რუსეთისათვის. პირიქით, მან საბოლოოდ გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ დაემორჩილებინა შუშის, განჯის, ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები, არ შემოეშვა რუსეთი ამიერკავკასიაში და სამავალითოდ დაესაჯა უპირველეს ყოვლისა ერეკლე, რომელიც ასეთი დაბეჯითებით მოათხოვდა რუსეთის ჯარის ჩამოსვლას ამიერ-კავკასიის ყველაზე მნიშვნელოვან უბანში.

თ ა ვ ი მ ი ო რ ა

1. მართული ჯარი

ისეთი გაწვრთნილი მუდმივი ჯარი, როგორც იმავე პერაოდის ევროპის სხელმწიფოებში გვხვდება, საქართველოში არ ყოფილა. 1773 წლიდან ერეკლე დაბეჯითებით ცდილობს შექმნას რეგულარული ჯარი. ამ წელს მოუწვევიათ საქართველოს წარჩინებულთა თათბირი მუდმივი ჯარის შექმნის საკითხის განსახილველად. თათბირს დადებითი შედეგები მოჰყოლია. მომდევნო წელს უკვე გამოქვეყნდა ერთგვარი განაწესი მუდმივი ჯარის შენახვის წესების შესახებ. აღრიცხვაზე იქნა აყენილი ყველა მამაკაცი, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. მემართა მთელი ეს რაოდენობა თორმეტ ნაწილად იქნა გაყოფილი. მორიგეობით ხდებოდა მათი გაწვევა და შეიარაღება. დასაწყისში საქმე მართლაც კარგად წავიდა, თვეში 4-5 ათასი კაცი გამოდიოდა „სამორიგოდ“, თვით ბატონიშვილებიც ხალისით გამოდიოდნენ „მორიგ“ ჯართან ერთად. „მორიგე“ ჯარი საქართველოს საზღვრებს ფხიზლად სდარაჯობდა და მედგრად იგერიებდა მძარცველებს. მუდმივი ჯარის შექმნის სიკეთე მალე დაეტყო ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობას. ალაგმეს ლეკები, რაშიც განსაკუთრებით ისახელა თავი ბატონიშვილმა იულონმა, დაბრუნდნენ მთებში შეხიზნული მცხოვრებნი, გამოცოხლდა აწიოკებას მუდმივი შიშით ჩამკვდარი ცხოვრება დაბა-სოფლებში. იმატა სახელმწიფოს შემოსავალმაც: 1769 წელს თუ წლიური სახელმწიფო შე-

¹⁾ Ага-Магомед-Хан всего удобнее может обратиться к стороне Багдада и к другим турецким владениям к югу лежащим, и тем скорее преуспеть в пользе и славе своей, что может надеяться на благоприязненное России расположение; смотря же по обстоятельствам, и на деятельную ей помощь диверсиено, которая одна занимая все почти существующие силы оттоманской монархии, облегчит ему способы к достижению своей цели“.. („Исторический очерк кавказских войн...“, стр. 266).

მოსავალი 150 ათას მანეთს უდრიდა, 1785 წლისათვის შემოსავალმა 400,000-ს მიაღწია. ¹⁾

„მორიგეობა“ შემდგომ წლებში თანდათან მისუსტდა. ნამდვილი რეგულარული ჯარის შექმნისა და შენახვისათვის არ იყო ყველა პირობა.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მტკიცე ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი მმართველობა. ფორმალურად თითქოს ასეთი რამ არსებობდა საქართველოში: მეფე იყო აბსოლუტურად უფლებამოსილი, მაგრამ ფაქტიურად ძალზე ნაკლებად მოიპოვებოდნენ ისეთი ფერდალები და თვით მეფის ჩამომავალნიც კი, რომელნიც ასეთად სთვლიდნენ მეფეს. თუმცა მარტო ბატონიშვილებისა და დიდგვაროვანთა კაპრიზებით არ აიხსნება საქართველოს გაერთიანების ერეკლესული იდეის ჩაშლა. ასეთი გაერთიანებასათვის არ არსებობდა სხვა საფუძველი, თუ არ გარეშე მტრებისაგან თავის დაცვის აუცილებლობა; მარტო ამ საბაზით კი, თუნდაც მოხერხებულყოფილი გაერთიანება, მეტად ხელოვნური, არაბუნებრივი და ხანმოკლე უნდა ყოფილიყოს იგი. ასეთი გაერთიანებაც მხოლოდ მაშინ ხდებოდა შესაძლებელი, როცა მძლავრი მეზობელი სახელმწიფოები, შინაგანი რღვევისა და არეულობის გამო, ყურადღებას არ აქცევდნენ საქართველოს. ²⁾

ქართველებს „არ შეეძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეების განმავლობაში ომობდნენ ურთიერთ შორის და ანადგურებდნენ ერთმანეთს, უსისიანებდნენ ერთიმეორეს სპარსელებს და თურქებს. სამთავროების ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და ეს ერთიანება ჩქარა ინგრეოდა თავადების ენეიანობით და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების პირობებში“ ³⁾.

ამ იღბლიან მეფეთა შორის, სამწუხაროდ, არ შეიძლება ვიგულისხმოთ სახელოვანი ერეკლე, — მისმა დაუცხრომელმა მოღვაწეობამ და ბრძოლამ საქართველოს გაერთიანებისათვის ამაოდ ჩაიარა...

შემდეგ, ნამდვილი მუღმივი ჯარის არსებობისათვის საჭირო იყო ძალზე მტკიცე ეკონომიური ბაზა. საჭირო იყო შენობები, სურსათი, ტანსაცმელი, უფროსთა კარგი კაღრები და სხვ. ყოველივე ამის შექმნა და მოწესრიგება წარმოუდგენელი იყო სამთავროებად დაქუცმაცებულ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველო იყო.

ერეკლე მეორეს ყველაზე უკეთ ესმოდა ამ პირობის უდიდესა მნიშვნელობა: იმავე 1774 წლის აპრილში მან რეგულარული ჯარისათვის აუცილებელი საარსებო ბაზის შესაქმნელად სესხი სთხოვა რუსეთს. სესხთან ერთად ერეკლე ჯარით დახმარებასაც სთხოვდა რუსეთს. უმკველია მეფეს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ქვეყნის დაცვის საქმეში რუსეთის ჯარის გამოყენების გარდა ფრიად სასარგებლო იქნებოდა ამ ჯარის მართვისა და წრთვნის გამოცდილების

¹⁾ ს. კაკაბაძე: „საქ. ისტ. ახალი საუკუნეების ეპოქა“, გვ. 212.

²⁾ ზ. ივლიშვილი: „Присоединение Грузии к России“, გვ. 3.

³⁾ ი. სტალინი: „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, თბილისი,

გადმოღებაც. მაგრამ რუსეთს არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ერთგულს თხოვნა, რადგან იმ დროისათვის მას ზავი ჰქონდა დადებული თურქეთთან და საქართველოს საქმეებში ჩარევა უხერხული იყო. ¹⁾

„მორიგეობის“ სისტემა მალე სრულიად გაუქმდა. ამგვარი ^{ეკონომიკური} ცდარჩა ისევ ძველი, მეტად უფარგის წესები ჯარის შეგროვებისა: გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლის შემთხვევისათვის ბატონიშვილებისა და სხვა დიდგვაროვანთა დაძაბებაზე თავს იყრიდა მხედრობა. ეს მხედრობა თავისი სარდლებით მეფის განკარგულებაში იყო. საფუძვლიანი მომზადებისა და მობილიზაციის მარჯვედ ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელი იყო 40 ათასი მეომრის გამოყვანა.

2. შეიარაღება, მართვა, დისციპლინა, სიმაგრეები

ქართველი მხედრობის ძირითადი მასა ცხენოსანი ჯარისაგან შესდგებოდა. მეომრები საკუთარ ცხენებზე ისხდნენ, „თავისი იარაღით და ნუშლით გამოდიოდნენ“. ის მოქალაქენი, რომელთაც ცხენები არა ჰყავდათ, ჯარის ქვეითა ნაწილს შეადგენდნენ. მეომარი შეიარაღებული იყო თოფით, დამბაჩით, ხმალით და ხანჯლით. გარდა ამისა, ყველა თოფიან მეომარს მშარილოვებ ჰქონდა სავაზნე. ხმარებაში იყო აგრეთვე ფარი, ჯაჭვის პერანგი, ჩაფხუტი, სამკლავე, სამუხლე და სხვა. ზოგი ახალგაზრდა უთოფოდ გამოდიოდა (ვისაც არ გააჩნდა), სამაგიეროდ მას ჰქონდა კომბალი ან სხვა უბრალო იარაღი, ერეკლეს არტილერია, როგორც სწერს თავის დროზე საქართველოში მყოფი მოხელე ბურნაშოვი, თუმცა არც ისე მძლავრი ყოფილა, მაგრამ შიშის ზარს მინც ცეცმდა მეზობლებს, რომელთა უმრავლესობას არტილერია სულ არ გააჩნდა. ზარბაზნების ჩამოსასხმელი თბილისში მთელი ქარხანა იყო. თბილისშივე არსებობდა თოფების და თოფისწამლის ქარხნები. იარაღის მკეთებელ ოსტატთა შორის ბევრი რუსი ხელოსანი იყო, რომლებიც დეზერტირების სახით დარჩნენ თბილისში, როცა აქედან გაიწვიეს ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარი (1787 წ.). ზარბაზნები ურმებით დაჰქონდათ და ძალზე პრიმიტიული სამართავი მექანიზმებით იყენებდნენ ალქურვილი.

ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ერეკლეს არტილერიას თბილისის დაცვისას, თუ კი მისი მოსამზახურე პერსონალი რამდენადმე ხანგრძლივ წვრთნას გაივილიდა. 34-35 ზარბაზანი, რომელიც ერეკლეს განკარგულებაში იყო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, საესებით საკმაო იყო თბილისის დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ მხედრობაში ბევრი იყო არტილერიის საქმის კარგი მცოდნე. თვითონ ერეკლემ, თავისი დროის უდიდესმა მხედართ-მთავარმა ბრწყინვალედ იცოდა არტილერიის გამოყენების ყველა წერილმანი, მაგრამ შეუძლებელი იყო თვითონ და გამოცდილ არტილერისტთა მცირე ჯგუფი გასწავლოდა ყველაფერს ბრძოლაში და მხარე და ხელშემწყობი დიდებულთაგან არც ისე ბლომად მოეპოვებოდა...

ამ დროისათვის თავდაცვითი მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებიდან აღსანიშნავია: თბილისის სიმაგრე — ნარიყალა, გორის ციხე, მცხეთა თავისი გალავანით, ანანურის ძველებური სიმაგრე, სურამის ციხე, სიღნაღის დიდი ბურჯებიანი გალავანი და მრავალი სხვა.

ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის მოხელეებს განზრახული ჰქონდათ საქართველოში ახალი ციხე-სიმაგრეების აგებაც. ამ მიზნით შემოუვლიათ სა-

¹⁾ ს. კაკაბაძე: „საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა“.

ქართველო, შეუსწავლიათ პირობები, მაგრამ კვალიც არსადა სხანს ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობაა. ¹⁾

ეს სიმაგრეები აგებული იყო სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებში, მტრის შემოსევის საგზაოდ მიმართულებებზე, მთავარ გზებზე და ქვეყნებში. ასე, მაგალითად, ნარიყალა ელობებოდა ირანიდან შემოსეულ ურდოებს, გორისა და სურამის ციხეები ბორჯომის ხეობით თურქეთიდან მომავალ გზებს დაჰყურებდნენ, ანანური და მცხეთა ჩრდილოეთიდან მომავალი მტრისაგან დაცვისათვის იყო ნავარაუდები, ხოლო სიღნაღს ციხე-გალავანი, რომელშიაც ჯარის გარდა მოსახლეობასაც შეეძლო შეფარება, ლეკთა მოუსვენარი ბანდებისაგან ქიზიყისა და კახეთის ნაწილის დაცვისათვის იყო გათვალისწინებული.

ამ სიმაგრეებს შოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ თავდაცვითი ომების უკიდურეს შემთხვევებში იქ იკეტებოდა ქართველი ჯარი, ხოლო შორეული ქვეყნებიდან შემოსეული მტერი უარტილეროდ ვერ ასერხებდა სიმაგრეების აღებას, და ვიდრე ქართული ჯარი დაუხარალებელი რჩებოდა, არც საქართველოს დამარცხებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. ერთადერთი ხერხი, რის შემწეობითაც შეიძლებოდა სიმაგრეების გატეხა, იყო მომარაგების ბაზებისაგან ციხის მოწყვეტა ხანგრძლივი ალყის შემორტყმით. სამწუხაროდ, სწორედ ეს იყო ქართველი ჯარის ყველაზე მტკივნეული ადგილი: სურსათის ცენტრალიზებულ მომარაგებაზე თითქმის სულ არ ზრუნავდნენ. პირველმა რუსმა სამხედრო თუ დიპლომატიურმა მოხელეებმა კი, რომელნიც დასაზვერად ჩამოდიოდნენ ერეკლეს კარზე, მაშინვე სურსათის არსებობის საკითხებზე დაიწყეს მუშაობა და სულ მალე დაასკვნეს, რომ ქართველ ჯარში არ იციან მომარაგების საქმე. უწყესრიგოდ გამოაქვთ სოფლებიდან. ვისაც რა მოხვდება ხელში და სწაობდნენ, რის გამო ხშირად შიმშილობენო. ამასთან შესაძლებელი სიზუსტით გამოარკვევენ ისიც, თუ რა პროდუქტები მოიპოვებოდა საქართველოში და როგორი რაოდენობით შეიძლებოდა ჯარის მომარაგება. ²⁾

უქმველია სიმაგრეებში ჩაკეტილ ჯარისათვის სურსათისა და ტყვია-წამლის გარკვეული მარაგი მზადდებოდა წინასწარ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა იმდენი, რამდენიც გასწვდებოდა ციხეებში გამაგრებულ ჯარს ხანგრძლივი ალყის შემთხვევაში. ცხადია, კარგად გრძნობდა თვითონ ერეკლე თავისი არმიის ამ სუსტ მხარეს, ბევრსაც ზრუნავდა, მაგრამ მახვილი ვონების პატრონი ეს სახელმწიფო მოღვაწე გარშემორტყმული იყო ისეთი ადამიანებით, რომელნიც რამდენიმე საუკუნით ჩამორჩებოდნენ თანამედროვეობას. კარჩაეტილობა, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ მეფისწულებიც, დამლუბველად მოქმედებდა საქართველოს ბედ-იღბალზე.

ჯარის მართვის სისტემაც ისეთი იყო, როგორიც მობილიზაციის სისტემას შეეფერებოდა. არავის არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, თუ მხედრობის ესა თუ ის ნაწილი როგორ და რა სახის სამსახურში გამოიყენებოდა (არტილერია, ცხენოსანი, მშვერავები, მეციხოვნენი, შიკრიკები, მოკავშირენი და სხვა).

¹⁾ Бурнашев: „Картина Грузии“..

²⁾ „Хлеба достаточно, особенно в Казахах и Шамшадлах... пшена сорочинского изобильно; так же проса, ячменя и кукурузы; ржи и овса вовсе нет; хлопчатой бумаги достаточно; льна немного. сеют только на семена дая масла; шельку весьма много, только посредственной доброты“ (Бурнашев: „Картина Грузии...“, стр. 1-2). „Провиант не готовится: каждый идущий на войну, берет с собою сколько может, а оттого часто претерпевают голод; иногда бывает подвоз из Тифлиса, но редко, а потому на походе берут хлеб и прочее из селений без разбора“. (ibid. გვ. 195—196).

მხედრობის ძირითადი მასის წევრთა, რაც ევროპის სახელმწიფოებში ბრძენებში დადი ხნის დაკანონებული იყო, აქ არაეის აგონდებოდა კრწანისის წინა წლებში. ერთის შეხედვით არსებობდა ქართველი ჯარის უმაღლესი სურდლები და მასში თანამდებობებიც განაწილებული იყო. მაგრამ მოუწესრიგებლად დაუკუსტე-
მობის ნიშნები აქაც სჩანდა.

უმაღლესი სამხედრო მოხელე-სარდალი სულ სამი ყოფილა: ერთი კახეთი-დან (ხოლოყაშვილი), მეორე ქართლიდან (ამილახვარი) და მესამე სომხითიდან (ორბელიანი). ეს მოხელეობა მემკვიდრეობით გადადიოდა გეარის წარმომადგენ-
ლებზე. ამით მოსდევდნენ ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფრთების უფროსები, არტალერიის უფროსი, მეფის მხლებლები (უფროსები და უმცროსები), ათასე-
ულის, ხუთასეულისა და ასეულის მეთაურები, მხედროშეები და სხვანი. „თუმცა ყველა ესენი არსებობენ, მაგრამ ლაშქრობისას ისინი არასოდეს თავიანთ ადგი-
ლებზე არ არიან. ერთთავად ისინი მეფის ირგვლივ ტრიალებენ. მათი ხელქვეი-
თები თავიანთ ნებაზე დადიან და მწყობრში ყოველგვარი წესის გარეშე დგე-
ბიან, მათი ბანაკი წააგავს გლეხების ყრილობას დღეობაში. არა ჰყავთ მო-
წინავე რაზმები და ზურგის დამცველი ყარაულები, რის გამოც არ არის დამე-
რომ ცხენები, ზოგჯერ კი ადამიანებიც არ გაიტაცოს მოწინააღმდეგემ. ასევე ექ-
ცვიან ესენი თავიანთ მოწინააღმდეგეს. მხედრული დისციპლინა და უფროს-
უმცროსობა სრულიად არ არის, ამიტომ საკუთარ ადგილებისთვის ლაშქრობა
ძალზე გამანადგურებელია.“¹⁾

აქ შეიძლება ნაკლები მოთხოვნა წაეუყენოთ ქართულ ჯარს იმასთან შედა-
რებით, რასაც თუნდაც რუსეთის ჯარისათვის გავითვალისწინებთ, მაგრამ საქ-
მეც სწორედ იმაშია რომ საერთოდ ჯარისათვის წასაყენებელ ამ მინიმალურ
მოთხოვნასაც ვერ უპასუხებდა ქართველ ჯარის მართვის, ორგანიზაციისა და
შეიარაღების დონე... და მიუხედავად ამისა, ქართველი მხედრობის გმირობის
ხმა და სახელი ფრიად შორს იყო გავარდნილი. ქართველი გლეხი, პირველყოფ-
ლისა, ქირში იყო თუ ლხინში, სახლში თუ გარეთ ნიდავგ თან ატარებდა ია-
რალს, მარტოდ თუ რაზმში, ქვეითად თუ ცხენდაცხენ ყოველთვის მზად იყო
ჰკვეთებოდა მტერს და ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ დამარცხებული გა-
მოსულიყო ბრძოლიდან.

სად, რაში უნდა ვეძიოთ მიზეზი, ქართველი ხალხს გმირობისა და გამარ-
ჯეებისა, რამაც ასე შორს გაიტანა არა ერთი და ორი ქართველი გმირის ვაე-
კაცობის ამბავი.

ჩვენის აზრით ძალზე ზერეულ და მტკიცე საფუძველს მოკლებული იქნება
ქართველი მეომრის დიდი სიმამაცის ასახსნელად მარტო იმის თქმა, რომ მისი
წინაპრები თავიანთ სიცოცხლის ორ მესამედს ბრძოლებში ატარებდნენ, რომ
ტრადიციულად თაობიდან თაობაზე გადადიოდა იარაღის სიყვარულის აუცი-
ლებლობა, პატარაობიდანვე წრთვნიდნენ შვილებსა და შვილიშვილებს ხმლის,
ხანჯლის, თოფისა და დამბაჩის გამოყენებაში და სხვ. თუმცა არც ამის უგუ-
ლებელყოფა შეიძლება.

¹⁾ „Хотя все сие существуют, но не бывают никогда при своих местах, но всегда толпятся на походе при царе; подчиненные их бродят по своей воле и становятся без всякого порядка. Стан их (лагерь) подобен с'езду на торжищъ крестьян; передовых отрядов и отводных караулов не имеют, а оттого нет такой ноци. чтобы лошадей, а иногда и людей не похищали неприятели из лагерь, равно как и они у неприятелей своих тоже делают.. Строгости воинской и подчи-
нения вовсе нет, а потому собственным землям пребывание и поход войск край-
не разорителен“.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას შემდეგი: ისეთს ქვეყნებთან შედარებით, როგორც რუსეთი, თურქეთი და ირანი იყო, საქართველო მეტად უმნიშვნელო ტერიტორიას ჰქონდა და, მაგალითად, რუსეთის ან ირანის ჯარის სარდლებს შეეძლოთ დაეხმათ ქვეყნის ანთი ქვეყნის სიღრმეში, ასეულა კილომეტრობით და ამით მიინცადა მაინც დიდ საფრთხეს არ შეუქმნიდნენ თავიანთი ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებს, შეეძლოთ თამამად მიემართათ აქედან გამომდინარე ფართო მასშტაბის ოპერაციებისათვის. ქართველ სარდლებს არასოდეს არ ჰქონიათ ასეთი გასაქანი. ასეთი, მასშტაბით ტერიტორიის დათმობაზე წასვლა რა მიზნითაც არ უნდა მომხდარიყო ეს, საქართველოს დაღუპვას მოასწავებდა. ამიტომ ქართველი მხედრობის ბრძოლა ყოველთვის სწრაფი და თავბრუდამხვევი იყო, რათა ძალზე მცირე სივრცეზე და დროში გადაწყვეტილიყო ყველაფერი. სტრატეგიული თვალსაზრისით ამით და მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ქართველი სარდლებისა და მხედრების გმირული ომები დამპყრობელების წინააღმდეგ. აქედანვე გამომდინარეობდნენ ქართველი მხედართმთავრები თავიანთი ტაქტიკური ხერხების შემუშავებისას.

მაგრამ ქართველი გლეხკაცობის — ჯარის ძირითადი მასას გმირობისა და თავგანწირულების ასახსნელად სრულიადაც არ კმარა ეს საფუძვლები. ძირითადი ის არის, რომ თავდადებისა და სიმამაცისათვის საბაზს იძლეოდა ქართველი ხალხის მწარე გამოცდილება; მათ არა ერთხელ მოეხარათ ქედი დამპყრობთა მძიმე უღელქვეშ, არა ერთხელ მდგარან გადაგვარებისა და გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე. ეკონომიური და კულტურული დაკნინებისა და დაბეჩავეების მეტი არაფერი მოსდევდა სამხედრო დამარცხებას. ქართველი გლეხკაცობა, ქართველივე ფეოდალების მიერ უმოწყალოდ ექსპლოატრირებული, ორმაგი ყველთვისა და წამების მსხვერპლი ხდებოდა უცხოელთა სამხედრო გამარჯვების შედეგად. მარტო ეს სავსებით საკმარისი იყო ზღაპრული ვაჟკაცობის გამოსაჩენად თავისი საყვარელი მიწაწყლის დაცვისათვის ბრძოლაში, მაშინაც კი, როცა ერთ ქართველ მხედარზე ხუთი-ექვსი უცხოელი მოდიოდა.

პირველყოვლისა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნეიანი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარეობდა ბრწყინვალე შოთაც თავისი აფორიზმით: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

დასასრულ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველობა არასოდეს არ შესჯახებია ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მხედრობას. მას საქმე ჰქონდა მხოლოდ ირანისა და თურქეთის იარაღთან, ამ ქვეყნების არმიებთან, რომელნიც თავიანთი შეიარაღებით და მართვის სისტემით თითქმის არაფრით არა სჯობდნენ ერეკლეს ჯარს. პირიქით არტილერიით უკანასკნელ წლებში მაინც ქართველობა უკეთესად გრძნობდა თავს. ამგვარად, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ქართველი მხედრები ამ მოუსვენარ მეზობლებთან ბრძოლაში მხოლოდ რიცხოვნად ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს და არა ორგანიზაციით, გაწვრთნილობით, შეიარაღებით. ამასთან, იცადენენ არა თავიანთ მიწა-წყალს, ქართველი მხედრები მაგრა გრძნობდნენ თავს ზურგში: ისინი სარგებლობდნენ უშუალოდ ზურგში მყოფი ხალხის მხარდაჭერით, ციხეებით, კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას, მაშინ, როცა შორეული ადგილებიდან მოსული დამპყრობელნი თითქმის სრულიად მოწყვეტილი იყვნენ ზურგს, ვერ იყენებდნენ არტილერიას, არ იცნობდნენ კარგად ადგილ-მდებარეობას. ამიტომ გონებამახვილი ქართველი მხედრები ძალიან ხშირად კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებდნენ, ზოგჯერ ანადგურებდნენ კიდევ მრავალრიცხოვან მტერს.

ერეკლეს დროის ქართული მხედრობის ტაქტიკური ხერხების განმარტებისას შეუძლებელია რაიმე გარკვეული წესებისა და კანონების ჩამოყალიბება,

მით უმეტეს, რომ ასეთი საერთოდ აღიარებული სახელმძღვანელოს შიგნით არაფერი არ არსებობდა. ყველა სარდალი სარგებლობდა თავისი პირადი გამოცდილებით და გადმონაცემებით, ხოლო გამოცდალება საკმაოდ დიდი ქონდა ყველა მათგანს.

შეიძლება ითქვას, რომ ხელჩართული შეჯახება იყო დასაწყისი და დასასრული ყველა ბრძოლისა. თუ მოწინააღმდეგენი ჩვენს დროში ხელჩართულ ბრძოლამდე ახდენენ გამანადგურებელ ზეგავლენას ერთმანეთზე (არტილერია, ავიაცია, ტყვიამფრქვევები, ჯავშნოსხები) და იერიშის მომხეტისთვის ფრიალ შელახულია ორივე მხარე, იმ დროს ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ შეჯახებამდე რაიმე საგულისხმო დანაკლისი ჰქონოდათ მოწინააღმდეგე მხარეებს. იერიში და ხელჩართული ბრძოლა ყოველთვის ფიცხელი და სისხლისმღვრელი იყო. მაგრამ, ცხადია, მაშინაც ხელჩართულ ბრძოლას წინ უსწრებდა სათანადო ზეერვა ორივე მხრიდან. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს სისტემატურად ადევნებდნენ თვალყურს აგენტური ზეერვითაც.

ამ დიდმნიშვნელოვან სამსახურს ფრიალ ოსტატურად ასრულებდნენ ვაჭრები, რომელნიც გამუდმებით მოგზაურობდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორპირობასაც ხშირად ეჭებოდა ადგილი: ყალბი ცნობების წარდგენა შეცდომაში შესაცვანად, ერთგულების ნიღბით საყურადღებო სამხედრო საიდუმლოების გამოტყუება და სხვა. მით უმეტეს, რომ ყველა თვალსაჩინო ვაჭარი თითქმის ყოველთვის მეფის ან მეფისწულების კართან ძალზე ახლო იდგა და შინაურულად ტრიალებდა მათს წრეში. ერთი ასეთი „ვაჭართავანი“, არტემ ასტეცაკატურის ძე არარატაიანი 1813 წელს გამოცემულ მოგონებებში სწერს: ბატონიშვილი გიორგი იმდენად იყო დამოკიდებული ვინმე მათეოსის ჯიბეზე (სიღნაღში) და ამ უკანასკნელს ისე თამამად ეჭირა თავი მას სასაბლეში, რომ გიორგი არც ისე იშვიათად პირდაპირ მისი მითითების საფუძველზე ლეზულობდა ზოგაერთ გადაწყვეტილებასო. იმავე არარატაიანს თავის მოგონებებში ერთი საინტერესო ეპიზოდი აქვს გადმოცემული: 1795 წლის სექტემბრის დასაწყისში, ე. ი. მაშინ, როცა აღა-მაჰმად-ხანი იალღუჯს იყო მომდგარი, თვითონ არარატაიანი ქალაქ გარეთ გავიდა, აბანოებისაკენ, რათა ირანიდან მომავალ ქარავანს შეხვედროდა და, როგორც თვითონ ამბობს, როგორმე შემოეპარებინა ეს ქარავანი თბილისში (ბაეის ვადაუხდელად). მაგრამ აქ იგი შეიპყრეს თურმე ქართველმა ჯარისკაცებმა, რომელნიც კრწანისთან იყვნენ თავმოყრილნი მტრას დასახვედრად, დააკრეს ზარბაზანზე და უმოწყალოდ სცემეს, თმა ავლოჯეს და ციხეში ჩაადგეს. არარატაიანი ამბობს რომ მე ქართული არ მესმოდა, გარდა ერთი სიტყვის: „ჯაშუშისაო“. ამ სიტყვას ჰყვიროდნენ და კეტებს მირტყავდნენო. იმავე დღეს არარატაიანის განთავისუფლების შესახებ განკარგულება მიეცა ციხის უფროსს. არარატაიანი აღიარებს, რომ მე ამ საქმეში დამეხმარა ერთი დადი თბილისელი ვაჭარი, რომელიც თვით მეფესაც კარგად იცნობდაო. ასეთ ვითარებაში მართლაც რომ შეიძლებოდა არა მარტო ჯაშუშობა, არამედ გავლენიანი პარების მოსყიდვაც¹⁾

შემდეგ არარატაიანი მოვეითხრობს, თუ როგორ „გაისეირნა“ ქალაქ გარეთ დიდმის ვილისაკენ და როგორი გულდასმით უთვალთვალებდა ერეკლესათვის დასახმარებლად ჩამოსულ იმერელ მხედრობას. შეიძლებოდა ეს გასეირნება უცხო ქვეყანაში მოხვედრალი კაცის უბრალო ცნობის მოყვარეობით აიხსნას, მაგრამ არარატაიანი თვითონვე გვაცლის საფუძველს ასეთი დასკვნისთვის: იგი

¹⁾ „Жизнь Артемия Араратского“, СПб, 1813 წ., ნაწ. II.

ჯერ ერთი, ზუსტად ადგენს იმერელ მხედრობის რიცხვს და აცხადებს, რომ ჩემი რწმენით სოლომონ მეორეს 2000-ზე მეტი კაცი არ მოუყვანიაო. შემდეგ, როგორც ეს საქმის კარგ მცოდნეს შეეფერება ადვალად არკვევს, უკრძალავს წერეთელს უცდია ერეკლე მეორის მოტყუება და თითქმის მიუღწევად ცხადობს სათვის: ზურაბ წერეთელმა მხედრობა გააფანტა ველზე და ისე მოაჩვენა ერეკლეს, თითქოს რვაათასი, ისიც რჩეული მეომარი მოვიყვანე თბილისას დასაცავადო, — ამბობს არარატიანი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არარატიანმა კრწანისში თავმოყრილი მხედრობა დაათვალიერა, თბილისის ახლო-მახლო სოფლებიც მიიარ-მოიარა და მაშინ მისი გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობა საეჭვო გახდება...

ზვერვის სამსახურისათვის ერთგვარი სარგებლობა მოჰქონდა ქართველი ტყვეების დაბრუნებას სამშობლოში, რაც არც ისე იშვიათი მოვლენა იყო. არ არსებობს საბუთები დასაზვერად ქართველების სპეციალურად გამგზავრების შესახებ მეზობელი ქვეყნების სიღრმეში, ჩვენის აზრით, ასეთი რამე არც არ უნდა მომხდარიაო. ჯერ ერთი არავითარი შედეგის მოტანა არ შეეძლო ლეკებისა და სხვა მცირე მეზობელი კუთხეების აგენტურულ დაზვერვას. ამ კუთხეებიდან მუდამ მოდიოდნენ მძარცველები და შეუძლებელი იყო მათი თავდასხმის დროისა და მიმართულების წინასწარ განსაზღვრა. ცნობილია, რომ სწორედ ასეთმა ყაჩაღობა ბრბოებმა ალა-მაჰმად-ხანის გამოჩენამდეც თვალსაჩინოდ დაასუსტეს ქართლ-კახეთის სამეფო. შემდეგ, ისეთი მეზობლების აგენტურული დაზვერვაც, როგორსაც ირანი და თურქეთი წარმოადგენდნენ, უაზრო და უსარგებლო იყო. მათი მმართველები, როცა-კი ახერხებდნენ, ვეებერთელა ჯარით მოდიოდნენ და ასეთს შემთხვევაში ქართველები საჭიროდ არ სთვლიდნენ ანგარიშს მისცემოდნენ. — მაშინვე ხმალს იღებდნენ და გააფთრებით ეკვეთებოდნენ ხოლმე მტერს. მაგრამ ქართველი მეფეები, განსაკუთრებით კი ერეკლე, თვალს არ ხუჭავდნენ სინამდვილის წინაშე და ფხიზლად უთვალთვლებდნენ მათს მდგომარეობას და საფუძვლიანადაც ერკვეოდნენ აღმოსავლურ პოლიტიკაში.

ჩვეულებრივი საჯაროსო დაზვერვის უგულვებელყოფა-კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ბრძოლის წინა დღეებში დაზვერვა აუცილებლად სრულდებოდა ცხენოსანი გუნდების საშუალებით, მაგრამ იმის გამო, რომ დაზვერვის სამსახურისათვის სპეციალურად არავინ იწრთებოდა, გამოირიცხული არ იყო შეცდომები. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთ დაზვერვას შეეძლო დაედგინა მხოლოდ მტრის არსებობის ფაქტი ადგილმდებარეობის ამათუმი უბანზე. რაც შეეხებოდა მტრის სიმრავლეს, მისი შეიარაღების ხასიათსა და განზრახვას, ამ ცნობების მოპოებისათვის მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებები იყო საჭირო, რისთვისაც თავს არ იტყებდნენ მზვერავები. ესმოდა რა ერეკლეს ამ აუცილებელი ცნობების უდიდესი მნიშვნელობა, პირადად თვითონ მიდიოდა წინ, ბრძოლით და თვალთვალთ მოსინჯავდა ხოლმე მტრის ძალებსა და მოძრაობის მიმართულებას. წვრილ-წვრილი ცხენოსანი გუნდები ხშირად უაზროდაც აკლავდნენ თავს ურიცხვს მტერს ან ტყვედ ვარდებოდნენ.

ბრძოლის წინა საათებში დაზვერვა უფრო ცხოველ ხასიათს ღებულობდა თვალთვალის საშუალებით, რასაც ჯარის მოწინავე ნაწილები ასრულებდნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ქ. ბამსახურდია — „ბელადი“

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში სარეცენზიო ნაწარმოები დიდი წინსვლის, ძვრის, გარდატეხისა და მიღწევის მაჩვენებელია. ასევე ეს წიგნი, ამ თემაზე დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებს შორის ქართული ლიტერატურის თვალსაზიარებელი მიღწევაა.

კონსტანტინე გამსახურდია დახელოვნებული, პროზის საკმაოდ მოწიფებული და მხატვრული გემოვნების მქონე ოსტატია. მისი შემოქმედების დამახასიათებელია ფანტაზიის სიმდიდრე, მწერლური სითამამე—გაბედულება, ენის ცოდნა და ტექნიკის კარგად ათვისება. ეს მისი, როგორც მწერლის, დადებითი მხარეებია, მაგრამ ეს დადებითი მხარეები დღემდე იზრდილებოდა და მის ნაწარმოებს ფასსა და წონას უნახევრებდა ის გარემოება, რომ მწერალი ხშირად სწორად და საღად ვერ ერკვეოდა მოცემულ მოვლენებში. მეორეს მხრივ ძველი მემკვიდრეობის ხარკი მიიღე ტვირთად აწვა მას; ეს არის გარდასული ცხოვრების ზოგიერთი მიუღებელი ტიპებითა და ზნე-ჩვეულებით გატაცება, ყოველ შემთხვევაში მისადმი არა კრიტიკული მიდგომა. გამსახურდია ძლიერი იყო უარყოფითი ტიპის დახატვაში, მისი უარყოფითი ტიპი უარყოფითის არ იყო უარყოფითი, ხშირად ის დანდობილია, გალამაზებული, რამდენიმეთ გაკეთილშობილებული. ავტორს ასეთი ტიპის შექმნაში ახასიათებდა სიღრმე, სისრულე და ფართო დაიამაზონი. ის მას იცნობდა და მის სუნთქვას ღრმად სწვდებოდა. ეს ტიპი ზოგჯერ გუშინდელი მისი სახე იყო და ზოგჯერაც—ნაცნობ-მეგობრების. სამაგეროდ ასევე არ ითქვამდა დადებითი ტიპის გაკეთების შესახებ. ამ დებულებას სავსებით ამართლებს, „მთვარის მოტაცება“. იქ თარაშის შედარება არ შეიძლება არხაყანთან, ისე სისრულით და ამომწურავადაა დახატული არხაყანი, როგორც ლიტერატურული ტიპი, იმდენად მკრთალად და ზოგჯერ არა სწორად არის გამოკვეთილი, რომ ის ნაწარმოების წამყვან მოქმედ პირად არ ჩაითვლება და თუ რომელიმე მოქმედ პირს მიყავს ეს ნაწარმოები, ეს თარაშ ემგვარია. ამასთან მწერალს ეხერხება და, უპიკველად კარგადაც, ზედმეტი ადამიანების, —ცხოვრებაში თავისი იდეგლი რომ ვერ უნახავს ისეთი ადამიანების, —სისრულით და ამომწურავად მოცემა.

ფანტაზიის სიმდიდრეს, მწერლურ სითამამე—გაბედულებას, ენის ცოდნას ავტორი ყოველთვის არ იყენებდა წარსულში ნაწარმოების მხატვრული ეფექტიანობის გასაძლიერებლად და იდეოლოგიურად მისი სათანადო დონემდე ასამაღლებლად. პირაქით, მწერლის ეს სიმდიდრე და ძვირფასი თვისება გამოიყენება პოულობად ისეთი მიმართულებით, რომელიც ნაწარმოების მხატვრულ ეფექტიანობას დაბლა სწევდა.

ასეთი ნაკლი და ღირსება ჰქონდა გამსახურდიას შემოქმედებას წარსულში.

„ბელადი“ დაწერილია ყველა ღირსების განვითარებისა და ნაკლის აღმოფხვრის ნიშნით. ავტორი დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით მოკიდებია ამ დიდი და რთული თემის დამუშავებას. ნაწარმოები ძირითადად განტვირთულია უაზრო ფიგურალური და საეკვი ფილოსოფიის შემცველ თქმებით.

ბელადის ბავშვობისა და ყრუობის ასაკის მხატვრულად ასახვა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა.

ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო ნაწარმოებში მნიშვნელოვნად დაძლეულია ბიოგრაფიული რომანის სიძნელე-სირთულე. ავტორი არ არის ჩაკეტილი დოკუმენტალური პროზის ვიწრო ჩარჩოში და მას, ამ შემთხვევაში, უპიკველად სწორი გზა აუჩვენია. ეს არის გზა სიუჟეტური მხატვრულ ნაწარმოების შექმნისა, სხვა გზით ის მივიდოდა ბელადის მხატვრულ ბიოგრაფიამდე და არა ბელადის შესახებ მხატვრულ ნაწარმოების შექმნამდე. მოგონილი და არა ბიოგრაფიული ამბები, აღებული ტიპიურ გარემოებისაგან და მქონე რეალური სინამდვილის მაჯისცემისა, ნაწარმოებს უხდება და მის მხატვრულ ეფექტიანობას აძლიერებს. ამასთანავე ეს ამბები მოცემულია ისე კონკრეტად, ლა-

მაზად და დამაჯერებლად, რომ არ იგრძნობა მისი ოდნავი გათიშეაც კი ნაწარმოების ბიოგრაფიულ ნაწილისაგან, რაც ავტორის, როგორც მხატვრის დიდი ღირსებაა. მეორე ძირსებას და მისი შემოქმედების ძველი ნაკლის გამოსწორებას ჩვენ იმაში ვხედავთ, რომ სიუჟეტის მთავარ მაგისტრალსა და შემავალ ეპიზოდებს შორის მტკიცედ დაკავშირება განსაზღვრული მიმართება და კავშირი. შემავალი ეპიზოდი ყოველთვის სწრაფად ეპიზოდში მოაქვს მაგისტრალთან და არ ეთარბება დამოუკიდებელი გზით. ეს შემავალი ეპიზოდები: სოსოს, სოსოს მგზობლები, ამილახერიანთ ოჯახი, ყოველ თუ სხვა ხალხური ჩვეულებანი — სოსოს ზეგმობისა და ყრმობის გარემოცვის რელიეფურად მაჩვენებელია და კარგად იგრძნობა მასში იმდროინდელი ცხოვრების რეალური სინამდვილე. ამასთანავე ამ შემავალ ეპიზოდებში გარემოცვა ნაჩვენებია ცოცხლად და კონკრეტულად. განსაკუთრებით უხდება ნაწარმოებს და მის მხატვრულ ეფექტიანობას აძლიერებს სასკოლო ცხოვრების ზოგირით ამბები (ვეზრობისა თამაში, ლავროვის ქუდის მტკვარში გადავარდნი, შემაწვევისაგან მისი ნახვა, სახედარისათვის დახურვა და ქუჩა-ქუჩა სვლა).

რომანი იწყება ბელადის ჩვილობიდან და იშლება მისი მშობლების ოჯახური ცხოვრების ფონზე. ბესოსა და ეკატერინე ჯულაშვილების ოჯახი მეგობრული და ნათესაური სიყვარულით და პატივისცემით იღებს უფლისა არაბულს და მის შვილებს. ამ ოჯახების ურთიერთობის საფუძველზე კარგად და რელიეფურად მოცემულია იმდროინდელ შრომელთა გაჭირვება, ხელმოკლეობა, აუტანელი შრომა, დაავადება. 43 წელი ამილახერიანთ მოჯამაგიროებაში გაუტარებია უფლისას და ახლა თავის პაპების სახელით ასე მოსთქვამს გავკვირებაზე:

„ჩემი პაპის პაპაც მეცხვორე ყოფილაო, ასრე გამიგონია, ჩვენთვის, არც ოჯახია, არც მოკეთე, არც დღესასწაული, დღენიადაც კლდესა და ღრეჩი დავებებებით, ვებრძვით წვიმისა და ავდარს, კაცსა და ნადირს“.

გაჭირვებისა და ხელმოკლეობის გამო ქალი ვერ უთხოვია და სანამ ქვეყანა ესრე იქნება ცოცხლ არ შეივითხოვ გაიძახის კიტესა, მეორე შვილს ვამებს უბედურება შეემთხვა, დახახის ოლიცერია მწუხრებაში თავდაცვის დროს შემოაკვდა და ახლა დამალულად სხვისი სახელითა და გვარით ცხოვრობს, საკუთარ ღვიძლ შვილისათვის კი არ უთქვამს, რომ მამა ვარო.

აქ და მთელი წიგნის მანძილზე ავტორს არ ახასიათებს ძველი ცხოვრებისადმი რომანტიული მიდგომა, მისი გლამაზება-გაკეთილშობილების ცდა და საესებო დაცული აქვს კრიტიკული დამოკიდებულება მისადმი.

ეპოქა, რომელსაც ავტორი ამ ნაწარმოებში გვისახავს, არის დიდი მოძრაობის დაწყების წინა პერიოდი, როდესაც ხალხი თავის გაჭირვებაზე ყრუდ ჩივის და დრტყინავს, როდესაც ხალხს შეუვნია, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ უცეთეს ცხოვრებისათვის საბრძოლველ გზაზე კიდევ ვერ შემდგარა და გაბატონებულ კლასებისა და მისი წარმომადგენლების აღვირ-ახსნილობას, არადაამიანურ და მბეტურ საქციელს სტიქიური მველდობით უპასუხებს. ცხოვრების განვითარების ამ ეტაპზე შრომელნი ხსნას სწავლასა და განათლებაში ხედავენ და სოსოს დედას უკვე შეუვნია, რომ „წიგნი უნდა ისწავლოს ადამიანმა, თორემ უსწავლელი კაცი უსინათლო თხუნელასა გავს“.

სოსოს ჩვილობის პერიოდი ავტორს ცოცხლად, მოხდენილად და დამაჯერებლად აქვს ასახული. ბავშვში იგრძნობა მდიდარი ფანტაზია და დიდი ენობისმოყვარობა. ყველაფერი ანტირესებს და ყველაფერი თავისებურად გადააქვს მას თავის სამყაროში. ის დაუდგრო-მელია და სიყოცლითი სასუბე, გაბედული და უშიშარი, შემდეგ და შემდეგ — ამხანაგების გამტანი, დანაგრულისა და გაჭირვებულის მოსარჩლე, ადამიანისადმი გულისხვიერი დამოკიდებულების მქონე, სუსტის ქომაგი და სხვ. ერთი სიტყვით დიდი ადამიანის საწყისები მასში თავიდანვე იყო, მაგრამ ეს თვისებები გაკეთებულია არა შტამპის სახით, არამედ ბუნებრივად და ყოველმხრივ დამაჯერებლად. ავტორის სიძლიერე და გამარჯვება იმაშია, რომ თქვენს წინაშე ცოცხალი ბავშვი სდგას და არა მისი ქანდაკება.

ავტორს სოსოს სიყმაწვილის ამხანაგებიც კარგად აქვს შერჩეული. ეს ამხანაგები და მათი ამბები შეიძლება არ შეიცავდეს მთლად ბიოგრაფიულ ამბებს, მაგრამ იმ ეპოქის რეალური ცხოვრების სინამდვილეს სრულებითაც არ არღვევს, პირიქით, ამ სინამდვილის რელიეფურად წარმოდგენას აძლიერებს. ეს მოგონილი მოქმედი პირებია და ბელს უწყობენ ნაწარმოების სუბეტის განვითარებას, მის მხატვრულ ეფექტიანობას.

განსაკუთრებით ძლიერად და რეალისტური ფერხობითა მოცემული ღარიბი გლეხის ბიჭებისა და თავდა-ანაურთა ბავშვების ურთიერთობაა. თამაზ ამილახვარი, რუსულანა, ელენე თავისი გუვერჩინარით ციხესთან შეხედებიან შარვალგამოხეულ და ფეხშიშველ სოფლის ბიჭებს. მათში კონტრასტი დიდია და საერთო არაფერი. მათი შინაგანი ბუნება და

გარეგნული შეხედულება არცერთ წერტილში ერთმანეთს არა ხედებიან. მკითხველი მკვეთრად გრძნობს პატარა ბავშვებში მათ შესაფერის სოციალური წრის ატრიბუტებს, თამაშს უკვე ეტყობა ამილანგრიანთ ოჯახის ყვეცრობა, თავმამწონობა, ქედმაღლობა, ეს ნაწარმოებში გამედღენებულია არა მარტო მის გარეგნობაში, არამედ კიდევ უკეთეს მხარეში — „დევობიასა და რაინდობას“ თამაშის დროს თამაშს არ მოეწონა ეს უკეთესი მხარე აშხანგების გეგმა და მოინდომა მისი თავის ნებაზე შეეცლა, მაგრამ მოთმინებიდან გამოსული სოსო ბავშვური მიაპიტობით პირში მიახლის: ჩვენ რაინდები ვართ და სად გაგონილა — რაინდები რომ იმალებოდნენო.

სოსოს ეკლესიაში ყოფნა და გუმბათის სარკმლის რაღაზე მტრედისათვის „ქმის“ შეძახება უხდება და აძლიერებს ნაწარმოების სუვეტურ აღნაგობას და მხატვრული ზომიერებით და დამაჯერებლობით არის შესრულებული. ცნობისმოყვარე უმაწვილ სოსოს ეს დახატული სურათი ჰგონია და არა ცოცხალი მტრედი და ცნობისმოყვარეობამ იმდენად გაიტაცა, რომ დაავიწყდა მღვდელმსახურება და ეკლესიაში ამდენი ხალხის სულგანაბელი ყოფნა. წერილშია, უბრალოა ეს ამბავი, ეს ეპიზოდი, მაგრამ ყმაწვილ სოსოს ცოცხალ ბუნებას კი კარგად გვიჩვენებს.

სოსოს სკოლაში მიბარება, ახალ ტოლმზანავებში გარევა და სკოლის ცხოვრება ავტორს კიდევ უფრო ცოცხლად და დამაჯერებლად აქვს გაკეთებული. ამასთანავე მოხერხებულია და ორიგინალური აქვს გამოყენებული ბიოგრაფიული მასალებიც. ნამეტურ სოსოს ჩამუშაობისა და სასკოლო ცხოვრების პირველი შთაბეჭდილების დარგვე. ბიოგრაფიული და მოგონილი ამბები ერთმანეთთან ოსტატურად არიან შეზავებული.

ახლა ჩვენ მივდივით იმ ადგილას, როდესაც ასპარეზზე გამოდის მიხა ქილიფთარი. ეს მოქმედი პირი ბიოგრაფიული მასალა არ არის. მისი სახით ავტორმა მოგვცა ცხოვრების იკლამბოტიდან ამოვარდნილი და გზაკვალანებული ადამიანის ტიპი. ასეთები უძველად იყვნენ მაშინდელს ჩვენს ცხოვრებაში. ის მძალადი მხატვრული ოსტატობით გაკეთებული ტიპია, ავტორს ასეთი ტიპების გამოკვეთა კარგად ეხერხება. მხოლოდ რისთვის მისცა მის ავტორმა ხელში ხალხოსანის მანდატი, ეს ჩვენთვის გაუგებარია. ალბათ, იმიტომ, რომ სოსოზე მიხა გაელენა მკითხველს დაეჯერება. ჩვენის აზრით აქ ავტორი შეცდა. ქილიფთარისთანა პიროვნება ხალხოსნურ წრეში არატიპური იყო. ქილიფთარი აიბრებულება, უსისტემო ცოდნის პატრონია. უვლადფრს აკეთებს და არაფერი არ გამოუდის, მისი საქმე და სიტყვა სასაცილო ადამიანის მდგომარეობას უქმნის საზოგადოებაში. ყოველ შემთხვევაში ის ყმაწვილ სოსოზე გაელენას ვერ მოახდენდა ქვეყნის სასაცილო პიროვნება ბავშვის პატივსაცემი ვერ გახდებოდა.

ავტორს ძველად არ ეხერხებოდა მთავარ და უმნიშვნელო მოქმედ პირებს შორის, უარყოფით და დადებით პირებს შორის ერთგვარი მკვეთრი დისპროპორცია დამუშავება და უფელი მთავანი თავის მნიშვნელობისადმიხედვით გაეკეთებია. ნამეტურ ის ერთგვარ გადაიტეხებულ ყურადღებას და მზრუნველობას აჩენდა ზოგიერთი უარყოფითი ტიპის მოცემისას, რის შედეგადაც ვლენდობილით ამ უარყოფითი ტიპის უფრო სრულყოფილად გაკეთებას, ვიდრე დადებით ტიპებისას. სარეცენზო ნაწარმოებში ნაწილობრივად იმის ადგილი აქვს მიხა ქილიფთარის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მიხა ქილიფთარს იმ დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი ადგილი ვერ მოუწახვს, კალამოტიდან ამოვარდნილა, ამაო, უსარგებლო შრომას ეწევა, ავტორს ის მაინც გამტრებული არა ყავს და იგრძნობა მისი მზრუნველური განწყობილება ქილიფთარისადმი. მიხა ქილიფთარის ცხოვრების ასახვის დროს ავტორმა თავი ვერ შეიკავა, კრიტიკული მიდგომა მის ცხოვრებისადმი ვერ დაიცვა და ნაწილობრივად გაღამაზება-გაკეთილშობილება დაუშვა. ამით იახსნება, რომ ეს არა-რაობა და არაფრის გამკეთებელი კაცი, მიუხედავად მისადმი უყურადღებობისა, მაინც არ არის გამწარებული და განცხრომისა და ფულუნებაში ცხოვრობს, რაც დამაჯერებელი არ არის. მკითხველს არ სწამს, როდესაც მიხას ოჯახის ასეთ ამბავს კითხულობს:

«...ოქალა (მიხას ცოლი) ბუბრის პირს იჯდა სამწარეულაში, შამდურზე წამოგებულ ინდარის ატრიალებდა, ცხიმი შიშინით იღვრებოდა და საამოდ ტკივნებდა ცეცხლზე».

ამილანგრიანთ ოჯახის ქეიფი, მუქთაბორობა, უხეშობა და ძალადობა რეალისტური გაზარებით და მხატვრული ზომიერებით არის მოცემული, ამასთანავე ნაწარმოების მთავარ თემასთან საკმაოდ დაკავშირებული, თუმცა კიდევ უკეთესი იქნებოდა და ნაწარმოები იდეოლოგიურად და მხატვრულადაც უფრო გამართლებული, რომ ამილანგრიანთ ოჯახის ბოროტება სოციალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ფონზე გაეშალა და გლახობა ცხოვრების ტრაგიკული მომენტებით განეფითარებია. ამით ნაწარმოები უძველად ბევრს მოგებდა და მაშინდელი ეპოქის სიმწევე და დამაბულობა უფრო რელიეფურად გამოჩნდებოდა.

ამილახერიანთ ოჯახში იწარგება სესია, რუსიკო, ცობო, გიორგა, სესიას შვილი ნადირბაში შემოაცდით, სესიას კომუნისაციად ძროხა მისცეს, მის არ უყვარს ბევრი, ბატონის ერთგულება არც სხვებს აქვთ, მაგრამ ისინი გამწარებულნი არ არიან. უცხოეთში უზოგჯერ ყოფილი ვინმემდევ არ მიდის, ყოველ შემთხვევაში მათი ცხოვრება დრამატული და ტრაგიკული მომენტებით არ არის დატვირთული. მაშინ რაღაც ავტორს იოლად შეეძლო სესია ამ ხაზით გავეითარებია. ამით ნაწარმოების პოლიტიკურ-რეგოლოცოური სიმახვილე უფრო ბევრს მოიგებდა და სტალინის ყრმობის გარეშეცა უფრო რძლივფურად და რეალისტრად იქნებოდა ნაიყენები. ჩვენ ამით იმის თქმა სრულებითაც არ გვინდა, თითქოს ის, რაც ნაწარმოებშია მოცემული, რეალისტრად არ იყოს გავეთებულიცხადია, მაშინდელი ცხოვრება ავტორს რეალისტური შეთოდით აქვს ასახული და ვლადპარაკოთ შოლოდ მახვილზე, პირველ და მეორეხარისხოვან მომენტებზე, რა უნდა ყოფილიყო პირველ პლანზე და რა მეორეზე.

კ. გამსახურდიას ასეთვე მიდევნით აქვს მოცემული ამილახერიანთ ოჯახის მოურავი ვართანა. ისტორიულად მოურავები მშრომელი გლეხობის ჯალათები და სისხლის მწოყელები არიან. ამ შემთხვევაში ავტორი რამდენიმედ არღვევს ქართული ლიტერატურის ტრადიციას და მოურავი ვართანა ბატონის მთლად ერთგული ძალი რაღა? ზოგჯერ ორგულობს კადეც—თუნდაც დათვის საკითხში, თუნდაც მისი და ბატონის ქალაქში ყოფნის დროს შინა მოსახსურეთა ორგულობის საკითხში. ავტორის გრძლიად ფანტაზიას შეეძლო ვართანას ცხოვრებაში უფრო შვიდ ლაქები მოენახა. დათვის ამბავი სიმბოლოური და ალეგორიული ამბავია და ავტორს დღეს ასე წერა არ უნდა დასჭირებოდა, თუმცა ის ნაწარმოების სუბეტურ აინჯავბას უხდება და ზოგიერთ დრამატულ კოლიზიების გახსნას კარგად გვიჩვენებს. გავას ბრძოლა დათვისან, დათვის მოკვლა რუსიკოს თანდასწრებით, ეგრეტლის ქაზის დარჩენა, რუსიკოსგან მისი ნახვა, შენახვა, საიდუმლოს დამალვა, რუსიკოს რომინული და ტრაგიკული ამბების კვანძი ამ დათვის მოკვლის გარშემო ვითარდება.

თამაზის მსუნავობას და ალერიაშვებულებას ნაწარმოებში ზედმეტი დაზუსტებით და ნატურალიზმისადმი ერთგვარი ხარკის გაღებით გვაძლევს ავტორი. იქ რომ მახვილი შეენელებინა, ეს ნაწარმოებს გაცილებით მოუხდებოდა. ამ მსუნავობისა და გარყვნილების ფინალი დამაკმაყოფილებლად და მოზდენილადა ჩართული ნაწარმოებში. რუსიკოს თვითშეგულებობის მიზნით მდინარეში გადავიარდა და გავა არაბულისაგან მისი დახსნა მტკიცედ დღლიათ ირის სუბეტურ კვანძთან შეერთებულა.

სოსოს თავის ამხანაგებით ატენში მოგზაურობა მეტად დამძიმებულა იზნა ქილიფთარის ფილოსოფოსობით, თუმცა სოსო აქ თავის ამხანაგებში ძალიან ცოცხლად არის დახატული და კარგადაა ნაიყენები მისი ერთი უდიდესი თვისების ჩინასახი—ამხანაგისადმი გულსხმირი დამოკიდებულება. სოსო გავა არაბულს დანაღვლიანებას შენიშნავს და გულითა და სულით მოწყაიდებულა, რომ ამხანაგმა სწავლა გააგრძელოს და არა ცხვარში წაიღოს. ნაწარმოებში ფარდა ეშვება და ტრილოკიის პირველი ნაწილი იმით თავდება, რომ სოსო გავა არაბულს დაითანხმებს სწავლის ვაგრძელებაზე, რის გამოც სახე გაბრწყინებულა თავის ამხანაგს მიმართავს: „მაშ ვიაროთ, გავა, ზომ ხედავ, რა მშვენიერია ჭეფანა ნაქუხილარზე“.

ნაწარმოებში განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც სასკოლო ცხოვრება და მისი რეჟიმია ასახული, მახვილი აღებულა რუსეთის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე და სამართლიანადაც. სწავლა-განათლების დარგში ეს პოლიტიკა მართლაც გველასათვის თვალში მოსახვედრი იყო. რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარი დასაყრდენი სკოლა იყო, მეთოდი სწავლებისა და შერჩეულ მასწავლებელთა კონტიგენტი ამ საქმეს ცონიკური ურცხვობით ასრულებდა. ლაფრეები ებრძოდენ ჩვენს ენას და მასზე მოლაპარაკე მშრომელ ხალხს. ნაწარმოებში რუსიფიკატორ მასწავლებელთა ბუნება და რუსიფიკატორული პოლიტიკის საშინელებანი დიდი სიმართლით და დამაყრებლობითაა მოცემული.

ნაწარმოები ძირითადად იმ ეპიური ფანრისაა, თუმცა რამდენიმე ადგილას ავტორი არღვევს ამ ფანრის ფარგლებს, ერევა ნაწარმოების მსვლელობაში და პუბლიცისტური მტკიცებით და გამარტივებული ახსნა-გამმარტებით გამოდის, შავალითად იქ, სადაც გეზირიანობის შესახებ არის ლაპარაკი.

ნაწარმოებში შრავლად შეხვდებით ავრთვე კარგ და მოზდენილ პეიზაჟებს. ამაში ეტყობა მას ძალდაუტანლობა და ბუნებრიობა. შედარებებისათვის შავალითებს ძველი ცხოვრებიდან იღებს, ორიგინალურს და მოზდენილს; ყველა მხატვრული სახე და შედარება სწორი და გასაგები არაა.

ამ ნაწარმოებს არ უხდება გველების ამბები. გველებისაგან ცხვრების შეშინება არც ბუნებრივია და არც მართალი ამბავი. გორში მდ-იან წლებში სამიციტნოები იყო და არა

რესტორანები, ჭეჩები და არა პროსპექტები. ილევორიული ამბავი მგლის კბილებს/აკვანზე ჩამოკიდება გაუმართლებელია, თუმცა ჭეჩმოდ მგლის მუხლზეა ლაპარაკი, რომლის ცრემლი ყოველთვის როდის არის მშვიდობიანი და ავტორის ეს შედარება მარჯველია.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა ეს რომანი ავტორის შემოქმედებაში დიდ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ენის გაუმართაობა და ზოგიერთ უხეირო და არამხატვრულ შედარება-სახეებიდან განტვირთვა და ამასთანავე თემად აღებული მასალის უფრო ღრმად შესწავლა, — აი რაზე უნდა იზრუნოს მწერალმა თავის შემდგომ მუშაობაში.

გ. მებუკი



შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა

კარლო კალაძე — ზაფხულის მოგონებანი (ლექსები)	83-3
ია ჩხაიძე — გოლიათი (მოთბრობა)	7
გ. ძიგვაშვილი — შეხვედრა დასაუღლეთ უკრაინაში (ლექსი).	33
აღდეკო შენგელია — ორი ლექსი	35
შალვა დადიანი, აღ. ბურთიკაშვილი — ლაღო კეცხოველი	36
მიკოლა ბაჟანი — ლაშქრული (ლექსი, თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა)	67
მიკოლა ბაჟანი — ჰოფმანის სერობა (ლექსი, თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა)	68
იონა ფაკელი — შამილი (ტრაგედია, დასასრული)	73
რამიანი (ინდიური ეპოსი, თარგმანი რაჟდენ გვეტაძისა)	99

ქრიტიკა და კუბლიცისტიკა

გ. მეგრელიშვილი — აღ. წულუკიძე მუშათა კლასის გალატაკების შესახებ კაპიტალიზმის პირობებში	109
დიმიტრი ბენაშვილი — ესთეტიკის საკითხები (წერილი მეორე)	123
ივანე შაიშმელაშვილი — კრწანისის ომი (სამხედრო ისტორიული ნარკვევი)	137

ბიბლიოგრაფია

გ. მებუჯე — კ. გამსახურდია — „ბელადი“	156
---	-----

გადიცვა წარმოებას 24/X-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 21/XI-40 წ. ზომა 7 X 12 1/4. ფორმათა რაოდენობა 10. ში 3762. შეკვეთის № 1761. ტირაჟი 4.000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, უორესის ქ. № 5.

ფასი 2 ზ. 50 კ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ